

1.359/2



19

Օրապատկեր

644/2

5

1

საბჭოთა

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შუკნალი

საქართველოს ალკ. ც. კ-სა და
მწიკრალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. მამუკაშვილი — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას (ლექსი) 8

თ. შილაძე — როდესაც გვერა (ლექსი) 6

რ. ინანიშვილი — მოთხრობები 7

ლ. ხარეზაძე — ზამთრის სურათი (ლექსი. თარგმნა ა. გურგენიძემ) 13

რ. მარბინი — ლექსები 14

ო. ჩაჩიაშვილი — ფოლადის ფრთებზე (გარდელეზა) 22

ო. იოსელიანი — ლევანა (მოთხრობა) 30

ო. კუპრაშვილი — ცულდარის წყალი (პოემა) 48

მამისი გორკი — სისხლიანი კვირა (თარგმნა ბ. ნანიტაშვილმა) 56

დ. კვიციანი — გული 93

ბ. ჩხეიძე — მწვანე ხოდაბუნი (რომანი. ვაგრძელეზა) 97

ი. კოვალევი — დადი (თარგმნა რ. თაბუკაშვილმა) 116

ჩვენი აღმნიშვნები

ბ. შანტური, ბ. სამსონაძე — გუშინ და ხვალ 120

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

რ. თვარაძე — დიდი ლიტერატურის კარიბჭესთან 124

თ. გუაჩიძე — მ. ლერმონტოვის რომანტიკული შემოქმედების ზოგიერთი თავისებურება 132

ც. თოფჩიანი — რობერტ ბერნსი 135

976
7766

1

1959

ი ა ნ ვ ა რ ი

სახელმწიფო
ბამოცემლოზა
„საბჭოთა
საქართველო“



ხელოვნება

მ. გუგუშვილი — ახალგაზრდობამ გამოცდა ჩა-
აბარა 140

საბირა და იუმორი

ნახაბი-ხუმრობები ჯემალ ლოლუასი 140

უძველი მხრიდან

ძრონიკა 148

შურნალ „ცისკარის“ 1958 წლის ნომრების

შინაარსი 155



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ზადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/11-1959 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10, შეკვეთა № 653.
უე 01024. ქაღალდის ზომა 70×103. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფამოცემლობის ბეჭდვითა
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

მუხიან მაჭავარიანი

საგმომთა კავშირის კომუნისტურ პარტიას

რომ არ გიმღერო
და მადლობა არ ვითხრა დიდი,
ერთი მითხარი —
რას იფიქრებს,
რას მეტყვის იგი —
დედამიწიდან
ვინც პლანეტა აავლო ცაში,
ვინც დაუმკვიდრა პირველობა
საბჭოთა კავშირს,
ვინც აღმოუფხვრა დასაყრდენი
„ზეციურ მამას“,
ვინც, შენ რომ არა,
შიაღწევდა არამც თუ ამას —
ველოსიპედსაც ვერ შეჰქმნიდა
საკუთარს იგი.

რომ არ გიმღერო
და მადლობა არ ვითხრა დიდი,
ჩემი შვილი რომ გაიზრდება —
რას მეტყვის იგი —
ოღეს მის ხელში
აღმოჩნდება ჩემივე წიგნი —
და იმ ჩემს წიგნში
არ იქნება დიდება შენი —
დიდება მისი,
ვინც დიდების გვაღირსა დღენი,
ყველაზე უწინ
დიდებისა ვინც არის ღირსი,
ვინც დაგვასახლა,
ვინც ღიმილად აქცია ცრემლი,
ვინც შეგვაყვარა

1917 წელი,
ამხელა ჩვენი აღმავლობა —
ღვაწლია ვისიც.

რომ არ გიმღერო
და მადლობა არ გითხრა დიდი;
რა ჭირად მინდა
ამხელა ხმა,
ამხელა ტანი,
რომ არ გიხილო —
სხვაში რაში მარგია თვალი,
რომ არ შეგიცნო —
სხვაში რაში მარგია ტვინი.

თუ გიძგერს გული,
თუ გაქვს სისხლი,
ღონე თუ გერჩის,
თუ გეყურება
წინაპართა ძახილი შორი...
არავითარი არ არსებობს
ამ ქვეყნად ეჭვი,
ვერავითარი ვერ შებღალავს
ცილი და ჭორი;
დღეს რომ
ესოდენ ძლიერია ქვეყანა ჩვენი,
დღეს რომ
ქართველი ლაპარაკობს ქართული ენით,
დღეს რომ
სამგორშიც შრიალებენ ძვალმსხვილი ხენი,
დღეს რომ
სულყველას მიუწვდება სწავლაზე ხელი,
დღეს რომ
მართლაცდა მადალია მშრომელის ჭერი, —
ეს ყველაფერი —
არის შენით,
შენით და შენით.

რომ არ გიმღერო
და მადლობა არ ჟღერდეს ხმაში,
სხვა რომ არ იყოს —
თვით სინდისი რას მეტყვის ჩემი,
რას მეტყვის ხალხი —
შენ მოხოცე რომელსაც ცრემლი,
რას მეტყვის აწმყო,
მომავალი რას მეტყვის მაშინ!

გაივლის წლები...
წელიწადი გაივლის შეიდი...

შვიდი წლის შემდეგ
 შვილი ჩემი იქნება ათის...
 მე ახლა ვხედავ:
 კიბეებზე ის როგორ ადის,
 პეპელასავით
 თავზე აზის სპეტაკი ბანტი...
 სხვებიც მიდიან სკოლისკენ
 წიგნებით,
 ჩანთით...
 ჩვენს ბავშვობაზე ლამაზია
 ბავშვობა მათი...
 ყოფნა-არყოფნის
 აღარ სტანჯავს არავის დარდი...
 ფართო ქუჩაში
 გუგუნია ცხოვრების დიდის...
 და ნეტა იმ დღეს —
 წელიწადი რომ გავა შვიდი.

გაივლის წლები...
 კიდევ ბევრი ჩაივლის წყალი...
 უფრო და უფრო
 დაფასდება ამაგი შენი,
 საქმეთა შენთა
 ველარავინ ვერ იტყვის ენით,
 პარტიავ ჩვენო,
 დაგელოცოს კეთილი ხელი,
 რამეთუ მისით
 იარსებებს ყოველი ერი,
 რამეთუ მისით
 ლამაზია ცხოვრება ჩვენი,
 რამეთუ იგი
 არს სიმართლის
 ფარი და ხრმალი.



თამაზ ჭილაძე

როდესაც გჯერა

ადამიანმა შეჰბედა კოსმოსს,
ის შეჩვეული იყო ყველაფერს:
ცრემლსა და წვიმას,
სიცილს და კოცონს,
ის შეჩვეული იყო ყველაფერს.

მთვარის ვულკანებს დახედა ისე,
როგორც მეგობრის ღი: ჭრილობებს,
ის შეჩვეული იყო ყველაფერს:
ცრემლს,
დამარცხებებს,
ტკივილს,
გმირობებს.

მხოლოდ ღიმილი. მზესავით მწველი,
გადააფრქვია სივრცეს უღევად,
ასე იღიმი, როდესაც ელი,
როდესაც გჯერა და... ასრულდება.



კეპაზ ინანიშვილი

სამართალ პირთა ბუნება

- ეხლა ჩვენი კაცლის ხისა მომიყევი, მამა!
- რომელი კაცლის ხისა?
- ჭალის ვენახში რომ დგას.
- იმისი ხომ მოგიყევი!
- კიდევ მომიყევი.
- კარგი, შვილო, კარგი. საბანს ნუ იხდი და კიდევ მოგიყევი. ეგ ჩვენი კაცლის ხე სამასი წლის იქნება. მაგისი ტოლი ამ მიდამოზე სხვა არაფერი დგას. გაზაფხულზე მწვანე კოკრებს გამოიტანს, მერე ისინი ბრტყელ-ბრტყელ ფოთლებად იქცევა.
- ყვავილები?
- ხო, ყვავილებსაც გამოისხამს. მატლებივით გრძელ-გრძელ ყვავილებს. მერე ის ყვავილებიც ნაყოფად იქცევა.
- კაკლებად?
- ხო, კაკლებად. ის კაკლები დამსხვილდებიან, ლენჯოში აღარ დაეტევიან, ლენჯო შემოასკდებათ. მაშინ ავიღებ გრძელ ხალას, ავალ ზედ და, რო დავეკრავ, ხირა! წამოვა ძირს.
- ჩვენ კიდევ მოვკრეფავთ, არა?
- ხო, შვილო, თქვენ მოჰკრეფავთ. შემოდგომაზე კაკალს ფოთლები გაუყვითლდება, მერე დასცივია...
- ციყვი? ციყვი რომ დაგავიწყდა?
- ხო, ერთ ტოტზე ფულურო აქვს და იმ ფულუროში ციყვი ცხოვრობს, პატარა, კუდაპრეხილი ციყვი. გამოვა ფულუროდან, დასკუბდება უკანა ფეხებზე და ფიტ! ფიტ! უჯავრდება ჩიტებს.
- რათ უჯავრდება, მამა?
- ეს კაცლის ხე სულ ჩემია და თქვენ ნუ სხდებით ზედაო.
- მერე ჩიტები გაფრინდებიან ხოლმე?
- ჩიტბატონები გაფრინდებიან ხოლმე, მოლალურები კი — არა. მოლალურები გამოუჭროლებენ ჩხავილით, ციყვს შეეშინდება და ფულუროში შევარდება დაფეთებული.
- ჰი-ჰი-ჰი... ფხაწა-ფხუწით, მამიკო?
- ხო, ფხაწა-ფხუწით.
- ჰი-ჰი-ჰი...
- საბანი, შვილო, საბანს ნუ იხდი!

- ის ციყვი ეხლაც იქ არის, მამა?
- ხო, ეხლა იქ იქნება, მაშ აბა სად უნდა წასულიყო სხვაგან! ეხლა სულ ფულუროში ზის და კაკლებს ახრამუნებს.
- არა სცივა, მამიკო?
- ეგ ხო იცი. ფულურო ხავსითა და რბილი ბალახით აქვს სავსე, თან თვითონაც თბილი ქურჩი აცვია, რა შეაციებს!
- ჰი-ჰი-ჰი! კაკლის ხეს?
- კაკლის ხეს, რა?
- კაკლის ხესაც არა სცივა?
- კაკლის ხეს სცივა, მაგრამ ითმენს. რას იზამს, სცივა, მაგრამ ითმენს. მარტო ქარი როა, მაშინ იცის ბაბანი. უბერავს ქარი და აბაბანებს.
- რატომ ითმენს, მამიკო, კაკლის ხე?
- თოვლი უყვარს, შვილო. უხარია, ქათიბივით რომ შემოევლება ტოტებზე. თან რომ ბარდნის, ბარდნის... ფიფქებს ახალი ამბები მოაქვთ.
- რა ამბები, მამიკო?
- აბა, თეთრწვერიანი ზამთარი მოდის და ყოჩაღად იყავითო...
- ჰი-ჰი-ჰი... თოვლი მეც მიყვარს, მამიკო. როდის მოვა თოვლი?
- მალე, შვილო, შეიძლება ამალამაც მოვიდეს. ცა ისეა მოღრუბლული, შეიძლება ამალამ მოვიდეს.
- თოვლი რომ მოვა, კაკლის ხის სანახავად წამიყვან, მამა?
- კაკლის ხეს რა ნახვა უნდა, შვილო?
- აი, თოვლი რომ მოვა და ქათიბივით შემოევლება ტოტებზე... ქათიბი რა არის, მამა?
- ქათიბი ქათიბია, შვილო. აი, ბოა, ქალები რომ იყეთებენ ხოლმე პალტოს საყელოზე. აი, ანიკო დეიდას რომ აქვს.
- ხოო... წამიყვან, მამა?
- წაგიყვან, შვილო, თუკი გინდა, რატომაც არ წაგიყვან. შენ კარგად იყავი და, სადაც გინდა, იქ წაგიყვან.
- ციყვსაც მაჩვენებ?
- ციყვსაც გაჩვენებ, მაშ. შენ ეხლა დაიძინე და მერე ყველაფერს გაჩვენებ.
- მამა, ისევ მითხარი რა ციყვისა.
- ეხლა არ გითხარი, შვილო?!
- კიდევ მითხარი.
- კარგი, კარგი. ნუ იხდი და გეტყვი. კული აი ასე აქვს აპრეხილი, გამოვა ფულუროდან, დასკუბდება უკანა ფეხებზე და ფიტ! ფიტ! უჯავრდება ჩიტებს.
- ჰი-ჰი-ჰი... კაკლის ხე?
- კაკლის ხე დგას და შეყურებს ცას. ელოდება, თოვლი როდის მოვა.
- როდის მოვა, მამიკო, თოვლი?
- ხომ გითხარი, შვილო, შეიძლება ამალამაც მოვიდეს — ცა ისეა მოღრუბლული.
- დედა, მამიკო?
- დედაც სულ მალე მოვა და კამფეტებს მოგიტანს.
- შოკოლადსა?
- შოკოლადსაც მოგიტანს, გენაცვალე.
- კატა რომ ახატია?

- ხო, კატა რომ ახატია. ესლა დაიძინე, შვილო.
 - თოვლი რომ მოვა, ცივას გამიკეთებ, მამიკო?
 - ცივასაც გაგიკეთებ და მარხილსაც.
 - კაკლის ხის სანახავადაც წამიყვან?
 - ხო, შვილო, წაგიყვან. შენ ესლა დაიძინე!
 - რო დავიძინებ და გავიღვიძებ, თოვლი იქნება მოსული, მამიკო?
 - ხო, შვილო, ამაღამ მოვა.
 - დედა?
 - დედა ესლა მოვა. შეიძლება მოდის კიდევ. აბა გავიხედო.
- მამა დგება. ფეხი დაბუყებია და ფანჯრისკენ კოჭლობ-კოჭლობით მიდის.
- არ მოდის, მამიკო?
 - ჯერ არა. ცოტა ხანიც და მოვა.
 - მეც გამახედე რა გარეთ.
 - არ შეიძლება, შვილო, შენ ფუფუა გაქვს.
 - მაშინ არ დავიძინებ. აი...
 - საბანი! საბანი! აბა, რასა შერები! მოიცა გაგახედებ. ეეხ...
- მამა საბნიანად იყვანს და ფანჯარასთან მიჰყავს.
- აბა, ესეც გაიხედე. ესლა ხომ დაიძინებ.
 - ის ვისი ღორია, მამა?
 - ელიზბარაანთი.
 - ის შეშა ვინ მოიტანა?
 - ელიზბარას მამამ. ესლა ხომ დაიძინებ?
 - თოვლი რომ მოვა, გამაღვიძებ ხო?
 - გაგაღვიძებ, გაგაღვიძებ.
- მამა ისევ ფრთხილად აწევს.
- არ მომატყუილო, აი.
 - არა, გენაცვალე, შენ ტკბილად დაიძინე!
 - ამომიგე საბანი!
 - აბა, გენაცვალე! დაიძინე ტკბილად. ნანა-ნანა-ნანინა, ვარდოვ ნანინაო.
- ბავშვი თვალებს ხუჭავს და თითქმის იმავე წუთს იძინებს. მამა კიდევ ერთხელ უსწორებს საბანს, თან რაღაც საალერსო სიტყვებს ჩურჩულებს... აივნიდან ფეხის ხმა ისმის, აღღვებული დედა შემოდის. აჩქარებით აწუობს წიგნებს და რვეულებს მაგიდაზე.
- როგორ არის?
 - ესლა დაიძინა. მე ესეთი ბავშვის მნახველი არა ვარ. რეებს მელაპარაკებოდა, ყური რომ გეგდო!..
 - ენაცვალოს დედა. სიტხე ხომ არ გაგისინჯია.
 - არა, მაგრამ, ეტყობა, დაუწია.
 - ენაცვალოს დედა.
- დედა საწოლთან მიდის და ის თავისებურად უსწორებს საბანს.
- ბავშვს მშვიდად სძინავს. და უთუოდ კუდაპრეხილ ციყვსა და ლამაზად მოფარფატე თოვლის ფანტელებს ხედავს, რომ ელიმება, ვარდი გადასდის პირზე.
- დედასა და მამას სიხარულის ცრემლებით უბრწყინავთ თვალები. ოთახში ნელ-ნელა შემოდის ზამთრისპირის ღბილი, ღბილი ბნდი...



შენ იმ დღეს გვიან გავეღვიძა. ზღვიდან ახალი დაბრუნებული იყავი და თვით აბლაბუდასავეთ გამჭვირვალე პერანგიც კი გეჩოთირებოდა. დიდხანს იდგეჩი იატაკიდან ჰერამდე აღმართულ სარკის წინ და ნებივრობდი. ვახარებდა ბრინჯაოსფერი შენი მომცრო ტანი — ლარივით ჩაქნილი წვრილი კანკები და განიერი თეძოები, ვაშლივით გლუ მუცელი და ბურთებივით მრგვალი მკერივი ძუძუები. ვსიამოვნებდა დატალღული ძმომე შევი თმის ლაცივი მხრებზე. ხან ილიმებოდი, ხან წარბებს ჰმუხნიდი — თითქო ვიდაცას უწყურებოდი. ერთჯერ ხმამალაც კი გადაიკისკისე და თმები ისე მიმოაქნიე, თითქო ბოლოებზე ეყენები ვბმოდეს და მათი ზრიალის ატეხვა გდომებოდეს...

მერე სამზარეულოში მოფუსფუსე დედას ეტიტინებოდი და პატარა ბავშვივით დაატყაპუნებდი შიშველ ფეხებს კრიალა გრილ იატაკზე. მერე პირი დაიბანე, ისაუზმე. ბეჭებთან ღრმად ჩაპრილი, ბრტყლად დაფოთილილი ჩითის შილიფი კაბა ჩაიცვი, მწიფეშინდისფერი პომადით მოიხატე სალუქი ბაგეები, მწიფეშინდისფერი მსხვილი საყურეები გაიკეთე, მწიფეშინდისფერ რბილ, უქუსლო ფეხსაცმელებში წადვი ფეხი, ლამაზად დაწულ ხელჩანთას გაუყარე მკლავი, კიდევ ერთხელ შეათვალიერე სარკეში შენი მრგვალი, ოქროსავით მბზინავი მხრები, დედას უთხარი — ნანულისთან მივიღივარო და ქუჩაში გამობგედი.

ქუჩა მზითა და ხალხით იყო სავსე. მაგრამ ამ ხალხში შენ ერთი იყავი ყველაზე ლამაზი, ყველაზე კარგი. მიდიოდი თავაწეული, ამაყი, არავის არ აქცედიდ ყურადღებას. ისედაც გრძნობდი, როგორ ეღრიცებოდათ შენსკენ კისრები თვით ჰარმაგ მამაკაცთაც, როგორი შურისთვლით გაცილებდნენ პატივცემული ქალბატონებიც კი. მიდიოდი და ფიქრადაც არ მოგდიოდა, რომ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდა შენს ირვკლივ...

მარჯანიშვილის ქუჩაზე, ფეხსაცმელების მაღაზიაში, სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ვაჭრობდა. ქმარმა, ირაკლიმ, ორასთოთხმეტმანეთიანი ლაქის ფეხსაცმელები უყიდა ცოლს, ციურის. ციური გახარებული იყო. ჩქარა-ჩქარა ათვლევიანებდა ქმარს ფულს, თითქო ეშინია ვინმემ არ დაგვასწროსო. მერე ფეხსაცმელების ყუთი გულზე მიიკრა, გამყიდველს მადლობა გადაუხადა და გაბრწყინებული სახით გამოსცილდა დახლს.

სწორეთ მაშინ შეხვედი შენ.

შენ, რა თქმა უნდა, არც ის გახარებული ციური გახსოვს და არც მისი თავმოწონე ქმარი. შენ ისე, სხვათაშორის შეიარე ამ მაღაზიაში და ისე, სასხვათაშორისოდ ახედე მაღალი მამაკაცის ლანდსაც. ახედე, როგორც საერთოდ იხედები ხოლმე — ყელმოღერებით, ზვიადად, არ მოგეწონა და არ დაგემასოვრებია იმ ირაკლისა არაფერი, სრულიად არაფერი... იმან კი ვეღარ მოგაცილა თვალი. თითქო ჯიბე დაჰკარგოდეს, შენახვა უნდოდა და ვეღარსად შეენახა ფული.

შენ ამრეზით გადაათვალიერე ფეხსაცმელების გამოფენა და გამობრუნდი.

ირაკლი უკვე გარეთ იყო. ცოლი ეუბნებოდა, საკომისიო მაღაზიაში შევიდეთო, ის კი წყრებოდა — ჯერ გავიხსენოთ, აუცილებელი რა დაგვრჩა საყიდელიო. და იხსენებდა. იმ ფეხსაცმელების მაღაზიასთან იდგა, ხალათის საყელოს ისწორებდა და იხსენებდა. შენ გამოხვედი და უნივერსალისკენ დაუხვიე. ირაკლისაც გაახსენდა, რომ უნივერსალში ნათურები ჰქონდათ შესაძენი. და

თუმცა ცოლი არწმუნებდა — უკეთესია, ჯერ საკომისიოში შევიაროთო, ის მაინც უნივერმალისაყენ წამოვიდა.

ეს ქუჩაც სასე იყო ხალხით. მაგრამ ამ ხალხშიც შენ ერთი იყავი ყველაზე ლამაზი, ყველაზე კარგი. და ციურმაც შეგამჩნია, შეგამჩნია და მუხლები მოუღუნდა, გულზე მიხუტებული ყუთი გაეშვა; ყუთი გაიშალა და ფეხსაცმელები გაიფანტა.

პატარა ჩოჩქოლი ატყდა.

ციური დაფეთებული აცეცებდა ხელებს ირაოდ მომავალ მამაკაცების ტლანქ ფეხებს შორის, მისი ქმარი კი სიწითლის შეკავებას ცდილობდა და სიმწრით იკბენდა ქვედა ტუჩს.

შემდეგ ციური თმებს ისწორებდა, ირაკლი კი ყუთზე კანაფს ახვევდა და დაბალი ზიზლიანი ხმით ამტიკებდა, რომ ყველა სოფელ გოგოს კიდურების სიდაბლავე აქვს. ცხრა უმაღლესი რომ დაამთავრონ, მაინც ბატებივით დალაზ-ლაზებენ, წამდაუწუმ იფხვებიან და ხელიდან ეშვებათ ყველაფერიო...

არც ერთს არ დაუნახავს, შენ რომ შენი მეგობარი ნანული წამოგეწია ზიკზიკა „ზიმით“ და მასთან ერთად გაჰქროლე სანაპიროსაყენ.

ირაკლი უნივერმალში გეძებდა. ყველა სართული მოიარა, ძალით მიათრევდა ციურს. ციური მწყაზართვალებიანი, სათნო, უთქმელი გოგონაა. გულში იხვევდა დარდს. სულ უფრო და უფრო ეკარგებოდა ფერი, სულ უფრო და უფრო ერთმეოდა თავის დაჭერის უნარი. ეს კი ირაკლის აცოფებდა და იგესლებოდა.

— ერთი უფრო მეტად მოიკუნტე და მოიბღუნე! ჩამოგვსიტია ეგ თმები! ციური ცდილობდა წელში გამართულიყო, მაგრამ ამაოდ.

— ავღგები და დავიხვევ! — ამბობდა თმების შესახებ.

ირაკლი იცინოდა.

— დავიხვევ თორემ შენც რაღა!.. გაეკორტინებები ვიღაცას და ეგ იქნება! ციური კედელს მიეყუდა...

... თქვენ, ნანული და შენ რომ ჩოგბურთს თამაშობდით, ეს ცოლ-ქმარი სოფელში გასაბრუნებლად ემზადებოდა. ციურს არ ჩაუცვამს სიხარულით ნაყიდი ლაქის ფეხსაცმელები. ისინი ჭილის კალათაში ჩააწყეს და ზემოდან რაღაც-რაღაცეები დაალაგეს. უმძრახად შექამეს ორიოდ ლუკმა და ნაძალადევი მხიარულებით დაემშვიდობნენ მასპინძელ მამიდას.

იმათ სოფელში მიმავალი ავტობუსი ქალაქის განაპირა უბნიდან გადის. იქამდე ტრამვაით მივიდნენ. იქ ბარგი ხის ქვეშ დააწყეს.

ირაკლი პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა და ღრენას განაგრძობდა:

— ეგ ჭილის კალათი ხელში გეჭიროს, თორემ შენი მარიფათის ამბავი რომ ვიცი, ვიღაცა ავაცლის.

ციური ჩემოდანზე ჩამოჯდა, კალათი გვერდზე მიიდგა და შუბლს ხელი შეუბჯინა. სიტყვა არ დაცდენია, რომ თავი ტკივილით უსკდებოდა.

ირაკლი ბოლთას სცემდა. მერე წყალი მოსწყურდა, ბარგზე თვალი კარგად გეჭიროს, ნუ გძინავსო, — ერთხელაც შეახსენა ციურს და მახლობელ კოსკისაყენ წავიდა.

როცა დაბრუნდა, ხის ქვეშ შეჯგუფებული ხალხი დაინახა. მის მეუღლეს, ციურს, ჩემოდანი ეკავა ხელში, რაღაცას იძახდა და უმწეოდ იხედებოდა აქეთ-იქით.

ჭილის კალათი, რომელშიც სიხარულით ნაყიდი ფეხსაცმელები ეწყო, აიკვლიათ...

ირაკლიმ არაფერი არ შეიმჩნია. არსად არ წასულა, არაფერს არ ცდილა. ჩვენი ჭირი წაუღიათო, და მშვიდად მიეყარდნო ხეს. ხალხიც დაიშალა... ხალხი დაიშალა და მაშინ დაიწყო:

— მე ხომ გეუბნებოდი, დამბლა გაქვს-მეთქი. დაიჯერებ თუ არა, ახლა კა, დაიჯერებ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ტვინის დამბლა...

ციურის სიმწრის წვეთები ჩამოსდიოდა თვალებიდან და ხმას მიინც არ იღებდა.

ხმას არ იღებდა ავტობუსშიც, როცა ირაკლი თანასოფლელებს უყვებოდა თავისი ცოლის, მათი კარგი სამკითხველოს გამგის „სიყოჩაღის“ ამბავს. ხმას არ იღებდა შინამდე... შინ კი, ირაკლი რომ აივანზე გადადგა და ახლა მეზობლებს გადაუფარჩავა გულის დარდი, ციურის ქვითინი აუვარდა და აქამდე კბილებით მოტანილი სათქმელი ახლა ამოიტირა:

— წადი და იმ ყოჩაღ ქალს გამოეკიდე, წადი, მე არ გიჭერ! წადი!

ირაკლის გულში გაჰკრა, მაგრამ მიინც შესძლო გაკვირებული სახის მიღება:

— ვინ ქალს?

— აი იმ ლამაზ, ყოჩაღ ლამაზ ქალს, ფეხსაცმელების მალაზიაში რომ შემოვიდა და შენ უნივერმალისაკენ გაჰყევი.

ირაკლის უმადლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. მან ბევრი რამე იცის. მან იცის, რომ ყვირილს ყოველთვის წყნარად სჯობს ლაპარაკი. ახლაც არ უყვირია. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, თვალების მოჭუტვით, ზიზლით შეხედა თავის საცოდავ მეუღლეს და დინჯად, თითქო რაღაც მათემატიკურ თეორემას ამტკიცებსო, დაუწყო დასაბუთება, რომ ის სულელი იყო, რომ მას ერთი ციკქნა ჰქუა არ ჰქონდა თავში, რომ ის არაფრით არ განსხვავდებოდა თვით სოფლის ყველაზე დაბლური დედაკაცისაგან.

ციური ლამპის შუშას სწმენდდა და იმდულრებოდა. იმანაც იცოდა, როგორ უნდა მოჰქცეოდა ამ შემთხვევაში ქმარს, მაგრამ ტირილის მეტს ვერაფერს ახერხებდა.

მერე გაუხდელი მიწვა და ბალიშქვეშ ცხვირსახოცი ამოიღო. ირაკლი კი ბორიალს ვანაგრძობდა, სანამ არ დაიღალა. დაიღალა და ისიც ტანსაცმლით დაწვა.

იყივლეს მამლებმა — ერთხელ, მეორეჯერ.

მიინც არცერთს არ მიჰკარებია ძილი.

ესმოდათ ერთმანეთის სუნთქვა, ლამპის ტკიცინი, ჩალის ჩუჩუნი დაბლიდან და კრთებოდნენ...

... არც შენ გეძინა იმ დროს. გატაცებით ცეკვავდი დიდ, გაკრიალებულ, განათებულ დარბაზში. და რას უნდა ეფიქრებინებინა, რომ შენი გულისათვის სადღაც მივარდნილი სოფლის ბნელ ორღობეში ტანჯვით ათენებდა ორი ადამიანი ლამეს!



დონორ ხაზგაბათი

ზამთრის სურათი

ქარი დაწვდა სამთითას,
ცას აჰკლიჯა ღრუბლები,
მთებზე ჩამოარიგა
თვითეული უკლებლივ.

მზის სხივები ჩაჰკეტა,
ადრეულად დაბინდდა.
ზეცის ლურჯი მინდორი
აღარ მოჩანს დაბლიდან.

უზარმაზარ საცერით
შაგმა ზეცამ შორიდან
თოვლი გაცრა ფქვილივით.
— ფანტელები მოვიდა.

— ამ ახალ წელს, საყვარელს,
საკადრისად დაეხვდებით! —
თქვეს ღრუბლებმა და მიწას
შეუთეთრეს კალთები.

ოსურიდან თარგმნა
ავთანდილ გურგენიძემ



ჩვენს მარშიანი

ნიენიან „მსოფლიო“

ჩემი მამულ-დედული

შენ ერთადერთი ხარ სიყვარული,
ჩემი ლამაზი მამულ-დედული,
შენი ლილე და შენი მგზავრული
ჩემს გულში არის ჩაბუდეებული.

დედა თეთნულდის სარკეს ჩასცქერის
და შვილს დამეძებს დადლილ თვალე-
ბით,
თმა გაუთეთრდა, როგორც ჩანჩქერი,
უცხო მხარეშიც ვერ ვემალები.

როცა შენს წმინდა კალთებს ვცილდები,
გულს რაღაც გამკრავს სევდისნაირი,
უკან მიხმობენ შენი მინდვრები,
უკან მიზიდავს შენი ჰაერი.

ვილღები, მაგრამ მაჭირს გამხელა.
ჯერ ისევ მაგრობს ჩემი მუხლები...
იქნებ უთვლელი ციციანთელა
ნაპერწყლებია შენი ბუხრების.

მე თვით არ ვიცი, რატომ ვღონდები,
მე თვით არ ვიცი, რისთვის ვფიქრდები.
მელანდებიან შენი ოდები
გარშემორტყმული ოქროს ჩიტებით.

ვიცი, შენ ხარ ჩემი სიზმარი,
ყურში ჩამესმის შენი ნანინა,
ეჰ, ერთხელ კიდევ შენი ცისნამით
წამწამი მაინც გამაბანენია...

წელზე მეხვევა შენი ვენახი,
ყელზე მეხვევა შენი მალღარი,
ცხრამთას იქიდან ალვა მეძახის
ჩემს სათვალთვალოდ ცერზე შემდგარი.

შენ ერთადერთი ხარ სიყვარული,
ჩემი ძვირფასი მამულ-დედული,
შენი ლილე და შენი მგზავრული
ჩემს გულში არის ჩაბუდეებული.

პელსინკა

რამ მომაგონა

მე მწუხარებას ვემდური მუღამ,
ჩემს თავს ვუწოდებ სიცოცხლის
ტრფივალს.

მე ჩემი ბედით ვიყავ შემცბარი,
მოულოდნელად სიკვდილს გადავრჩი...
მზე ცხელი იყო,

მე დაცდილი მაქვს
ვარამი ცუდად —
ერთხელ ქოჩორიც შერუჯა ტყვიამ.
მესროლეს, მაგრამ იღბლად გადავრჩი,
მტკაველი მაკლდა სიკვდილთან მის-
ვლას,
მძიმედ ვსუნთქავდი დამწვარ ბალახში
და დენთის კვამლი მეფარა ნისლად.

ვით ნაკვერცხალი
გამოხვეული ღრუბლის ღაღარში.
... — ეს როდის იყო?
— დიდი ხნის წინათ!
გარინდებული ვუცქერდი მალღობს...
მსურავლე მზე და
ტყვიების წვიმა
რამ მომაგონა ბერლინის ახლოს?..

მოწყურდა...

მოწყურდა ჩვენი ქართული ენა,
და აქ ქართულად ვის ვესაუბრო!
როცა ვუცქერი ფერდობზე ვენახს,
ქართული სიტყვა მწყურია უფრო.

როცა ყურს ვუგდებ ყანების შრიალს,
ხმს აუაყოლებ, ქართულად ვმდერი,
უკვე მწიფეა ქერი და შვრია
და ყანისპირას ქვითქვითებს მწყერი.

მოწყურდა ჩვენი ქართული ენა —
ბულბულის სტვენა,
ქახჭახი შაშვის,
ხან ჩუმი, როგორც ფოთლების ცვენა,
ხან როგორც მეხას გავარდნა მთაში.

მოწყურდა ჩვენი ქართული ენა —
ნაზი თივთიკი, თბილი და ლბილი,
ხან უხილავი ნიავის ფრენა,
ხან ბადაგივით მსუყე და ტკბილი.

მოწყურდა ჩვენი ქართული ენა,
გავისაუბრო მინდა მხედრულად,

ტუჩზე მომდგარი ბგერები ღელავს,
აღიდებულა, როგორც ქვედრულა.

მოწყურდა ჩვენი სიტყვა დიდგული,
აღმოდებული სიტყვა ფრთიანი,
ლისსაქეთური,
ლისსიქითური,
მგზავრისთვის მუდამ იმედიანი.

მოწყურდა ჩვენი ქართული ენა,
ჩემი მამულას მზე და ბადახში,
გაჩახახებულ ვარსკვლავთა ცვენა
მულახში,
ლისში
და კარდანახში.

მოწყურდა ჩვენი ქართული ენა,
დინჯი, როგორც უყვარს ბარაკონს.
თუ ნებას მომცემთ,
ყანას და ვენახს
ქართულად მინდა ველაპარაკო.

ღრუბლენი.

გ ა ვ შ ვ ე ზ ი

ბავშვი სუყველგან თურმე ბავშვია.
ის არის ჩვენა ხსნაც და წამალიც.
ყველაზე ტკბილი, რაც გამაჩნია,
არის ხათუნი,
არის თამარი.

აქაც მრავალი ბავშვი ირევა,
თავდავიწყებით ზღვისკენ მიჰქრიან.
ქერათმიანი,

თვალეზირემა
ბევრი ზურა და
ბევრი ფიქრია.

განირჩევია მხოლოდ იერით,
ქერა წარბებით და წამწამებით.
აქაც ღედების ნებით ძლიერით
კულში დასდევენ შვილებს მამეზი.
ბავშვი სუყველგან თურმე ბავშვია —
ჯერ შეურყენელი პატიოსნება,
როცა ისინი ხელებს გამოიან,

მაშინ ფრთებსა შლის ჩემი ოცნებაც.
შვილებო! აქაც თქვენი ხმა მესმის
და დარდიც მახლავს მკირბოლენი,
მომნატრებია თქვენი ალერსი
და მე უთქვენოდ ძალზე ვლონდები.
ცქვიტი ბავშვები აქაც ბევრია,
ვერ მოვიკალი მაინც წყურვილი,
მათ საოცარი ლბილი თმეზი აქეთ,
თითქოს შეფერეს ოჭროცურვილით...
ზღვისპირად ბევრი ბავშვი ირევა,
თავდავიწყებით მზისკენ მიჰქრიან.
ქერათმიანი,

თვალეზირემა —
ხათუნა,
თამარ,
ზურა,
ფიქრია.

პერინესდორფი.

ს კ ა კ ი

შენ ყველა მგოსნის სიმღერა სძლიე,
 შენა ხარ ქართულ სიტყვის ხანძარი,
 აქაც მაპურებს ლექსებით მშვიდის
 შენი სიმღერა, როგორც საგზალი.
 გზაზე შევჩერდი მწიფე ყანასთან
 და თითქოს გულმა რაღაც მახარა,
 სიმღერის ხმაზე თვალწინ განათდა
 შენი შუბლი და შენი ჭაღარა.
 მზეში ვიწოდი.

მე რა ვიცოდი,

ამ დიდ სიხარულს აქაც ვპოვებდი,

შენ აქაც ხელი გამომიწოდე,
 მამულად იქცა ეს უცხოეთი.
 ყანაში ვნახე ასი ჭაბუკი,
 იდგა მზისა და ხორბლის აღმური,
 იდგა სიმღერის მკაცრი ქარბუქი
 და მადლდებოდა ჩემი მამული.
 შენ უცხო გზაზეც თვალწინ ციალებ,
 ქართველი კაცის შენ ხარ მგზავრული.
 შენ აქაც ლექსით ამაბრიალე
 და მომანიჭე ზღვა სიხარული.

ტიურინგის გზაზე

მ კ ა შ ი

აქ ყანას მკიან.

პურის მკა გვიან

ჩვენში სად იცის, რომელ მხარეში?
 გული მპასუხობს:

— არ გაგიგია? —

უშგულში,

ღებში,

ნაკურალეშში.

ხმები ხმებსა სცელის,

სიმღერის წყრიალს

ვუსმენ და ტბილი ჰანგით ვერთობი.

მეც უსიმღეროდ ვერ გამიძლია,

როცა ლივლივებს ყვითლად ფერდობი.

როცა ლივლივებს ყვითლად გარემო,

როცა ჭირნახულს თავზე დავხარი.

არ მოიწყინოთ, ჩემო თვალებო,

იქნებ იციან აქაც სამხარი!

იქნებ გამოჩნდეს ვინმე გზისპირად,
 მხარზე შედგმული ჰქონდეს კალათა.
 არ ვიცი, მართლა დმერთმა მისმინა —
 გოგონამ თვალი შემომანათა.
 ჩემს გვერდით იდგა მზით დაბრაწული,
 ჩემს უნებურად ფერი მეცვალა,
 იდგა გრეთპენი, ტურფა ასული,
 ჩვენში რომ ვიტყვი — მართლა მზე-
 ქალა.

გოგომ ცისფერი სუფრა ვაშალა,
 მიგვიპატიყა თავაზიანად,
 თვალი მომიპრა, როგორც მამხალამ
 და ჩალასავით ამაბრიალა.
 გოგოს მზე ენთო ცისფერ თვალეშში,
 ილიმებოდა ყანის შრიალში.
 მეგონა ვიყავ ნაკურალეშში
 და არა ახალ გერმანიაში.

პერინესლორდი

საყვარელო ჩემო...

საყვარელო ჩემო,

სიზმარო და დედავ.

სულში მიმალულო

ისევ თვალწინ გხედავ.

უცხო გზაზე დავალ,

მხედება რიგი ხეთა,

მაგრამ მათთან ერთად

შენს მწვერვალებს ვხედავ.

მიექრი უცხო გზაზე,

შუქი მოსჩანს შორით.

მეჩვენება, თითქოს

გამოჩნდება გორი.

საყვარელო ჩემო,

მამულო და დედავ.

აქაც, ცხრამთას იქით,

შენს მწვერვალებს ვხედავ.

მერცხლავი ჰიდნეჲეჲში

ჩრდილოეთში, ცხრა მთას იქით,
ჩემი ლექსის უნდა შემრცხვეს?
ააყოლე ხმა და ფიქრი,
ესაუბრე მხოლოდ მერცხლებს!

დაფრინავენ დაბლა-დაბლა
და მე მაღლა ვეგულები,
მოელიან ალბათ ავდარს
კარგი დარის ერთგულები.

თეთრად მკერდი უქათქათებთ —
ზღვის ტალღებზე განიბანეს,
მათი მხსნელი, მათი მნათე
კლდის ნაპირთან დამიბარეს.

მათი ენა კარგად მესმის,
ხმა მით გავიუქეთეს:
„ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?“

ყურში მესმის ძველი ლექსი,
ბავშვობაში მივჭრი ახლა,
„ჰე, მერცხლებო, სად ყოფილხართ,
დედაჩემი არ გინახავთ?“

ჩრდილოეთში,
ცხრა მთას იქით,
გზებმა თმები შემივერცხლეს.
ისევ მერცხლის ფრთებით მივჭრი,
დავტრიალებ თავზე მერცხლებს.

პაუბტმანის სახლი.

7766

ფ რ ა ნ გ ე ბ თ ა ნ

ფრანგებთან ერთხელ სუფრაზე
შევრჩით
და ბედმა ბორღოს ღვინო მარჯუნა,
ცეცხლი მეჭირა მარჯვენა ხელში,
ნაპერწყლებს ჰყრიდა ირგვლივ
ფრანგულა.

მეც დავილოცე ალალი გულით
და უფრო სწორად, რომ ვთქვა
გლებურად,
წარმოიდგინეთ ჩემი ფრანგული
ღვინოსთან არც კი მეუხერხულა.

ჯერ მორიდებით ჰქია ავაესე,
შემდეგ არ შევეკრთი და გავთამამდი,

გერმანიაში შემომთავაზეს
ფრანგებმა
ქართველს „პოსტი“ თამაღის.

თუ ღვინო ღვინობს,
სიმღერაც ისმის.
მშვიდობას ჰქონდა გზა-ასპარეზი.
სუფრაზე მყავდა თითქოს თბილისი
და მმასპინძლობდა თითქოს პარიზი.

მიკვირს, როდესაც „პოსტიც“ მეღირსა.
ბორღოს გადვურჩი რაღაც განგებით
და სადღეგრძელოს ჩემი ქვეყნისას
ფეხზე ამდგარი
სვამდენ ფრანგები.

ბუხენვალდი — სიკვდილის ბანაკი

არა! მე ცრემლი არ ვიცი, არა!
აქ კაცს უცრემლოდ არ გაეველები.
აქ შავი ფიქრი გულს გაგიბზარავს
დაეკიდება წამწამს ცრემლები.

აქ ძმათა ცოდვით დაიმღულრები,
თავს ვუჯავრდები:
— რისთვის მოხვედი?

რომ დაგენახა შავი ღრუბლები,
ახლო წარსულის ეს ჯოჯოხეთი?

არა! მე ცრემლი არ ვიცი, არა!
და მაინც წამწამს ჩამოწყდა წყვილად.
დასმიწვა ღუმელის ქარმა,
მემაკრთის სისხლის და ცრემლის წვიმამ.



სიკვდილის ლანდი.
 ენითუთქმელი ვაი და ვიში.
 ახლო წარსულის აჩრდილი დადის
 და სულში ხელით ფათურობს შიში.
 ამ ცოდვილ მიწას,
 ამ ბებერ ზეგანს,
 რამდენი ჩუმი სიკვდილი ახსოვს!
 — გულო! შენც ახლა სიკვდილთან
 დგებარ,
 დიდი გოეთეს აკლდამის ახლოს!

— კვლავ, ხელმეორედ?
 — ნურც განმეორდეს!
 არ იწყრილოს სიკვდილის ცელმა!
 აქ მისწვდა იგი გულად მეომრებს,
 აქ მისწვდა იგი
 ამხანაგ ტელმანს...
 მძიმე ღრუბლებში თვლემს ბუხენვალდი
 და მრავალ მოქმის მესმის გოდება...
 მიხაკისფერი ურჩხულის ლანდი
 მჯერა, არასდროს განმეორდება!
 ბუხენვალდი.

მ ე ს ი ზ მ რ ა

მესიზმრა: დაგებრდი.
 მამულის ნუგეშში
 ვეთერთდები.
 უკვე ვარ აბელი,
 ვერ მცნობენ
 მაღალი ქედები.
 და მხოლოდ ღიმილი
 უღვაშებს შემორჩათ
 ძველებურ იერით.
 მკლავს გულისტივილი,
 დრო მიდის,
 უკვე ვარ ხნიერი.
 ვეთერთდები,
 ისე ვით მემინდე,
 ვერავის ვერ ვზიზზავ თვალებით.
 ვერ ვარჩევ
 მოშობიურ ველ-მინდვრებს,
 სუსტობენ მკლავებიც.
 მოძახილს ვერ ვამბობ,
 ვიღლები,
 ხმა არ მაქვს მაღალი
 და სოფლად არავის ვჭირდები
 ბებერი მაყარი.

ოდებლაც ვიცოდი
 ცერული,
 ჩქარ-ჩქარი ბუქნა და ფერხული.
 და დღეს კი
 ერთ წრესაც ვერ ვუვლი,
 მე თითქოს ფეხი მაქვს შეკრული.
 ქალებო, დაგიდგეთ თვალები,
 ნუ ფიქრობთ —
 გულითაც დაგებრდი.
 მე მხოლოდ
 კვესილა მჭირია,
 ხომ იცით — ცეცხლს აჩენს აბელი.
 ხომ იცით — სიცოცხლე
 ტკბილია.
 თუ ვინმეს ამ ქვეყნად სჭირდები.
 სიბერეს როდესაც აღწევენ,
 სიმღერით კვდებიან
 ჩიტები.
 ვიცი, რომ ოდესმე ჩავქრები.
 სიმღერა დამრჩება ახალი,
 და მჯერა — შენს გულში
 ჩაერჩები,
 ვით მზის და სიცოცხლის მაყარი...

მოულოდნელად კელსინკში მთხოვეს

უჩა. ჯაფარიძე

მოულოდნელად
 პელსინკში მთხოვეს,
 ქართულად მეტყვა რაიმე ლექსად.
 მე სტუმრებს შორის მეძახდნენ პოეტს.
 მაინც გულიდან აღმომხდა კენესა.
 როგორ დამეწყო.
 რა უნდა მეტყვა...
 (თუმცა ქართული არავის ესმის),

მომესმა ჩემი გულისვე ფეთქვა:
 — როგორ დავიწყო ჩემივე ლექსით?..
 მესამედ მთხოვეს.
 რატომღაც შევეკრთი.
 ალბათ მათ თვალში უზრდელად ვჩანდი.
 ერთი ეკითხათ ფინელებს ჩემთვის,
 რა მძიმე იყო სურვილი მათი.
 გაგზედე დარბაზს,

დავხუქე თვალი
და მხარზე ხელი დავადე უჩას,
— გამაგრდი, ვითომ თბილისი არი,
მწერალთა კლუბი,
მაჩაბლის ქუჩა.

მამულო, შენ არ მისმენდი მაშინ,
ჩემს თრთოლვას
შენ ვერ გატყობინებდი,
რომ აქ ქართულ ლექსს შემოხვდა
ტაშით
შენთვის უცხო და შორი ფინეთი.

ფინურ გუზართან

ბუხარი.

ცეცხლი...

წინწყლები ცვივა,
მომშტერებია მუგუზლის თვალი.
გარეთ, წვიმაში ვაშლის ხეს სცივია
და აქანაევებს სექტემბრის ქარი.
კრიალა სარკმელს მიკვირია ტოტი,
ვით დედას ჩვილი, მცივანა ბავშვი,
— რა ნაადრევი ზამთარი მოდის,
ლოყას აფიცებებს ბუხრის ალს ვაშლი.
ჩემს წინ ფინელი გოგონა მღერინ
და გაზაფხული სიმღერით მოჰყავს,
მოუღერია კრიალა ყელი
და ვაშლს მიუგავს ლამაზი ლოყა.
ბუხარი.

ცეცხლი.

ეშვება ბინდი.

და საუბარში არა ვგრძნობთ დაღლას,
დაუვიწყარი წუთები მიდის
და ჩვენც ოცნებით მივფრინავთ მალღა.
ბუხარს კი თურმე ვარამიც ახლავს,
ახლო წარსულის ვიგონებთ ღრუბელს,
როგორ ლოკავდა ომების ტალღა
ფინეთის ცას და
ფინეთის უბეს.
ბუხარი.

ცეცხლი...

წინწყლები ცვივა,

მომშტერებია მუგუზლის თვალი,
გარეთ წვიმაში ვაშლის ხეს სცივა
და შინ ტრიალებს მშვიდობის ქარი.

ფინური სიმღერა

შენი თვალები — ორი ტბა,
წმინდა, კამკამა, ანკარა.
მეალერსება შორიდან,
ბუნების გულში ჩამჯდარა.
სექტემბრის ქარი უბერავს,
მე მაინც სიციხით ვიწვები,
თმა გავიშლია ღრუბლებად,
წამწამად — ფიჭვის წიწვები.

მანდ, შორი-ახლოს, მეც ვდნები,
არყის ხე — სანთლად ქცეული,
ვთრთი დართვილული ბეჭებით
და სიყვარულით სნეული.
შენი თვალები — ორი ტბა,
უღრუბლო ზეცის ნაჭერი,
და ამდენ ტბებში შორიდან
ყველასგან გამოსარჩევი.

მგონია, თითქოს ვიყო ფარახეთს

ქართველი კაცი რას არ შეხედები
და შენი თვალი რას არ განახებს,
ესტონეთში ვარ მგზავრი შემთხვევით,
მგონია, თითქოს ვიყო ფარახეთს.
ვხედავ:
ვაქკაცი თვალმოღიშარი,
ჩვენებურივით მღერის მესტიერე,
აბა, რა მქონდა მგზავრს სატირალი,
მე კი მესტიერეს

თითქოს შევტერე.
მარცხენა მკლავში გამოომწყვდეული
სულს ძლივს დაფავდა გულა საწყალი,
და თრთოდა, თრთოდა მთელი სხეულით
გულა, რატომღაც ღმერთზე გამწყვრალი...
ქართველი კაცი რას არ შეხედები
და შენი თვალი რას არ განახებს.
ესტონეთში ვარ მგზავრი შემთხვევით,
მგონია, თითქოს ვიყო ფარახეთს.

ტალინი.

ბეთქილის სიმღერა

სვანური მითოლოგიიდან

მე თუ ნიავად გარდავიქმნები,
კლდეებს,
ქარაფებს,
ქედებს დავივლი.
მეცოდინება მწვანე მინდვრების
ყველა ბალახი, ყველა ყვავილი.

თუ ხეობაში სადმე ჩავრჩები
და ერთი წამით გავისუდრები,
სუნთქვას შეკრავენ ჩემს წინ ფარჩები,
შეჩერდებიან წამით ფუტკრები.

სულმოუთქმელად დავფაცურდები,
ვერ შემაშინებს წვიმის შხეფები,
შენს კულულეებში გავფაჩუნდები
და შენს ლეჩაქში გამოვებვები.

შენს ყურთან ჩუმად გავიშრიალებ,
შენს წამწამებზე ავფრთხილდები,
შენს ბროლის ყელზე გავისრიალებ
და შენს ლოყაზე დავტრიალდები.

მაგრამ ვაი თუ...
ვერ მოვითმინე,
შემომესია მწარე ფიქრები,
ვერ მოვისვენებ,
ვერ დავიძინებ,
უმაღ ქარიშხლად გარდავიქმნები.

შემოგებვები ელვის მკლავებით.
და ყურთან მეხად ავგრუხუნდები,
ვარსკვლავები და შენი თვალები
დაიფარება შავი ღრუბლებით.

შენს ელვით დამწვარ ლეჩაქს წავიღებ
და ჯიხვის რქაზე ავაფრიალებ.
მე შენს ნაწნავებს მკლავზე გადავივებ
და როგორც მათრახს დავატრიალებ...

როცა ბოღმისგან დავშოშმინდები,
როცა ბრძოლისგან გავითანგები,
მე და ღრუბელი,
მე და ბინდები
სადმე ხეებში ჩავიკარგებით...

და ბოლოს ისეც შენთან გავჩნდები,
ჩემი ვარამით,
ჩემი ცრემლებით,
შემოგებვები ჩემი არჩევებით
და დამდურული შემოგებვები.

ეჰ, ერთხელ კიდევ მოგეფერები,
ისეც ნიავად გადავიქცევი,
და ჩემს ჩურჩულზე ვიწრო ხევეებით
დაიძრებიან ლურჯი ციცრები.
ცრემლებს შეგიშრობ...

გავითანგები
ჩემს სუნთქვას იგრძნობს შენი ტუჩები,
მერე უფსკრულში გადავიკარგები
და სამუდამოდ მეც გავყურდები...

ფუტკარი როცა დაიძებს ფუტკარს

ფუტკარი როცა დაიძებს ფუტკარს,
გაგანგლულია ყვავილის მტვერით,
ალბათ ყურს უგდებს ფოთლების
სუნთქვას,
რალაც მწუხარე ჰანგებზე მღერის.

ფუტკარი როცა დაიძებს ფუტკარს,
ხმა იღუმალი მომესმის მაშინ,
ალბათ ეს უნდა მეგობარს უთხრას:
— ავდარს ერიდე, ძმობილო, გზაში!

ფუტკარი როცა დაიძებს ფუტკარს,
ფრთაზე ისხურებს აღმასის შხეფებს,
მისდევს სათიბში დახლართულ შუქას,
გზაზე დაკარგულ მეგობარს ეძებს.

ფუტკარი როცა დაიძებს ფუტკარს,
უხმოდ ატარებს ძმობილზე სევდას,
— რა უნდა უთხრას,
რა უნდა უთხრას
ნუგეშად ობლად დარჩენილ დედას.

ვადაუქროლებს ცაცხვსა და იელს
და თითქოს სევდაც ეტყობა ხმაში,
წრეს შემოავლებს ცის დასალიერს,
როგორ დაბრუნდეს უმისოდ სახლში.
წამოეწევა წვიმათ და ქართა
ვანრისხებული, მქუხარე ხმები,
ვადაურჩება მოვარდინლ ავდარს

შინ დაბრუნდება დაღლილი ფრთებით.
შინ დაბრუნდება ლანდი და ჩრდილი,
თვალს მოაჩივებს მთრთოლვარე
დედას,

დაღლილი ფრთებით,
მოღრუბლულ დილით
ოჯახში უხმოდ შეიტანს სევდას...

*
* *

... მეც ავდარს შევხვდი დიდი ხნის
წინათ,
ამოგანგლული ზარბაზნის მტვერში,
გრიგალმა მკლავზე გადამიწვინა
და ცეცხლის ალზე იწოდა ქერჩი...
ძმობილი ქარში
ვეძებდი ძმობილს,
მეხით შერუჯულ მუხის მკერდს
გვაგვდი...

დაღლილი მხრებით,
გამურულ თოფით
ოჯახში შეველ ისე, ვით ლანდი.
გარეთ კი ომის გრიგალი ჰქროდა.
მე სახლში მძიმედ შემქონდა სევდა.
და უთქმელადაც ყველაფერს
გრძნობდა
კართან შემდგარი მეგობრის დედა.

მხოლოდ ეს არის...

შვილებს ზეცაში გადვუხდი ქორწილს,
ქერის თავთავით დაუწნავ გვირგვინს,
მე მათ წინაშე დავდგები ლოცვით
ვარსკვლავებს შორის, რუსთველის
წიგნით.

გავიღებ, რაც მაქვს დაღლილ ხელებში,
ბუნებამ ჩემს გულს რაც უწყალობა,
რომ დამიბრუნდეს ჩემს სიბერეში,
რომ გამახაროს მათმა ქალობამ.

მზითვად ვერც დედის ლეჩაქს გავიღებ,
ვერც ჩემი მამის გადამტყდარ კალამს,
მე ვერ გავატან მათ სიღარიბეს
ჩემი ოჯახის წარსულის ვარაშს.

რაც გამაჩნია — მათი მზითვია:
ღიმილიც, დარდიც და სიხარულიც,
მათი მზითვია, რაც გულს შინთია
მამულის ტრფობა და სიყვარული.

პატიოსნებას გვაატან ნამდვილს,
სულის სიმდიდრეს ჩემეულ კერის.
შორს იყოს მათგან სევდა და დარდი
და სიხარულმა ასწიოს ჭერი!

მათი მზითვია ჩემი ოცნება,
არა ოქრო და მარგალიტები,
კარგი ქალობა, პატიოსნება
მხოლოდ ეს არის მათი მზითვია.



მოთაჩ ჩიჩინაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

ფსიქოლოგიური ფრთხილები

რას გადაურჩა თბილისი

დალის დიდი გასაჭირი დასდგომია. აგერ უკვე ერთი საათი იქნება, რაც თავის მაგიდას მიუჯდა, ირგვლივ წიგნები შემოიწყო და შრომას შეუდგა. ფიქრობს, წერს, შემდეგ წიგნებს ფურცლავს, რაღაცას ეძებს გამალებული, ბოლოს ისევ ფიქრობს და ისევ წერს.

— რას აკეთებ, დალი?

დალის არც ესმის ჩემი შეკითხვა.

— რას სწერ-მეთქი, დალი?

ჩემმა გოგონამ მწყრალად შემომხედა და მცირე ყოყმანის შემდეგ პასუხის ღირსი გამხადა:

— რაზეულის გაზეთისთვის წერილი უნდა დავაშალო, რედკოლეგიამ დამავალა...

— რა წერილია ასეთი, რა თემაზე?

დალის ხმა არ ამოუღია, მხოლოდ საქმეს მოცდენილი ადამიანის უკმაყოფილო გამომეტყველებით მიმითითა იქვე მდებარე მოზრდილ წიგნზე. ამოვიკითხე გარეკანზე წარწერილი სათაური: „რას გადაურჩა თბილისი“.

— ამ თემაზე უნდა დაწერო?

— ჰო, ამ თემაზე... ნუ მაცდენ, მამა, ხომ ხედავ — რამდენი სამუშაო მაქვს...

— იცი რას გეტყვი? მოდი, მაგ წიგნებს თავი დაანებე; მანქანაში ჩაგსხედეთ, გავისეირნოთ, ვნახოთ, როგორ მორთეს ქალაქი სადღესასწაულოდ, როგორ ეშხადებიან... არ გინდა?

დალიმ ახლა კი დაკარგა მოთმინება:

— მამა, ხომ გითხარი — ნუ მაც-დენ!.. რა დროს სეირნობაა, ამ წერილს მოვრჩები თუ არა, მეორეზე უნდა ვიფიქრო.

— რაო, რაო?

— რა და კიდევ მაქვს წერილი დასაწერი. მალე კომკავშირის ორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი უნდა გამოვუშვათ...

— შენ მე გამაგიჟებ, გოგო! რომელი ჟურნალისტი შენ გამოიხვედი, რომ ასე გამოაცხო სტატიები? მეერე გაკვეთილები ვიღამ ისწავლავ შენს მაგივრად? ახლა უკვე მე გადაგვედი შემტევე კილოზე. ხუმრობა იქით იქოს და მართლა გული მომივიდა: გაგონილა ბავშვის ასე გადატვირთვა? არამც და არამც არ მივცემ უფლებას...

ღალი შინაგანად თვალებით შემომცქერის, თითქმის მზადაა ასატირებლად. ყელზე თითს იღებს და მემულდარება:

— მამა, შენი ჭირიმე, რა! ნუ დამიშლი, რა!.. იცი, როგორ გაზეთებს ვამზადებთ? აი, მოხვალ სკოლაში და შენ თვითონ ნახავ... იქ ჩემი იმედი აქვთ და როგორ უნდა დავაღალატო ამხანაგები?.. შენი ჭირიმე, მამა!..

მართალია ჩემი გოგონა, ასეცად მართალი! ტყუილად გაუფჯავრდი. რა მოხდა ასეთი? დიდი საქმეა, თუკი ცოტათი ზედმეტი წაიშუშავა! რა ვუყოთ, გაისადაც კი არ ვიდღესასწაულებთ თბილისის ათას ხუთას წლისთავს! კომკავშირსაც წელს უსრულდება ორმოცი წელი! ასეთი ამბები ხშირად კი არ ხდება!..

ღერეფანში ზარი აწყრილდა. აჰა, ეს ავთანდილია, ჩემი ძველი მეგობარი. ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდა — წუხელ დავთქვით, დღეს ერთად გაგვესეირნა მოზეიმე თბილისის ქუჩებში.

დალიმ გულდაწყვეტილი მზერა გამოგვაყოლა, მაგრამ წამსვე თავისი წერილი გაახსენდა და ისევ წიგნებში ჩარგო თავი... თანაც ერთი ღრმად ამოიოხრა. რას იზამ, ასეთია ჟურნალისტის ბედი: ირგვლივ ყველა მხიარულობს, ის კი თავის სტატიებზე უნდა დღერიდეს ოფლს!..

მანქანა რბილად მისრიალებს ოქტომბრის მშით მოოქროვილ, ხალხმრავალ პროსპექტზე. რა ლამაზადაა მორთული თბილისი! აღარ იცი კაცმა, რომელ ერთს დააკვირდე — ფერად-ფერად დროშებს თუ ტრანსპარანტებს, უზარმაზარ ნახატებს თუ სადღესასწაულოდ გამოწყობილ ხალხს...

ავთანდილი გიღობას მიწევს. იგი არქიტექტორია და თვითონაც მონაწილეობდა ქალაქის საზეიმოდ მორთვაში. დაწერილებით მიხსნის — სად რა დაიდგმება, ვინ რას გააკეთებს ხვალ და ზეგ.

ლენინის ქუჩით და გმირთა მოედნით სანაპიროზე ჩავუხვებით. მტკვრის ორსავე მხარეს ვაეჭიროლეთ. შემდეგ კვლავ რუსთაველის პროსპექტზე ამოვყავით თავი.

— ახლა ორთაქალისკენ გარეკე! — მეუბნება ავთანდილი.

— შენი ამბავი რომ ვიცი, მტკვრისპირა დუქნისკენ მივიწევს გული. მაგრამ ახლავე იცოდე — წვეთის დამლევი არა ვარ, თუ გინდა თბილისის მზე დამაფიცო...

— რატომ, ლიმონათზე გადახვედი? — ეშმაკურად იკრიჭება ავთანდილი.

— არა, მაგრამ ახლა არა ვარ ქეიფის გუნებაზე. ხვალ და ზეგაც ბლომად მოგვიწევს.

— გარეკე! გარეკე!

— ნება შენია, მე კი გავაფრთხილე და...

ლესელიძის ვიწრო ქუჩაზე მანქანა ტაატით მიმყავს. აქ იმდენი ხალხია და ისეთი მოძრაობა, რომ ოცცილომეტრიან სიჩქარეს ვერ ასცილდები. სიონის წინ ბალთან მივუხვ-მოვუხვებით და მეტეხის ხილთან, მცირე მოედანზე გავსრიალდით.

— ახლა მარცხნივ! — იძლევა ბრძანებას ავთანდილი.

აჰა, ხომ ვთქვი, ნამდვილად დუქნისკენ მიიწევს! ვიცი, რა შვილიც ბრძან-

დება — ცოცხალი ეგულება სევასტისთან...

ამის გაფიქრება, ხიდი გადავჭერთ და ავთანდილის ხმაც გაისმა:

— ახლა მარჯვნივ!

მეტეხის აღმართს რომ შეეფუღეით, მაშინდა მივხვდი, საით მიიწევდა ჩემი გიდი. არა, რამ გამომამშტერა, რა ღროს დუქანი იყო, კაცს ისტორიულ ადგილას მივყავარ და...

ძველი ტაძრის წინ, პლატოზე დიდი ფუსფუსია. მუშები იქაურობას ასწორებენ და ასუფთავებენ. ზეგ ამ ადგილას საფუძველი ჩაეყრება ვახტანგ გორგასალის ძეგლს.

ციცაბო კბოღეს გადავადექით და დამდორებულ მტკვარს ჩაეხედეთ. შემდეგ ჩვენი მზერა თბილისის უმშვენიერეს სანახებს მოევლო. მცირე ხანს უჩუმრად ვტკებოდით.

— ვინც რა უნდა თქვას, ძმაო, მე კი მგონია, რომ ასეთი ლამაზი ხედი თბილისს არსად არა აქვს. აბა ერთი გახედე, რა პერსპექტივაა! გეუბნები, ამ ადგილს ფუნქიულიორიცი ვერ შეედრება, — გაიძახის აღტაცებული ავთანდილი.

მეც მოჯადოებულოვით გადავყურებ ვეება ხეობაში გაწოლილ ქალაქს, რომელსაც დასალიერისკენ მიდრეკილი მზე ალერსიან, რბილ ნათელსა ჰფენს. რა უნდა იყოს ამაზე დიდი ნეტარება! დგახარ შენთვის უძველესი ძეგლის წინ და გაჰყურებ ახალ თბილისს, სვებედნიერ ქალაქს, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულ, მზით გაბრწყინებულ ღედაქალაქს.

და უეცრად, ჩემდა უნებურად, გაუცნობიერებლად ვამბობ სამად სამ სიტყვას. ჰო, ეს იმ წიგნის სათაურია, წედან დალიმ რომ მიჩვენა:

— რას გადაურჩა თბილისი!..

ავთანდილმა ჯერ გაოცებულმა შემომხედა — ხომ არ აბოდებსო. შემდეგ თითქოს მიმიხვდა, რამაც მათქმევინა ეს სიტყვები.

— ჰო-ო, ადელიდი, მამულიშვილო? სწორედ ამიტომ წამოგიყვანე აქეთ-კენ. შენ კარგად თქვი, მართლა თითქოს სასწაულოთ ვადარჩა ჩვენი ღედაქალაქი. აბა იფიქრე ერთი: არაბები და ჯალალედინი, მონღოლები და თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი და ალა მაჰმად-ხანის... ხუმრობა საქმეა?..

არა, ჩემო ავთანდილ, ამის გამო არ დამცდენია ის სიტყვები. რა სათქმელია, ვიცი ეგ ამბები, მეც ბევრჯერ შევძრულვარ ბოლმითა და სიმწარით ჩვენი მრავალტანჯული ქალაქის ისტორიის კითხვისას. მაგრამ ახლა, მე მგონი, სხვა რამ ხდებოდა ჩემში. ჯალალედინისა და ალა მაჰმად-ხანის აზრდილები არ წამომდგომია თავზე. ორივეს ჯანდაბამდის გზა ჰქონია. ჰქონდათ კიდეც... არა, ცნობიერებაში სულ სხვა სურათი წამოტივტივებულა, სხვა ჯალალედინი და სხვა თემურ-ლენგი გამსხენებია ჩემდა უნებურად, მათზე ათჯერ და ასჯერ სასტიკი, გულმხეცი და გაცოფებული. შუა საუკუნეების თბილისზე არ მიფიქრია, სხვა თბილისი დამიდგა თვალწინ, ამ თექვსმეტი წლის წინ რომ ვიხილე და განვიცადე, იმ თბილისზე მეწვის გული...

— აჰა-ა! — გაიგო ავთანდილმა. — მე კინაღამ დამავიწყდა, რომ სამამულო ომის მონაწილესთან ვდგავარ. სწორი ხარ, ჩემო კარგო, ალა მაჰმად-ხანზე ნაკლები საფრთხე კი არ მოგველოდა ორმოცდაორში... დაიცა, დაიცა, შენ მგონი ორმოცდაორის დეკემბერში ჩამოხვედი სვებულებით, არა?

— სწორედ.

— ჰო, ჰო, ჰო, რა დრო იყო! რა დღეში ვიყავით! გერმანელები აქვე იყვნენ მომდგარი, ყურის ძირში, კავკასიონთან. ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკი-

თნი წყდებოდა... აბა ერთი მაშინ შეგეხნდა თბილისისათვის! ფუნეკულორო და მთაწმინდის ეკლესია შესანიღბად მწვანედ და მიხაკისფრად იყო შეღებილი, თითქმის აღარც ჩანდა მთის ფონზე, უნივერსიტეტის შენობა მუქ ყავისფრად ჩაბნელებულიყო... ფანჯრის მინები ჯვარედინად იყო აწეპილი ქაღალდით და მარლით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სანგრები, თხრილები და თავშესაფრები...

— ვიცი, ვნახე, მახსოვს...

— ღამით რას ჰყავდა თბილისი, ღამით, ჰა! თუმცა რას ვამბობ, არაფერსაც არ ჰყავდა, ისე იყო ჩაბნელებული, ვერც დაინახავდი...

— ეგეც მახსოვს...

— პურის ბარათებიც გემახსოვრება, უშეშობით გაყინული შენობებიც, „ტელეგრაფიკებში“ გამოწყობილი ლამაზმანებიც, ქუჩებში გაჩენილი ხეობრებიც...

— ეგეც, ეგეც ვნახე და მახსოვს კიდევც...

— იქნებ ისიც მოიგონო, რომელი სიმღერა იყო მაშინ ყველაზე პოპულარული, ყოველ ეზოში, ყოველ გზაჯვარედინზე და ყოველ ვაგონში რომ გაპკიოდნენ?

— დედას ჰყავდა ერთი-ი შეილი,

ისიც ფრონტზე წა-ყვა-ა-ნილი... — სიცილით წავიდიდინე, თუმცა სიცილის გუნებაზე აღარ ვიყავი.

ავთანდილის ბაგეებსაც მოშორებოდა ღიმილი, მოალერსე თუ დამცინავი, რაღაც უცნაური სიამის გამოხატველი თუ მწარე ღიმილი. იგი ახლა კოპებშეკრული იდგა. თვალეებში მრისხანება ჩაპგუბებოდა, ლაპარაკის დროს უფრო და უფრო ეგზნებოდა...

— მხოლოდ ერთ რამეს ვერ შენიშნავდი და ვერ განიცდიდი, ან, თუკილა შენიშნე — გულთან ძალიან ახლოს მანეც არ მიიტანდი. მე ვიცი, როგორი გუნებით ჩამოდიოდა ზოგიერთი მებრძოლი ზურგში: აქ ყველანი დეზერტირები, ლაჩრები და სულმოკლეები ხართო, ჩვენ იქ სისხლსა ვღვრით, თქვენ კიდევ არხეინად ცხოვრობთო, ჩვენ რომ არა, აქამდე ფაშისტების მსხვერპლნი გახდებოდიო... იქნებ შენც ასე ფიქრობდი მაშინ, ჰა?! იქნებ ვერ დაინახე, ვერც გაიგე, რამდენ რამეს ვაკეთებდით აქ საერთო საქმისათვის, რამდენი გმირი გყავდა, ნამდვილი გმირი, რომლებიც თქვენ, ფრონტელებს არაფრით ჩამოგივარდებოდნენ!..

— ცოდვა გატეხილი სჯობია, ჩემო ავთანდილ, პირველ დღეებში მართლა აგრე ფიქრობდი, მაგრამ აზრი მალე შემეცვალა. იმდენი რამ ვნახე და გავიგე მამნიდელ თბილისში, რომ ჩემი სკეპტიციზმი უკვეალოდ გაქრა.

— მართალს ამბობ?

— ნამდვილად, უეჭველად!

ერთიმეორეს თვალეებში ჩაეხედეთ და ორივეს გაგვეცინა.

— მართლა, ამ გახსნებაზე, რა დღეშია შენი წიგნი, ჩემს შემდეგ თუ მიუმატე რამე? — უკვე სულ სხვა, რბილი ხმით შემეკითხა ჩემი დამცხრალი მეგობარი.

— ერთი-ორი თავი კიდევ დავწერე. სწორედ ორმოცდაორი წლის ამებზე, ჩემს დაჭრასა და შევებულეებაზე ვარ მიმდგარი. მაგრამ...

— რა „მაგრამ“?

— ის, რომ შენ არც მაშინ მითხარი და მგონი არც ახლა აპირებ მითხრა — რა აზრისა ხარ ჩემს ნაწერზე. ჩემთვის კი ეგ ამბავი ძალიან საჭიროა. მე ხომ

მწერალი არა ვარ, რომ ასე იოლად მივყვე საქმეს. რა ვიცი, რას მივედ-მოვედები... იქნებ არავინაც არ დაინტერესოს ჩემმა თავგადასავალმა...

— რაში გაინტერესებს ჩემი აზრი? აი, დაასრულე, დაბეჭდე და სხვები გეტყვიან, მწერლები გეტყვიან, მკითხველები გამოთქვამენ თავიანთ აზრს. მე ერთი უბირო არქიტექტორი ვარ, მწერლობასთან რა ხელი მაქვს...

— აბა, აბა, ნუ მიჭკარავ, ავთანდილ! შენ რაღაც ისე მიკიბ-მოკიბე, რომ მგონი სულ ტყუილუბრალო ვარჯად მიგაჩნია ჩემი წიგნის წერა... ჰა, გამოტყუდი, მართალი მითხარი — ხომ ასეა? თქვი, ნუ მერიდები, ხომ იცი, არ მეწყინება, შენგან არაფერი მეწყინება.

ჩემი მოსაუბრე ჯიშტად ჩასცქერის მიწას და რაღაც გაურკვეველს ბუტბუტებს.

— კაცო, ხმა ამოიღე, გამაგებინე, რას ამბობ!

— მაშ გულწრფელად გეტყვი და არ მიწყინო, იცოდე, — უცბად გადაწყვიტა ავთანდილმა.

— ჰო.

— თუ შემდეგშიც ისეთია შენი ნაწერი, როგორც ჩემი წაკითხული იყო, მგონი ტყუილუბრალო შრომა გამოგივიდეს.

— რატომ? — მართლა მეწყინა უნებურად.

— აბა ერთი კარგად დაუფიქრდი: იმოდენა ომი გადავიტანეთ, მსოფლიო მნიშვნელობის ამბები ხდებოდა, ისტორიული ამბები. მარტო მოსკოვის დაცვა რომ ავიღოთ, ათი და ოცი წიგნი შეიძლება ამაზე დიწეროს, ახლა ლენინ-გრაფელთა გმირობა თქვი, ოდესა და სევასტოპოლი მოიგონე, წელანდელი ჩვენი საუბარიც გაიხსენე — ზურგში რა ხდებოდა-თქო, რომ ვამბობდით... ჰოდა, ეს ყველაფერი შენს ნაწერში არა ჩანს, თითქმის კრინტს არა სძრავ არაფერზე... მომდგარხარ და მარტო შენს თავზე და შენს თანამებრძოლებზე სწერ. რაღაც ძალიან დავიწროებული გამოდის ასპარეზი, საერთო ფონისათვის ძალიან უმნიშვნელო ამბების მოყოლით ხარ ვართული... რა ვიცი, მე ასე მგონია და...

მცირე ხნით უხერხული დუმილი ჩამოწვა. ბოლოს მე ამოვიღე ხმა:

— სწორი ხარ, ჩემო ავთანდილ, მაგრამ მე ერთი რამ მანუგეშებს. სადღაც წამიკოთხავს: მზე წყლის წვეთშიც და უზარმაზარ ზღვაშიც თანაბრად ირეკლებაო. იქნებ ჩემს თავგადასავალში, ჩემს თანამებრძოლთა თავგადასავალში ცოტათი მაინც აირეკლოს ის დიდი საისტორიო ამბები, მთელი ჩვენი თაობის ბედი, როგორც მზე ირეკლება პატარა წვეთში...

— ჰო, მაგრამ, რომ არ აირეკლოს, არ გამოჩნდეს? მაშინ ხელთ შეგრჩება ერთი ჩვეულებრივი მებრძოლის, ვთქვათ, გულადი მფრინავის ბიოგრაფია. ასეთი მებრძოლები მილიონობით თუ არა, ათასობით და ასიათასობით მაინც ხომ იყვნენ ომის დროს? ასე რომ მოხდეს, მაშინ?

— თუ ასე მოხდა, ტყუილად ვავრჯილვარ და ეგ არის. აბა იმის თავი სადა მაქვს, როგორც მწერლები იტყვიან ხოლმე — მთელი სამამულო ომი ავსახო? ეგ ჩემს უნარს აღემატება.

— ჰოდა, რაკი ავრეა, რაკი აღემატება...

— რაკი ავრეა, ტყუილუბრალოდ კალმისთვის ხელი არც უნდა მომეკიდებინა, არა?

— არა, მაგრამ... რა ვიცი... თუმცა რა ვიცი... კაცნი ვართ...

კვლავ უხერხული, დაძაბული დუმილი. ორივენი ჩვენს საფიქრალს მივენდვით. ჩემი საფიქრალი კი ვერ არის მაინცდამაინც სასიხარულო. ვერაფერი ნუ-

გეშია — რაიმე საქმემ მთელი არსებით გაგიტაცოს და ამ დროს გულითადად მეგობარმა შემოგაპაროს — ტყუილად ირჯები, ამაოდ შრომობ, შენს მიერ გაკეთებული საქმე არავის არციაო. იქნებ მართალია ავთანდილი? თითქოს სწორად დამისაბუთა ყველაფერი.

ამ აზრს რაღაც შინაგანი ძალა ეწინააღმდეგება და ჩემს სიმართლეში მარწმუნებს. მაგრამ მაინც, ერთხელ რომ ჩაიბუღებს გულში ეპვი, მერე ძნელია მის მიერ მოქსოვილი აბლაბუდიდან თავის დახსნა.

მწარე ფიქრებისაგან მანქანის საყვირმა გამომარკვია. სატვირთო ავტომობილმა ზედ ჩემს ცხვირწინ გაირახრა და მტერის ბულში გამხვია. შეპკრთალი უკან გადაეხტი, ვიღაც ყავარჯნიან კაცს დავეჯახე, შევატორტმანე და კინდამ წავაქციე.

ეს კაცი წიდანაც შევნიშნე ცალი თვალით. მე და ავთანდილი რომ ვლაპარაკობდით, იგი ერთი-ორჯერ კოჭლობით მოგვიახლოვდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გაცხარებულ საუბარში მისთვის ყურადღება არ მიგვექცევია. ისე კი ცნობიერების ფსკერზე ჩამოჩა მისი მოახლოებისა და დაჟინებული მზერის სურათი.

ახლა ეს კაცი ჩემს წინ დგას და გაწყრომის ნაცვლად თითქოს მიღმის თაფლისფერი, სათნო თვალებით.

— მამატიეთ, მეგობარო, შემთხვევით მომივიდა, — მოვუბოდიშე. შემდეგ დაეხარე, მისი ხელიდან გავარდნილი მოკლე ყავარჯენი ავიღე და გავუწოდე. იგი არც განძრეულა, ხელი არ გამოუშვერია ყავარჯენის ჩამოსართმევად. მხოლოდ მარცხენა პროტეზიანი ფეხი მოინაცვლა და, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდეს, პირი ოდნავ გააღო.

— მგონი ძალიან დაგეჯახეთ, არა? კიდევ ბოდიშს ვიხდი! — ვუთხარი და უხერხულად გავწვდილი ყავარჯენიანი ხელი უფრო ახლოს მივეუტანე.

— ვერ მიცანით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

რაღაც დიდი სიყვარულის, მეგობრული ირონიის და ძლივსდაფარული აღტაცების გამომხატველი იყო ეს სიტყვები, ძალზე ნაცნობი ხმით ნათქვამი სიტყვები.

ამ კაცს შავი კოსტუმი აცვია მაღალ-მაღალ ტანზე. თმა სანახევროდ გასცენია, მოგრძო, ფერმკრთალ სახეზე სათნოება და დიდი სულიერი სიმშვიდე აღბეჭდვია. თვალები კი... ეს თაფლისფერი, აუმღვრეველი თვალები, მრავლისმეტყველი წყლიანი თვალები...

და უეტრად რაღაცამ დამკრა:

— შალვა!!! შალვა!!!

სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის კუტრსანტი, შემდგომში სამამულო ომის მონაწილე მფრინავი, კიდევ შემდგომში მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, აწ კი ბათუმელი პედაგოგი შალვა შელია, ჩვილმეტი წლის უნახავი, მას აქეთ ჩემთვის მხოლოდ ერთი-ორი მოკითხვის ბარათით ნაცნობი შალვა შელია დგას და მიღმის თაფლისფერი, სათნო თვალებით...

...მაინც მოგვიხდა სევასტის დუქანში შეხვევა, მაინც გაჩნდა ჩენს სუფრაზე ცოცხალი, მწვანილი, მწვადები, აფხაზურა და ქარვისფერი ღვინო.

თითო ჭიქას ათი და ასი ზოგონება მოსდევს, ყოველი სიტყვა და ყოველი სადღეგრძელო უთვალავ ასოციაციას იწვევს.

მამ ისევ შევიყარენით, პა? ისევ გავიხარეთ, დავტკბით, სული მოვიბრუნეთ

ერთმანეთის სიახლოვით, სიხარული და გულის სადარდელი გაფუზიარეთ, ნაცნობ-მეგობრები დავლოცეთ... წარსული კი? ვითომ რა, არ გავიხსენოთ ომის მძიმე დღეები, არ გავაშინებოთ მიფერფლილი იარები? არაფერი ვთქვათ იმის თაობაზე, თუ რატომაა, რომ დაკუნთული მარცხენა ფეხის ნაცვლად შალვას ახლა მძიმე პროტეზი და მოკლე ყავარჯენი უწევს სამსახურს, რომ შეილისგან ამბის მოუსვლელობის გამო ლოგინად ჩავარდნილი დედამისი უღროოდ გამოსალმებია ამ წუთისოფელს სწორედ ომის უკანასკნელ დღეებში, რომ მეგობართა დღეგრძელებისას ველარ ვახსენებთ და მხოლოდ შესანდობარს მივუძღვნით დაუღეგარ ჭაბუკს, ბობოქარ ვასო ხეცურიანს?!

ვითომ არაფერი ვთქვათ?

— უნდა ვთქვათ კიდევ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, რათა თქვენმა შვილებმა, ჩემმა შვილებმა, მომავალმა თაობამ, სხვა ხეცურიანებმა, პაპუაშვილებმა, შელიებმა და ჩეჩელაშვილებმა არ ნახონ ომის საშინელება, რათა არასდროს არ მოიღრუბლოს მათ თავზე ზეცა, არ გაუმრუდდეთ ცხოვრების სავალი გზა! — ფორმულად ჩამოაყალიბა შალვამ სამივე მეინახის ნაფიქრალი და ნაუბარი.

მართალი ხარ, შალვა, კარგადა თქვი, ჭეშმარიტად! ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი გავაწეწოთ, რისაც ძალი და უნარი შეგვწევს! და ამ ყველაფრის ნაწილი ისიც იქნება, რომ მომავალ თაობას, სხვა ხეცურიანებს, პაპუაშვილებს, შელიებსა და ჩეჩელაშვილებს მოვუთხოვოთ, რაც კი თავს გადაგვხედა, რაც გვინახავს, მოგვისმენია და განგვიცდია. და ეს ფუჭი შრომა, ამაო გარჯა არ იქნება, ნამდვილად არ იქნება!..

არც ახლა მეთანხმები, ჩემო ავთანდილ?

.....

მზრინასვი ტანკი

ჭაღარა გენერალმა გულდასმით გადაათვალიერა ჩემი საბუთები, თავი ასწია და ეშმაკური ღიმილით შემომხედა მის წინ გაჭიმულ უმცროს ლეიტენანტს:

— თქვენ უკვე გვარიანი გამოცდილება გქონიათ, თავიც გისახელებიათ და რატომ მოიძულეთ თქვენი ბომბდამშენი?

— როგორ გეკადრებათ, მოძულეა არც მიდიქრია, მაგრამ... — რა მაგრამ? რა ვუთხრა ამ კაცს, როგორ აფუხსნა ჩემი გულისნადები? ენა დამება.

— თუკი არ მოგიძულეებიათ, უარსაც არ უნდა ამბობდეთ! იქნებ უკეთ გამარკვიოთ საქმეში.

მცირე ხანს დავყოვნდი და როგორც იქნა სათქმელს თავი მოვუყარე:

— არა, უარს არ ვამბობ. რალა თქმა უნდა, თუკი საქმე მოითხოვს, თუკი აუცილებელია ისევ ბომბდამშენს დაუბრუნდე, რა მეთქმის... მაგრამ მე ვთხოვთ, თუ შეიძლება, მოიერიშეზე გადამიყვანეთ...

— ეგ ერთხელ უკვე მოვისმინე თქვენგან. მე მიზეზს გეკითხებით, მიზეზს!

— მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩემის აზრით, მოიერიშე თვითმფრინავზე უკეთ შევძლებ ბრძოლას, მეტი გასაქანი მექნება, მეტი შესაძლებლობა. მოგეხსენებათ, ახლა ისეთი ვითარებაა... ჩვენი ჯარების შეტევა, გააფთრებული ბრძოლები... ჰოდა, ასეთ დროს ბომბდამშენი როგორღაც მძიმედ, მოუქნელად, ცოტათი მოსაწყენდაც მეჩვენება. ბომბდამშენზე გულს ვერ მოვიოხებ, სისხლს ვერ ავიღებ...

— რაო, რაო? რა სისხლიო?

— მოგესხენებათ, ჩემი უკანასკნელი გაფრენის დროს ფაშისტებმა თვით-მფრინავი დამილუბეს და...

არმიის შტაბის შენობა დიდი არ იყო და ალბათ ყველა ოთახში გაიგონეს ჩემი მოსაუბრის მაღიანი ხარხარი. გენერალს ზორბა სხეული უთრთოდა, თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა და ინტერესით შემომცქეროდა.

— აი ეგ მომწონს! თვითმფრინავის გამო სისხლის აღება!.. არა, ვატყობ, თქვენს ტემპერამენტს ბომბდამშენის სადარბაისლე მართლაც ვერ დააცხრობს... თანახმა ვარ, გადაწყდა — მოიერიშე მფრინავი ვახდებით! აღლერში, ახლავე აღლერში, პოდპოლკოვნიკ სმირნოვთან!..

ტელეფონის ყურმილი აიღო, გამოიძახა აღლერის აეროდრომი, მოიერიშეთა პოლკის უფროსი სერგეი სმირნოვი.

— სერიოჟა, სიცოცხლე. ყური მიგდე, ჩემთან ახლა ერთი გადარეული ქართველია („გადარეული ქართველი“ დიდი სიყვარულით წარმოთქვა), ძველი ბომბდამშენი. თავს იკლავს — მოიერიშედ გამამწესეთო, ჩემი დაღუპული თვითმფრინავის სისხლი უნდა ავიღოო... ა? ჰო, ჰო, სწორედ ეგრე. ზოლოტუხინისთანა... შენც აიღე და გადარეულების ესკადრილიაში ჩარიცხე, ეფრემოვთან... ა? წინააღმდეგი ხომ არა ხარ? მაშ ასე, შეეთანხმდიო... ახლავე გამოვამგზავრებთ. აბა, ნახემადის...

პოდპოლკოვნიკი სმირნოვი შუახნის გამხდარი, მკვირცხლი, მხიარული კაცი გამოდგა. შუბლზე ჩამოშლილი ხშირი თმა გადაიწია და ოციოდე წამში გაეცნო ჩემს საბუთებს.

— იმედია გაამართლებთ გენერლის რეკომენდაციას, „გადარეულის“ სახელს. ნუ გეშინია, — უტებ „შენობით“ მომმართა მან, — კორნეი ეფრემოვი და მისი ბიჭებიც გვარიანი გადარეულებია, იმათთან არ მოგწყინდება. ახლა წადი, ცოტა ხანში შენი ნაწილის ხალხი დაბრუნდება საბრძოლო გაფრენიდან. იკითხე პირველი ესკადრილის მეთაური კაპიტანი ეფრემოვი. ჯერჯერობით.

აღლერის აეროდრომს კარგად ვიცნობ. შარშან აქ მთელ თვეს იღვა ჩვენი პოლკი. მიყვები ატალახებულ გზას და შარშანდელ ამბებს ვიგონებ. ნეტავ როგორ არიან ჩვენი ბიჭები? სად იბრძვიან პავლოვი და პეტროვი? ნეტავ რას იტყვიან, როცა გაიგებენ, რომ ბომბდამშენზე უარი ვთქვი და მოიერიშე შევიქენი? პეტრუხა მწერდა თბილისში — უშენოდ მოგვეწყინა, ხომ მალე ჩამოხვალო! აი, ჩამოვედი, ისევე ფრონტზე ვარ, მაგრამ სხვა პოლკში, ახალ ხალხში... მართლა რას იტყვიან, პა? მოღალატედ ხომ არ ჩამთვლიან? თუმცა რატომ უნდა ჩამთვლონ მოღალატედ, რა, ბრძოლას თავს ხომ არ ვარიდებ! მაგრამ მაინც მაინტერესებს მათი აზრი. ან ის რას მეტყოდა, მომიწონებდა თუ არა საქციელს, ახლა ცოცხალი რომ იყოს?

„იმის“ გახსენებაზე ყელში ბურთი მაწვება და თვალებში ცრემლი. სწორედ ეს დრო იყო შარშან, როცა ყირიმის ფრონტზე გამამწესეს და შტაბის წინ ქარბუქში ველოდებოდი ჩემს მომავალ უფროსს — აღექსანდრე წურწყუმიას.

ახლა ბუქი არაა, არც ქარია და არც თოვლი. წყნარი ამინდია, ღრუბლებით დამძიმებული ზეცა პირქუშად შემომცქერის და გულში გადახსნილი ძველი იარა მაწუხებს...

პირველი, ვინც აეროდრომზე შემხვდა, იყო შავგვრემანი, ჯმუხა ტექნიკოსი. ძველი ნაცნობებივით ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი და ამოტ მკრტიჩიანმა უზომოდ გაიხარა, როცა გაიგო, რომ მის წინ ქართველი იღვა. ვიღრე იგი

ქართულნარევი რუსულით პოლკის ამბებს მომითხრობდა და ჩემს თავგადასავალსაც მეკითხებოდა, კაპიტან ეფრემოვის ესკადრილია აეროდრომზე დაეშვა. მანქანებიდან გადმოსული მფრინავები ჩვენსკენ მოდიან ჯგუფ-ჯგუფად.

— ერთი შეხედე, რა ბიჭები არიან, — მეუბნება ბალღივით აღტაცებული აშოტი. — აგე, წინ რომ მოდის, ეფრემოვი ეგ არის. მთელ პოლკში, პოლკში კი არა — მთელ არმიასი განთქმული მფრინავია. ლომია, ნამდვილი ლომი! ვამოცდილებაც დიდი აქვს. მერე რომ იცოდე, ოთარ-ჯან, რა საყვარელი კაცია... იმ გოლიათს ხედავ? ეგ ბორის ზოლოტუხინია, გადარეული და თავზე ხელაღებული... მარჯვნივ — გრიშა კოჩერგინი. ეგეც ძალიან გამოცდილი პილოტი. გრიშას რომ მოსდევს — ვალოდია ტიუკოვია, ოქრო ბიჭი... იმის გვერდით — ვალოდია კირსანოვი...

სასწრაფოდ ვვალვები თვალს ჩვენსკენ მომავალ მფრინავებს, ვცდილობდი აშოტის ნათქვამი ჩემი პირველი შთაბეჭდილებებისთვის შემეფარდებინა და კარგად დამემანსოვრებინა.

— ის ვიღაა, აი, ზოლოტუხინის მარცხნივ რომ მოდის, კრიალა ჩექმებიანი?

დაჰქუქვინილ ტანისამოსიანი, ტალახში ამოსვრილი მფრინავების ჯგუფში თავიდანვე შევნიშნე ერთი მხნედ მომავალი პილოტი, რომელსაც ჩექმები მართლაც საოცრად უკრიალებდა და, როგორც აქედან ვატყობდი, ტანსაცმელიც სხეებსავით დათითხნილი და აშლილი არ ეცევა, კოხტად ჰქონდა ტანზე მორგებული და ძალზეც შევნიღა. პირდაპირ საკვირველი იყო, როგორ ახერხებდა ეს კაცი ასე წკიაბდ სიარულს ამ ყელამდე ტალახში.

აშოტს, ეტყობა, ეუხერხულა პასუხის ხმამალა თქმა — მფრინავთა ჯგუფი უკვე თავს წამოგდგომოდა; ამიტომ ჩემს ნაცვლად წინ მომავალ კაპიტანს შეეხიტყვა:

— ესკადრილიაში ახალი მფრინავი მოგივიდათ, ამხანაგო კაპიტანო.

კორნიე ეფრემოვი შეჩერდა, დაკვირვებით ამოვალღიერა და სამხედრო სალამის მოცემის შემდეგ ხელი გამომიწოდა. სხვებმაც აქეთ გამოსწიეს და გარს შემოგვერტყენ. შემდეგ კი, როცა ესკადრილის მეთაურს ჩემი ავანჩავანი მოვახსენე, ყოველი მათგანი სათითაოდ გამეცნო.

ყველაზე ბოლოს მოვიდა კრიალა ჩექმებიანი ლეიტენანტი, რომელიც ახლოდან ძალზე ლამაზი, სანდომიანი სახის, შავულვაშა და თაფლისფერთვალეზა ახალგაზრდა გამოდგა.

— არკადი ლეონტიევი, — მტკიცე ხმით მითხრა მან და ასევე მტკიცედ ჩამომართვა ძლიერი მარჯვენა.

არკადი ლეონტიევი! ძალზე მეცნაურა ეს სახელი და გვარი. სახეც არ უნდა იყოს მთლად უცხო და უცნობი: თავს ძალას ვატან, ვცდილობ გავიხსენო — სად შევხვედრივარ ამ კაცს. არკადი ძლივსამაჩნევი ღიმილით მიცქერის, თვალებით ჩემს სულში ფათურობს, თითქოს რაღაცას კიდევ მანიშნებს, მაგრამ ხმას კი არ იღებს, არ მეშველება.

— ერთი შეხედეთ, რა გულსამაჩუყებელი სცენაა! — დაიბუხუნა გოლიათმა ზოლოტუხინმა. — შეხეთ, როგორ ეალერსებთან თვალებით ერთმანეთს, ლამის ჩაყლაპონ! ძველი მეგობრები შეიყარენ, ძველი თბილისელები...

ამ სიტყვების გაგონება — და მესხიერების ერთ კუნჭულს ფარდა ჩამოეხსენა. ჰო, აქამდე როგორ ვერ მოვიგონე — თბილისი, აეროკლუბი, ფრენის სწავლა...

— თუ არ ვცდები, თქვენ თბილისის აეროკლუბში სწავლობდით, არა?

ჩემზე ერთი თუ ორი წლით ადრე მისული იყავით მგონი? — შევეკითხე და პასუხს ადარ დაველოდე, გაღიმიებულმა და გახარებულმა ხელახლა ჩამოვართვი ზელო.

— მართალი ხართ, მეც მომავონდით. — დამიდესტურა არკადიმ.

— წამოდით, ბიჭებო, რას დაგიღიათ პირი! ხომ ხედავთ, მართლა ძველი მეგობრები ყოფილან, ისიყვარულონ ცოტა ხანს!

ამას ისევე ზოლოტუხინი როხროხებს დამცინავად. ჩემი მოსაუბრე ამ რეპლიკას იოტის ოდენა ყურადღებასაც არ აქცევს, მე კი ცეცხლი შეკიდება:

— ვისიყვარულებთ თუ ვიკონცნავეთ — ჩვენი საქმეა, არავინ გეკითხებათ!

— ჰო, ჰო, კარგი, — და ღონდროხა ზოლოტუხინი ჩქარი ნაბიჯით გაგეშორდა. სხვებიც მას მიჰყვნენ.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ჩემო ოთარ, თორემ აქ ისეთი ხალხია, თუ მაგათ აპყვევით. სიცოცხლეს მოგიწამლავენ, — წყნარად მითხრა არკადიმ, ხელკავი გამომდგა და ჩვენ ნელ-ნელა გავუყვევით ტალახიან გზას.

ცოტა არ იყოს ჩემს თავზე გულმოსული ვიყავი. არა, კაცმა რომ თქვას, რას აფუტუხუნდი! რაც უნდა ეთქვა ის ზოლოტუხინია თუ ვილაც შტერი, ამჯერად თავი უნდა შემეკავებინა. არ ვარგა ესკადრილიაში ჩხუბით მოსვლა. მაგრამ ესეცაა, რა უნდა მექნა? თავიდანვე თვალში არ მომივიდა ის ქერა გოლიათი. პირველივე სიტყვებით დამცინა და მეორედ ხომ პირდაპირ ნაეთი გადამასხა. ეტყობა, არც იმან დამინახატა გულზე. სხვებიც არ მიყურებდნენ მაინცდამაინც მეგობრულად. ღმერთმა იცის რა ხალხია, რა ხასიათისა და ბუნებისა... ეხ, მგონი სისულელე მომივიდა ჩვენი პოლკი და ჩვენი ბიჭები რომ მივატოვე!

— ნეტავ როგორია ახლა თბილისი? ოჰ, ერთი მთაწმინდაზე ამიყვანა, იქიდან გადამახედა და მერე მომკლა თუ გინდა!

ეს ისე თქვა ჩემმა თანამგზავრმა, იმდენი სითბო, სიყვარული და სევდა იყო ამ სიტყვებში ჩაქსოვილი, რომ კინაღამ გული ამიჩუყდა. იმავე წამს დამავიწყდა ზოლოტუხინიც, მისი ამფსონებიც და ჩემი უსიამო ფიქრებიც.

— ეჰ, თბილისს ნულარ იკითხავთ! ვისაც მშვიდობიან დროს უნახავს ჩვენი ქალაქი, ახლა ვედარ იცნობს, — აყვევი საუბარში არკადის.

— რუსთაველის პროსპექტი!.. სტადიონი... მუშუთაიდი!.. — ხმამალა ოცნებობდა ლეონტიევი.

— მტკვრის ნაპირები!.. აჭკალა და ორთაქალა!.. პლენანოვის პროსპექტი!.. — ვალში არ ვრჩებოდი მე.

— ჰო, მართლა, თქვენ სად ცხოვრობდით თბილისში?

— ვერაზე. თქვენა?

— მე დიდუბეში.

— ბავშვობიდან იქ გაიზარდეთ?

— არა, სულ სამ წელიწადს მომიხდა თბილისში ყოფნა. გაზრდილი ლენინგრადში ვარ. შემდეგ მამაჩემი თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ, როცა უკვე მეცბრეკლასელი ვიყავი...

რამდენიმე ნაბიჯი ჩუმად გავიარეთ. შემდეგ ისევ ლეონტიევი ალაპარაკდა:

— კარგია ჩვენთან რომ მოხვედით, თორემ გული გადამელია მარტოობისაგან. იცით, ჩვენს ესკადრილიაში, ესკადრილიაშიც და პოლკშიაც კი. ისეთ ხალხს შეხვდები, გეგონებათ საგანგებოდ შეარჩიესო. ერთი მოგვივიდა ამას

წინათ, იაკობ დედკოვი, იაშკა, იმას თითქოს არა უშავს, მაგრამ გამოუსწორებელი ლოთია და ჩხუბისთავი, თანაც წესიერი აღზრდით არც ის ბრწყინავს.

— იაშა დედკოვი? საიდან გადმოიყვანეს, თუ იცით?

არკადიმ ჩემი ძველი ნაწილი, მორკოვკინის პოლკი დამისახელა.

— მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, კროლათვალეზიანი?

კვლავ დასტური მივიღე.

— ეგ იაშა ჩემთან იბრძოდა, ჩემთან! — წამოვიძახე გახარებულმა.

აი, ბედიც ამას ჰქვია — ახალ პოლკში ძველ თანამებრძოლს გადავეყარე! მართალია, დიდი გადასკვნილი მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც ერთად გვიბრძოლია, ერთ პოლკში ვირიცხებოდით. თანაც, თუ ახალგადმოსულია, ბიჭების ამბები ეცოდინება, შევიტყობ მაინც — რა ხდება მორკოვკინის პოლკში, პავლოვი და პეტროვი როგორ არიან...

— არკადი, გენაცვალე, ახლაც უნდა მომამებნინოთ იაშა!

— იაშას ნახვა პრობლემა არაა, — გაცინა არკადის. — საბრძოლო გაფრენიდან უკვე დაბრუნებულია, დღეს სხვა დავალება აღარ უწევს, მამასადამე...

— მამასადამე?

— რომელიმე მიწურში იქნება. მათ წილ არაყს გადახუხავს. შეიძლება უკვფ გადაკრულიც იყოს.

ლეონტიევის წინასწარმეტყველება გამართლდა. მიწურში ჩასვლისთანავე დავინახე ძელებზე ჩამომსხდარი სამი-ოთხი მფრინავი. მათ შორის სახელაღწილ და თვალბამღვრელი იაშა ჩამჯდარიყო და ქალაღს არიგებდა ჭრაქის სინათლესზე. ჩვენი მიახლოება არც გაუგია. მაგრამ უცხო კაცის დანახვაზე სხვა მოთამაშენი დაფეთებულნი წამოვარდნენ და შეეცადნენ ქალაღი ჯიბეებში გადაემაღათ შეუმჩნეველად.

იაშამ გაკვირვებისაგან პირი გააღო, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თვალგვედა და სიტყვა პირზე შეაშრა. შემდეგ წამწამები სწრაფად ააფახულა, კროლა თვალები დაწკურა. ერთხანს გაშტერებული შემომცქეროდა, მერე კი წამოხტა და მომვარდა ღრიალით:

— ატაშა! ატაშა! მეგობარო! სულო! რა ქარმა გადმოგავდო, საიდან?

ერთმანეთი გადავკოცნეთ. იაშამ პირზე მომდგარი დორბლი ქუჩყიანი სახელოთი მოიწმინდა და კვლავ აღრიალდა:

— საიდან-მეთქი, ძმაო, ჰა? აკი მოკლესო, აკი დაიღუპაო! ვაჰ, ბედისწერა! აშკარად რაღაცას ურევდა იაშა. მაგრამ ისე გულწრფელად იყო გახარებული და თან იმ ზომამდე მთვრალი, რომ მკვანე სიტყვა ვეღარ ვუთხარი, გამეცინა:

— გეშლება, იაშა, კარგად ვერ მოიგონე, თორემ ჩემი სიკვდილის ამბავს არავინ მოგიტანდა. პეტროვი არ გინახავს?

იაშა წამით ისევ გაოცებული შემომამშტერდა, წამწამებიც ისევ ჩქარ-ჩქარა აუფახულდა.

— ჰო, ჰო, პეტროვი ვნახე, როგორ არა, შენი თავგადასავალი მიაშბო... პავლოვიც ვნახე, აბა-ა... პავლოვიც და პეტროვიც... ვენაცვალე... რა ბიჭები არიან!..

— უკანასკნელად როდის შეხვდი? — ვეღარ მოვიტმინე, მალე მინდოდა შემეტყო მეგობრების ამბავი. მაგრამ იაშას ჩემი სიტყვები არ გაუგონია.

— ვენაცვალე... ვეფხებიან, ლომები, შევარდნები... აბა-ა... — მხარზე ხელი დამკრა და თავისიანებს მიუბრუნდა: — ეს კიდე შევარდნიცაა და არწივიც... ხი-ხი-ხი-ი... იციით, რა ბიჭია, რა მეგობარი მესტუმრა!?. ამათ მაჩუქეს სიცოცხლე, ამათი გადარჩენილი ვარ, თორემ ახლა თქვენი იაშკას ძვლები შავი ზღვის ფსკერზე იქნებოდა, აბა-ა!..

ახლა კი მართლა აურია იაშამ. მასთან ლაპარაკი აღარ ღირდა. დაჯექი, დაჯექი, იაშა, ითამაშე, მე მაინც წასასვლელი ვარ, ხვალაც შევხვდებით-მეთქი — ვუთხარი.

— აბა, აბა, ეგ ზღაპრები სხვას მოუყევი, ჩემთან არ გაგივა! — გაწყრა იაშა. — წასვლა რას მიქვია... შენ რა, მთვრალი ხომ არ გგონივარ?.. — და მკერდზე მარჯვენა აიბაგუნა. — მაშინ მოკვდეს იაშა, თუ თავისი გადამრჩენელი დაივიწყოს... აბა, რას დაგიღიათ პირები, არაყი ჩქარა!.. ჩემი გადამრჩენლის სადღეგრძელო!..

ახლა კი გული მომივიდა:

— კაცო, შენ რას მიედ-მოედები, რა გადამრჩენელი, გაგიჟდი?

— დაჯე, დაჯე, შენ არც იცი... არც პეტროვმა იცის, არც პავლოვმა...

— რა არ ვიცი, რა?

— რა და ის, რომ სიცოცხლე მაჩუქეთ... და კიდეც ის, რომ მე ვიცი...

— როდის გაჩუქეთ სიცოცხლე, კაცო, შენ მართლა გამაგიჟებ!

— როდის მაჩუქეთ? როდის და შარშან, თებერვალში... დაიცა, რა დღე იყო? ჰო, ოცდაექვსი თებერვალი არ გახსოვს?

— არა, რა უნდა მახსოვდეს?

— არც ის გახსოვს, თქვენი თვითმფრინავით რომ ზღვის პირას მიფრინავდით და... — რატომღაც აღარ დაასრულა იაშამ.

— ჰო, ვთქვათ, მიფრინავდით, მერე? — ჩაეძიე უკვე დაინტერესებული.

— მიფრინავდით და მიფრინავდით... ბომბები არ გახსოვს? თქვენი ბომბები!.. ეჰ, რას ვამბობ... ბომბები კი არა... ისა... ერთ საბჭოთა თვითმფრინავს სამი მესერი რომ ებრძოდა... თქვენ რომ შემოუტყიეთ, თქვენი მანქანით...

მართლა გამახსენდა ეს ეპიზოდი. ჰო, როგორ არა, ჩვენც ჩავებით ბრძოლაში და გერმანელებს კუდით ქვა ვასროლინეთ. ჩვენ რომ არა, იმ ერთ თვითმფრინავს მართლა ცუდი დღე დაადგებოდა.

— მახსოვს, ჩემო იაშა, მაგრამ შენ საიდან იცი ეგ ამბავი?

— ო-ო-ო, ეგ უკვე საიდუმლოა!.. მაგრამ არა, რაკი ასეთი კარგი მახსოვრობა გქონია, იმასაც მოიგონებ — ვისი თვითმფრინავი გადაარჩინეთ?

ახლა ყოველივე ნათელია. იმ დღეს ბრძოლაში რომ ჩავებით, სამივე ჩვენგანის ყურადღება მტრის თვითმფრინავებზე იყო მიპყრობილი. საბჭოთა მანქანას არ დავკვირვებდით, იმისათვის ვის სცხელოდა!.. შემდეგ კი, ბრძოლა რომ დამთავრდა, იმ მანქანამ ერთ-ერთ გაქცეულ „მესერშიმიტს“ გასდია და თვალს მიეფარა. ჩვენ ერთმანეთს შეევეკითხეთ და აღმოჩნდა, რომ არც ერთი არ დავკვირვებოდით იმ საბჭოთა თვითმფრინავის ნომერს. ასე რომ ველარ შევიტყუეთ, თუ ვის ვაჩუქეთ იმ დღეს სიცოცხლე. ახლა კი ყველაფერი ცხადად შეიქნა — იაშას მანქანა ყოფილა თურმე. კი მაგრამ, ამ დალოცვილმა აქამდე რატომ არაფერი გვითხრა? ან იაშას თანამებრძოლებს რამ ჩაუგდო ენა მუცელში? რა დასაძალი იყო, რა, გასამრჯელოს ხომ არ ვთხოვდით!..

— ეგ საიდუმლოა, სა-ი-დუმ-ლო, — ბორძიკობს იაშა. — ჩუმაღ იყავი...

მეც ხმას აღარ ამოვიღებ... ერთხელ ვთქვი და გათავდა... შენც იყუჩე და მეც...
სა-ი-ღუმ-ლო-ა... აბა, მოვრჩით მიქარვას!.. ბიჭებო, არაყი-მეთქი!.. ჩვენი სტუმ-
რები დავლოცოთ...



მოიერიშე თვითმფრინავი ბომბდამშენისაგან დიდად განსხვავდება. თუ იქ
სამნი ვისხედით მანქანაში, აქ, ამ ახალ თვითმფრინავზე მხოლოდ ერთი ადგი-
ლია — პილოტისა, და ეს პილოტი კარგი რადისტიც უნდა იყოს, ნავიგატორი-
ცა და ბომბარდირიც, აგრეთვე მსროლეიც, რადგან ჰაერში ვერაფერ შეენაცვ-
ლება მანქანაზე დადგმული ქვემეხების, ტყვიამფრქვევებისა და რეაქტიული
ჭურვების გასასროლად. მოიერიშე თვითმფრინავს ბომბდამშენადაც იყენებენ,
მზვერავადაც, მაკორექტივებლადაც, ზოგჯერ კი გამანადგურებლის როლსაც
ასრულებს.

ეს ყოველივე აღრეც გამიგია და მომისმენია. ისიც ვიცი, რომ მოიერიშე
მეტად მძლავრი საბრძოლო მანქანაა და მრისხანე ძალას წარმოადგენს. ამიტო-
მაა, რომ ჩვენებმა მას „ილიუშინ-2-ის“ ნაცვლად „მფრინავი ტანკი“ შეარქვეს,
ხოლო გერმანელებმა — „მფრინავი სიკვდილი“.

ახლა ამ „მფრინავი ტანკის“ წინ ვდგავარ, მოკრძალებითა და პატივისცე-
მით ვუთვალთვალე მის აღნაგობას. ჩემს გვერდით კაპიტანი კორნეი ეფრემო-
ვი რაღაცას ინიშნავს რვეულში. კაპიტანს მკაცრი სახე აქვს, საკმაოდ გულცივი
და ვგონებ უხეშიც უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში არკადის წუხანდელი თა-
ვაზიანობის შემდეგ ეფრემოვის კილო საშინლად შეურაცხყოფელი მეჩვენე-
ბა. უნებურად მეორე პარალელიც გავავლე: წურწუშიაც ესკადრილის
უფროსი იყო, მაგრამ სად მისი დახვედრა და სად ამ წარბშეკრული კაპიტა-
ნისა..

— ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ, — ასწია თავი ეფრემოვი, — რაკი სასწავ-
ლო მანქანა არა გვყავს, საბრძოლოზე ვიმეცადინოთ; შენთვის აუცილებელია
წინასწარი ვარჯიში, უამისოდ ბომბდამშენის შემდეგ მოიერიშეს ვერ წაიყვან-
აბა, კაბინაში!

მე კაბინაში შევდივარ, პილოტის სავარძელზე ვჯდები და უმწეოდ ვიყუ-
რები აქეთ-იქით: ჩემს წინ რამდენიმე სახელურია, რომელთა დანიშნულება
არც კი გამეგება. რა უნდა ვივარჯიშო? საიდან დავიწყო?

მაგრამ ეფრემოვს ჩემი მარტოდ დატოვება თურმე არ განუზრახავს. ისიც
ამოხყვა კიბეს და თვითმფრინავის ბორტზე ჩამოჯდა.

— დავიწყოთ!..

და დავიწყე ახალი თვითმფრინავის შესწავლა. ჯერჯერობით ყველაფერი
იოლად და სწრაფად მიდის. უცებ გავერკვიე.

— მოტორი ჩართე! — მიბრძანებს კაპიტანი.

თვითმფრინავი ავუგუნდა და აძაგძაგდა...

— ახლა დასძარი და აეროდრომს შემოუარე!

კინაღამ სასოწარკვეთილებას მივეცი თავი: მოიერიშე თვითმფრინავის
მოტორი წინ არის წავარძლებული, კარგაძალ სივრცეს მიფარავს თვალთაგან.
მოდის და ალაღბედზე უსწორე მიმართულება! ხომ ვთქვი, სწორი გეზი არ ამი-
ლია, მარცხნივ უნდა გავუხვიო; აბა, მარჯვენად, ოთარ, თავი არ შეიარცხვინო!..
სიჩქარეს უნდა ვუკლო, ისე გაჭირდება მიმართულების შეცვლა!

მუხრუჭი!

ჩემი ფეხი ამოდ ფათურობს სიბნელეში. ფუჭ, დაგწყველა, სადაა პედალი?! აჰა, აგერ! სწრაფად დაეწევი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, თვითმფრინავის სიჩქარე არ შენელებულა.

თუ მოგსვლიათ ოდესმე — ავტომანქანა მთელი სისწრაფით მიგყავთ, გამონდა მოსახვევი, თქვენ პედალს დააჭირეთ ფეხი და... არავითარი შედეგი, მანქანა ისევ ისე მიჰქრის თავგამებტებით.

ამაზე საზიზღარი განცდა რა უნდა იყოს!

განწირულმა ავხედე კაბინის ბორტზე ჩამოჯდარ ეფრემოვს და მის ბაგეზე ღიმილი რომ შევნიშნე, მაშინდა მიხვდი ჩემს შეცდომას: რით ვამუხრუჭებდი მე სულელი, აკი წელან ამისნა კაბიტანმა — მოიერიშე, ბომბდამშენისგან განსხვავებით, პედალით კი არ მუხრუჭდება, სახელურითათო...

— დღესდღეობით კმარა, — მითხრა ეფრემოვმა, როდესაც აეროდრომს მესამედ შემოვურბინეთ. — შენც დაიღლებოდი და მეც აღარ მცალია, საბრძოლო გაფრენა მაქვს. ხეალ აღრიანად განვაგრძობთ.

თვითმფრინავის კიბეები ჩაიარა და გამოუმშვიდობებლად გაუყვა თავის გზას.

მეც აღარ დავყოვნებულვარ. გული მიწურისკენ მიმიწევდა. იაშა ისევ იქ მეგულებოდა და ვიმედოვნებდი — იქნებ ფხიზელს მაინც ვათქმევინო-მეთქი ჩვენი ბიჭების ამზავი.

ის იყო თვითმფრინავს გამოვციდი, რომ ლეიტენანტ ლეონტიევის კრიალა ჩექმებს მოგვარი თვალა და გახარებული მისკენ გავემართე. მაგრამ ჩემს ახალშეძენილ ძმაცაცს ახლა ჩემთვის არა სცხელოდა: გალიაში მომწყვდეული ნადირივით აქეთ-იქით აწყვლებოდა, ჭექა და გრგვინავდა, შავ დღეს აყრიდა თავის ქვეშევრდომებს, რომლებიც უილაჯოდ გაშეშებულიყვნენ და შიშნაპამი თვალებით შესცქეროდნენ მრისხანე უფროსს.

მაგრამ ლეონტიევმა ისევე უცებ შეწყვიტა ყვირილი, როგორც უცებ წამოიწყო. უეცრად გაიჭიმა და დასაქვა:

— სმენა-ა! სწორება მა-არჯვენ-ი-ი-ი-ი! — თვითონ სამხედრო სალაში აიღო, სხარტად შეტრიალდა ქუსლებზე და უპატაკა:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, პირველი ესკადრილის მეექვსე რგოლი ემზადება მორიგი საბრძოლო გაფრენისათვის. მოგახსენებთ რგოლის მეთაური ლეიტენანტი ლეონტიევი.

წელან ვერ შევნიშნე, რომ თურმე აქეთკენ პოლკის უფროსი მოემართებოდა. ეფრემოვიც დაბრუნებულყო და მას ახლდა.

— თავისუფლად! — წყნარად თქვა სმირნოვმა პატაკის მოსმენის შემდეგ.

— თავისუფ-ლა-ად! — გაისმა ლეონტიევის ბრძანება.

პოდპოლკოვნიკი და კაბიტანი არ შეჩერებულან, ლეონტიევის თვითმფრინავს გამოსცდნენ. და როდესაც მათ გაუუსწორდი, სალმის მისაცემად ხელაწეულმა ყური მოგვარი სმირნოვის სიტყვებს:

— სანიმუშო ოფიცერია... მკაცრი, მომთხოვნი, საზრიანი და მამაცი...

უზომოდ გავიხარე. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — პოლკის უფროსი ასერიგად აქებდა ჩემს ძმაცაცს. ჩანს, ლეონტიევი მართლაც არაა უბრალო, რიგითი მფრინავი. მეც ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა და რა კარგია, რომ გუმანმა გამიმართლა!

— ა. ოთარ! — გამომიწოდა ხელი არკადიმ. — როგორ ხართ?

— მაღლობთ, არა მიშავს. ნელნელა ვეგუები აქაურობას.
— ეგუებით და მერე როგორ! მგონი უკვე შეეზილეთ კიდეც. ძმაკაცებიც გაგიჩენიათ... ფრთხილად, მეგობარო, ფრთხილად!

— არაფერი მესმის...

— გესმით, მშვენივრად გესმით, თავს ნუ იკატუნებთ, მე ბავშვი არა ვარ.

— არკადი, ღმერთმანი...

— კარგი, კარგი, ტყვილად ნუ იფიცებთ!

— არკადი, არაფერი გამეგება..

— მე კი გამეგება? გამეგება, რა გაქვთ საერთო იმ ორმეტრიან იდიოტთან, დღეს რომ ხელგადახვეული მიჰყვებოდით?

— ვისა, ზოლოტუხინს? ხა-ხა-ა! ზოლოტუხინი მშვენიერი ბიჭი გამოდგა. ამ დილით დამინახა თუ არა, თვითონვე მომაშურა, თავისებურად აროხროხდა: შე გადარეულო კავკასიელო, რა იყო, რა მოხდა, გუშინ რომ ყალხზე შედექიო! არა გრცხვენია, განა ისეთი რა გითხარო, თუ ხუმრობა არ იციო? ძალიან თავზიანი და ალალი ბიჭი ყოფილა...

— ვიცი, ვიცი, ვტბებოდი თქვენი ცქერით.

— კი მაგრამ რა მოხდა ასეთი? რით არის ცუდი, რომ...

— მაგას მალე შეიტყობთ, ძალიან მალე... ახლა კი დაიმახსოვრეთ: ვინც იმ აყლყუდასთან მეგობრობს, იმას ჩემთან საერთო არაფერი ჰქნება. გასაგებია?..

ერიჰა! მართლა რომ ერიჰა! აქ რალაც ამბავია, რალაც იმალება! მაგრამ რა? ალბათ ამასაც მალე შეეიტყობ. ახლა კი ცხადია ერთი რამ: ოფიცრებში რალაც დაჯგუფება უნდა იყოს. ვილაცა ებრძვის ვილაცას. ასეთ დროს რომელიმე ბანაკში მოხვედრა არასგზით არ იქნება — უეჭველად ვისიმე ანკესზე წამოგები და რაიმე სისულელეს ჩაგადენინებენ შენდა უნებურად.

*
*
*

ხუთი-ექვსი დღის მეცადინეობის შემდეგ ასე თუ ისე დავეუფლე მოიერიშე თვითმფრინავს.

— მე მგონი კმარა, — პირველად გამიღიმა ეფრემოვმა. — დანარჩენს ბრძოლის დროს ისწავლი და შეავსებ. ხვალ ჩემთან ერთად წამოხვალ ფრონტის ხაზზე.

ატაცებული და გალალბული მოვდივარ აეროდრომიდან. მინდა ვისმე გავუზიარო ჩემი სიხარული. მინდა ვიცეკვო თუ ვიმღერო.

მაგრამ ჩემს ნაცვლად სხვები მღერიან. მღერიან ძალიან ტკბილად, რალაც ჰანგი ისმის. ჩუ!.. სწორედ ისაა „სულიკოს“ მოტივია. აჰა, ეს ჩვენი ქალიშვილები მოიმღერიან, ჩვენი თანამებრძოლი გოგონები — ვარია, ლიზა და ნატაშა. ეტყობა, ჩემს გასაგონად დაიწყეს „სულიკოა“. თან შორიდანვე მიცინიან და ქედებს მიქნევენ, მესიყვარულებიან. ამ რამდენიმე დღეში კარგა ძველი გაცნობილებივით დავმეგობრდით და ახლა ისე როგორ მოსალამოვდება, რომ ერთ-ერთმა არ მოირბინოს და არ შემეკითხოს:

— ატაშა, სულიკო, როგორა ხარ, ჩემი დახმარება არ გჭირდება?

ან:

— ატაშა, გენაცვალე, ღილი ხომ არ გაქვს დასაყერებელი?

ან კიდეც:

— ეი, ახლამოჩეილო მოიერიშე, ბოლოსდაბოლოს როდის ისწავლი ფრენას?

თვალციმციმა, ლოყაწითელა ვარიამ ისიც გამოაცხადა საჯაროდ — ახალ მფრინავს შეფობა უნდა გავუწიოო, კარგა ხანს იჯდა ჩემთან ერთად მიწურში და მამეცადინებდა.

ვარია მართლაც ჩინებული გოგოა — სათნო, საყვარელი, მხიარული, მუდამ მოცინარი (რა თქმა უნდა, ჰაერში, ბრძოლის დროს ასეთი არ იქნება!). მასთან ყოფნისას გუნება არასოდეს გაგიფუქდება, თავს მუდამ ლალად და თავისუფლად იგრძნობ. ვარია სხვებზე უფრო დამიახლოვდა, შემეჩვია, შემეყვარა და თავი შემეყვარა.

ახლაც სხვებზე უფრო გახარებული ჩანს, ხელს მალლა მიქნევს და მოიძღვრის. მოიცა, რას მოიმღერის? „სულიკოს“ ჰანგზე რაღაც სხვა სიტყვები შეუწყვიათ:

შავთვალწარბა ჭართველიო,
მისი ეშხით დაეთვერიო...

ხა-ხა-ა! ეს რა მოუგონიათ ამ ალქაჯებს, ჰა! დამაცათ, არ შეგარჩენთ ჩემს გაპამპულეზას. ჯერ ახალი ამბავი გახაროთ!

— მომილოცეთ, გოგოებო, მომილოცეთ!

ქალიშვილებმა სიმღერა შეწყვიტეს, გამოიქცნენ და ატყარცალებულნი მომცივიდნენ, სხაპასხუპით მომაყარეს:

— რა მოგილოცოთ, ატაშა?

— რას გვახარებ, ატაშა?

— საცოლის წერილი ხომ არ მიგიღია, ატაშა?

მე ვითომ გავგულისდი:

— რამდენჯერ უნდა გითხრათ — საცოლე არ მყოლია და არც მაყას-მეთქი!

— მაშ რა მოგილოცოთ, რა?!

— გამოიცანით!

— მე ვიცი, — დაიძახა ვარიამ. — საბრძოლო გაფრენის უფლება მოგცეს, ხვალ ჩვენთან ერთად აფრინდები, ხომ? მართალი ვთქვი თუ არა? მართალი ვთქვი თუ არა?

— მართალია, გამოცანა გერგება.

— ატაშა, გენაცვალე, ოი, როგორ მიხარია!!!

და ვარიამ სიტყვის თქმა აღარ დამაცალა, მომეხვია და მაგრად მაკოცა ლოყაზე. მეც დავიხარე, მეც ვაკოცე და როცა ავიხედე, ქალიშვილების თავებს ზემოთ ზოლოტუხინის გაცეცხლებულ თვლებს წავაწყდი. „ორმეტრიანმა იდიოტმა“ ადლიანი ლაჯებით ჩაგვიჭროლა და რაღაც წაიზმუვლა, რაც ალბათ „გამარჯვებას“ ნიშნავდა. გოგოებმა ერთიმეორეს გაკვირვებით გადახედეს და სიცილი აუტყდათ. შემდეგ უცბად მოაგონდათ, რომ აერთოდროშზე ავციანდებოდათ, სწრაფად დამემშვიდობნენ.

მეც დავემშვიდობე, მეც ჩემს გზას გავუყევი.

როგორც ვატყობდი, სასაცილოდ არ მქონდა საქმე.

(გაგრძელება იქნება)






„ლომანა“

ნახატი დ. ერისთავისა.



ოზია იოსელიანი



როცა ორი საცოლშვილოდ აღერებული ვაჟაკის სიკვდილის შემდეგ დარდისაგან გამოტვინებული და გამოლენჩებული მეუღლეც მიწას მიაბარა, ლევანა კიკაბიძეს ამ ქვეყანასთან აღარც საქმით ჰქონდა რაიმე ურთიერთობა და აღარც სიტყვით.

ეს ნიგვზის სარეკი ჭოკივით ახმახი და ზორზოხა კაცი გველხოკერასავით დაიგრინა, დაიკეცა და შავ უღვაშაშლილი ორი ვაჟისა და სახეჩამომჰკნარი ცოლის სურათებს ქვეშ მუშტად შეკრული წაიქცა.

კესარიას დასაფლავების მეორე დღით გაშვებულ უღელ ხარს და ახალ-ხბოიან ძროხის ბლავილს როცა ყური აღარავინ ათხოვა, მეზობლებმა ძროხას უსიტყვო ოხვრით თავისთან მიუჩინეს ბინა. ხარები დროებით ბრიგადირმა გაირეკა. ჩასუქებული და კესარიას მიერ განებივრებული კატა სადღაც გაჭრა. უკანა აივნის თავწამპალი იატაკის ყურეში, ზედ ქილუქის ძირას მოკალათებული, სიბერით დაუძლურებული უცბილო ნაგაზი — ბათურა, უხმოდ ამტქნარებდა და გვიან ღამით აყეფებულ ძაღლებს გაბმული ღმუილით პასუხობდა.

ოთახის შავფარდიანი ფანჯრის საპირისპირო კედელზე ორი შვილისა და ცოლის გადმოფერდებული სურათები ეკიდა. ამ კედელთან ძველისძველ, კიდემმოცვეთილ ჭილოფზე უძრავად ესვენა ლევანა, გულზე დაფენილი ჟღალი წვერით და გულზევე დაკრფილი ხელებით. ამ კედლის სიგრძეზე გაწოლილ ფერგადასულ კაცს სურათებზე მიშტერებული თვალების დახუჭვადა აკლდა, რომ მკვდრისაგან ვერ გაერჩიათ.

ეს თბილი მიცვალეზული სიკვდილივით უშფოთველად, უმოძრაოდ ხედებოდა დილას. იმდამინდელ სიზმრად ნახულს იგონებდა, შვილებთან და ცოლთან გატარებულ დროს იხსენებდა და ჩურჩულით საუბრობდა:

— მისეც არ ვარგა, შვილო, — უსწორებდა დაყვავებით ერთს, თვალს თვალში უყრიდა, — უმცროსი ძმაა, კარგი ძმობა, შვილებო, ის კი არაა, რომ... შენ, ქალო, ნუ იცი ბოგმის გამართლება! — ახლა ცოლზე გადაიტანა მზერა. — მე რავე, შენზე ნაკლებად მიყვარს?... მაგრამ ვერ ვაუფმართლებ, რაც გასამართლებელი არაა. ვითომ და რაო ახლა, „მოესწრო ბარემ“. მოესწრები, მოესწრები. აბა, სად ჯანდაბას მიხვალ, არა, ჯერ უფროსს ეკუთვნის, აბა, უფროსი რისი უფროსია. არ მითხრა, არ მითხრა, კესარია, შენ ვერ მასწავლი! რა ვუყოთ მერე, რო უყვარს, სიყვარული რა, ღვლეჰია? კისერში უჭირებს? უყვარდეს,

ბატონო, მე რავე, იმას ვამბობ — არ მინდა-თქვა თუ?.. ამირანის ამბავი შენც იცი, ერთი უთქმელი კაცია, მარა გუნებაში რომ ეწყინოს! შენ მე მაცალე, მე მამა თუ ვარ, ამხელა ვაჟკაცები თუ დამიზრდია, ისიც ვიცი, როდის რა სჯობია. შენ ახლა ის გირჩევნია ინდაურებს ხელზე აჭამო, ხო იცი, ცომი დაძაღვე, ნიგოზიც თუ არ გადააყლაპე, ჩემი მტერი არაა, შენ საქორწილო საცივი არ გამოვიციდეს. ჰო, მართლა, კესარია, ღორი მართლა მაკეთაა, თუ მოინელა იმ მგლის არჩივმა?.. ჰოდა, თუ მოესწრება, თორემ გოჭი ერთი და ორი კი არ გვეყოფა... შენ, ბიჭო, ამირანა, ის ახალთახალი უღელი რამ გაგატეხია, ბიჭო, რას მოღვევი სახნისი ამისთანას? ეგერ მსხლის ძირში მაქვს კიდევ საუღლე და გაუბურღე თავები, ტაბიკები და აპურები იმ გატეხილისა გამოგადგება. შენ, შვილო, ნოშრევან, აღარ წახვალ სკოლაში? ჰო, მამა, დროზე ჰქენი... არ დიგვიანო, თორემ მასწავლებელი რომ დროზე არ მიხვალ, მოსწავლე რაღას იზამს? ხომ გესმის... მოიწი აქეთ, იმ ქალაქელ ქალს ასე უთხარი, მოიცა-თქვა. რავე ფიქრობ, ხომ უყვარხარ, ჰა? ჰოდა, უთხარი, შენი ძმა მისი ძმაცაა, აგერ ამ შემოდგომაზე გადაგიხდით ერთ ქორწილს და მერე... მოიწი, ბიჭო, ყურში უნდა გითხრა, იმ მუნჯმა არ გაიგონოს, გუშინ შევისწარი, ყანიდან რომ ვბრუნდებოდი. ჰო, რავე იყო? — გაიხსენა ლევანამ გუშინდამინდელი სიზმარი. — ჰო, ბიჭო, დადარაჯებული იყო, ურემს ვუჯექი წინიდან და კი ვერაფერი გავიგონე ხეირიანად, მარა... ახლა ვინ იყო, არ იკითხავ? აბა, თუ მიხვდი! არა, არც მაგი... აბა-ბა-ბა, სულ ვერ მიუახლოვდი... აგერ, ჩვენი ისიდორეს ქალოშვილი... ჰოო, ჰო, სწორედ რომ თალიკო, კარგია, კარგი მოგეცა. იქვე გზის პირას, ისიდორეს ეზოსთან ხარ-ურმიანად წავადექი ზედ. წითელი კაბა ეცვა, პირდაპირ ანათებდა. გადამირია ხარები იმ შეჩვენებულმა. ჰიშკრამდე ვერ შევაჩერე ურემი, ჰოდა, რა ვქნათ ახლა, არ ვაქორწილოთ?

ლევანას მთელი დღე ჰქონდა სალაპარაკო შვილებთან, მთელი დღე აჩუქებდა ცოლს.

— ნუ ჩამერევი, შე ქალო, თუ ღმერთი გწამს! კაცი ვარ, ბოშო, ოჯახის უფროსი მქვია და რა ვქნა! მტერი მე მომიკითხავს და მოყვარე, ბიჭები რომ რამე ცუდს გადაეყარონ, ან ერთმანეთთან რამე უთანხმოება მოუვიდეთ, მერე ვის რა პასუხი მივცე? შენ, შე გაჭირვებულო, დაჯდები და წაიშენ თავში ხელს, ატირდები ან გული გადაგელევა და გადაფიჩინდები. მეც ხო ასე ვერ ვიზამ, მე ხომ ვერ ვიწივლებ და სახეს ვერ დავიკაწრავ. მე ამთავითვე უნდა მივხედო საქმეს, ამთავითვე უნდა დავიჭირო თადარიგი.

...და იწვა ლევანა გულაღმა, შეჩერებული სამ უტყვე ჩარჩოს, სამი სახის აჩრდილს და იყო ხან ყანისა და ვენახის მოვლის თადარიგში, ხან სარძლოების შერჩევაში, ხან საქორწილო ღლების დადგენაში და შვილების დასაცავად ისევ წამოჩრილი ცოლის შეგონებაში, რომ ლევანა მამაა, კაცია, ოჯახის თავია და აცალოს, აცალოს კესარიამ და ნიშნი მერე მოუგოს, თუ ბიჭების საქმე უღლად წაიყვანოს, ან კესარია დატოვოს რამეზე გულნატკენი.

ზოგჯერ გაბრაზდებოდა ლევანა, ხმას აუწევდა, გუნებაში უწყრებოდა შვილებს... ნოშრევანს, თორემ ამირანი არ იყო ისეთი ხასიათის, რომ არ დაეჯერებინა, ან მამისათვის რაიმე გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა. ნოშრევანი იყო, რომ ზოგჯერ მის წინააღმდეგ წავიღოდა, ნასწავლი კაცი ვარო და...

კაია სწავლა-განათლება, კარგი მოგეცა, მაგრამ ოჯახში ლევანამ არ იცის ნასწავლი კაცი, წიგნი კარგია, ქვეყნის ამბავს გაიგებ, ქვეყნის ავკარგს გაეცობი, მაგრამ ოჯახი...

— ოჯახი სხვაა, შვილო, გამოცდილი ხელი სჭირდება. ოჯახს ჭკუაში დამჯდარი თავი უნდა წინამძღვრობდეს, თორემ უთავო ოჯახი და უმწყესი ფარა ერთია. მე მაცალეთ, შვილებო, მე მისმინეთ, მე, რომელსაც ათჯერ გადამბრუნებია ურემი და გზა მერე მინახავს, ათასჯერ მცვლია მხარი და ერთი საათის სავალი ერთ დღეს მივლია. მისწავლია, გამოცდილება მიმიღია... ახლა მე რაღად მინდა ცოდნა, ან განათლება, თქვენ მოგახმაროთ ღმერთმა, თქვენი ბედნიერებისთვის რომ ვზრუნავ, მატყობთ ხომ?..

აგერ, დედათქვენს ჰკითხეთ... ასე არაა, კესარია? არ გახსოვს, რა დავიდა-რაბა გადამხდომია თავს! ერთხელ კინალამ წისქვილის ქვეც მობრუნდა ჩემს თავზე, მოკოდილ დოლაბს რომ მარტო დავუპირე ჩემს ახალგაზრდობაში დაგება და ფეხი საგორაზე დამიკურდა. დამიკურდა და შიგ ქვის ქვეშ მოვყვივი, სწორედ რომ თავი დამრჩა გარეთ, თორემ შენც გემახსოვრება, კესარია, ურმით მომიტანეს. ჰოდა, რავე გგონიათ, შვილებო, ახლა რომ თქვენ ეცეთ იმოდენა დოლაბს და მარტომ დააპიროთ ალება და დადება, მე დაგანებებთ? ვერ დაგანებებთ, ვერ მოგცემთ ამის ნებას. იმიტომ, რომ მე ვიცი, მე თვითონ ამიწევია, მე თვითონ საკუთარ მხრებზე გამომიცდია მისი სიმძიმე. თუ ვტყუი, აგერაა დედათქვენი და ჰკითხეთ.

კესარია, იმის შიშით, რომ შვილებს მართლა რაიმე უბედურება არ შემთხვეოდათ და რაიმე ხიფათს არ გადააპყროდნენ, უდასტურებდა ლევანას და შვილებს უჩიჩინებდა:

— დაუჯერეთ, დედა გენაცვალოთ, დაუჯერეთ!

ლევანა თავს აქნევდა ასეთ დროს, ცოლის კმაყოფილი.

ეს გაუბედურებული, წაქეული და დაბეჩავებული კაცი, ამ სამ მიცვალებულს შეჩერებული, ძილში და ცხადში მუდამ ქორწილზე ოცნებობდა, როგორც ბედნიერების გვირგვინზე. ყველა ამქვეყნიური სიამოვნება მიწისთვის ჰქონდა მიბარებული და უზენაეს ბედნიერებას ეპოტინებოდა. ასე შემოიჭრებოდა ოთახში შუადღე, ასე მიიწურებოდა დღე, როცა უკვე შვილიშვილების სახელების შერჩევაზე იტეხდა თავს და კესარიას აჩუმებდა:

— ქალო, მაცალე, ნუ იცი ბიჭების გამართლება!

კარზე მთელი დღის ნაშიმშილები ნაგაზი მოუფხაჭუნებდა. ლევანა ისევ თავის საქმით იყო გართული, ისევ შვილიშვილების სახელებს არჩევდა. ამირანი ყველაფერზე თანახმა იყო, მამის ნათქვამს არ გადადიოდა, მაგრამ ნოშრევანი არ იშლიდა თავისას, რაღაც უცხოს და ჯერ გაუგონარ სახელს იჩემებდა. ეს არ მოსწონდა ლევანას. კესარია შვილის მხარს იჭერდა.

— მისი შვილია, ენაცვალოს დედა, რაც გაუხარდეს, ის დაარქვას.

ლევანა ჯავრობდა, ცოლს აჩუმებდა:

— მისი თუ შვილია, მე რა, მე ვინა ვარ! მე მეტი ვიცი, კესარია, ოჯახის უფროსი მე მქვია, მაგას თუ წიგნი წაუკითხავს, მე რა, ამ ქვეყანას ტყუილა შევაბერდი, არაფერი გამეგება ვითომ?

ძალი იხევ მოუფხაჭუნებდა კარებს და როცა ერთ გრძელ და შემზარავ ყმუილს გააბამდა, აკრეფდა ლევანა უსიცოცხლოდ დაყრილ ხელ-ფეხს, გამოძვრებოდა ოთახიდან, ქურდულად ჩაირბენდა, ისე, რომ არავისთვის შეეხედა, არავისთვის თვალი არ მოეკრა და ქარისაგან გადაბრეცილ და სახურავგაძარცულ სამზადში შეიკუნტებოდა.

ძალგამოცდილი, ყურებჩამოყრილი და კულდაშვებული ნაგაზი ფრთხილად

ჩამოყვებოდა ხავსმოდებულ კიბეებს, ეზოში მოდებულ შამბში დაიკარგებოდა და სამზადის კარებთან მოწყვეტით წაიქცეოდა.

მთელი ეზო ხეხილითა და ვენახით, ბოსტნითა და ბაღით, გაუვალ გლერტას წაელეკა, თივა ბალახს და ანწლს ჰქონდა დაფარული, ბალახი ჰყვოდა სასიმინდის ქვეშ, ოდა სახლის ლაფაროში და სამზადის აივანში. ბალახი ბიბინებდა ხავსმოდებულ კიბის საფეხურებთან და ალაგესთან, ბალახი ვაძგრა ჭიშკრის ლატანებში და მზეს გადახედა. მხოლოდ ერთადერთი ბილიკი ჩანდა ეზოში, რომელიც ეზოს ბოლოს ვიწრო ჭიშკრიდან მოდიოდა კიბემდე და კიბიდან სამზად სახლამდე.

ამ ბილიკით გამოჩნდებოდნენ დილა-სალამოს ლევანას ახლობლები: რძლე-ბი, ძმისშვილები და მობიძაშვილები, მეზობლები. შემხოზილ ჯამებს სამზადში დაღვამდნენ, ოთახის ჭუჭრუტანაში შეხედავდნენ გულადმა გაშხვართულ ლევანას, ვაი, შე უბედურსო — ჩურჩულით შეავლებდნენ თვალს და კიბეს უხმაუროდ ჩამოვილიდნენ. დაადგებოდნენ ბილიკს, გაიხურავდნენ ეზოს ბოლოში გამავალ ვიწრო ჭიშკარს და წავიდოდნენ. ველარ უბედავდნენ ლევანას ნუგეშის ცემას. შიშობდნენ — ვაი თუ მართლაც აღარ შემობრუნდესო.

„რილასთვის უნდა შემოვბრუნდე, უკან რაღა დამჩენია გაციებული ძვლების მეტი“... მთელი არსებით იქ იყო გადასახლებული, სადაც მისი ოჯახის ყველა წევრი წავიდა... ახლა ის ამ ჭილოფზე წაქცეული თითქოს იქაურ ცხოვრებას აწყობდა და აწესრიგებდა. კესარიას წასვლა არც გაჰკვირვებია, ეს იყო, რომ მერე ძილად მიეგდო. კესარია უნდა წასულიყო, ამის საჭიროებას კარგად გრძნობდა ლევანა, რადგან უცოლოშვილო ვაჟკაცებს დედის ხელი ჯერაც სჭირდებოდათ, საფლავში ჩაშვებული ცოლის კუბოსაც ეს მიაძახა: — შენ იცი, კესარია, ბიჭებს მიხედო.

ეს არც ხალხს გაუოცებია, ლევანას კვერი დაუკრეს: კი მოუვლის, ნუ გადარდება, კესარია არაფერს გაუჭირვებს შენს ვაჟიშვილებსო. ხალხი კეთილ ნუგეშს არ აკლებდა, მაგრამ ნუგეშიც რომ აღარაფერს შეელოდა!

ჯერ კიდევ მაშინაც ყველაფერი ამო გამოდგა, როცა რაჰის ვზებზე გადავარდნილი, მანქანით თავგაჩხილი ვაჟკაცები ჩამოუტანეს ეზოში. ის იყო, ლევანამ მაქანკალი გაისტუმრა; ვერ შეუთანხმდა ენაგაკრეფილ შუამავალს, ასე ადვილად ვერ გადაეწყვიტა შვილის ბედი. ეშინოდა ვინმეს უსიამოს და უგერგილოს არ გადაჰყროდა. ორი შვილი ჰყავდა, ორი სანთელი, რაღაც გამოუტნობი სიყვარულით უყვარდა. ყველაფერში ფრთხილი და დაკვირვებული იყო, რაც შვილებზე ეხებოდა. შვილებზე ფიქრში მთელი ღამეები არ ეძინა და უძილობა არ აწუხებდა, შვილებზე ზრუნვაში მთელი დღეები შრომობდა და დაღლას არ გრძნობდა.

მაშაცა და მაშაც, მაგრამ ლევანა სხვანაირი მამა იყო, სულ სხვაგვარად მოსიყვარულე მამა.

და ერთ დღეს კარზე ასე მიაყენეს ორი შვილი, ორი ჩამქრალი სანთელი. ზეზეულად გახმა ლევანა, ზეზეულად ჩაქრა ლევანა, წვეთი ცრემლი რაა, მას მერე თვალთავან არ გავარდნია. დაიჩემა ქორწილი და დარდზე ლოგინად ჩავარდნილ კესარიას არ ასვენებდა — ასე დაწოლილს გიყურებ, მტერმოყვარეს როგორ შეხვდებიო. საქმეს ერთიანად შეუშვა ხელი. ყანა, ტყე, ვენახი ბალახად წავიდა. კესარიას უვლიდა ვითომ, ოჯახსაც პატრონობდა, მაგრამ შვილებზე ფიქრობდა და შვილებზე ზრუნავდა.

არაფერმა არ გაჭრა, არავისი რჩევა არ იღო ყურად და არაფრით არ ირწმუნ-

ნა, რომ შეილები არ ჰყავდა, რომ ქორწილი არ ჰქონდა გადასახდელი. ყველაშ დაასკვნა, რომ ლევანა ჰკუხუხე შეცდა, ლევანა შეიშალა და არავეის დიდად არ გაჰკვირვებია. რამდენს არ ეცადნენ გარედან ხელის შეწყობას: ეძახდა მეზობელი, ნათესავი, მოკეთე, საციქვლობდნენ, ჰკუხას ეკითხებოდნენ, ვალს თხოვდნენ, ივალბდნენ. ბრივადირმა ხარებიც არ გადააბარა სხვას. იმედოვნებდნენ, იქნებ გული მოიბრუნოსო, იქნებ მშრომელ და მუყაით კაცს ჰქეყანაზე გული მოუბრუნდესო, მაგრამ ლევანასათვის უკვე სულერთი იყო.

ასე მიდიოდა დღეები, კვირეები, თვეები. საღამოობით გამოძვრებოდა სახლიდან, რალაც ინსტინქტით სამზადში შეძვრებოდა, ერთ-ორ ლუქმას ჩაყლაპავდა, ძალს შექმანდს და ნარჩენ მკადს მიუდგამდა და საიქიოდან მობრუნებული კაცივით, რომ არავინ დავაფრთხოო, შევარდებოდა ოთახში, გაუღიმებდა სურათებს, წაიქცეოდა და მიიძინებდა.

ერთ ღამეს ჩვეულებრივ ეძინა ლევანას, ჩვეულებრივ საქმიანობდა ოჯახში, ჩვეულებრივ პატრონობდა ოჯახს, რომ ეზოს ამირანი მოადგა ურმით. ხარები ზრუტუნებდნენ ჰიშკართან და ფეხებს აბაკუნებდნენ. ლევანამ გახედა, მაგრამ ამირანი არ იყო ურემზე, ხარები კი მოდგომოდნენ ჰიშკარს და შემოსვლას ითხოვდნენ.

— სად გაქა ეს ბიჭი, — გაუკვირდა ლევანას, — ასე ხარ-ურმის მიტოვება გაგონილა?

— სად იქნება, დედა ენაცვალოს... — დაიწყო კესარიამ.

— ჩუ, ქალო, ნუ იცი, სად ნახე ხარ-ურმის ასე უპატრონოდ გამოშვება!

— დედა ენაცვალოს... — ისევ დაიწყო ცოლმა, მაგრამ ლევანა მიხედა, რომ ამირანი იქ იყო. ისიდორეს ქალიშვილს ელაპარაკებოდა, ალბათ, მის სახლთან.

ხარმა დაიბღავლა, ძალღი აყმუვლდა.

წამოდგა ლევანა, კარები გამოაღო და გაიხედა. მთვარიანი ღამე იყო, აღმოსავლეთის ქარი ოდნავ უბერავდა.

— ამოტყდა ეს დასაქციევი, — ამოხდა ლევანას, ისე, როგორც ადრე იცოდა ხოლმე, როცა ზენა ქარი გვიან ღამით დაიწყებდა სისინს.

ჰიშკარის ლატანებში გამძვრალ ბალახს ეპოტინებოდა რქებგაშლილი, ნისლისფერი ხარი. მეორე, შავხალებიანი, რქებწამახული წითელი ნიკორა ლევანას დიდხინს უნახავ შეილივით უცქერდა და ზრუტუნებდა.

ლევანამ კიბეებზე ჩამოირბინა და ჰიშკარს ეცა, გახლართულ ბალახებს ძლივს გამოგლიჯა ცალი საურმე კარი და ხარები ეზოში შემოუშვა. ნიკორამ ლევანას ხელზე მოუსვა გრძელი ხაოიანი ენა, შუბლი და თვალი მკლავზე ააფხანა, ნისლა იქვე, ლევანას ფეხთან გლეჯდა მუხლისთავზე აცილებულ გლერთას.

შვილებივით ნაფერები და ნალოლიავები ხარები ლევანას ფეხებთან აკდებოდნენ ბალახს. ნისლა ხშირად ასწევდა თავს, ლევანას მუხლზე და საჯდომზე გაცრეცილ შარვალს უცქერდა. ალბათ უკვირდა პირუტყვის: ლევანა მიწის არშა იყო, მაგრამ ყოველთვის სიკოხტავე და კარგი ჩაცმა უყვარდა, კავსაც ეს არააოდეს ურიგოდ ჩაცმული არ გაჰყვებოდა. ნისლა შარვალსა და ხალათზე უსვამდა ენას, ხელებს ულოკავდა და ისევ ბალახს ეტანებოდა. ნიკორა ფეხ-აუღდგმელ გლერთას გლეჯდა, ისიც იქვე ლევანასთან იტებდა კისერს. ლევანას გზისკენ ეჭირა თვალი, ამირანს ელოდა. მთვარე მადლა-მადლა იწევდა, მალე საშუადღეოზე წამოვიდოდა, ამირანი არ ჩანდა, ამირანის დაბრუნებას არ

ადგებოდა საშველი. ბრაზობდა ლევანა, ამ მუნჯს რა აქვს ამდენი სალაპარაკო, უკვირდა. ხარები ფშვინავდნენ, გლეჯდნენ ბალახს, იქნევდნენ თავს და ნისლა ისევ ახედავდა პატრონს, ნიკორა ერთხანს წაყვებოდა ბალახს, მაგრამ ისევ უკან მობრუნდებოდა და პატრონის ფეხებთან წიწკნიდა უკვე გადაკმულ ბალახს.

გადაიწია მთვარე, გაუფერულდა, გაიცრია. ამირანის გამოჩენას არ დადგა საშველი. გაძღა ნიკორა და იქვე ჩაიმუხლა წინა ფეხზე, უკანა მოიკეცა და ფშვინავით დაწვა. უკვე გამძღარი ნისლა პატრონის მკლავს აფხანდა თავს და ხაოიან ენას უსვამდა მარჯვენაზე.

ცისკრის ვარსკვლავმა ამოიხედა აღმოსავლეთით, ქარი უმატებდა.

— მალე გათენდება, — ამოილაპარაკა ლევანამ, — ქარი ამოყვება მზეს, გაგვალავს ეს არაწმინდა. ღღის იქით სახნისი არ მოეციდება საყანეს. სადაა ეს ბიჭი!

ნიკორა მშვიდად ფშვინავდა ლევანას ფეხებთან. დაწვა ნისლაც. ლევანაც ჩაიკეცა იქვე და სმენად იქცა, იქნებ ფეხის ხმა გაიგონოს, იქნებ ეღირსოს ამირანს გამოჩენა.

ჭიშკართან, ხავსმოდებულ, დაყამირებულ თუთაზე ჩიტი აფრთხილდა, აქლურტულდა ჯერ გაუბედავად, მერე მეზობლის ეზოდან გაეხმინა მეორე, გული მოეცა, ხმას აუწია, ახტა, ტოტიდან მაღალ ტოტზე გადაინაცვლა და აქიკიკდა.

ლევანა წამოდგა.

ჩიტი ვერ დაასრუბდა ლევანას წამოდგომას. ჭიშკართან მივიდა, თვალი გააყოლა შარას, ამირანი არსად ჩანდა.

— სად ჯანდაბასაა, ეს ოჯახქორი, — ველარ დაფარა ბრაზი ლევანამ და ქვეშამადგ გამოცლილი ურემი წამოაყენა. აპურები შეღებობოდა ქაცვის ხის ტაბიკებს. სამზადს უკან მოუარა, ქილუქის თავში იცოდა ლევანამ სააპურე მოკლე ბაწრის გადადება.

სახნისი დაყანგებულებო, ერქენის სახელური მონჯღრეულიყო. წალდი გამოადრო კედლიდან, სასოლედ ეკლის და მუხის მოკლე გაღანაჭრები გამოიტანა იატაკქვეშ შემოშენებულ სახაბაკოდან.

ცალი თვალი ისევ გზისკენ ეჭირა. საცაა გამოჩნდება ამირანი. აჩქარდა ლევანა, საულლე ხე მოათრია, გარწყო შუაზე, ღვლეკს ჩასაბამი ჩაუთალა, სატაბიკეები ჩაუბურღა...

ისევ არ ეშველა ამირანის გამოჩენას, ქარი კი მოძალდა, უსათუოდ გამოგვალავს, ხვალ სახნისი არ დაეკარება საყანეს.

— მარა, — ლევანამ შუბლზე მიიღო ხელი, — ვინ იცის, იქნებ იქ მელოდება ამირანი ყანაში. იცოდა ასე ამირანმა, ხარებს მამას დაუტოვებდა, თვითონ მარტო თოხს გაიდებდა მხარზე და გასწევდა ნაადრევი ყანის გამოსათოხნად.

თოხი მოიძებნა ლევანამ.

არა, თოხები სამივე იქ ეწყო სამზადის უკან ქილუქზე მიბჯენილი.

ბარი?

ბარი არ ჩანდა, არც ერთი ბარი არ იყო სახლში, სად გაქრა ბარები, ნუთუ ყველა წაიღო ამირანმა?

— ჰმ, წაუღია, — დაასკვნა ბოლოს.

— წასულა, — ამოილაპარაკა უკვე საქმიანად და ხარები წამოაგდო ბიის ნედლი წინელით.

დაფაცურდა, შეაბა სწრაფად, ზედ გუთანი შეაგდო და გასწია უკან-
მოუხედავად, ჭიშკრის მოუხურავად, სიტყვის უთქმელად.

სოფელი იღვიძებდა, როცა ლევანა ფართობებში გავიდა. არხში ჩაცვივდ-
ნენ ხარები წყლისთვის. ლევანამ უკან დაიწია ღერძისაკენ, რომ სმის დროს ხა-
რებს არ გაჭირვებოდათ ქედზე დაბჯენილი უღელი. მერე ტყის პირს დაუყვა,
პატარა, სახელდახელო ბოგირზე გაუძღვა ხარებს. ნისლას არ უყვარდა ხიდები
და მუდამ შუაგულისკენ მიიწევდა. გადაიარა ღელის პირზე და ტირიფის ქვეშ
დააყენა ურემი.

ამირანი არ ჩანდა, სახნავი ბევრი არ იყო დარჩენილი, მაგრამ დღეს მაინც
ვერ მოასწრებდა. ამირანმა ზომიერი მუშაობა იცის, ხარს თავის დროზე გა-
მოუშვებს, არ გადაღლის პირუტყვს. დღეს კი ქარია, გამოგვალავს სახნავს და
ხვალ აღარ მოიხვნება.

ხარები გამოუშვა და ტყისკენ გასწია წალდით. მუხის სწორი, ნახარდი
ტოტები აირჩია, გზადაგზა გააცალა ფოთლები და წვრილი ტოტები, ძირზე ფე-
ხებით დაადგა და წვრილად დაუწყო ღვლეკა. ძირამდე ჩაუყვა, დაგრინა, გამო-
ნასკვა და უღელზე, მრგვალ უღელზე ჩამოაგო.

მერე ხარებს გამოუჭირა აბეურები, სახნისი მოდო ღვლეკს და ამირანის
გავლებულ კვალს ჩააყოლა.

გვალავდა მიწას, უჭირდა სახნისს, ხარები შეჩერდებოდნენ, მიაწყდებოდ-
ნენ უღელს და უშველებელი ბელტი დაეცემოდა ლევანას ფეხებში.

კვალი გამრუდებოდა ზოგან ამირანს. არ ეამა ლევანას, ეს არ უნდა მოსვ-
ლოდა კარგ მებრეს. ხარებს გადაუჭირა სახრე, სახნისი აისროლა ხმელმა ბელ-
ტმა და ლევანა გაითრია. კარგა ხანს ვერ მოეკიდა სახნისი მიწას, მერე მარჯვედ
ჩააცივდა მანქს და მიწას ჩაშტერებით ჩააცქერდა.

მოძვრებოდა სახნისი, სწევდა მალა, ბურღავდა მიწას, მერე ქუსლი აბობ-
და ორად ბელტებს და მარჯვნივ და მარცხნივ ყრიდა, ანგრევდა ბელტს ბელტ-
ზე და ისევ მიძვრებოდა სახნისი.

სერელის თავში გუთანი ჩამოითრია მებრემ, ფეხით დააწვა გუთნის
ქუსლს. ურჩობდა გაგვალული მიწა, მაგრამ მანქზე დახრილი მძიმედ აწვევოდა
ლევანა.

ისევ გადაწვა ბელტი ბელტზე, ისევ გაუჭირდათ ნაგვალავი მიწის გარღვე-
ვა ხარებს და შეჩერდნენ.

— აჰა, მიდი, ო! — სახრე გადაუჭირა ლევანამ.

მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა. შეეშინდა საკუთარი ხმის. თითქოს რაღა-
ცას მიხედა, თითქოს რაღაც გაუკვირდა. ხარები უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ
ნისლამ გვერდზე გადაიწია, გადაიწია ნიკორაც და ნახნავეში გადავიდა. ლევანამ
სახრე შემოჰკრა მარჯვნიდან.

— გარე გამოდი, ო, — უშუძახა და, როცა ისევ გადაწვა ბელტი ბელტზე,
დაავიწყდა წელანდელი შიში თუ გაოცება.

მზე მცხუნვარედ ამოძვრა, შიგ თვალებში ეცა მებრეს. მარცხენა ხელი
აიფარა შუბლზე, რაღაცის ისევ შეეშინდა, ეუტხოვა მზე.

შეჩერდნენ ხარები. ხელი მიაშველა მებრემ, მოარყია სახნისი, ჩამპალ
ჯირკს წადგომოდა.

— ხიი-ოო, ხიი-ოო, — ორივე ხელით დასწია ერქვანს. დაიწია ნისლა.
ნიკორას, საერთოდ, უკან დაწევა არ უყვარდა. ლევანამ წინიდან მოუარა. სახ-
რე აუქნია, უღელზე უბიძგა უკან, ძლივს ააცილა ჯირკს სახნისი, გამართა კვა-

ლი. აზვირთდა ბელტები. დაინგრა, დაიფშვნა გვალვისაგან გაჯიუტებული, გაკერპებული მიწა.

ისევ გადაავიწყდა ლევანას წედანდელი შიში და გაოცება. ისევ გულდაგულ ჩააცივდა მანჭს და თვალი ისევ მიწას ჩააშტერა. მიძვრებოდა სახნისი, ბურღავდა მიწას, ბზარავდა, ხეტქდა ორად, ოთხად, ათად, ოცად და მიძვრებოდა წინ.

ყვავმა გადაიქროლა ლევანას თავზე, უსიამოვნოდ დაიყრანტალა და ტირიფზე დაეშვა, დახნიქა ტოტი, ააფარფატა ფრთები, შეიკავა თავი და ისევ დაიჩხავლა.

შეერთა ლევანა, ხელი მოიჩრდილა და ტირიფს გახედა. ტირიფის ტოტი წყნარად აქანავებდა შავ ფრთოსანს. შიშია აიტანა ლევანა, რალაც გამოუტნობმა და ჯერ განუცდელმა. თვალს არ აშორებდა შავნისკარტას, ეუცხოვა, ყვავი რა ხანია არ უნახავს, ყვავი რა ხანია არ მოპგონებია.

ბელტს წამოეღო უეცრად, იმარჯვა, გადახტა, ერქვანს დაეყრდნო, მაგრამ ნაგვალავმა მიწამ სახნისი ამოისროლა და ზედ დაყრდნობილმა მეხრემ წონასწორობა დაჰკარგა, გადაიწია და ნახნავზე მხარიღლივ წავიდა.

ხარები წაქეუელ გუთანს მიათრევდნენ და სვრელის გატანას ჩქარობდნენ.

— ხარი ფეხს გადაიჭრის სახნისზე... ოოო, ნისლა, ნიკორა, ოო! — წამოდგა, წამოეწია, ეცა ერქვანს, აიტაცა ხელში და დააწვა. ჯერ ზევით აფხიკა სახნისმა, მერე წვრილი ბელტი ამოჰყარა და წავიდა ქვევით. გაბერა, გაბერა ნაგვალავი მიწა, გაბზარა, გააპო, გაარღვია და გადაწვა ბელტები.

ყვავმა ჯერ ტოტიდან ტოტზე გადაინაცვლა, ისევ უგუნებოდ დაიყრანტალა და ზანტად, უხალისოდ აიქნია ფრთები.

მზე აიწია. ლევანას ოფლის ნაკადები ჩამოჰყვა შუბლიდან, სახეზე მოდებულ გაბურღულ წვერ-ულვაშში გაიფანტა. ისევ წამოვიდა შუბლიდან, ისევ ისე და ლევანამ მარილის გემო და მწვავე ოფლის სუნი იგრძნო. ისევ ვასცრა ტანში, ისევ შეაჯრყოლა, მაგრამ ტუჩი ისევ მოიწმინდა ენის წვერით და ტანზე ამდგარი ოფლის სურნელი ისევ ხარბად შეისუნთქა. შეისუნთქა და შეცბა, ისევ შეუშვა ერქვანს ხელი, ოფლის და მუშა კაცის სუნი ისევ მიძვრებოდა ცხვირში. და ტუჩებზე ისევ მოგორავდა მარილიანი წვეთები.

გაჯიუტდა მიწა, შეათამაშა ერქვანი, გამრუდდა კვალი, ისევ ჩაეჭიდა ლევანა მანჭს, ისევ კვალის გამართუას შეუღდა, მაგრამ ნისლა ჯიუტობდა, არ დგებოდა კვალში. სახრე შეათამაშა ლევანამ, ნისლას ეს ჯერ არ უქნია.

— ში, ში, ო, — შეუძახა კიდევაც, მაგრამ ნისლა ისევ გარე იწვედა უხნავისაკენ. ისევ მოუქნია, გუთანი გადააფერდა, მაგრამ ხარვეზი მაინც დარჩა.

ხარვეზი არ უყვარდა ლევანას. მისი ნამუშევარი ასე კაცის ნამუშევარში გამოირჩეოდა ყოველთვის.

ლევანამ ახლა ეს ჩაიღო გუნებაში უკან ჩამობრუნებისას, აქეთობას გამოეხნავო.

მარჯვედ მოაბრუნა ხარები, გამოჰყვა უკან, წინ გაიხედა, ის გამორჩენილი მოძებნა თვალთ. უეცრად ბრიგადირს მოჰკრა თვალი, იღგა, შორიდან ღიმილით უცქერდა ლევანას, თქმით კი არაფერს ამბობდა.

ლევანას თავში დაარტყა რალაცამ. ალბათ ხელიდან გააგდებდა ერქვანს, მაგრამ აგერ, ხარვეზზე დადგა ნიკორა და ის იყო გვერდი ისევ უნდა აეჭკია უხნავად დარჩენილ. კუნძულისათვის. ისევ მოუქნია სახრე, შეუძახა, მაგრამ

უკვე გვიან იყო, გუთანი ისე გასცდა, რომ ლევანამ ვერ მოასწრო სახნისის გადაგდება.

— აქეთობასაც თუ გადამიჩჩა, მორჩა, მერე ველარ მივწვდები. — იცოდა ლევანამ, სამ კვალგანავლებ სახნავს იქით დარჩენილს თუ შემდეგ ისევ გადაუგდება სახნისს, ამით ახალ კვალს გამრუდავდა და ახლა იმის თადარიგში იყო, მალე ჩამოველო უკან და ეს თვალში ეკლად დარჩენილი ხარვეზი აენგრია.

მზე თავის საბრძანბლის მწვერვალზე ავიდა და თავშიშველ ლევანას გაურისხდა. ცხელი ქარი ისევ დათარეშობდა.

ლევანამ თვალით ვაზომა სახნავი და უხნავს შეუფარდა. მოასწრებდა დღეს? ვინ იცის, საეჭვო იყო.

ლევანამ სახრე აქწინა. ისევ მანჭს დააწვა, როგორმე დღეს უნდა მოესწრო. ამდამ თუ ქარი იქნებოდა, რასაკვირველია, ხვალ ტყუილად დახოცავდა ხარებს და თავსაც ტყუილად გაიმეტებდა.

გადაწვა ბელტი ბელტზე. გამოყოჩა ოფლმა პერანგსა და ხალათში, აუწვა თვალები, ცხვირიდან წამოვიდა ოფლის წვეთები.

მზე თავდაღმართზე იოლად წავიდა. გაუადვილდა გზა და დაცხრა. დაშოშმინდა, დატკბა და ღიმილით მიგორდა ლურჯ მთებთან. იქ გაწითლდა, დაიარცხინა, აკვალთა სხივები და მთების მიღმა ჩაატურდა.

ხარები უხნავში წამოსულ ბალახს ეპოტინებოდნენ და გუთანს ხან აქეთ და ხან იქით ეწეოდნენ, მაგრამ ლევანა ისევ მარჯვედ ხმარობდა სახრეს, არ ანებებდა გასამრუდებლად, ამდამ დიდ პატივისცემას ჰპირდებოდა.

გვიან შემოგორდა ლევანა კიკაბიძის ეზოში ურემი. დამშვეული ხარები ხარბად ეძგერნენ ათოთინებულ ბალახს. ლევანამ ძოვისას ძლივს გაუსხნა აპეურები და უღელი გადააძრო. ურემს ქვეშადაგი შეუყენა. მინდორზე დაეშვა, ხარებს შორის ჩაწვა. დაწვა და თითქოს ისევ შემინდა, ისევ გააყრკოლა, წამოდგომა დააპირა, მიიხედ-მოიხედა, რალაც ბრჭყვიალეზბდა, ელავდა მთვარის შუქზე, რალაც ციმციმებდა, რალაც თითქოს იცინოდა ლევანას ეზოში.

დააკვირდა, დიდხანს მინც ვერ მიხვდა, რა იყო ურემზე ასეთი. დიდხანს შიშით, ცახცახით შესცქეროდა ამ სიცილს.

სახნისი ელვარებდა მთვარის შუქზე.

ლევანა გულაღმა დაეცა და ჩაეძინა.

ხარები იქვე გლეჯდნენ ბალახს. დილასაც იქვე, ლევანას გვერდით დაწოლილები შეხვდნენ.

დღის სინათლემ გამოადვიდა მძინარე. მძიმედ მოისრისა თვალები, წინ გაიხედა. ღია ჭიშკარი, ურემი, ლაპლაბა სახნისი, ხარები. უკან მოტრიალდა და მოქუფრული ოდა, შავფარდინი ფანჯრები, სახურავგადაცლილი სამზადი და სამზადის წინ კარებთან მიწოლილი ბებერი ნაგაზი.

— შვილები! — იკითხა ლევანამ. — შვილები! — გაიმეორა უფრო ხმამალა.

— შვილებო!.. შვილებო, სადა ხართ, შვილებო! — უკვე მთელ სოფელს ესმის ხმა.

შვილები არ უხნავს წუხელ სიზმარში ლევანას.



მთავარი კუჩაკა

საქართველოში ბევრი ხეგია

კომეზა

საქართველოში ბევრი ხეგია —
ხევი ვარაზის, ხევი არმაზის,
სალი კლდეებით შემოხერგილი
და ერთმანეთზე უფრო ლამაზი.
ხან მყინვარებით ტერზე შემდგარა,
ხან მოქარგულა ვრცელი ტაშირით
ჩემი ლამაზი ვაზის ქვეყანა,
მტკერის და რიონის ფრთებად გაშლილი.
აქ გაგიტაცებს ფერთა სინაზე,
იქ გატყვევებენ ხოდაბუნები.
ამოირბენენ მთაზე ვაზები,
გადმოგძახებენ: „ხომ დაბრუნდები!“
გზას კი სოფლიდან სოფლად შეკყავხარ,
მოგსდევს მდინარე მთვარის დაირით...
ხუთიოდე დღის სავალ ქვეყანას
წლების მანძილზე ველარ დაივლი.
საქართველოში როცა ფრთებს გაშლი,
ფიქრობ: ზღაპრული ეპოვე სამოთხე!
არ შეიძლება ნახო ამაში
და წამით მაინც აღარ ჩამოხტე.
საქართველოში ბევრი წყალია,
მე კი ცუდლარზე ჩანგი მოემართე.
გარშემო მწვანე მოლი ავლია
და, ძონძებივით, ტალღებს მოათრევს.
არ უმშვენებენ ნაპირს ალვები,

მისთვის კალმახი ნატერისთვალა.
კოლოები და თავკომბალები,
სხვა არაფერი ატიალა.
გერივით გასცქერს ეკის მთაგორებს,
შავად მოუჩანს ცუდლარს ზვირთები.
მისი დანახვა ერთ კაცს მაგონებს,
მათზე სიმღერად გავიკრიფები.
დასაბამიდან ვერ გამართულა,
ვერ მოუხიბლავს ცუდლარს მნახელი.
კარგი ჰყოლია ბეჩავს ნათლია,
რომ არ შეარქვა თერგის სახელი.
დაე, გადასწვდეს მოდგმიდან მოდგმას,
იფრინოს სიტყვამ დანაქუხარმა:
— ხალხისთვის ურგებს, არაფრის

მომტანს,
ღარსაც იცნობენ ჩვენში ცუდლარად.
ერთი სიმართლის ძალაც ვიწამე,
მამხნევეს გულში შუქად გამჯდარი:
— სჯობს, მტვერი იყო შენი მიწისა,
ვიდრე სხვა ქვეყნის ბუქდის მარჯანი!
მისთვის ვახსენებ ამ ღარს პატარას,
მისთვის ვუკოცნი შემხმარ ბალახებს.
ყველას თავისი ტკივილი ტკივა,
ყველას თავისი ფიქრი ამაღლებს.
იქნებ ცუდლარიც ვნახო გაშლილი,
იქნებ გვალებმა ველარ დააშრონი
მსურს ავიყვანო ხელში ბავშვივით,
მხარზე შევისვა და ვათამაშო.

*ბეჭდვება მცარე შემოკლებით.



ტოტზე ნიბლია ზის განაბული,
 ნიავი ურხევს ფოთლის მარაოს.
 ველზე მთიბავი მღერის ვაბმულად:
 — ქურდი რომ ვიყო, მოვიპარავო.
 ალბათ ოცნებით სულისწორს უმზერს
 და ელანდება სახე ნატიფი.
 ოფლი ნამივით დაღვრია გულზე,
 ირგვლივ შრიალით წვება ნათიბი.
 ხისქვეშ დოქია გვერდზე წახრილი,
 თავზე ფოთლების ჩრდილი აბურავს
 და იქვე, ენაგამოვარდნილი,
 წამოწოლილა ძაღლი ბამბურა.
 ჭრელ ჩიქილაში გამოხვეული
 ტოტზე ჰკიდია თბილი სადილი.
 მოვის პერანგი მოჩანს მახლობლად
 ალბათ ტოტიდან ჩამოვარდნილი.
 შორს აზიდულა მთა ნისლიანი,
 ირგვლივ შრიალი ისმის ლერწამთა.
 ველზე გამოჩნდა ქალი თმიანი,
 ვისი მოპარვაც მთიბავს ეწადა.
 — არჩილ, — მოუხმო ვაჟს სიჩუმეში,
 გოგონას გული ხალისით უტეხს.
 თითქო სინათლე ასურავს პეშვით,
 შემოტრიალდა არჩილი უცეხ;
 თამამად შედგა ქალის წინაშე,
 — ნინო, — მისი ხმაც ჩუმად გაისმა.
 და დარხეული თმების წვიმაში
 თრთის თოვლისფერი მკერდი ქალისა.
 ნინო შლის მანდილს, თან თვალებს
 ნაბავს,
 ვაჟს ვაშლებს აწვდის გრძნობით
 აღსავსე.
 — არ შეგენიშნონო, — დასძენს და
 სწრაფად
 წაგოგმანდება ტრიალ დაღმართზე.
 მიდის, ღიმილი უმშვენებს სახეს,
 წინ გადაშლილან სოფლის უბნები.
 ცაზე არა ჩანს ღრუბლის ნასახი,
 უცებ მიწიდან ასხლტა ღრუბელი:
 გაცოფებული მორბის კამეჩი,
 ღიმი გაუკრთა ასულს იმწამსვე.
 მორბის, დაჭრილი, ორლობებში,
 სისხლის ნაპერწყლებს ანეწს მიწაზე.
 წამით შეჩერდა ნინო შემკრთალი,
 როგორ გაექცეს პირუტყვის ცოფიანს!

— გზები შეჰკარით! გზები შეჰკარით! —
 შეძახილები ისმის სოფლიდან.
 ბარდნარს ეკვეთა კამეჩი რქებით,
 თვალეში სისხლის ფერმა გადაჰკრა.
 გზას მისდევს ნინო გაშლილი თმებით,
 შავი სიკვდილი მისდევს კვალდაკვალ.
 მაგრამ... ეს ვინლა აპირებს შევლას
 მალლა აწვდილი ცელის ტრიალით?
 ჰა, სიკვდილსა და გოგონას შუა
 ჩადგა ჭაბუჯი მხარბუქიანი;
 — გაიქეც, ნინო, — ფიცხლად შესძახა,
 თვითონ კი რქებში მისწვდა ცოფიანს.
 ახლა იხუვლა გარშემო ხალხმა,
 ქარმა მათი ხმა მიწოდოს მოპოვანა.
 პირუტყვის თვალში ცეცხლი ტრიალებს,
 გადმოთქრიალებს სისხლი ისრებად.
 რქები აძგერა არჩილს ტიალმა
 და ნაფოტივით გადაისროლა...



ჩადგა გრიგალი მოულოდნელი,
 დრო დადგა საქმის აწონ-დაწონვის.
 მდინარის პირას ჩანან ლოდები,
 ვით კამეჩები ლაფში ნაწოლი.
 მდინარის პირას წვეს რქაგაქრული,
 თვალჩანისლული ვაჟი მკენესარი.
 დასჩურჩულებენ მღელვარე გულით:
 — ვაი, ბედშავნი რას მოვესწარით!
 ნინო სულთმობრძავს ხელს რომ
 შეახებეს,
 მის გულში თითქო დანა ტრიალებს.
 მე შემწირაო სიცოცხლე, ხალხო,
 მე მოვეკალო იმ სატიალეს.
 ახლოს შეკივლა არჩილის დედამ,
 ცივმა კივილმა გული გათანგა.
 დედის ხმამ ვაჟი გამოახედა,
 ჩამოაცალა ჩრდილი თვალთაგან.
 დედას მწოლარი როგორ დავხვედვო,
 შეშინდებაო დედა საწყალი.
 წამოიწია წამოსახტომად,
 მაგრამ არ ეყო ძალა დამცხრალი.
 ისევ დაეცა მტვრიან ლოდებთან,
 თითქო ნიავიც თავზე ევლებათ...
 ველარ უშველა დედის გოდებამ,
 ვერ გაუშთელა მკერდი ცრემლებმა...

— დედავ, ბედშავო, რა უნდა გითხრა,
ვით მოვანიჭო მე ძლიერება.

ჭარში მეხივით ნასროლი სიტყვაც
ვერ დაგიბრუნებს ბედნიერებას.

გხედავ, თვალეშში ჩაგიდგა ბინდი,
დაგწვეს — უტეცხლოდ, დაგჭრეს —
ურკინოდ.

ეს ქვეყანა ხომ სარკვა დიდი,
ჩახედე, მარტო შენსას ნუ ჰკვირობ.

ათასი გული კენესის და ტოკავს,
ცრემლი გადმოსდის ხალხს დაბა-ლუბით.

ვილაყ იძახის: „ქალისთვის მოკვდა“
ვილაყ ჩურჩულებს: „ქალმა დალუბა“

ნინომ ნელინელ დასტოვა ხალხი,
კენესის, ქვითინებს შენაშფოთები.

მიდის და ისევ მდინარის ახლოს
კამეჩებვით წვანან ლოდები.

მორევს ჩასტკერის წარბებშეყერილი,
ნიავეს სათქმელი სურს დააბაროს.

— მშვიდობით, არჩილ, — თქვა და...
მეხივით

გავარდა სიტყვა: „შესდექ, საბრალოვ“
ასული ელვამ მოსცელა თითქო,

ცრემლმა დაწვეები ჩამოურეცხა.
— შენა ხარ, არჩილ? — მისი ხმის

სითბომ
შეაყრიალა ჰაბუქს უეცრად.

შერყეულაო საბრალო ქალმ
თვალს ახელს, თავსაც ასწევს ხანდახან.

ჩახედა ვაჟმა და მთელის ძალით:
— ლევანი ვარო, — ასე ჩასძახა...

ნაო თვალთა მთელი აბაშის,
ქვითინით ებრძვის წუთებს ელვიანს.

მე მისი გულის რვეულს გადავშლ^ე,
ნახეთ რა ნისლი დაუტეგია.

დღეს ის არჩილმა დაფარა მკერდით
და გადმოხეთქა მკერდიდან სისხლმა.

ჩვენ რომ გვეგონა იხსნაო ერთი,
შან თურმე ორთა სიცოცხლე იხსნა.

დაღამდა. სოფელს ჩასთვლიმა მშვიდად,
თითქოს რაც მოხდა, არც მომხდარიყოს.

წვიმის შხეფები დაეშვა ციდან
და ნინოს გული ფიჭრმა წაიღო.

გარეთ, ეზოში, ფუსფუსებს დედა,
მკერდში უშფოთავს სევდა ირაოდ:

გადამირჩაო ასული ბედად,
მაგრამ სხვისი ძე შეიწირაო.

შორს ისევ კივის შეილმკვლარი ქალი,
ირგვლივ დამეა, ირგვლივ ნისლია.

ცუღლარის პირას ქვითინებს ქარი
და წვიმა რეცხავს კენჭებს სისხლიანს.

ცახცახებს ნინო, ცრემლებს ღვრის
ჩუმად,

დარდი ვის როგორ გაუწაწილოს!
— არჩილმა სული შემინარჩუნა,

მე მისი შვილი როგორ გავწირო!
ცოდვილიანი ქვეყნად ვით დავრჩე,

ქმარი არა მყავს, შვილს რა ვუშველო? —
ქვითინებს ნინო, — ვაიმე არჩილ,

ვის დავანახო ბავშვი უშენოდ...

ნინოს ტრფიალმა ბევრი დაღალა,
ბევრი გასტეხეს დამე ბიჭებმა...

ოღონდ ისურვოს, მის წასაყვანად
ათასი ერთად წამოიჭრება.

მაგრამ თბოდ კერას როგორ გამართავს
ქალი ფეხმძიმე, გულს გადღასმული?

როგორ იქნება იცხოვროს ქმართან
და დაფარული ჰქონდეს წარსული!

იცრუოს? რჯულად ეს როდი
მოსდგამს,

ვერ შეიფერებს მაცდურ საბურველს.
ამხილოს? არეინ შეუნდობს ცოდვას,

ყველა ვაჟკაცი პირს შეაბრუნებს.
მაგრამ ლევანი? ის რომ ამ დილით

თავის დახრჩობას გადაარჩინა?
იმედმა ტკივილს მოჰგვარა ძილი

და მღელვარება წამით დაჩრდილა.
იქნებ ლევანმა შეუნდოს ცოდვა,

ტრფობით დამწვარმა და... ნაცოლარმა.
იქნებ ერთგულად იცხოვროს ცოლთან,

გზა გაუნათოს ნინოს მომავალს?



• • •

ცულდარის პირას შეენის აბაშას
გადატყეპნილი ერთი ალაგი.
აქ გლეხებს უყვართ ოცნების გაშლა
დაუღვეველი სიტყვის მარაგები.
ათასწლოვანი ჭადრის ტრატები
მათი ჩიბუხით შეზოლილია.
ჩამოსხდებიან შიშველ ლოდებზე,
ქვეყნიერებას შემოვივლიან.
აქ ერთობიან. დასასვენებლად
ამოირჩევენ უფრო კვირადღეს
და სიცილისგან ქამრები სწყდებათ,
როს ახელებენ სოფლის ბინადრებს.
— შე დალოცვილო, მართალი გვითხარ,
გვსურს მოგისმინოთ ჭაბუკს ჩვენთანს.
ჯერ ერთი წიგნი არ წაგიკითხავს,
სამკითხველოში რა დაგრჩენია?
რამ დაგავიწყათ ახალგაზრდები,
შებინდებამდე გაზეთს აწვალდებთ,
წაუკითხავი გრჩებათ გაზეთი,
თვალს არ ამორებთ ნინოს წაშფამებს...
ნინო მოცილილებს აღარც კი უსმენს,
თითქოს ჭაბუკებს თვლიდეს ლანდებად,
სამკითხველოს კარს დაკეტავს მწუხრზე
და შინისაკენ წაგოგმანდება.

• • •

სამკითხველოს წინ ლევანი დადის,
როგორც ყოველთვის, უქმად ყიალობს.
რომ ჰკითხო, პასუხს არ დავამაღლის:
— მუშაობაში რალა ჰყარიაო.
ხელის სიფართე ტყავის ქამარი
მოუტყერია წელზე უღმერთოდ.
ჩაიხითხითებს ვინმე ხუშარა:
სამკითხველოს კარს რად არ უღებთო!
გლეხებს შეხედავს დარღით ავსილი,
განგებ იღიმის, განა ხევდება.
სხვები დასძენენ: აგერ არისო!
და ნინოსაკენ გაახედებენ.
ლევანი მის წინ თამამად შედგა,
შინ მიდის ნინო დაღონებული.
თვალეში უკრთის უთქმელი სევდა,
მიუწვდენელი და შორეული.
წინ ფეხაკრფით შემოხვდით ბინდი,
ნეტავ ამ ცის ქვეშ დარჩენ ამაღამ!

ასულმა ლევანს შეხედა რიდიო
და აქვითინდა უცებ ხმამაღლა.
— მე რომ არჩილი მეტრფოლა, ლევან,
შენლა იცოდი, შენლა გჯეროდა, —
ჩურჩულებს ნინო, ქვითინით, ნელა,
ლევანს შესცქერის ფიქრთა ჩეროდან,—
ორლობის გასწვრივ ჭადრები თვლემენ
და ნინოს ხმაში მატულობს სევდა:
— მე ვიცი, ცოლად არ მითხოვ, ლევან,
ჩემი გულისხმა გესმოდეს, ნეტავ.
გეტყვი, გაგანდობ სატყვივარს მთავარს,
დაე, დღეიდან იყავ გზახსნილი:
შენ რომ იცნობდი, ის ნინო არ ვარ,
შენს წინ ქალი დგას ცოდვით აღვსილი!

• • •

იმ ღამეს ქარი ქროდა საზარლად,
ლევანი ფიქრით დღეებს ვამორდა.
ნინოს ნათქვამმა დასცა თავზარი,
თან მოავლდა ტყბილი ბავშვობაც.
არჩილთან ერთად სწავლობდა ანბანს,
პატარებს მერხიც ჰქონდათ ზიარი.
ხან პაპის ნათხრობს ისმენდნენ ამბავს,
ხან იღლებოდნენ ველზე ტრიალით.
ხტოდნენ, ცეკვავდნენ, არ

სჭირდებოდათ
აღარც დუღუკი, აღარც დაირა.
ნინო უყვარდათ ფარულად ორთა
წმინდად, ბავშვურად, რაღაცნაირად.
თუ მიუთვლიდნენ ვაშლებს ათამდის,
გოგონა ამას თვლიდა გმირობად.
ხან ერთს ეძახდა თავის ავთანდილს,
ხან მეორესთან თინათინობდა.
მაგრამ იმ დღეებს მალე გაშორდნენ,
თითქოს მდინარე სძლიერ მხარულთით,
ქალაქის გემზე დარჩათ ბავშვობა
და გულში გაჩნდა სხვა სიხარული.
არჩილს მოსწონდა სახლში ტრიალი,
გზას არ გასცქერდა ფართო ეზოდან,
ხან მკერდგაშლილი და ოფლიანი,
სოფლის ყანებში მიწას ებრძოდა.
ლევანი მუდამ სუფთად ჩაცმული,
დააბიჯებდა დარბაისლურად
და ნინოს მაინც გაუტყუა გული,
მასთან ბაასიც აღარ ისურვა.
დააქორწინეს ლევანი სხვაზე,

სარძლო მონახეს მშობლებმა თვითონ. დღეებმა მეტი შხამით აღაესეს და ვერა გრძნობდა ოჯახის სითბოს. ცოლმაც ვერ გასძლო უსიყვარულოდ, აღარ ისურვა ავბედს მინდობა და ბავშვიანად ერთ დღეს, ფარულად ლევანის სახლკარს დაემშვიდობა. ნინოს ლევანის ნახვაც შესძულდა, არც იკარებდა ჭაბუკს, ნაცოლარს. პირმოდუშული ხედებოდა მუდამ და მოუწამლა ყმაწვილკაცობა. ლევანს ჩაუჭრა იმედის ალი და მკმუნვარება თითქოს დასძალა?.. მაგრამ, დახედეთ, ახალი ძალით დღეს კვლავ იფეთქა იმავ ხანძარმა. იფეთქა, მაგრამ ვაი ამ ხალისს! ვერ აიტანდა გულიც რვალისა. როგორ ითხოვოს ფეხმძიმე ქალი, როგორ ჩასთვალოს ბავშვი თავისად. იმ დამეს ლევანს ფიქრები სწვავდა, ნაღველი ჰკლავდა ცრემლში ნალესი. შეჭიდებულმა ცხოვრების ავდარს, იუკადრისა დედის ალერსიც. ჩამომეხსენო, — შეპყვირა ცივად და კვლავ მინებდა ფიქრებს ჩრდილიანს. უხმოდ დნებოდა მშობელი ცრემლად, ვერა სცნო: „ნუთუ ჩემი შვილია?!“

* * *

გული მატყინა დედის წუხილმა, ფრთები შეისხა სიტყვამ უთქმელმა. რა შესძლებია ძალას უხილავს, რამ გაგვაჩინა ასეთ გულქვევად. „ვაი, დედაო“, ვიძახით მუდამ, როცა ეკალი ოდნავ გაგვიწწლავს, „ვაი, დედაო“, ვიძახით მუდამ, თუ მწუხარება ჩვენს სულს დაღწევას. მაგრამ ერთი დღეც მოვა ანაზღად, სულში სხვა ქარი ქროლვას დაიწყებს, შეგვიყვარდება ვინმე ლამაზი, დედის გულს ოდნავ გადაგვაფიწყებს. ასე ყოფილა, ასეა მარად, და მაინც ეცხოვრობთ კმაყოფილებით, დედებიც მისთვის ითმენენ, ალბათ, თვითონ ჩვენებრი იყვნენ შვილები. ბოლოს ერთი რამ მაინც გვაშინებს,

მიგვეზიდება ცრემლის ღვარამდ და „ვაი, დედა“, ვამბობთ მაშინაც, როს ის ლამაზი დაგვადალატებს.

* * *

იმ დამეს ნინოს ველარ ვესტუმრე, ფიქრი ლევანის სახლკარს ვერ მოსცდა. დილით კი ორნი ტრფობის დასტურად ერთმანეთს შეხვდნენ სამკითხველოსთან. ლევანს შეენოდა შუბლი გაშლილი, ლელვაგანვლილი და საიმედო. ნინოსთან შედგა ის თავდახრილი, ესლა თქვა: როდის დავეორწინდეთო. არ დასდენია ოხვრა იმ დილით, სიტყვა უგულუო ბედის კიცხვისა. თუ სიყვარული სტანჯავს ნამდვილი, თურმე აიტანს კაცი სირცხვილსაც.

* * *

შინ ნინოს მამა გვიან დაბრუნდა გამონამარგლი სიმინდის კონით. წელამდე სველი მოვიდა სულმთლად, — ვერ მოუნახავს დამეში ფონი. ნინო სარკმლიდან შესცქერის უხმოდ, თავის ოთახში ზის ჩაკეტილი. დედამ მეუღლეს ოდისკენ უხმო და ჩამოშორდა დუმილს წერტილი. — რაო? — მოისმის მამის ძახილი, — ლევანს მიჰყვება, თავს იღუბავსო? სიმინდის კონას შეუშვა ხელი და დაბარბაცებს სახლში უაზროდ. — ღმერთმა დასწყევლოს ქალის გაჩენა, — დედის სიტყვებიც ცეცხლად ინთება, — ვერ გაექცევი ბედის არჩევანს, წვალობ, გამოზრდი, გაგიფრინდება. როგორ მივანდობ ლევანს ქალიშვილს, როგორ გავწირავ დასაკარგადო, — დროდადრო თავში ხელებს დაიშენს, შეურიგებელ აზრთან კამათობს. ნინო არც უსმენს მშობლების ურვას და ტკბილ ფიქრებში თრთის და

კანკალებს.

ქალს გათხოვება თუ მოესურვა, მას ცხრაკლიტულიც ვერ დააკავენს.

გატყდა მშობლების სიტყვის ფოლადიც, მღვრიეს გამოჰყვა ლურჯი ზვირთები და სოფლის გზაზე იმ თვის ბოლომდის ჩამოატარეს ნინოს მზითვეი.

* * *

ეზოს ავლია ღობე ცოცხალი, ეზო სუფთაა, როგორც დარბაზი. დანავარდობენ ცაში მერცხლები და წევს ჭიშკართან თეთრი ნაგაზი. ლევანის მამა ადრე წასულა, ადრე სწვევია ყანებს ცვრიანებს და სიხარულით ცამდე ასული, სახლში ახალი რძალი ტრიალებს. თითქოს მტრედები ჩაუსევამს მკერდში, თრთიან, როდესაც იწვევს სახელოს. ზურმუხტისფერი თვალების ემზით მიწიდან მკვდარიც ამოახედოს. გადმოშრიალდა დედა ბოსტნიდან, ჩხევა დაუწყო შეშას წვალეებით. ნინომ წყაროდან წყალი მოზიდა, აივანს გასცქერს მშვიდი თვალეებით — მიეხმარეო, ლევან, დედაშენს, — მთვლემარ მეუღლეს ფრთხილად შეჰკადრა.

შემოტრიალდა მოხუცი მაშინ, თითქოსდა ჩხვლეტა იგრძნო ეკალთა. — შვილო, ლევანი არ შემეჩუხო, — გასაავსავა ცივად ხლები, — იქნება ცულად ეძინა წუხელ, ნუ გააღვიძებ, შემოგვევლები... არც გაუვია მათი ხმა ლევანს, თავს დაჰფარფატებს ფიქრთა კარავი, თვალმინაბული ძილს ვერ ელევა, ძილშიც აწვალებს დარდი მზარავი: ფეხშიძემ ქალი დაისვა ცოლად, ბედს შეებრძოლა შიშველ ხანჯლიანს, ვინ იცის, ადრე არჩილთან მწოლარს რამდენი სითბო შემოხარჯვია.

* * *

ნინო სარკის წინ თვალს აციმციმებს, გულში უჩვევმა ცეცხლმა გაკვესა: „აღბათ ლევანის პირველი ცოლიც ასევე იდგა ამ დიდ სარკესთან“.

არ გაჰყვა ფიქრებს, თმებს იწნავს მშვიდად,

სამკითხველოსკენ მიეჩქარება. ესმის ლევანის ხმა აივნიდან, გაიჭრიალეს უცებ კარებმაც: — ნინო, ძვირფასო, საით მიიწევ, — ღიმილით გულის დარდს ექიდემა, — აღარ გვაკლია სახლში ჩიტის რძეც, ეგ სამსახური რაღად გვირდება? სხვებმა მწყემსონო სოფლის წიგნები, — ქმრის რჩევას ისმენს ქალი მღუმარი. გული ეტკინა კიდევ იქნების, არ დასცდენია მაინც უარი. — დაგბრუნდებიო სახლში ახლავე, რაკი შენ თვითონ ინებე ესო, — თქვა და ღიმილით თვალმოეღვარე კაბის შრიალით გაშორდა ეზოს; სამკითხველოსთან უეცრად შეცბა, — წინ გადაუდგა ქალი ამაყად. წამით თითქოსდა დაბნელდა ზეცა, არ ეჭაწნიკა მისი დანახვა. აღბათ აქამდე ნინოს უცდიდა!.. ბავშვი ჩაუჭრავს ძუძუმწოვარი. და მიაჩრდნენ ერთმანეთს ცივად ლევანის ცოლი და ნაცოლარი. — გაგიჭირდაო მეუღლის შოვნა? — შფოთავს დამხვედრი და ილანძღება: — მე ხომ სიხარულს მან მომეშორა, შენი ტანჯვითაც მაღე გაძღება. ერთი ვეჯკაცი ხომ მოჰკალ, ახლა მეორე ჰპოვე და არ შორდები. ხვალ თუ ზეგ, აღბათ, მონახავ ახალს, მკლავზე ღიმილით გაუგორდები. ნინოს თვალს მოსწყდა ცრემლის კურცხალი, ქვითინებს, თითქო მკვდარი ესვენოს: — რისთვის მლანძღავო ასე უწყალოდ, რას მემართლები, ჩამომეხსენო. ნეტავ რა აზრმა დაიმართვავა, რა ფიქრს გამოჰყვა ღრუბლის ფრთებიანს?

ლევანი შარშან თვითონ დასტოვა, წელს შერიგება მოსურვებია? ვინ რას გაიგებს ქალების ბოღმას — მოფრინდებიან ქმართან მტრედებად. შემდეგ სტოვებენ ქმარს და რატომღაც სხვა კაცისთვისაც არ ემეტებათ.

• •

გათენებიდან ქინელავს საამოდ,
ცაზე ღრუბელი მოსჩანს ორბივით.
თეთრად შემოდის სოფლად საღამო
და ძუძუს ეძებს ახალშობილი.
ლევანს თან დასდევს თამბაქოს ბოლი,
მოსწევს, აბოლებს კვლავ გამალებით.
მეშვიდე თვეა შეირთო ცოლი,
ბავშვს უღლეურად თვლიან ქალები.
გარეთ ჩურჩული ატყდა ფარული:
— ადრე ყვარობდა ნინო არჩილსო.
ხმა ოთახშიაც შემოიბარა
და ნინოს გული სევდით აიესო.
ლევანის გულიც ბნელმა დაფარა,
გაჭრა სიმშვიდე ლაღი და ტკბილი.
კარგად იციან ცოლმაც და ქმარმაც,
რომ დაიბადა არჩილის შვილი.

• •

მას აქეთ ქარი თანდათან დაცხრა,
ფეჭრი არხია მტვრიან რტოსავით
და დავიწყების ბნელში ჩამარცვლა
სევდიან დღეთა კრიალოსანი.
ძეს მიემატა ერთი ასულიც,
მზე მათს გარშემო სხივებს ფანტავდა.
დრო წამებისა თითქო დასრულდა
და დაიდულა გულმაც თანდათან.
ლევანს თუმც თმაში ჩაეწნა თოვლი,
გულს არ შემორჩა დარდი მკირედი.
მის ცოლშვილს ახლაც არ აკლდა მოვლა
მოხუცი მამის, დედის იმედით.
არ ელეოდათ სითბო ხვალისთვის,
წინ თითქო ფრთები ეზიდებოდათ.
და იზრდებოდა ასე ხალისი,
მაგრამ... არჩილის ძეც იზრდებოდა.
და ერთ დღეს სოფლად ბავშვს მიეფერა
ვიღაც მოხუცი მშვიდი და დინჯი.
შემდეგ ხალხისკენ მობრუნდა ნელა:
— ნეტავ ვის გავსო ლევანის ბიჭი?
„რაო? ვის გავსო ლევანის ბიჭი?“ —
გონს ვერ მოეგო ლევანი დიდხანს.
კვლავ გააღვიძა დარდი და ეჭვი
იმ ბერიკაცის ნათქვამმა სიტყვამ.
ბედმა ეს მაინც როდი აკმარა
თითქოს ტანჯვისთვის ქვეყნად
მოვლენილს:

მალე დარეკა სიკვდილის ჟამმაც
და მიაბარა მიწას მშობლები.
ბოლოწუთს მამამ დალოცა ტკბილად...
ცრემლები მოწყდა დედის წამწამებს...
მათ შუა ზღვაში დასტოვეს შვილი,
რომელსაც ცურვა აღარ ასწავლეს.

• •

მას, ვისაც სახლი არ აუგია,
ვისაც მზად დახვდა კერძის სითბო, —
ასე ჰგონია: მიწის გულიდან
ამოსულაო ბოძები თვითონ.

• •

ლევანი დუმილს ვერ შეელია
და მისი გული დარდით დაიწვა,
არავინ დარჩა ქვეყნად მშველელი:
მალა — ზეცა და ძირს — დედამიწა.
ქიშკრის მახლობლად ლოდზე ჩამოჯდა,
ამ ლოდზე ჯდომა მამას უყვარდა.
მზემ მიმოფანტა ღრუბლების ჯარი,
გადმოაფრქვია შუქი უხვადა.
პირველ ცოლს მოჰკრა ლევანმა თვალი,
მისეირნობდა ვიღაც ცაბუქთან.
შემოტრიალდა ქიშკართან ქალი,
ნაქმრევს შეხვდა და შეაფურთხა;
ნინოს ლეჩაქი ლანძღვით ახადა,
ნაღველი გულში ველარ დატია.
თან დააყოლა: ხომ კარგადა გყავთ
ის შვიდთვიანი თქვენი ბლარტო.
თვალთ დაუბნელდა ლევანს, მჯდარს
უხმოდ,
ბურუსმა შთანთქა სივრცეც, ქალიცა.
ველარ წამოდგა, ვერ დასძრა ფეხი,
ლოდზე იჯდა და ლოდად გადიქცა.
„იქნებ გაიგეს მისი ამბავი,
არჩილის შვილს რომ ითვლის თავისად?
იქნებ გამოტყვრა ცოდვა ნამალი,
დაჭრილი გულის კვლავ დასაისრად?“
გულის სიღრმიდან აღმოხდა კვნესა,
გახვდა სოფელს ველდაველ გაშლილს,
თითქო მოხუცის ხმაც შემოესმა:
„ნეტავ ვის გავსო ლევანის ბავშვი?“
ადგა, სახლისკენ დაიძრა ხვნევით,
ანაზღად ბავშვი შენიშნა კართან.

სათუთად მისწვდა პატარას მხრებში,
ჩახედა: „ნეტავ ვის ჰგავსო მართლა?“
თითქოს შიგ მკერდში იქუხა მებმა,
ბავშვს ააფარა სახეზე ხელი.
ნეტავი ჩაქრეს სინათლე ქვეყნად,
ნეტავ დაბნელდეს ქვეყანა მთელი!
უცებ შენიშნა სხვა საოცრებაც:
სოფლის ჰაბუკებს კართან ჩავლისას
წამით აენთოთ სახე ოცნებით,
ნინოს ესროლეს ელეა თვალისა.
ლევანსაც ჰისკენ გაეცა თვალი,
იქ ნინო ჰურჭელს ხეხდა ნელნელა,
გამოშვლებოდა მუხლისთავენი
თვითონ ღმერთების შემაცდენელად.
— მაგ შიშველ ფეხებს ველარ დამალავ?
ხომ არ დაგბერეს ცხელმა ქარებმა!
— მერე და რაო, — შეჰღიმა ქალმა,
კაბას დაზიდა აუჩქარებლად;
მკერდზე შეხსნილი დილიც მოსძებნა,
ვერ მოაწვდინა ალბათ მზერაო.
თან შემოხედა ნიშნის მოგებით:
— ფეხი შენიშნე, ეს კი ვერაო?
— გზიდან ბიჭები რომ ჩავფრენიან,
გაიხედეო, — ღელავს ლევანი.
პირზე ღრუბელი გადაჰფენია,
თუმც სხივებს აღდრის მზის შადრევანი.
— ვაჰმეო, — ნინომ დახუჭა თვალი,
ლაწვზე თოვლის ფერს ღვინო დაესხა.
წამოაკლავა მაღალი ტანი,
სირცხვილით დასწვა შორმა ალერსმა.
ღელავს ლევანი: „ასეთ ქალს მართლაც
ჰაბუკი უხმოდ განა ჩაუვლის?
ვინმე შეაცდენს, ვინმე წამართმევს,
იქნება ჩემივ დანაშაული!“
თვალდათვალ გაჰყვა ოცნების ძახილს,
ტყისკენ გაფრინდა გულის ციმციმით.
წარმოიდგინა უღრანში სახლი
და სიჩუმეში ნინოს სიცილი;
ღღუღლამ ვრილი ნიავის სუნთქვა,
მეუღლისათვის გრძნობის შეღევა.
იქ თუნდ შიშველმა იაროს სულმთლად,
ვერვინ შეხედავს ნინოს მშვენებას.
ვერვინ იხილოს არჩილის ვეჯიც,
ღე, გაქრეს შიში — ჯანღის მომფენი

და აელვარდეს მყუდროებაში
ეს ბინდისფერი წუთისოფელი.
იქ არც ბედოვლათს დაუძახებენ,
არც შეაფურთხებს ვინმე ზონლითა.
ათას სისხარულს გამოახედებს
ბედნიერების ერთი მისხლიდან.

•
•

გადასახლების უცნაურ სურვილს
ისმენდა ნინო ცრემლმორეული.
მაგრამ: მეუღლე, ცოდვით მოსული,
ქმრისთვის ჩიტია ფრთამომსხვრეული.
ნინო ღედმამას ესტუმრა დილით,
თითქოს მის გულშიც გათენდა დილა.
ფეხდაფეხ მოსდევს უფროსი შვილი,
გოგონა გულში ჩაუქრავს თბილად.
შინ სითბოც დახვდა თავის არჩივი,
ახედა ძველ ქერს, ჰვარტლით
შებარდნის.
გადაწყვიტეთო თქვენთან დარჩენა
ახალი სახლის აშენებამდის.


•
•

ეჰ, რა ხანია არჩილის დედა
არ მოუკითხავს ნინოს ერთხელაც.
ალბათ, მოსტეხა ტიალმა ბედმა
და მხოლოდ შვილის სურათს ეხვევა.
ალბათ, დასთოვა გიშრის ნაწნავი,
იქნება კერა არც კი უნთია!
შვილიშვილს მაინც სცნობდეს საწყალი,
ლევანის შვილად რომ ჩაუთვლიათ.
ნინო სიზმარმა დასტანჯა ღამით
და შეემატა ძილში ჰალარაც.
თითქოს აღიდდა უცებ ცუღღარი
და სასაფლაოს ქვები აჰყარა.
წამოიშალნენ ჩონჩხები მკვდართა,
მზე დაბნელეს მთებში გაჩრილი.
გამოსაქცევად შეჯგუფდნენ კართან
და ნინომ ერთში იცნო არჩილი.
ის ჩონჩხიც ნინოს მიჰპარდა მაშინ,
გარს მოხვეოდა სხივთა არილი.
— რად არ აჩვენე ბებიას ბავშვი? —
ხმა არჩილისა რეკდა ზარივით.

(გაგრძელება იქნება)



ს ი ს ს ლ ი ა ნ ი



კ ვ ი რ ა

(ნაწყვეტი წიგნიდან „კლიმ სამგინის ცხოვრება“)

მთელი შემოდგომა სამგინი აკვირდებოდა სახლის ცხოვრებას, ელოდა ჩხრე-
კას, დაპატიმრებას, უაღრესად მოსაწყენი საქმიანი საუბრები ჰქონდა დედას-
თან, და მხოლოდ დეკემბერში, როგორც იქნა ვერა პეტრეს ასული მოემზადა
საზღვარგარეთ წასასვლელად. მას გამოსათხოვარი სადილი მოუწყეს, ქება-
დიდება შეასხეს, შემდეგ — გაცილება ყვავილებით და ტრემლებით.
დედას კი თითქოს წარმოედგინა, საზღვარგარეთ წასვლა იმაზე უფრო მნიშვნე-
ლოვან პიროვნებად მხდის, ვიდრე ყოველთვის ვიყავი, და თავი სასაცილოდ
გაფხორილად ეჭირა. როცა მას უცქერდა, სამგინს ეშინოდა, ხალხი მიხვდება,
რა სასაცილოა ეს მოხუცი ქალით, ეძებდა თავის თავში რაიმე კეთილ გრძნო-
ბას დედისადმი და, სინანულის გარდა, ვერაფერი ვერ მოენახა. კლიმს განსა-
კუთრებით აწუხებდა ის, რომ სპივაციც, ცხადია, ხედავდა დედის სასაცილო
და საბრალო მდგომარეობას, თუმცა სპივაცი უცქერდა მას მოწყენილი თვა-
ლებით და ისე უვლიდა, როგორც ავადმყოფს ან ჭკუადაკარგულს.

ვარშავის სადგურზე ახალმა ლოკომოტივმა ერთი ამოიფრთხვინა, წითელი,
წამყვანი თვალები აამოძრავა, ვაგონს კი შეაქრეოლა, შემდეგ წაგორდა, და

დედის შეღებილი სახე მახინჯად გაიბარდნა, წაიშალა, — მხოლოდ მაშინ სამგინმა, რომელსაც ქული უკვე დაეხურა, სწრაფად ისევ მოიძრო ის, და სადღაც შიგნით წყნარად და შეკითხვის კილოზე დარდიანმა სიტყვამ გაურბინა: „სამუდამოდ?“

ჰქროდა ქარი, რომელიც სადგურს ცივ კვამლში ახვევდა, კედელზე აფიშებს ხედა, გზის გასწვრივ ელექტროფანრების აფალის მოზუზუნე ბუშტუკებს არხედა. ქალაქს თავს ადგა მღვრიეყვითელი დაფიონი, ნესტიან ჰაერში დაღვრემილი ხმაური დაკურავდა; ამ ხმაურს სამანევრო ორთქლმავლების საყვირების ხმა ფლეთდა; კლიმს ეს ქალაქი არ უყვარდა. როცა სრიალა საფეხურებზე ჩამოდიოდა, სამგინს ფეხი დაუცდა, ვიღაცას მხარში ხელი სტაცა; ამ კაცმა მკვეთრი მოძრაობით მოიცილა სამგინის ხელი, სწრაფად მობრუნდა და ხმადღლა, განცვიფრებით თქვა:

— ო, სამგინ! მე კი წარმოვიდგინე... გააცილი ვინმე, თუ ხვდებოდით და ვერ შეხვდით?

შლაპის ქვემოდან სამგინს უტკერდნენ ტურობოევის ირონიული თვალეზი; აშკარად ჩანდა — ის რაღაცით გახარებული იყო.

„მგონი, არა იმით, რომ მე შეეხვდი“, — გაიფიქრა სამგინმა. მივიდნენ მეეტლეებთან.

— თქვენ საით? — ჰკითხა ტურობოევმა; ის იკუნტებოდა, რადგან მსუბუქი პალტო ეცვა.

გაემგზავრნენ ერთად. ტურობოევი ემშაკურად იღიმებოდა და ცოცხლად ვკითხებოდა ცხოვრების ამბებს. სამგინი ფრთხილად უბასუხებდა.

— ცივა, — თქვა ტურობოევმა და შეაჟრჟოლა. — არაყი ხომ არ დავლიოთ? ან ჩაი?

კლიმი დაეთანხმა. საინტერესო იყო ტურობოევის ნახვა გაზეთის მუშაკის როლში.

— არ მოელოდით? — ჰკითხა ტურობოევმა, როცა რესტორანში დასხდნენ. — ეს ძალზე საინტერესო პროფესიაა.

სამგინი ჩაის სვამდა და შეუმჩინებლად ათვლიერებდა ნაცნობ, მაგრამ ძალზე შემუქებულ სახეს, შავ მახვილ წვერიანს, პატარა უღვაშებიანს. მის სახეში გამოსჰვივოდა რაღაც ასკეტური და ებრაული რამ, მაგრამ თვალეზი არ შეცვლოდა, ისინი წინანდებურად ასხივებდნენ უსიამოვნოდ მკვეთრ შუქს.

„ყოფილი ადამიანი“, — გაახსენდა სამგინს მოარული სიტყვები: პირველად იმეორებდა ამ სიტყვებს სიამოვნებით და უკეთესი რომ არ შეიძლება, ისე თავის ადგილას. ტურობოევს ჰქია პირთან სწრაფად მიჰქონდა, სვამდა არაყს, ხენეშოდა, ახველებდა, და ისე იფურთხებოდა, როგორც ფიშქარი.

— საერთოდ ცხოვრება საინტერესო ხდება, — თქვა მან, ჯიბიდან იაფფასიანი ფოლადის საათი ამოიღო და ცალი თვალით მის ციფერბლატს დააჩერდა. — აი, ხომ არ გინდათ გაეცნოთ ერთ საინტერესო მოვლენას? თქვენ, რა თქმა უნდა, გაიგონებდით: აქ ერთი ხუცესი მუშებს რაზმავს, სავსებით ლეგალურად, ხელისუფალთა ლოცვა-კურთხევით.

— დიახ, ვიცი, — თქვა სამგინმა. — მაგრამ რას ნიშნავს ეს?

ტურობოევმა მხრები აიჩეჩა, მოიღუშა, თვალეზი თავის ბუდეებში ჩაუცვივდა.

— არ მესმის. ჰყავდათ გერმანელებს ერთი ასეთი პასტორი... მგონი, შტეკერი, მაგრამ ეს იმას არა ჰგავს. თუმცა მე კარგად არა ვარ გაცნობილი, შეიძლება ჰგავდეს. ზოგიერთი... საქმის მცოდნე ამბობს: ზუბატოვის ცდის განმეორებაა, მაგრამ უფრო გრანდიოზულ ფარგლებშიო. თითქოს ესეც

არაა სწორი. ყოველშემთხვევაში — შესანიშნავია! მე სწორედ ამ ხუცესის ქადაგების მოსასმენად მივდივარ, ხომ არა გასურთ?

სამგინი დაეთანხმა, მოელოდა, ვნახავ დიომიდოვის მსგავს მოქადაგებს და ცხოვრებისგან დაჩაგრულ ასიოდე ადამიანს, რომლებიც მას უსმენენ იმის გამო, რომ მოწყენილი არიან და არ იციან, რა მოუხერხონ თავიანთ თავსო.

ეტლით მიდიოდნენ დიდხანს, ბნელ ქუჩებში, სადაც ქარი უფრო ძლიერი იყო, კაცს პირში ეჩრებოდა და ლაპარაკს უშლიდა. ფაბრიკების შავი მილები ვბჯინებოდნენ ცას, რომელსაც ჭუჭყიანმწითური კვამლის ღრუბლის სახე ჰქონდა, კვამლი კი იზადებოდა ყვითელი შუქით აღსავსე სამიკიტნოების კარ-ფანჯრებს იქით. ცივ სიბნელეში მოძრაობდნენ ადამიანის მსგავსი ფიგურები, ყვიროდნენ მთვრალი კაცები, წივიან ხმით მღეროდა ქალი, და რაც უფრო შორს მიდიოდნენ, მით უფრო წყვედიადით მოცული იყვნენ ქუჩები.

— სდექ! აქ მოიცდი, — უთხრა ტურობოვემა მეეტლეს, როცა მაღალ ღობეს გაუსწორდნენ, და თოვლში მანამდე გადახტა, სანამ ცხენი გაჩერდებოდა.

კუთხის ნათურის წითელი სინათლე აშუქებდა ერთ ანჯამაზე ჩამოკიდებულ ალაყაფს, კაცს, რომელსაც ტყაპუჭი ეცვა და შუბლზე სპილენძის ფირფიტა ეხურა, და კიდეც ერთ კაცს, უფრო დაბალს; მასაც ტყაპუჭი ეცვა და თივის ზეინულს ჰკავდა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა ერთმა, მეორემ კი დედაკაცის ხმით უპასუხა:

— გაზეთიკები არიან.

და გააფურთხა.

სამგინი ტურობოვეის ნაფეხურებზე თავდაღუნული მიდიოდა, რაღაც ფიცრებს ედებოდა; მას ეჯახებოდნენ ვიღაც ადამიანები, რომლებიც ხმადაბლა ეხვეწებოდნენ ერთმანეთს:

— ჩუმათ!

— ა-არა, ძებო, — ჰაერი გააპო მაღალმა, ცოტა ისტერიკულმა შეძახილმა... სამგინი ტურობოვეს ზურგში დაეჯახა, ფეხის წვერებზე წამოიწია, ტურობოვეის მხარს ზემოთ წინ გაიხედა, საიდანაც მაღალი ხმა გაჰყვიროდა.

— არა, ჩვენ ამას არ ვეტყვით! ჩვენ ვეტყვით: სიღარიბე...

— ჩვენ, მამაო, მათხოვრები კი არა ვართ, არამედ გაძარცვულნი, აი!

— სიღარიბე ბადებს შურს, — ჩვენ ვიტყვით, — შურსა და მტრობას, შავრამ მტრობა — კანონი როდია, მტრობა — სწორი არაა...

— გესმის? — ხმადაბლა იკითხა ვიღაცამ სამგინის ზურგს უკან.

— მესმის.

— აბა რა გეგონა. ხომ გეუბნებოდი...

ხმაური ხან ძლიერი იყო, ხან სუსტდებოდა, ტალღისებურად იცვლებოდა წყნარი ლაპარაკი, ჩურჩული, თავშეკავებული ხველა, და ორატორის სწრაფად ნათქვამ სიტყვებს ახშობდა. თუთუნის ლურჯ კვამლში, რომელიც გაუქვნილი იყო ტყავის, ზეთის, კუპრის სუნით, სამგინი ხედავდა წაგრძელებულ კისრებს, კეფებს, გაჩეჩილ თავებს; ეს თავები ხან ამოხტებოდნენ, ხან ქრებოდნენ, როგორც ბუშტები წყალზე. წინ ხალხი მჭიდროდ იჯდა, თითქმის ყველანი წინ გადახრილიყვნენ, როგორც სხედან ღუმელთან, როცა თბებიან. უფრო შორს იატაკი, ალბათ, ამღლებული იყო და ორ, ერთმანეთზე მიდგმული მაგიდასთან ისხდნენ პირით სამგინისკენ სერიოზული, წესიერად ჩაცმული ადამიანები, მაგიდების წინ კი აქეთ-იქით დარბოდა პატარა ხუცესი,

შავთმიანი, შავსახიანი; დაბოდა და რიგრიგობით იქნედა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელს, იჩეჩავდა მიხაკისფერი ანაფორის საყულოს, თმას უკან იყრიდა ხელით, ხალხისაკენ იხრებოდა, თითქოს მას თავზე უნდა გადაახტესო; ხალხი უყვიროდა მას:

— ხმამალა, მამაო!

— წყნარად!

— მამაო, რამდენი უნდა წავიდეს?

— ახალი წლისათვის კარგი იქნებოდა, არა?

— წყნარად!

— ის აღამიანია! — ყვიროდა ხუცესი და ანაფორის სახელოებს იქნედა. — ის სამართლიანია! ის გაიგებს თქვენი მწუხარების სიმართლეს და ეტყვის იმ აღამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ თქვენი ოფლით და სისხლით... ეტყვის თავის სიტყვას... ძლიერის სიტყვას — მერწმუნეთ.

ტურობოევი ჯიუტად მიძვრებოდა წინ. სამგინი უკან მიყვებოდა, მან შენიშნა, რომ მუშები ერთმანეთს აქეთ-იქით სწევდნენ და უცხო აღამიანებს გზას ხალხისით უთმობდნენ.

— წინ მეტს ველარ წავალთ, — მხიარულად თქვა ტურობოევი და დამსხდარი ხალხის ზურგსუკან გაჩერდა.

ღიახ, მუშები ისხდნენ სამ-სამნი ორ-ორ სკამზე, ისხდნენ ერთმანეთის მუხლებზე და იმდენად შედუღებულ მთლიანობას შეადგენდნენ, რომ დაორთქლილ სათვალეში სამგინი ზოგიერთ მხრებზე ორ-ორ თავს ხედავდა. კლიმი თვალს არ აშორებდა ანაფორაში გახვეულ მოუსვენარ ფიგურას, მეტიც — თვალებს არც კი ახამხამებდა; ანაფორა ირხეოდა, ტალღებად იკეცებოდა, თითქოს განგებ არ აძლევს ხუცესის ფიგურას გარკვეულ, მტკიცე ფორმასო. ორატორს თავზე თმები ხან აეშლებოდა, ხან დაეწყობოდა; ისე ჩანდა, თითქოს შავ სახეზეც თმები ხან ეზრდებოდა, ხან უმოკლდებოდა. ხუცესი მკერდს წინ სწევდა, მუშტს გულზე ირტყამდა, წელში სწორდებოდა, თვალებს მალა შამოიისფრო კვამლს აპყრობდა და დუმდა, თითქოს ყურს უგდებს ყრუ ხმების ფაჩიფუჩს, ოხვრას და ხველებასო. სამგინი უკვე გრძნობდა, რომ აქ ის არ ხდება, რასაც მოელოდა: ეს დანჯღრეული ხუცესი არაფრით არ ჰგავდა დიომიდოვს, ისევე, როგორც მუშები სრულებით არ გავდნენ ყოფილი ბუტაფორის მსმენელებს — დაბეილ, რალაც გაუგებარი, უძლეველ მოწყენილობით გუნებაგაფუჭებულ აღამიანებს.

— მუშაობით გაწამებული ცოლები, ავადმყოფი ბავშვები, — ძალზე ამალელებლად ჩამოთვლიდა ხუცესი. — საცხოვრებელთა სიბინძურე და სივიწროვე. ნუგეში — ლოთობაში, გახრწნილებაში.

— მოეშვი ერთი — ვიცით! — სამგინის ყურს ზემოთ დამაყრუებლად გაისმა ბოხი ხმა; რამდენიმე ხმა ამ კაცს ხმადაბლა ეხვეწებოდა:

— ჩუმად, ცეცხლფარეშო...

— შენ რა მოგდის? მთვრალი ხომ არა ხარ?

— გაჩუმდი!

— მაშ ეგ სატკივარს რად მიღიზიანებს?

სამგინმა ფრთხილად მიიხედა უკან. იქ იდგა ფართო მხარბეჭიანი მალალი კაცი; მას ჰქონდა დიდი, მელოტი თავი და მრგვალი უწვერულვანო სახე. სახე უპრიალებდა და წყალმანკით დაავადებულივით გაბერილი ჰქონდა; პატარა თვალები ანათებდნენ საღდაც სახის შუაში, ძალიან ახლოს ცხვირის ნესტოებთან, პირი ჰქონდა დიდი და უბაგებო, თითქოს დანით გაუჭრიათო.



სამგინის თავზე ის ყრუდ ბუტბუტებდა და თეთრ, მკიდრო კბილებს აჩენდა:
 — საქმეზე ილაპარაკოს; ცხოვრება ცნობილია. რა საჭიროა ეს — მას რომ ვებრალეზოდეთ?

ამ კაცის სახე სამგინს ისე საშინლად მოეჩვენა, რომ ერთბაშად ვერ შესძლო თვალი მოეწყვიტა მისთვის. ეს კაცი იყო თითქმის მთელი თავით მაღალი ყველა მუშაზე, ვინც მის გარშემო იდგა მხარი მხარს და ლოყა ლოყას მიდებულოც კი. შემდგარიყო ერთნაირად მოღუშული და მოქუფრული სახეების ერთიანი მასა; თვალების უსწორმასწორო, დატენილი ზახი ერთნაირად დაძაბულად მიჩერებოდა მიხაკისფერ პატარა ხუცესს. შიგადაშიგ გამორეული იყო ქალთა სახეებიც, ზოგნი — უნდობლად მოღუშულნი, ზოგნი გულჩაყვარებულნი, როგორც ეკლესიაში. ერთს, ტურობოევის გვერდით მდგომს, კუდიანის მოქცეული ცხვირი ჰქონდა, და სულერთიანად ბაგეებს აცმაცუნებდა, თითქოს რაღაც ძალიან მაგარ სიტყვებს ღეჰკავსო, ხოლო როცა პირს კუმავდა, სახეზე ბოროტი და თავგანწირული გადაწყვეტილების გამომეტყველება უჩნდებოდა. ესეც ძალზე საშინელი რამ იყო და სამგინმა გაიფიქრა, ხუცესის ადგილას რომ ვყოფილიყავი, მეც ასევე ვიტრიალებდი, ეს სახეები რომ არ დამენახათ. კლიმმა თვალები დახუჭა. მამინ თვალწინ დაუდგა დამაბრმავებლად გაბრწყინებული ომონის დარბაზი და ექსცენტრივი ზანგი, რომელიც გასაოცარი სიმსუბუქით დარბოდა სცენაზე და ლეკვისა და მამლის ჩხუბს გამოხატავდა. ხუცესი ისევ ყვიროდა, იგრინებოდა, თითქოს უხილავი ხელები მას ცომივით ზეღენო. აი მაგიდასთან მსხლომნი წამოდგნენ, ხუცესს გარს შემოერთყნენ, ჩამოეფარნენ, საღაც კუთხისკენ წაუბიძგეს, უხილავად აქციეს. ამან სამგინს მოაგონა მეფე ნიქეგოროდის გამოფენაზე და მინისტრები, რომლებიც მას ვარს ერთყნენ. ცივი, აყროლებული, სულის შემხუთავი ჰაერი ცხვირის ნესტოებს აღიზიანებდა, სუნთქვას აძნელებდა; სამგინს აცხინკებდა, თვალები ეცრემლებოდა, მის ირგვლივ ხმაური იზრდებოდა, დამსხდარნი ფეხზე დგებოდნენ, მაგრამ არ იშლებოდნენ, ჯგუფებად იკრიბებოდნენ, ბუზღუნებდნენ. ტურობოევა ვილაცას სთხოვა:

— შენ დაურეკე...

— აუცილებლად.

— წავიდეთ, — თქვა ტურობოევმა.

ხალხში გზას დიდხანს და გაჭირვებით მიიკვლევდნენ; შეკრებილნი არ იძვროდნენ. მელოტთავიანი კაცი ბუბუნებდა:

— ...როგორც ბრძემა ხრამში. უნდა იცოდე!

ქუჩაში კვლავ ქარი დაჰქროდა, ახლა უკვე მოდიოდა რბილი, ბუმბულივით მჩატე და სველი თოვლი. ტურობოევი მოიბუზა; ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და კლიმს ჰკითხა:

— აბა, რას იტყვით?

— არ მესმის, — თქვა სამგინმა; მას არ სურდა ტურობოევის კითხვებზე ეპასუხნა და თვითონ ჰკითხა: — თქვენ მუშას ელაპარაკებოდით, არა?

— დიახ, ძალიან კეთილი კაცია ჩერემისოვი. თუ თქვენ მოისურვებთ, კიდევ მოხვდეთ აქ — ჰკითხეთ მას.

— მე ხვალ მივემგზავრები. ესერია, ესდევია?

— არც ერთი, არც მეორე. ხუცესს სოციალისტები არ უყვარს. კაცმა რომ თქვას, სოციალისტებიც განზე უდგანან ამ თამაშს.

— თამაშს? — ჰკითხა კლიმმა.

— თქვენ ნახეთ, მის ირგვლივ ყველანი მოწიფული ასაკისა არიან და,

მგონი, მეტი ნაწილი მაღალი კვალიფიკაციის მუშებია, — კითხვაზე არ უპასუხა ტურობოევმა, ლაპარაკობდა კი ხალხით და ფიქრიანად, თითქოს თავის თავს ესაუბრებო.

სამგინს თვალწინ ედგა მელოტი თავი, მრგვალი სახე, პატარა თვალები, რომლებიც ისე ანათებდნენ, როგორც მთვარე ღრუბლებში; ხედავდა მთელი რიგ სხვა სახეებს; ეს სახეები ერთიანდებოდნენ ერთ საშინელ მთლიანობაში.

— მგონი, გავცივდი, — თქვა მან.

ტურობოევმა ურჩია ცხელი აბაზანა მიეღო და წითელი ღვინო დაეღია. „ისე თავაზიანია, თითქოს რაღაც უნდა მთხოვოს“, — გაიფიქრა სამგინმა. თავი უბრუნდა, სიცხე უმატებდა. ამ ბურანში კლიმს ესმოდა:

— თქვენ უთხარით ძმას.

— ვის? — გაკვირვებით ჰკითხა კლიმმა.

— ძმას, დიმიტრის. არ იცოდით, რომ ის აქაა?

— არ ვიცოდი. დღეს ჩამოვედი მხოლოდ. სად არის?

ტურობოევმა სასტუმრო დაასახელა და უთხრა, რომ დიმიტრის დილით ნახავს.

შინ რომ მივიდა, სამგინმა სამოვარი და ღვინო შეუკვეთა, ცხელი აბაზანა მიიღო, მაგრამ ამან კი არ უშველა, არამედ უფრო დაასუსტა. პალტო წამოიხურა და ჩაის დასალევად დაჯდა. თავი სტკიოდა, სურდო ეწყებოდა, სინათლე თვალებს სჭირდა და ამან აიძულა დაეხუტა ისინი. მაშინ სიბნელეში გაჩნდა პირტიცველი სახე და მოლაპლაპე თავი, ყურებში კი მძიმე ხმა უწიოდა:

„ცხოვრება ცნობილია!“

ამ თავქვეშე ეწყობოდნენ ათეულობით, ასეულობით ადამიანები, იქმნებოდა ათასხელიანი სხეული ერთი თავით.

„ბელადი“, — ფიქრობდა სამგინი, ეცინებოდა და ხარბად სვამდა თბილ ჩაის, რომელშიც ღვინო გაურია. დახტუნავდა მიზაკისფერი პატარა ხუცესი. სხეული ნაწვეგრდებოდა ერთეულებად, ისინი იღებდნენ სამითოვანი მოქადაგის, დიომიდოვის, მტვირთავის, სოფლელი მეღუმელის ნაცნობ ურჩ სახეებს, იმათ სახეებს, ვინც ბედს არ ემორჩილება. გონებაში გაიელვა დიაკვნამა, რომელსაც ხელში სქელი წიგნი ეჭირა და ისე თქვა, თითქოსდა აქტიორაა, რომელიც ნესჩასტიციცვის როლს თამაშობს:

„ცენზურაში გატარებულა!“

„მე სიცხე მაქვს, — დაახლოებით, ალბათ, ორმოცი“, — ფიქრობდა სამგინი და მოთუხთუხე სამოვარს უცქეროდა; ცხელ სპილენძში მის სახესთან ერთად მოჩანდა რაღაც ზოლები, ლაქები; ისინი ისევ იქნენ ადამიანებ-დ; თვითეული მათგანი გამრავლდა ათ და მეტ თავისივე მსგავს ადამიანად, წარმოიქმნა სქელი მასა ერთნაირი ფიგურებისა; თავები ისე ხტუნაობდნენ, როგორც ყავის მარცვლები ცხელ ტაფაზე, სხვადასხვა ფერის თვალები ათასობით ნაპერწკალს აფრქვევდა, იქმნებოდა წყნარი მოზუზუნე ხმაური...

— ეშმაკმა იცის, რამდენად მე... მარტოდმარტო ვარ, — ხმამაღლა თქვა კლიმმა. სიტყვები მოისმა შორიდან და ისინი წარმოსთქვა ვიღაცის ხრინწიანმა ხმამ. სამგინი ადგა, ტორტმანით მივიდა საწოლთან, ზედ წაიქცა, ხელი ზარის ბუშტს სტაცა და მუშტი მოუჭირა, თანაც უცქეროდა, თუ როგორ აფართოხუნებდა ანატორის სახელებს პატარა ხუცესი, როგორ დახტუნაობდა როგორც მამალი, რომელსაც ღობეზე შეხტომა სურს, მაგრამ არ შეუძლია შეხტეს. ღობე იყო მაღალი, უსასრულოდ გრძელი და სიბნელეში, კვამლში იკარგე-



ბოდა, მაგრამ ერთ ადგილას ღობე გატყდა, კუთხე წარმოიშვა, ამ კუთხეში იდგა ტურობოევი, ხელი გაეშვირა და ყვიროდა:

„ის გაიგებს!“

საწოლთან მივიდა ორი სქელი კაცი; ისინი სამგინს აბრუნებდნენ ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ოხოტნი რიადის მეფე სოკოთი მოვაჭრეს ჰგავდა, აღმოჩნდა დიმიტრი, მეორე კი ისეთი ექიმი, როგორც არიან ჟიულ ვერნის წიგნებში — ისინი ყოველთვის ცდებიან, და მათ ვერ ერწმუნები. სამგინმა თვალეები დახუჭა, ორივენი გაქრნენ.

როცა სამგინი გონს მოვიდა, გარეთ, რძისფერ ნისლში დნებოდა ვერცხლისფერი მზე, მაგიდაზე ელვარებდა სამოვარი, მალლა აღიოდა ორთქლის ხუჭუჭა ნაკადი, სამოვარის წინ იჯდა ძმა და ხელში გაზეთი ეჭირა. თავი ჯარისკაცულად უბრალოდ ჰქონდა გაპარსული, წითელი ლოყები ვაჭრისებურ წვერს დაეფარა; ეცვა გახამებული პერანგი უპალსტუხოდ, უჩვეულოდ ჭრელ შარავალზე ჰქონდა ლურჯი აჭიმები.

„რა... პროვინციალურია, — გაიფიქრა კლიმმა, მაგრამ ეს სიტყვა ვერ ამოწურავდა მის შთაბეჭდილებას, მაშინ მან დაახველა და დაუმატა: — ბედნიერი“.

დიმიტრიმ გაზეთი იატაკზე დააგდო და საწოლთან მივიდა.

— გამარჯობა! ეს შენ რა დაგემართა, ძმაო, ა? მაგრად, ძალიან შფოთიანად ბოდავდი. ხუცები, ნაფოტა, გლებ უსპენსკი. მოგიხდება სამი-ოთხი დღე წოლა.

მაგიდასთან მივიდა, ჭიქაში წამალი ჩააწვეთა, კლიმს დააღვეინა, შემდეგ თავისთვის ჩაი დაისხა, ჭიქა ხელში დაიჭირა და საწოლთან სკამზე უხერხულად დაჯდა.

— მე კი ორი კვირაა, რაც აქა ვარ. ჩამოვიტანე შრომა ჩრდილოეთის მხარის ეთნოგრაფიაზე.

— მეთვალყურეობის ქვეშ აღარა ხარ? — ჰკითხა კლიმმა.

— დიდი ხანაა.

— საზღვარგარეთ მიდიხარ?

— ფული არა მაქვს, — თქვა დიმიტრიმ და ჭიქა რატომღაც იატაკზე დადგა. თვალეებში ისე დამნაშავესავით იცქირებოდა, როგორც ვიბორგში. — ასეთი... ამბავი მოხდა: დავინაგდი ერთ ოჯახში, — შესანიშნავი ადამიანები! მათ სახლი დაგირაგებული ჰქონდათ, უნდოდათ ჩამოერთმიათ, და მე ფული მივეცი. შემდეგ სახლის პატრონის ქალიშვილი დაქვრივდა და... შენც, მგონი, ცოლიანი ხარ, არა? როგორ ვცხოვრობ? დაინ... არა უშავს რა. ეთნოგრაფია უაღრესად საინტერესო საქმეა. ცოტაცტას ხეხილის ბაღში ვცოდვილობ. აბა, საზოგადოებრივობაც ხომ... — ნეკით ცხვირი მოიფხანა და წყნარად ჰკითხა: — ბოლშევიკი ხარ? არა? ეს სასიამოვნოა, ღმერთმანი! — ხელეებს მუხლები მოუჭირა, მისივე დაიხარა და უფრო ცოცხლად განაგრძო: — არ მიყვარს ეს ხალხი, ცერცეტა ადამიანები არიან. აჯანყების თავები. ბლანკისტები.

მოიჭმუნა, კლიმს უფრო მოუახლოვდა და ხმას უფრო დაუწია.

— მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა გლებთა ამბოხებისაგან. ეს უკვე ესერების ბოლშევიზმია. აჯანყეს რამდენიმე ათეული ათასი გლეხი, რათა ისინი მუხლებზე წამოეჩქებინათ. ჩვენი დემაგოგები კი, ვშიშობ, მუშებს წამოაჩქებენ. აი ჩვენ კვამათობთ, იქ კი საპატიმროში მომუშავე ვილაც ხუცესი მოქმედებს. ცუდია, ძმაო...

— რას ფიქრობ ტურობოვეზე? — ჰკითხა კლიმმა.

— რას უნდა ვფიქრობდე? — გამოეხმაურა დიმიტრი, ამოიხვნეშა და დაუძრა:

— ეგ არაფერს კარგავს. ჩაის ხომ არ დალევ?

— კი, გეთაყვა.

დიმიტრი ჩაის ასხამდა და ამბობდა:

— ვნახე მხატვნი „ფსიქერზე“, — იქაც ტურობოვეია, მხოლოდ უფრო ჩერჩეტი. პიესა კი არ მომეწონა, მასში არაფერია, გარდა სიტყვებისა. ფელეტონია ჰუმანიზმის თემაზე. და საოცრად არადროულია ანარქიზმით გამთბარი ეს ჰუმანიზმი! საერთოდ — ცუდი ქიმიაა.

სამგინს აინტერესებდა და ესამოგნებოდა კიდევ ესმინა ძმისათვის, მაგრამ თავი უბრუნოდა, ღლიდა ხველება და ისევ უმატებდა სიტყვებს. თვალები მობუჟა და თქვა:

— დედა საზღვარგარეთ გაემგზავრა.

— დიდი ხნით?

— საცხოვრებლად.

დიმიტრემ ნიკაპი ჩაფიქრებით მოიფხანა, შემდეგ თქვა:

— დ-დიახ. მამ ასე... დავალე? ჩქარა პირველი საათი იქნება, აკადემიაში უნდა წავიდე. საღამოს მოვალ, კარგი?

— რა საკითხავია? გაზეთი მომეცი.

დიმიტრი წავიდა. ნომერში სიწყნარე ჩამოვარდა; ეს სიწყნარე სვამდა რაღაც კითხვას, აღძრავდა რაღაც მოლოდინს.

„მოეწყო და რცხენია, — უპასუხა სამგინმა ამ სიწყნარეს; მან პირველმა მონახა თავის თავში ძმისადმი კეთილსასურველი გრძნობა. — მაგრამ რა შეშინებულია იდეებით რუსი ინტელიგენტი“, — კლიმმა გუნებაში ჩაიციინა. ძმაზე საფიქრელი არაფერი იყო, ყველაფერი — ნათელია! გაზეთში გაგულისებით წერდნენ ომზე, პორტ-არტურზე, ტრანსპორტის მომლაზე, ეჭვს სვეტიან ფელეტონში ვიღაც აღფრთოვანებული იყო ბალმონტის ლექსებით, მოყვანილი იყო ადგილი მისი ლექსიდან „კაცუნები“:

წვრილ მესაყურეზე, კანონს თყვანს რომ სცემ

და პირმოთენ ოჯახის კაცი ხარ,

შენ ხარ მილიონობით და ნეტავ როდის დადგება დრო,

რომ აღარ იქნები, გაჭრები!

სამგინმა გაზეთი მიაგლო, თვალები სტკიოდა, კითხვა უჭირდა, ხველება მძლევდა. დიმიტრი მოვიდა გვიან საღამოს, კლიმს უთხრა, ამავე სასტუმროში გადმოვედი, ჰკითხა, რამდენი ეჭვს სიტყვებს, რაღაც დამამწვიდებელი რამ ჩაიბუტბუტა, თქვა:

— იქ პატარა კრებაა ამ გაბონის გამო, ეშმაკსაც წაუღია!..

და გაიქცა.

მეორე დღეს საღამოსათვის სამგინი თავს გრძნობდა მომჯობინებულად; როცა ძმა მოვიდა, საწოლში იჯდა და ჩაის სვამდა.

— პორტ-არტური ჩაიბარეს, — გამოსცრა ძმამ კბილებში. — ხვალ ეს ახალი ამბავი გამოქვეყნდება.

ფანჯარასთან მივიდა, მინახე თითით რაღაც დაწერა, ხელის გულით ნაწერი წაშალა და ამოიხვნეშა:

— ტურობოვეი ამბობს, მეფე ამ უბედურებას გულგრილად შეხვდა.

— მაგან საიდან იცის? — გაჯავრებით ჰკითხა კლიმმა. — რა თქმა უნდა,

სტერუობს...

დომიტრი მაგიდასთან მივიდა, პურის ქერქი მოტეხა, პირში ჩაიღო და ზუტუტუტი დაიწყო:

— არა, მან იცის. მან მაჩვენა ადმირალ ჩუხნიძის საიდუმლო პაკეტის ძალი; ადმირალი აცნობებს, რომ სევასტოპოლი პოლიტიკური პროპაგანდის კერაა და რომ განზრახვა — სათადარიგო ნაწილები განალაგონ მოსახლეობის ბინებში — ისეთი განზრახვაა, რომელიც უბედურებას გვიქადის და შეიძლება ბოროტი განზრახვაც კი იყოსო. როცა მეფეს პატაკი აჩვენეს, მხოლოდ ეს თქვა: „ძნელი დასაჯერებელია“.

კლიმს არაფერი უთქვამს; ის უტკეოდა სიცივისაგან გაწითლებულ ძმის სახეს. დღეს დომიტრი უფრო ჯმუხი და ჩვეულებრივი ჩანდა. ლაპარაკობდა დაუდევრად და თითქოს იმაზე არა, რაზედაც ფიქრობსო. თვალები აბნეულად იტკირებოდნენ, და ალბათ, არ იცოდა, სად წაედო ხელები — იწყობდა მათ ჯიბეებში, იკიდებდა კისერზე, მოისვა გვერდებზე, ბოლოს კი ფართოდ გაშალა და გაკვირვებით თქვა:

— ეს მეფე უცნაური ფიგურაა, ხომ? ქვეყნის ბედისადმი მის გულგრილობაზე, მას უნებისყოფობაზე ისე ბევრს...

— და არასწორად ლაპარაკობენ, — თქვა კლიმა. — არასწორად, — ჯიუტად გაიმეორა მან. — ამა ერთი გაიხსენე, ამ დღეებში როგორ გააწყვეტინა სიტყვა ჩერნიგოველ ერობელებს.

— ეს პირადი საკითხის გამო, ასე ვთქვათ, — შენიშნა დომიტრი.

— მაგრამ, თუ გნებავს, წარმოდგენილი მაქვს, რატომ ჰქონდა მეფეს...

საფუძველი ყოფილიყო გულგრილი, — მოულოდნელი სიფიცხით განაგრძობდა სამგინსა — ამან ცოტა კიდევ შეაცბუნა. — გულგრილი, როგორც ადამიანი, რომელსაც ბავშვობიდან შთაავონებდნენ, განსაკუთრებული არსება ხარო, — თქვა მან და იგრძნო, რომ ახლოსაა მისთვის ძალზე ძვირფას აზრთან. — გესმის? განსაკუთრებული არსება. დამეთანხმე, კაცი, რომელიც იმ რწმენითაა აღზრდილი, რომ მისი ნების შეზღუდვა არავის შეუძლია, — ძნელია შეურიგდეს მისი შეზღუდვის მოთხოვნას. მას კი ეს მოსთხოვეს მაშინვე, როგორც კი ტანტზე ავიდა...

დომიტრიმ წარბები აჰიმა, ამან წვერი უფრო გაუგანეირა, წვერზე ხელი ჩამოისვა, ჭერში აიხედა და ჩაიბუტბუტა:

— დიახ, მაგრამ — ეს მთლად სწორი არაა...

სამგინს ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია; ის თავის აზრს მისდევდა.

— მეფე გრძნობს რომ გარემოცულია უნიჭო ადამიანებით, მშვიშარებით, ავანტიურისტებით, ვიტესავით თავპატარებით...

— მაგრამ ვიტე...

— პობედონოსცევივით, — საერთოდ კარიკატურულად საშინელი სიფითებით. მეფე ხედავს ხალხს, რომელიც მას ვაშას უძახის, შემდეგ კი ქვეყნის მეურნეობას ანგრევს, და გუბერნატორები იძულებული არიან, ეს ხალხი გაამათრახონ. ხედავს მუხლმოყრილ სტუდენტებს თავისი სასახლის წინ; სულ ცოტა ხნის წინათ ამ სტუდენტებს ჯარში აგზავნიდნენ; მეფემ იცის, რომ რევოლუციონერთა უმრავლესობა სტუდენტთა წრიდან გამოდის. მან იცის, რომ ათიათასობით მუშა მივიდა ბიძამისის ძეგლთან და ვაშას გაიძახოდა და რომ რუსეთში ჩამოყალიბებულია სოციალისტური მუშათა პარტია და ამ პარტიის მიზანია არა მარტო თვითმპყრობელობის მოსპობა — რაც ყველა სხვებსაც;

სურთ — არამედ კლასობრივი წყობილების მოსპობა. ყოველივე ეს კი არ აიხსნება, არამედ... როგორღაც წონასწორდება სულში...

სამგინი თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა — ბრალს სდებს თუ იცავს? გრძნობდა, ჩემი სიტყვა ძალზე სარისკოაო, და ხედავდა: ძმა მეტისმეტად დაჟინებით უცქეროდა. მაშინ, ცოტა შეჩერდა, და ჩაფიქრებით თქვა:

— ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენათა ამ წონასწორობიდან შეიძლება აღმოცენდეს გულგრილი დამოკიდებულება... ცხოვრების მიმართ. და ადამიანთა მიმართ ზიზღი კი.

აქ კლიმი მიხვდა, მეფეზე კი არა, ჩემს თავზე ვლაპარაკობო. დარწმუნებული იყო, დიმიტრი ამას ვერ მიხვდებოდა, მაგრამ მაინც უსიამოვნო რაღაც იგრძნო, გაჩუმდა, ფიქრობდა:

„კარგად რომ ვიყო, მასთან ასე არ ვილაპარაკებდი“.

— დ-დაბ, აი თურმე შენ, — გაურკვეველად თქვა დიმიტრემ, თან პიჯაკის ღილს ეჭიდებოდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. — ძნელი დროა, ძმაო! ყველაფერი მწვავედება, უკიდურესობისაკენ გიბიძგებს. მეორე მხრივ კი იზრდება მრეწველობა, ქვეყანა შესამჩნევად მავრდება... ევროპული ხდება.

დიმიტრემ ეს თქვა გაურკვეველად, თითქოს კბილები სტკიავო, შემდეგ ჰკითხა:

— ჩაი დავლიოთ, ხომ?

— შეუკვეთე.

— ეს ომი იდიოტურია, — ამოიხვნეშა დიმიტრემ და ზარის ღილს თითი დააჭირა. — ყველაზე უბედური ომია იმ ომებს შორის, რომლებსაც ჩვენ ვაწარმოებდით...

სამგინი არ უსმენდა, თავის სიტყვას ღრმად აკვირდებოდა. დიახ, ის თავის თავზე ლაპარაკობდა და თითქოს ამის შემდეგ თავის თავისთვის უფრო ნათელი გახდა. ძმა უშლიდა, ოთახში უთავშესაფარო ადამიანივით დაბორიალობდა, ფიქრიანად ბუზღუნებდა:

— ყველაფერი უცნაურია. გაჩნდნენ რაღაც... ორიგინალური ჰკუა-განწყობილების ადამიანები. ამას წინათ ერთი პოეტი მაჩვენეს — ვეებერთელა ყმაწვილი! იმდენს ჰამს, თითქოს მუდამ მშიერი და არა სწამს, რომ შეიძლება გავძლიო. კითხულობდა: ლექსს იუდაზე. გამკვებს გმირის ქება-დიდებას ასხამდა. ხოლო ნიჭი, მგონი, აქვს. მეორე ლექსი საინტერესოა.

დიმიტრემ შეკრეჭილი თავი უკან გადასწია, ჰერს უცქეროდა და კითხულობდა:

სატანა ღმერთთან თამაშობს ქაღალდს,
ჩვენ ბაბუები და ქალები ვართ.
ყველა კოზირი — ბნელ სულს უჭირავს,
ღმერთს კი — უბრალო ქაღალდები აქვს.

— აი როგორი... საინტერესოა! — ჩაიცინა დიმიტრემ.

ერთი კვირის მანძილზე დიმიტრი მოდიოდა აკურატულად, როგორც სამსახურში, ორჯერ დღეში — დილას და საღამოს — და სულ უფრო მეტად პროვინციული ხდებოდა. მისი უთვალავი შემოფოთებანი აღიზიანებდა სამგინს, მოსწყინდა დიმიტრის თმიანი, სქელი, ნაკლებმოძრავი სახისა და გაუბედავი, კითხვისგამომხატველი, ნაცრისფერი თვალების ცქერა. კლიმს თითქმის გაუხარდა, როცა ძმამ უთხრა, დაუყოვნებლივ მინსკში უნდა გავემგზავროვო.

— პატარა საქმე მაქვს, სამ დღეში დავბრუნდები, — განმარტა მან, თან ეცინებოდა და ვერ გაიგებდით, ამაყობდა იმით, რომ საქმე აქვს, თუ იმით იყო კმაყოფილი, რომ ეს საქმე პატარაა. — ტურობოვს ვთხოვე, სანამ შენ აქა ხარ, შემოიაროს ხოლმე.

— ტყუილად შეწუხებულხარ, — თქვა სამგინმა.

მას შინ წასვლა არ უნდოდა, მოსწონდა მარტოღობა ცხოვრება და საზღვარგარეთული რომანების კითხვა. კითხვა მოსაწყენად ამშვიდებდა, განცდილ შთაბეჭდილებებს სასიამოვნოდ აჩლუნგებდა, ხვეწავდა, ხორკლებს აცლიდა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა და ამაში წარმატებაც ჰქონდა, ყურს უვლებდა, თუ როგორ უმკვიდრდებოდა რაღაც ახალი რამ. იშვიათად აგონდებოდა ნიკონოვა, აგონდებოდა საწყენად და მოგონებებს მასზე მაშინვე თავიდან იცილებდა. ცოლს მისწერა, საქმეების გამო ვყოვნდები გაურკვეველი დროითო, ის კი არ უცნობებია, რომ ავად იყო. კარგ ამინდში სასიეროდ გამოდიოდა ნევის პროსპექტზე, უცქეროდა, ერთმანეთში როგორ ირევა უსაქმური ხალხი და აგონდებოდა ზორბა პოეტის სიტყვები:

სატანა ღმერთთან თამაშობს ქალღღს,

ტურობოვეი ნათლისღების საღამოს მოვიდა. შემოვიდა პალტოგაუნდელად, საყელოაწეული, ლამაზი წარბები ირონიულად მოღუშული ჰქონდა; უკვე ამის მიხედვით სამგინმა იგრძნო, ეს კაცი რაღაც არაჩვეულებრივ და უსიამოვნო რამეს იტყვისო. ასეც მოხდა. ტურობოვემა თავაზიანად ჰკითხა კლიმს, როგორია მისი ჯანმრთელობა, ბოდიში მოიხადა, მოსვლა ვერ შევქმელით, დასველებული მსხვილი წვერი ცხვირსახოცით შეიმშრალა და თქვა:

— დღეს დილით პეტრეპავლეს ციხიდან ნიკოლოზ მეორეს ყუმბარა ესროლეს.

სამგინს მოეჩვენა, რომ ტურობოვემა ეს განგებ თქვა უბრალოდ.

— ხუმრობთ?

— ფაქტია! — თქვა ტურობოვემა და თავიც დაუქნია. — ფაქტია! — ჩხავილა ხმით გაიმეორა მან, თუმცა ეს საჭირო არ იყო; ტურობოვეი პალტოს დილგებს იხსნიდა, ეციენებოდა: — საინტერესოა: როგორი იყო ბრძანება? ბატარია! სრულიად რუსეთის იმპერატორს — ერთი!

— ვინ ესროლა?

— ზარბაზანმა. ღვინო ხომ არა გაქვს?

კლიმი ადგა, რომ დაერეკა. ის ვერ გეტყობათ, რას გრძნობდა, მაგრამ თვალწინ ედგა ვაგონის ბაქანი და ბაქანზე პატარა ოფიცერი, რომელიც ხელში ოქროს პორტსიგარს ათამაშებდა.

— საინტერესო გასროლაა, — ლაპარაკობდა ტურობოვეი. — თქვენ იცით თუ არა, რომ მუშებმა გადაწყვიტეს მეფესთან წაივინდნენ?

— რა გინდათ ამით თქვათ? — ცოტა დაყოვნების შემდეგ ჰკითხა სამგინმა. — ამ გასროლას ადრეებთ დებუტაციას — ასე არა?

კლიმი გრძნობდა, მტრულად და უხეშად ვეკითხებო, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო.

— ვაღარებ? როგორ ვითხრათ?

მოსამსახურე შემოვიდა. სამგინმა ღვინო შეუკვეთა და სტუმრის პირდაპირ დაჯდა; ტურობოვემა გადახედა მას, თან ყურის ბიბილოს ბწყენდა.

— უნამუსო აღმიაწიები ყოჩაღნი არიან, — თქვა მან. — უნამუსონი ნიჭიერნი არიან.

სამგინი ღუმდა და ცდილობდა განესაზღვრა, რამდენად ყალბია ყოფილი თავადის სიტყვების ირონია და სიმწარე. ტურობოვეი ადგა, პალტო საკიდზე ჩამოკიდა. მას თითქმის აღარ შერჩა მოძრაობის წინანდელი თავშეკავებუ-

ლობა, გაუჩნდა მკვეთრი ექსტეზი. პაპიროსს ხარბად ეწეოდა, კვამლს ღრმად ყლაპავდა და ცხვირის ნესტოებში უშვებდა.

„უკვე ბოჰემაა“, — გაიფიქრა სამგინმა.

— თქვენ ხომ არა გგონიათ, რომ რევოლუციონერებმა ისროლეს? — ჰკითხა კლიმმა ტურობოევს, როცა მოსამსახურემ ღვინო მოიტანა და წავიდა. ტურობოევი ჰქიქებს ავსებდა; მან უპასუხა გულგრილად, უპასუხა ისე, თითქოს თავის თავს აგონებს იმას, რასაც ლაპარაკობს:

— რევოლუციონერებს ზარბაზნებთან არ უშვებენ, იმათაც კი, ვინც პეტრეპავლეს ციხეში ზის. აქ ან რაღაც სახვებით შეუძლებელი შემთხვევითობაა ან სისხაღლეა, აი რაა! თქვენ თქვით — დეპუტაცია, — განაგრძობდა ტურობოევი ნახევარი ჰქიქა ღვინის დაღვევის შემდეგ და პირს ცხვირსახოცით იწმენდა. — თქვენ ფიქრობთ — ორმოცდაათი კაცი წავა? არა, მიდის ორმოცდაათი ათასი, შეიძლება მეტიც! ეს, ბატონო ჩემო, იქნება რაღაც... ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობის მსგავსი რამ.

არ იგრძნობოდა, რომ ტურობოევი აღელვებული იყო, მაგრამ ღვინოს წყალივით სვამდა; ჰქიქა რომ გამოსცალა, იმ წამსვე გაავსო, ნახევარი დალია, შემდეგ ხელები გულზე დაიჭლო და დაიწყო ლაპარაკი.

— გუშინ ერთ მჯღაბნელთან სავა მოროზოვმა თქვა, მრეწველები ვიტყნთან იყვნენო. ამბობდა, ამ გაიძვერას, ჩანს, მოფიქრებული აქვს რაღაც საზიზღარი და დიდი თამაშით. შემდეგ თქვა, დღეს არა, ხვალ ქალაქში განაკრგულეებს გასცემს დიდი თავადი ვლადიმერი და ინტელიგენციაში, ალბათ, იქნება დაპატიმრებანიო. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების დარბევანი.

— უცნაურია, — თქვა სამგინმა, — რა საქმე აქვს სავა მოროზოვს რევოლუციასთან?

— არ ვიცი. არ მიკითხავს, მაგრამ რატომ ლაპარაკობთ — რევოლუცია? არა, ეს ჯერ კიდევ არ არის რევოლუცია. წარმოდგენილიც არა მაქვს, რომ კვირას ვინე რევოლუციას დაიწყებს.

— მუშები, — გაახსენა სამგინმა.

— ხუცესის მეთაურობით? ხელში მეფის პორტრეტებით, ხატებით?

— მართლა?

— დიახ, სწორედ ასეა. ეს საღი აზრის დაკრძალვა იქნება, აი რა იქნება ეს! თუ უფრო ცუდი რამ არა...

სამგინი ადგა. ოთახში გაიარა. ესმოდა ზურგს უკან, როგორ რაკრავებდა ღვინო ჰქიქაში ჩასხმისას.

— მაშ, მე წავალ, გმადლობთ! მიხარია, რომ ჯანმრთელი გნახეთ, — საწყენი გულგრილობით თქვა ტურობოევმა, მაგრამ როცა სამგინს თავის ცივ, მოთენთილ ხელს ართმევდა, განაგრძობდა:

— აი, რა: არის ასეთი წინადადება — კვირას ყველა წესიერი კაცი ქუჩაში იყოს. აუცილებლად საჭიროა პატიოსანი მოწმენი. ეშმაკმა იცის, რა შეიძლება მოხდეს. თუ თქვენ არ გაემგზავრებით და წინააღმდეგიც არა ხართ...

— ცხადია, — სწრაფად უპასუხა კლიმმა.

ტურობოევმა მისცა მისამართი, სად უნდა მისულიყო კვირას, დილის რვა საათზე. წავიდა და კარები უფრო მაგრად გაიხურა, ვიდრე საჭირო იყო.

„ღლეავს, ამ გასროლით შეურაცხყოფილია“, — ვადაწყვეტა სამგინმა, თან ნელა მიმოდიოდა ოთახში. მაგრამ გასროლაზე არ ფიქრობდა, მაინც არ სჯეროდა ეს. გაჩერდა, კუთხეს უცქეროდა და ასეთი საზეიმო სურათი წარმო-

იღვინა: მზიანი დღე, ლურჯი ცა, მოედანზე ზამთრის სასახლის წინ მუხლმოყრილი მუშათა მასა, სასახლის აივანზე კი ერთმანეთის გვერდით დგანან ლურჯი მეფე და ხუცესი ოქროს ანაფორით, და ადამიანთა უძრავი, მუნჯი მასებისაყენ მოცურავს შერიგების ბრძნული სიტყვები.

„ამას წინათ ხომ იღვინე მუხლმოყრილი მის წინაშე, — ფიქრობდა სამგინი. — ეს იქნებოდა სასიკვდილო ლახვარი რევოლუციური მოძრაობისათვის და რაღაც ახალი ურთიერთობის დასაწყისი მეფესა და ხალხს შორის, შეიძლება ისეთი ურთიერთობის დასაწყისი, რომელზეც ოცნებობდნენ სლავიანოფილები...“

სამგინს სწრაფად უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ახლოვდება უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომლის შემდეგაც გამეფდება წესრიგი, ის ადამიანები კი, რომლებიც ბოღვას შეუპყრია, ან განიკურნებიან ან დაიღუპებიანო. სწორედ ამ რწმენით მიდიოდა სამგინი ნევის პროსპექტზე კვირას, ადრედილით. ჩვეულებრივი მონაცრისფრო დღე იყო და ეს კაცს ამშვიდებდა; ძალიან არ ცივოდა, თუმცა მშრალი ქარი ქროდა და ზანტად ფანტავდა თოვლის იშვიათ, წვრილწვრილ ფიფქებს. მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო, ქუჩაში მანაც ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს დღეს ადამიანები უფრო უშიზოდ და ერთმანეთისაგან განცალკევებულად დაეხეტებოდნენ, ვიდრე ყოველთვის. მეტ ნაწილს კარგად ეცვა, უმრავლესობა საადმირალოს შენობისაყენ მიდიოდა, მხოლოდ გვერდის ქუჩებიდან გამობობდნენ და ზნაიენსკის მოედნისაყენ მიიჩქაროდნენ ახალგაზრდობის პატარპატარა ჯგუფები. ალბათ, ფაბრიკა-ქარხნების მუშები. მარხილები შესამჩნევად ცოტა იყო. სამგინს ძალზე ამშვიდებდა ის, რომ პოსტებზე არ ჩანდნენ პოლიციელთა მონუმენტური ფიგურები, ამშვიდებდა ისიც, რომ ამ დილით ნევის პროსპექტი ჩანდა ჩვეულებრივზე უფრო წყნარი, თავმდაბლური და თითქოს ძალიან ღრმად არ კრიდა ქვის სახლების ერთიან მასას. სამგინი შევიდა პირქუში ქვის სახლის ეზოში და წააწყდა ადამიანთა ჯგუფს, რომლის ცენტრშიც იდგა მაღალი, სათვალაიანი კაცი ფრანგული წვერით; დიაკვანივით სწრაფად და ძალზე შემფოთებით ეს კაცი ამბობდა:

— საცებით ზუსტად დადგენილია: ჯარის სარდლობამ ქალაქში თავი მოუყარა ფეხოსანთა ორმოცამდე ბატალიონს, თორმეტ ასეულს და ცხენოსანთა ათ ესკადრონს...

— ჰო, მაგრამ რას ნიშნავს ეს ორასი ათასის წინააღმდეგ, — უბასუხა მას პატარა კაცუნამ, რომელსაც კისერზე თეთრი კაშნე მოეხვია და რაღაც ბერი-სებური ქუდი დაეხურა:

— თქვენი ათასები უიარაღონი არიან!

— მაგრამ ჩვენ არც ვაპირებთ ბრძოლას...

ორნი კამათობდნენ, დანარჩენები სათვალაიან კაცს გარს ეკვროდნენ და ეკითხებოდნენ:

— თქვენი ცნობები მართალია, ნიკოლაი პეტროვიჩ?

— ზუსტად დადგენილია: ყველგან გარეუბნებში ჯარია, ხიდები დაცულია, ქალაქში არავის გაუშვებენ... მე მეჩქარება, ბატონებო, მე უნდა მოვახსენო...

მას არ უშვებდნენ, ეკითხებოდნენ:

— რატომ არსად არა ჩანს პოლიცია? რა უთხრეს მინისტრებმა პრესის დეპუტაციას?

სათვლიანმა წრე გაარღვია და ეზოს კუთხისაკენ გაიქცა, ხოლო ვი-
ლაც შავწვერიანმა კაცმა, რომელსაც მძიმე ქურჭი ეცვა, მას მიაძახა:

— მაგრამ ეს ხომ პროვოკაცია!

„პანიკას ეძლევიან ისინი, ვინც უსაქმოდ დატოვენ“, — გაიფიქრა სამგინ-
მა.

ერთი წუთის შემდეგ კლიმი იდგა დიდი საკლასო ოთახის კარებში; ოთახ-
ში დამაყრუებელი ყვირილი და გაცეცხლებული ლაპარაკი იყო.

— რა? მე ვამბობდი?

— ბატონებო! წყნარად!

— საესებით ზუსტად დადგენილია...

— რა პარტია ხართ თქვენ, აბა, რა პარტია ხართ?

— მოისმინეთ!

— წყნარად...

როცა სამგინმა შეორთქლილი სათვალე გაწმინდა, საკლასო ოთახში უწყ-
სრივოდ მიწეულ-მიწეულ მერხებს შორის აუარებელი ხალხი დაინახა; აღამიან-
ნები ისხდნენ მერხებზე, ფანჯრის რაფაზე, იდგნენ იატაკზე, ერთდროუ-
ლად რამდენიმე ათეული ხმა ყვიროდა, და ყველა ხმას ახშობდა მაიმუნისე-
პური სახის მომელოტო კაცის ისტერიული სიტყვა.

— ჩვენ წინ უნდა წავუძღვეთ, — ყვიროდა ის უცნაური აქცენტით. —
ჩვენ ყველანი უნდა წავიდეთ არა როგორც მოწმენი, არამედ როგორც მსხვერ-
პლნი ტყვიების ცეცხლში, ხიშტებზე...

— მაგრამ გვიბრძანეთ! ვინ ლაპარაკობს ტყვიებზე?

— ამას მოითხოვს ჩვენი წარსული, ჩვენი ღირსება...

ის, ვინც ყვიროდა, მერხზე იდგა, ცდილობდა წონასწორობა შეენარჩუ-
ნებინა და სასოწარკვეთილი იგრინებოდა, ფეხებზე ვეებერთელა ფეხსაცმელე-
ბი ეცვა; ფეხსაცმელებს თითქოს დამოუკიდებელი მოძრაობის უნარი ჰქონ-
დათ — მერხზე სოსდებოდნენ. ორატორი სიტყვებს ძალზე გამწვიანად ამ-
ბობდა და ცოტა ენა ეჩლიქებოდა. მის ქვემოთ იდგა სქელი კაცი, რომელიც
მუცლით მერხს მისწოლოდა და მერხზე მუშტს ურტყამდა; მას თავი უკან ისე
გადაეწია, რომ კისერზე გასჩენოდა ნაოჭი, მსგავსი ყურიანი პურის კვერისა;
ის გუგუნებდა:

— გვაძების რიცხვის გაზრდა...

— ჩვენი გზაა — ხალხთან ერთად...

— მ-მ-მ-მეფესთან? მასთანაც კი-კი?

— მე ვამბობდი: ხუცესს არ დაეჯერება!

— დადასტურებულია აგრეთვე...

კაცს, რომელსაც ფრანგული წვერი ჰქონდა, არ უსმენდნენ, მაგრამ მას
ერთი ხელით სათვალე ეჭირა, მეორე ხელით სახესთან ჩასაწერი წიგნაკი მიე-
ტანა და კითხულობდა:

— ფსკოვიდან: ორი ბატალიონი...

მერხებს აჩოჩებდნენ და აჭრივინებდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, დიდ
ფეხსაცმიანი კაცი ისტერიულად გაიძახოდა:

— თუ ჩვენ არა გვაქვს ცხოვრების უნარი, უნდა გვქონდეს უნარი
დავიდუპოთ...

— ახ, თავი გაანებეთ!

— ერთი წუთით ყურადღება, ბატონებო! — რიხიანად დაიძახა კეთილშე-

სახედავმა გრძელ ქალაჩა თმიანმა ცხვირა მოხუცმა. სიწყნარე ჩამოვარდა და გარკვეულად გაისმა ორი ფრანზა:

— თუ წინასწარ განეწყვე დრამისათვის, იქმნება დრამაც.

— პარიზში, ოცდაათ წელს...

სამგინი ხედავდა, რომ ხალხის უმრავლესობა დგას ან ზის წყნარად; მყვირალა ადამიანებს ისინი უცქერიან კუმტად ან ნაღვლიანად და თითქმის ყველა მათ აქვთ დაყეილი სახე, თითქოს დიდი ხანია უძილობის ავადმყოფობით იტანჯებიანო. ყველაფერმა, რაც სამგინმა გაიგონა, ცოტა შეარყია მისი განწყობილება. მან წყენით გაიფიქრა: რატომ გამომიშვა აქ ტურობოვემა? კეთილსახიანი მოხუცი ამბობდა:

— ჩვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მეტი რამ ვნახოთ და ყველაფრის მართალი მოწმე ვიყოთ. ჩვენებები... რა? ჩვენებები მოიტანეთ საჯარო ბიბლიოთეკაში და თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში...

გაისმა არეულდარეული წამოძახილები.

— თითქოს ბოშებია ბაზარშიო, — საქამოდ ხმამალლა თქვა ტურობოვემა კლიმის ზურგსუკან.

— ეს მართალია, სასახლესთან არ მიუშვებენო? — ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ტურობოვეის გვერდით დადგა და ჰკითხა მას სამგინმა.

— მგონი—მართალია.

— მაშინ... რა გამოვა?

— აი, დავინახავთ, — უბასუხა ტურობოვემა; ის საქამოდ მოურიდებლად სწევდა ხალხს აქეთ-იქით და არც ბოდიშს იხდიდა. სამგინიც მიყვა.

— მე ვიბორგის მხარეს მივიდვიარ, — თქვა ტურობოვემა, როცა ეზოში გავიდნენ. — თქვენ მოდიხართ?

— დიას, — უბასუხა სამგინმა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჰკითხა: — უკეთესი ხომ არ იქნება ნევის პროსპექტით სასახლისაკენ წავიდეთ?

ტურობოვეს არ უბასუხანია. ის მიბიჯებდა სწრაფად, წინწახრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და უკან ჰაერში ტოვებდა პაპიროსის კვამლის ლურჯ ზოლს. მსუბუქი პალტოს აწეული საყელო, უჯრედებიანი ყელსახვევი და კიდეც რაღაც მის ფიგურაში — ტურობოვეს ამსგავსებდა პარიზის აპაშას იმათი რიცხვიდან, ვინც რესტორანების ესტრადაზე თამაშობს.

„მოწმე“, — გაუელვა სამგინს; ის ფიქრობდა, რა მიზეზით ეთქვა უარი ტურობოვეთან ერთად მგზავრობაზე?

სერგის ქუჩაზე მოდიოდა მარხილი; მოხუცი, გაძვალტყავებული მეფორნე მოხრილი იჯდა კოფოზე, სადავე მოეშვა და, ალბათ, თვლემდა; გაბურძნნილი, სოფლური ცხენი, კირხლით ისევე გაქალაჩავებული, როგორც მეფორნე, მიბიჯებდა ნელა, თავდახრილი.

— სდექ! ვიბორგის მხარეს გავსწიოთ, — თქვა ტურობოვემა.

მეფორნემ ალმაცერად გადახედა ტურობოვეს; ის წელშიც არ გასწორებულა.

— ვერ წავალ.

— რატომ?

— იქაური ვარ.

— მერე რა?

— ბინა იქა მაქვს.

— მერე?

— ვერ წავალ.

ტურობოვემა მხრები აიჩეჩა და ნაბიჯს უფრო აუჩქარა, მაგრამ, სანამ სამგინი გადაწყვეტდა, მარხილი თავისთვის აეყვანა, მეფორნემ ცხენი მოაბრუნა და შესთავაზა:

— ხილზე გადავიყვანთ — არა გსურთ?

გაემგზავრნენ. უფრო აცივდა. ქარი ნევიდან მტვერს აყრიდა, ნაცრისფერ პაერში ჩიტის ბუმბულივით ტრიალებდნენ თოვლის ფიფქები. ქალაქში ცოტა ხალხი მიდიოდა, და მიდიოდა აუჩქარებლად, გაუბედავად.

— ქალებიც წაელენ? — ჰკითხა სამგინმა ტურობოვეს. უსიამოვნოდ მაღალი და ჭრაჭუნა ხმით მეფორნემ უბასუხა:

— წაელენ. ყველანი მიდიან. ხოლო აქედან გამოვა რამე, ბატონებო? უნდა გამოვიდეს, — თქვა მან და წყნარად ჩაიწუწუნა: — თუ მთელი მუშათა მასა აცხადებს — არ შეგვიძლია!

მეფორნე მხარს ზემოთ იცქირებოდა და ისე ლაპარაკობდა; სამგინი ხედავდა მისი სახის მხოლოდ ნახევარს — მჭრქალ, სველ თვალს ნაცრისფერ წარბებს ქვემოთ და ასევე ნაცრისფერ წვერებს ზემოთ.

— აღარ შეგვიძლია, ბატონებო, და თქვენ როგორც გნებავთ! გაჭირვებამ დაგვაძაბუნა. მე ოთხი შვილიშვილი მყავს, შვილი კი ავად არის — ფაბრიკაში დაჰლექეიანდა. მამაო აგაფონმა გაიგო, ღმერთმა უშველოს მას...

მეფორნე ისევე უეცრად გაჩერდა, როგორც უეცრად დაიწყო ლაპარაკი; კოფოზე ისევ მოიხარა, ხოლო როცა ხილზე გადავიდა, ცხენი გააჩერა.

— ჩაბრძანდით. ამას იქით აღარ წავალ. არა, ფული არ მინდა, — გაიქნა ხელი, რომელზეც დახეული ხელთათმანი ეცვა. — ისეთი დღე როდია, რომ კაცი ორშაურთანებს იღებდეს. თქვენ, ბატონებო, ნუ გეწყინებათ! ჩემი შვილი წავიდა. რაღაც მეშინია თითქოს...

— რა ეშმაკია, — ჩაიბუტბუტა ტურობოვემა, შლაპა ჩამოიფხატა და შორს გაიხედა; იქიდან ქუჩის მთელ სიგანეზე მოდიოდა მჭიდროდ შეჯგუფებული ხალხი. — აქეთ წავიდეთ, — თქვა მან და ნევის ნაპირისაკენ გაემართნენ.

როცა ნევაზე გამოვიდნენ, სამგინმა დაინახა, რომ მის ორთავე ნაპირზე გაუთავებელ შავ მწკრივებად ერთმანეთს მიყვებოდნენ მუშები; ისინი მიდიოდნენ სამპსონის ხიდისაკენ. მიდიოდნენ მჭიდროდ შეჯგუფებულნი, არ ჩქარობდნენ, არ ხმაურობდნენ. პაერში ცურავდა ასეულობით ადამიანის ნაცნობი გუგუნი, და სამგინმა მაშინვე შენიშნა განსხვავება — ეს გუგუნი უფრო ერთსულოვანია, მხნეა, ასე ვთქვათ, ხვევრდოვანია, ვიდრე იმ ბრბოს არეულ-დარეული, აწეწილი ლაპარაკი, რომელიც მიდიოდა მეფის ბაბუას ძეგლთან. ხოლო როცა ხილზე შედგნენ და ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილ მუშებში შეერივნენ, სამგინმა იგრძნო, რომ მუშათა აუჩქარებელ მოძრაობაში ჩანს შეგნება — ისინი მიდიან დიდ ისტორიულ საქმეზე. ეს შეგნება ვადეცემოდა მას ხალხის სითბოსთან ერთად. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ სითბო — მხოლოდ ფიზიკური მიზეზის — სიმჭიდროვის შედეგი როდია, არამედ სითბო მოდის ქალებისაგან, მუშების ერთსულოვანი, საზეიმო, სერიოზული განწყობილებიდან. ასეთი განწყობილების ადამიანთა კრებულს კლიმი პირველად ხედავდა და ისევ გაიფიქრა, რომ ეს ხალხი მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსკოვის იმ ადამიანებისაგან, რომლებიც კრემლისკენ მიბიჯებდნენ უსიცოცხლოდ და თითქოს არც კი სურდათ ეს, არ ჰქონდათ ეს საზეიმო რწმენა. ქალეზი — ისინი ძალიან ბევრნი არ იყვნენ — ყველანი მომწიფებული ასაკისა ჩანდა ისევე, როგორც მამაკაცთა უმრავლესობა. მათი სერიოზულობა, სიმ-

შიდე, ტანსაცმლის სისუფთავე — ისევ და ისევ უღვიძებდა და უმტკიცებდა სამგინს იმედს, რომ ყველაფერი კეთილსასურველად დაბოლოვდებოდა. და თუ მართალია, რომ გამოძახებულია ასე ბევრი ჯარის ნაწილები, ეს მხოლოდ — წესრიგის დასაცავად დედაქალაქში. აი უკვე არასწორი გამოდგა ის ცნობა, თითქოს ლიტეინის ხიდი დახურულიაო. როცა სამგინმა გაიხსენა ნერვიული ყვირილი და ფაციფუცი სასწავლებელში, იმ აღამიანებზე გაიფიქრა:

„ესენი ის ხალხია, ვისაც ისტორიამ გვერდი აუარა. გვერდზე გადაყარა“.

და აღმაცერად გადახედა ტურობოვეს; ის მოდიოდა ისევ მოხუცივით წელში მოხრილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, კაშენში ნიკაბდამალული, ძალზე შეუფერებელი ფიგურა სერიოზულ, მაგარ ხალხში. ალბათ მას ესმის ეს, მისი ხშირი, თითქოს ჩიგინით ამოქარგული წარბები მოქუფრულა, ერთ ხანად შეერთებულა, სახე დაღვრემილი აქვს, მაგრამ ჯიუტიც.

„კაცმა არა თქვას, ეგ თავის თავის წინააღმდეგ მიდის“, — გაიფიქრა სამგინმა. ის ხალხი ისევ ხალხს აკვირდებოდა; აღამიანები უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ ერთმანეთს, უფრო თბილოდა.

სამგინმა საბოლოოდ იგრძნო თავი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის მონაწილედ, — სწორედ მონაწილედ და არა მოწმედ, — იმ სცენის შემდეგ, რაც უეცრად მოხდა დგორიანსკის ქუჩის შესასვლელთან. სადღაც გვერდიდან ხალხის ძირითად მასაში შეერია პატარა ჯგუფი, ასიოდ ახალგაზრდა; მათ წინ მოუძღოდნენ მახვილსახიანი კაცი ღია ფერის წვერით და უბრალოდ ჩაკმული ქალი, რომელიც მასწავლებელს ჰგავდა; წვეროსანი უცებ როგორღაც წელში გაიძარბა, გაიზარდა და მოკლე ჯოხზე გაკეთებული წითელი დროშა აიჭნია.

— ვაჰა! — არეულდარეულად დაიძახა რამდენიმემ, სხვებმაც არაერთბაშად წამოიძახეს: — გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას — ვაშაა! ამხანაგებო — ვაშა!

ხალხი შეკრთა, შეჩერდა, და ეს შეძახილები იმწუთშივე ჩაიძირა ასობით გაბრაზებულ წამოძახილში:

— დროშიანო, აქედან დაიკარგე!

— ეი, შენ, თავი გაანებე ამას!

— ძმებო, ნუ დაუშვებთ...

— ამ ეშმაკის კერძებს ნათქვამი ჰქონდათ — არ გაბედოთ!

განსაკუთრებით ხმამალა და შეშფოთებით ყვიროდნენ ქალები. სამგინს უბიძგეს იქით, სადაც აყალმაყალი იყო და აღმოჩნდა ძალიან ახლოს იმ კაცთან, რომელსაც დროშა ეჭირა. მას ხელი გასაოცრად სწორად გაეჭიმა და ისე ეჭირა დროშა თავს ზემოთ: დროშა იყო თავსაფრისოდენა, ძალზე წითელი, და ჰაერში ისე ციმკავებდა, თითქოს უნდა ჯოხს მოსწყდესო. სამგინი ზურგით და მხრებით. ეჯახებოდა უკან მდგომ აღამიანებს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მედროშეს გალახავდნენ. მაგრამ მალალმა, წითელულგამიანმა კაცმა, რომელიც გადაკმულ ჯარისკაცს ჰგავდა, მედროშეს ადვილად მოაზრევიდა ხელი და უთხრა:

— შეინახეთ, ამხანაგო...

— არაა საჭირო, — თქვა კიდევ ვილაცამ; მესამე ხმამ კი დაუდასტურა:

— ამხანაგო ანტონ, არაფერი არ გამოვა.

კაცი, რომელიც სახით დიაკვანს ჰგავდა, თეთრ ცხვირსახოცს იქნევდა. და გაიძახოდა:

— ეს პოლიციის ხრიკია! ვიცით!

დროშა აღარ ჩანდა, ის აიღო და ლურჯი პალტოს იღლიაში ამოიღო იმ კაცმა, რომელიც ჯარისკაცს ჰგავდა. ხალხში გაუჩინარდა ის კაციც, რომელმაც დროშა აღმართა; სამგინს მაგრად დაეჯახა და ზურგს უკან ამოძვრა საშინელო ცეცხლფარეში ილია; ის ხალხს მიარღვევდა, წინ მიიწევედა და ღრიალებდა:

— დროშები, ძმებო, საჭირო არ არის! ისეთი საქმე როდია. ისეთი საქმე არაა, გაიგე?

ქული არ ესურა და ხორკლიანი მოტყელებილი თავი, რიყის ქვის მსგავსი, ძალიან გაწითლებოდა; ქული პალტოს საყელოში ჩაერჭო და ფართო ნიკაპქვეშ უჩანდა. ხალხში შექმნილი ადამიანთა კვანძი გაიხსნა, ადამიანები ისევე მშვიდად მიდიოდნენ ქუჩაში, მჭიდროდ ავსებდნენ მას. ამ სცენით გახარებული სამგინმა ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

— რა სერიოზული განწყობილება აქეთ...

კლიმი ფიქრობდა, ტურობოევს ველაპარაკებოდა, მაგრამ მას უპასუხა თხელწვერიანმა კაცმა, რომელსაც ყვითელი, გამხდარი სახე ჰქონდა:

— არაფერი სერიოზული იმაში არაა, რომ წითელი ჩვარი აქნით.

სამგინმა მიხედა — ტურობოევი იქ აღარ იყო.

— თქვენ მუშა ხართ? — ჰკითხა სამგინმა.

— მამ როგორ? აქ სხვები არ არიან. მხოლოდ ათიოდე კაცი შეიძლება იყოს. კანტორის მოხელე ხარ?

— გაზეთებში ვწერ, — უპასუხა სამგინმა.

— მე კი ხარატი ვარ, ხეს ვამუშავებ.

სამგინი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ თქვა:

— შესანიშნავი განწყობილება აქეთ... ადამიანებს. საერთოდ შესანიშნავი წამოწყებაა! მეფისა და მუშა-ხალხის ერთიანობაზე ოცნებობდნენ...

— ჩვენ ოცნებისა და ასეთი რამეებისთვის არა გვცალია, — აშკარა სინანულით თქვა ხარატმა და სამგინს მასთან საუბრის ხალისი დაუკარგა, როცა ამას დაუმატა: — შენ, პელაგია, ტყუილად წამოხვედი, ხომ გითხარი: საღამომდე ვერ დაებრუნდებით-მეთქი.

ეს მხარზემოდან გადასძახა ვილაცას უკან.

— შენ იარე, იარე, — უპასუხა მას მამაკაცის ხრინწიანმა ხმამ.

როცა ტროიცის მოედანზე გამოვიდნენ, პირველი რიგები, თითქოს რაღაცას დაეჯახნენ, შეჩერდნენ, აგუგუნდნენ; სამგინის ირგვლივ ადამიანები მალა ხტებოდნენ, ერთმანეთის მხრებს ეყრდნობოდნენ, წინ იყურებოდნენ.

— ძმებო, შეჩერდით!

მრავალჯერ და სხვალასხვაჯერ ტონზე — შიშით, გაჯავრებით, დამცინავად — გაისმა ერთი და იგივე სიტყვა:

— არ გვიშვებენ?

მუშათა ერთმა ნაწილმა ნაბიჯი შეანელა, უკან გადაიხარა, სხვები სწრაფად მიიწევედნენ წინ და გაჰკიოდნენ:

— რას დგახართ? რა მოხდა იქ? ჩვენებო, წადით წინ!

სამგინი ისე დაჯგულიმეს, რომ ორჯერ გააკეთა სრული წრე, შემდეგ კი აღმოჩნდა წინა რიგებში, ღობესთან მიჰყულებილი. მისგან ორმოცდაათ ნაბიჯზე ხედავდა ჯარისკაცებს, რომლებსაც დაეკეტათ ხიდზე შესასვლელი გზა; ისინი სანაპიროს გრანიტის კედლებივით იდგნენ, თავები, შუბლზე თეთრი ზოლებით, ერთფეროვნად ჰქონდათ გამოთლილი, თავებს შუა ხიშტების გრძელი ლურსმნები იყო აშვერილი. პირით ჯარისკაცებისაკენ იდგა ოფიცერი, რომელსაც ზურგზე ღვედები ჰქონდა გადაჯვარედინებული; ის ამოღებულ,

ლურჯად მოპრიალე ხმალს იქნევდა და იმით ზამთრის სასახლეზე უთითებდა; ისე ჩანდა, თითქოს მას სურს ჯარისკაცებს თავზე გადაახტესო; მეორე ოფიცერი, შავწვერიანი, თეთრხელთათმანებიანი, პირით სამგინისაკენ იღვა და პაპიროსს უკიდებდა, ასანთს რომ გაკრავდა, შუქი თვალებს უნათებდა. სამგინი ხედავდა, რომ მუშები ნელ-ნელა მიიწევენ ჯარისკაცებისაკენ, ესმოდა, რომ ასობით ადამიანი უფრო და უფრო აღლელებული ყვირის; მათ შორის გამოირჩეოდა ცეცხლფარეშის მძიმე, ბოხი ხმა:

— შეჩერდით, მოიცადეთ! მე მივალ, ავუხსნი! დედაკაცებო — თავსაფარი მომეციო! თეთრი! ეგორ ივანიჩ, წავიდეთ, შენ — მოხუცი ხარ! ახლავე, ძმებო, ჩვენ ავუხსნით! ისინი ცლებიან. თავსაფარი, თავსაფარი დაუქნიე, ეგორ...

ცეცხლფარეში თავის ვეებერთელა სხეულით მსუბუქად შებრუნდა ჯარისკაცებისაკენ, თავსაფარი აიქნია და დაიყვირა:

— ეი, თქვენო კეთილშობილებავ...

მუშებმა იგი წინ გაუშვეს ზუთიოდ ნაბიჯზე და მოხუცის მეთაურობით თვითონაც სოლისებურად მიყვნენ უკან. ცეცხლფარეში დიდ ნაბიჯებს აკეთებდა; პატარა, თეთრი თავსაფარი მას ხელიდან გაუფარდა, პალტოს საყელოდან ქული ამოიძრო და ის გაიქნია; მოხუცი ჩქარა მიდიოდა, მაგრამ კოჭლობდა და ცეცხლფარეშს ვერ ეწეოდა; მაშინ ათიოდე კაცმა მოხუცს გაუსწრო და წინ გაეშურა; ჯარისკაცთა კედელი შეირხა, ხიშტების საფარებელმა ერთი გაიღვია და გაქრა; გაისმა, მაგრამ არც თუ მაინცდამაინც ხმამაღლა, შშრალო, წყვეტილი ჭახანი, გაისმა, მაგრამ არც კიდევ და კიდევ. სამგინს შიშში არ უგრძნია, როცა მის თავზე ტყვიამ გაიბზუილა, როცა მეორე ტყვიამ გაიბზუუნა, ღობის ფიცარი გახლიჩა და ნაფოტები ისროლა, როცა მის წინ მდგარი სამი კაციდან ერთი ზურგით ღობეზე ჩამოცურდა და მიწაზე დაეშვა. სამგინი შიშმა მოიცვა მაშინ, როცა ჯარისკაცებმა თოფები ძირს დაუშვეს, მუშებმა კი ნელა უკან დახვეა იწყეს, ჯდებოდნენ, ძირს ეცემოდნენ, და როცა დედაკაცმა გულგამგმირავად იწვილა:

— ისერიან ეს საზიზღრები, ოი, შეხედეთ ერთი!

— უტყვიო გილზებით! — უპასუხა რამდენიმე ხმამ ხალხიდან. — შესაშინებლად.

ცეცხლფარეში შეჩერდა, მაგრამ მანძილი იმასა და მუშებს შორის იზრდებოდა. იღვა მოკრივესავით, რომელიც მოწინააღმდეგეს ელოდება, მარცხენა ხელი მკერდზე მიეჭირებინა, მარჯვენა ხელი კი, რომელშიც ქული ეჭირა, წინ ჰქონდა გაშვერილი, მაგრამ ხელი ჩამოუფარდა, დაბარბაცდა, ნაბიჯი წინ გადადგა და ისიც მკერდით თოვლზე დაეცა, დაეცა მოხუხრეოდ, ფიცარივით. აქ თავი წამოსწია, ქული თოვლს დაარტყა და არაადამიანური სიძლიერით დაიღრიალა, წინ გაფოფხდა, ფეხები გაჭიმა, სახე თოვლში ჩაეფლო.

სიკვდილის ეს სურათი სამგინმა დაინახა სავსებით გარკვეულად, მაგრამ არც ამას გაუოცებია; კლიმა ისიც კი შენიშნა, რომ მკვდარი ცეცხლფარეში უფრო დიდი გახდა. მაგრამ დედაკაცის დაწვილების შემდეგ სამგინს თვალთ დაუბნელდა, და ყველაფერს, რაც შემდეგ მოხდა, ხედავდა, თითქოს ბურუსში და შორს. სრულებით არ შეიძლებოდა იმის ახსნა, თუ რატომ ხდებოდა ასე ნელა ყველაფერი. — თვალები ხედავდნენ, რომ თვითეული წუთი უადრესად დატვირთულია მოძრაობით, და მაინც იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არავინ ჩქარობდა.

აუჩქარებლად იხვედა უკან მუშათა შემჭიდროებული მასა; ადამიანები



უკან-უკან იხევდნენ, რაღაც გვერდულად მოძრაობდნენ, ჯარისკაცებს მუშტებით ემუქრებოდნენ, ზოგიერთი მათგანი ხელში ისევ აფრიალებდა თეთრ თავსაფარს; ხალხი იშლებოდა, მას გვერდიდან ეცლებოდნენ ცალკე ადამიანები; ისინი გარბოდნენ, მიწაზე ეცემოდნენ, იკრუნჩხებოდნენ, მიხობავდნენ, ბევრი მათგანი კი თოვლში იშხლართებოდა უსასოოდ, უძრავად. ასე უძრავად დაეცა გრძელი კაცი, რომელსაც ხიფთანი ეცვა და ძალიან პაველა დიაკვანს, — დაეცა და ხიფთანის საყელოში საიდანღაც უხვად გამოუვიდა სისხლი, რომელიც მისი თავის გვერდით წითელ წრეს წერდა, — სამგინი ხედავდა გამჭვირვალე ორთქლს ამ წრეზე; ღობისკენ მიხობავდა და ფეხს მიათრევდა მეორე კაცი, რომელსაც ისეგრევე მწვანე შარფი ეხვია; პატარა დედაკაცი მიწაზე იჯდა და შავ ბოტს იძრობდა; უცებ, თითქოს კეფაში ჩაფარესო, დედაკაცი თავის მუხლზე დაეცა, ხელები ვაშალა, გვერდზე წაიქცა. პალტოგახსნილ ტურობოევს ღობესთან მიყავდა ახალგაზრდა, შავუღვაშებიანი ბიჭი, რომელსაც ფეხები ერთმანეთში ეხლართებოდა, თვალები დაეხუჭა, ზემო ბაგე აეწია და კბილები დაეკრიჭა. პაერში ისმოდა დედის გინება, დედაკაცთა მოთქმა, ვიღაც ბრძანებას იძლეოდა:

— ბირჟის ხალი-სა-კენ! ჩვენებო-ო...

— არამზადები! მკვლელები!

სამგინს მოეჩვენა, თითქოს ხალხი ისევ მიიწევს ჯარისკაცთა უძრავ კედლისაკენ და მიიწევს იმისათვის კი არა, რომ დაჭრილები აკრიფოს; ბევრი წინ მიჩობდა და ჯარისკაცებს უახლოვდებოდა იმისათვის, რომ გაელამდა ისინი. ქალმა, რომელსაც მოკლე, ილიაში გამოხეული ქურქი ეცვა, კაბის კალთა აწია, ჯარისკაცებს წითელი იუბკა უჩვენა და რაღაც თუნუქისებური ხმით დაიყვირა:

— მესროლეთ, აბა — მესროლეთ...

— უნდა გავიქცეთ, აქაურობას გავეცალოთ, — უყვიროდა სამგინი ტურობოევს და თან ღობეს მაგრად ეკვროდა, რადგან არ სურდა ტურობოევს შეემჩნა, თუ როგორ უკანკალეს ფეხები. კლიმს თავში სასოწარკვეთით უწიოდა უბრალო სიტყვა: „რატომ? რატომ?“ და ეს ხმა რომ ჩაეხშო. ირგვლივ მყოფთ არწმუნებდა:

— უნდა გავიქცეთ, მათ ხომ შეუძლიათ კიდევ...

ტურობოევი ცხვირსახოცით წითელ თითებს იწმენდა, სახე საშინლად აბურძგნოდა, სოლისებური წვერი ჰორიზონტალურად გამოეშვირა, ალბათ, ბაგე ჰქონდა ჩაკვნილი. როცა კლიმს შეხედა, ხმამალა დაიყვირა:

— დიშალენით, ბატონებო! ახლა კავალერიას გამოუშვებენ...

მაგრამ ჯარისკაცთა კედელი უკვე გაიყო ორ ნაწილად. თითქოს კარი გაიღო, და მოედანზე გამოიჭრნენ მწითური ცხენები, რომლებიც თოვლს აშხეფებდნენ; თეთრქუდოსანი ცხენოსნები ხმლებს იჩენდნენ, ჰყვიოდნენ, ღმუოდნენ; ხალხი აღრიალდა, შეტორტმანდა, ჯგუფ-ჯგუფად, ერთეულებად დაშლა იწყეს და კლიმს ისევ ძრწოლას გვრიდა ადამიანთა მოძრაობის აუხსნელი სიზნანტე. რამდენიმე კაცი — ახალგაზრდები. თუ მათი ნახტომების სიმსუბუქის მიხედვით ვიმსჯელებდით — ცხენებს შორის გაიბლანდა; ისინი ერთ ცხენს რომ თავს აღწევდნენ, მეორისკენ გარბოდნენ; ცხენები კი მათ მისდევდნენ გვერდიგვერდ, ჯარისკაცები კი იხრებოდნენ, ვისაც ეწეოდნენ, მიწაზე აწვევდნენ. თითქოს იმისათვის, რომ ცხენები მათზე გადაეხტუნებინათ. სამგინს ეჩვენებოდა, თითქოს თვალები გაუფართოვდა. ყველაფერს მტანჯველი სიცხადით ხედავდა და ეს დაბრმავებით ემუქრებოდა. ის თვალებს ხუჭავდა, მის გვერდით ადამიანები მიცოცავდნენ ღობეზე, ჩექმებით ფხაჭნიდნენ ფიცრებს;

და შორს, სადაც დაძრწოდნენ ადამიანები, დაჯიროთობდნენ და ტრიალებდნენ ცხენები, ელავდნენ ხმლები.

სამგინი წამოდგა, ღობის გასწვრივ ნელა წავიდა, კუთხეში შეუხვია, — ბოძზე ჩამოჯდარიყო სახელაჩეჩქვილი კაცი, წითლად იფურთხებოდა და ცხვირის იხოცავდა.

— მოიცა, — თქვა მან, თან მუხლზე ხელს იწმენდა, — მოიცა! ეს როგორ იქნება? მებუჯეს ბუჯი უნდა მიეცა. თვითონ ჯარისკაცი ვარ! ვიცი წესი. მებუჯეს კანონით ნიშანი უნდა მიეცა, ძაღლისშვილები! — მაგრად ამოიხვნეშა და დედა შეიგინა, — ვასილ მირონოვიჩი აჩეხეს, ა? ის ცოლს აყენებდა ზეზე და აქ მას ხმლით...

სამგინმა მას მდუმარედ გაუარა. ისე მიაბიჯებდა თითქოს სიზმარშიყო, თითქმის შეუგნებლად და გრძობდა მხოლოდ ერთ რამეს: არასოდეს არ დაავიწყდება ის, რაც ნახა, ხოლო იცხოვრო ისე, რომ ასეთი რამ გახსოვდეს — შეუძლებელია, შეუძლებელია.

ქალაქის ეს ნაწილი სამგინმა არ იცოდა, მიდიოდა ვარაუდით, ისევე შეუხვია რომელიღაც ქუჩაზე და წააწყდა მუშათა ჯგუფს; სახლის კედელთან, ფანჯრის ქვემოთ თავებით ერთმანეთისაკენ მოხერხებულად დაეწყოთ ორი ადამიანი, ერთს სახეზე ჭული ჰქონდა დაფარებული; მეორე, გაუპარსავი, ყვირთულვამებანი, გაყინული თვალებით უცქეროდა შეგმოიხსტრო ცას, საიდანაც თოვლის ნამცეცები ცვიოდა; პარმალის ქვის კიბეზე იჯდა ხანშესული კაცი ვერცხლისფერი სათვალით. სქელი დედაკაცი დაიოქილიყო და ამ კაცს ფეხს უხვევდა ტერფს ზემოთ; ტერფი გასისსლიანებული ჰქონდა, თითქოს წითელი წინდა აცვიოთ; კაცი ფეხის თითებს ამოძრავებდა და ხმადალა გაუბედავად ამბობდა:

— შეიძლება, იმიტომ, რომ აქ ციხე სიმავრეა.

ახალგაზრდა, გამხდარმა მუშამ, რომელსაც ძველი პალტო ეცვა და ზედ ქამარი ჰქონდა შემორტყმული, წამოიძახა:

— ციხე-სიმაგრე? მერე რაა ის? შენ ციხე-სიმაგრეზე ნუ მეუბნები! ეს ჩვენ ვართ — ციხე-სიმაგრე!

მკერდზე ხელი დაირტყა და ხველება აუტყდა; სახე ავადმყოფისა ჰქონდა — ყვირთელ-ნაცრისფერი, თვალები — გიჟისა, და თითქოს დაეთრო ტანში მოდულარ რისხვის ძალას; ეს ძალა გადაეცა კლიმ სამგინს.

— მეფემ და იმ ხუცესმა პასუხი უნდა აგონ, — დაიწყო მან სასოწარკვეთილად, თითქოს ეს-ესაა უნდა ასლუკუნდესო. — მეფე არარაობაა. ის თვითმკვლელია. მკვლელი და თვითმკვლელი. ის ჰკლავს რუსეთს, ამხანაგებო! გვეყოფა ხოდინკები! თქვენ ვალდებული ხართ...

— მე შენ არავითარი ვალი არა მაქვს, — წამოიძახა მუშამ და სამგინს ხელი მხარზე ჰკრა. — შენ აქ რას ლაპარაკობ, აბა? ვინა ხარ? აბა, თქვე! რას იტყვი? ეჰ...

შეიგინა, კლიმს მხრებში ხელი სტაცა, შეანჯღრია და ხველება აუვარდა. დაჭრილი დედაკაცის მხარს დაეყრდნო და შეეცადა ამდგარიყო, მაგრამ ამოიხორა და ისევე დაჯდა.

— როგორღა წავალ?

— მაგ კაცი გაუშვი, — უთხრა მუშას მოხუცმა, რომელსაც უსაბირო კურტაკი ეცვა. — თქვენ, ბატონო, წადით, აქ რა თქვენი საქმეა. — გულგრილად უთხრა მან სამგინს და მუშას ხელი მოკიდა. — თავი გაანებე, მიშა, ხომ ხელდავ მაგ კაცს შეეშინდა...

კლიმმა შენიშნა, რომ მას ყველა მუშა გაურბის, ყველას სურს, რომ ის წავიდეს. ამან ცოტა გაუნელა სამგინს განწყობილება, თითქოს კიდევ ეწყინა. კლისს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ მუშა ხველებას მორჩა და წამოიძახა:

— თქვენი თვითმკვლელი ჩაის შეექცევა, გენერლებს უმასპინძლებს. გამადლობთ სამსახურისათვის! შენ კი ყბას მიქცევი...

სამგინმა ხელი ჩაიჭნია და გაეცალა, გადაწყვიტა მაშინვე დაბრუნებულიყო ქალაქში. მან სავსებით საკმარისად ნახა, რაც უნდა დაამოწმოს.

„ის კაცი მართალია: მეტუქეს ნიშანი უნდა მიეცა. მაშინ მუშები დაიშლებოდნენ...“

კლიმი თითქმის მირბოდა, მუშებს წინ უსწრებდა; უმრავლესობა მიდიოდა ერთი მიმართულებით, ისინი ლაპარაკობდნენ ძალზე ხმამაღლა, სიცილის ხმაც კი ისმოდა; აღგზნებულ ადამიანთა ამ მკვეთრმა სიცილმა სამგინს აფიქრებინა:

„უხარიათ, ცოცხალი რომ არიან“.

მის წინ ორ ახალგაზრდას ხელიხელჩაკიდებული მიყავდა მესამე, რომელსაც ბეწვის ქული კეფაზე ჰქონდა გადაწეული და ზურგში წითელი თოვლის გუნდები მიკრობოდა.

— არაფერია, — ბუტბუტებდა და ხროტინებდა ის, — არაფერია.

ოჯებში ჩაიყვია, თავი მკერდზე დახარა, ამხანაგებს ხელებზე ჩამოეკიდა და ახროტინდა.

— მგონი, მთლათ წავიდა ხელიდან, — თქვა ერთმა ახალგაზრდამ, მეორემ კი უკან მიიხედა და სამგინს ჰკითხა:

— თქვენ — ექიმი ხომ არა ხართ?

— არა, — თქვა სამგინმა და რატომღაც დაუმატა: — მაგას გული შეუღონდა.

ყმაწვილი ფრთხილად გარდიგარდმო დააწვინეს გზაზე, რომელზეც სამგინს უნდა გაეგლო: წუთში იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ქუჩა გაიჭედა; მაღალ, მწითურ კაცს, რომელსაც ტყავის კურტაკი ეცვა, გაბურძნული ცხენი მოყავდა; კოფოზე ნაცნობი მეფორნე იჯდა, მათრახს იქნევდა და საწყლად იძახდა:

— სად? არ მივდივარ, არა, არ მივდივარ! შვილს ვეძებ!

მაგრამ მარხილში უკვე აწვედნენ დაქრილს, ჯდებოდა მისი ამხანაგი, მეორე ამხანაგი კი კოფოზე აღიოდა; მეეტლე მას მათრახის ტარს უბიძგებდა და სულ უფრო საწყლად, წკმუტუნით თხოვდა:

— დიან — გამიშვით, ღვთის გულისათვის! გეუბნები — ჩემი შვილი...

— ჩიენ ყვილანი შვილები ვართ! — მკაცრად დაიყვირა ვილაცამ.

მაშინ მეფორნე ტომარასავით ჩამოგორდა კოფოდან, ხალხს ფეხებში ჩაუვარდა, დაიხოქა და ქალის ხმით აწუწუნდა:

— საყვარელო ადამიანებო, ვერ წაიღალ-ლ! არ შემიძლია მე-ე...

მას ხელი სტაცეს ილიაში, საყელოში და კოფოზე აავდეს.

— ოთხ კაცს ვერ ზიდავს, — თქვა ვილაცამ; რამდენიმე კაცმა ერთბაშად უბიძგა მარხილს. ცხენმა თავი აიჭნია, წინა ფეხები კი ისე მოხარა, თითქოს მასაც უნდა დაიხოქოსო.

— თქვენ რა ადამიანები ხართ? — ყვიროდა მეფორნე.

„რა სისასტიკეა“, — გაიფიქრა სამგინმა; ის უფრო და უფრო მოდიოდა გონზე, მის უკან კი მტკიცე ხმით ვილაც სამქიანად და მხიარულად ამბობდა:

— ვასილევსკზე იარაღის მაღაზია გატეხეს, ბარიკადს აშენებენ...

— ვინ ვითხრათ?

— ჩვენებმა...

— ბიჭებო — ქალაქში! ქალაქში ვინ წამოვა, ამხანაგებო!

სამგინი მუშათა გჯგუფს შეუერთდა და უკან გაყვა; მიდოდნენ საღლაც მარცხნივ და ჩქარა კლიმა ბირეის დაბალი შენობა დაინახა, მის ახლოს და ხილთან იდგნენ ჯარისკაცები, ცხენები. მუშები შეჩერდნენ, გაიმართა კამათი: დაგვიწყებენ სროლას თუ არაო?

— ეყოფათ, რაც ისროლეს! — თქვა მოკლედებებიანმა კაცმა, რომელსაც ეცვა ნაცრისფერი, მარცხენა იდაყვთან შავი ნაჰრით დაკერებული კურტაკი. — მარსოვოსკენ ვინ წამოვა? ყინულზე გადავიდეთ.

მას გაჰყვა ექვსი კაცი, სამგინი მეშვიდე იყო. ის ხედავდა — ყველგან მდინარეზე ქალაქისაკენ ცალცალკე მორბოდნენ ადამიანთა პატარა ფიგურები და ისინი საოცრად უმნიშვნელონი ჩანდნენ მდინარის განიერ ტილოზე, მძიმე სასახლეების ფონზე, რომელთა სახურავებზე დაყრდნობილიყო ნაცრისფრად გაქვავებული ცა.

„ცალკეულ ადამიანებს არ ესვრიან“, — გაიფიქრა სამგინმა; ის თავს გრძნობდა გამოლენჩებულად და თითქმის მშვიდად.

ნევაზე უფრო ციოდა, ვიდრე ქუჩებში, ქარი უთაურად აწყდებოდა იქით-აქეთ, ამიშვლებდა ყინულის მოლურჯო ხალებს, თეთრ მტვერში ხვევდა ფეხებს. მიდიოდნენ ჩქარა, თითქმის სირბილით, ერთი მუშა გაუგებრად ბუზღუნებდა; მოკლედებებიანმა კაცმა ორჯერ გადახედა მას და მკაცრად, გაბედული ხმით თქვა:

— სწორი არაა! ჯარისკაცს ცხენივით აღვირი აქვს ამოდებული, ხოლო თუ დაიოჩნა...

რალაც უცნაური ხმა გაისმა, თითქოს არყის ხის კვირტი გასკდაო; სამგინის თავზე ჰაერი გაჯავრებულმა ზუზუნმა გააპო.

— ეს — ჩვენ გვესვრიან, — თქვა მოკლედებებიანმა. — ბიჭებო, გაიფანტეთ! მაგრამ მუშები მაინც მჭიდროდ მიდიოდნენ, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა კიდევ რამდენჯერმე გაისმა ტყაცანი და ტყვიებმა თოვლი ორჯერ ძალიან ახლოს გაფატრეს, ერთ-ერთი მუშა განზე გადახტა და პირდაპირ სანაპიროსკენ გაიქცა.

— სულელი, — უთხრა სამგინს მოკლედებებიანმა, — ტყვიას გაურბის.

და განაგრძო:

— მაშ მე ვამბობ: ჩვენ პოლკოვნიკ ტერპიციისთან ერთად ავიდეთ ჩინეთის დედაქალაქი პეკინი...

ის მოუთხრობდა მუშებს, მაგრამ მისი სიტყვები პირდაპირ სამგინს ეხლებოდა სახეში.

— „მაშ — არ გინდა ესროლო, არა?“ — „არა და არა!“ — „მაშინ დადექი იმავე ალაგას!“ ალიოშაც წავიდა და დახვრეტის გვერდით დადგა, პირჯვარი გადაიწერა. ეს ერთი წუთის საქმეა. ოცეული — ცეცხლი! აი შენი ქრისტე! ქრისტე ჯარისკაცის დამცველი არ არის, არა! ჯარისკაცი უკანონო ადამიანია...

მარსოვოს ველზე სამგინი თანამგზავრებს ჩამორჩა და რამდენიმე წუთის შემდეგ ნევის პროსპექტზე გამოვიდა. აქ უფრო თბილოდა და ყველაფერი ნაცნობი, გასაგები იყო. ხალხი ერთიან მწყრივებად მიდიოდა. ჰაერში ისმოდა თუმცა აღგზნებული, მაგრამ რბილი, თითქმის სახეიმო საუბარი. ადამიანები

სასახლის მოედნისაკენ მიემართებოდნენ, მათ შორის იყო ბევრი სოლიდური, კარგად, მდიდრულად ჩაცმული მამაკაცები და ქალები. ამან ცოტა გააკვირვა სამგინი, გაიფიქრა:

„ნუთუ შეცდომაა ის, რაც იმ ნაპირზე მოხდა?“

მას ადვილად დაესახა იმედი, რომ ამ ნაპირზე ყველაფერს ახსნიან, განმარტავენ, მოაგვარებენ; მოვლენ სხვა რაიონების მუშები, მეფე მათთან გამოვა...

წინ მიბიჯებდა კაცი, რომელსაც ბეწვის პალტო ეცვა და თავზე უცნაური მოდის თივითვის შლაპა ეხურა; მას ხელიხელგაყრალი მიყავდა მანდილოსანი და ენაწულიანად არწმუნებდა:

— მერწმუნეთ, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო...

„მოხდა“, — უნდოდა ეთქვა სამგინს, რადგან გაახსენდა, რომ მას მოწმის როლი აქვს დაკისრებული, მაგრამ იმ კაცმა განაგრძო:

— ის ცინიკოსი კია, მაგრამ არც ამდენად...

სამგინმა ამ წყვილს გაუსწრო და წინ გასწია, ხალხის ნაკადს გაჰყვა, გულს მოეშვა.

როცა პროსპექტის ბოლოში გავიდა, დაინახა, რომ გასაღვლი სასახლისაკენ ჩია ჯარისკაცთა ორ მწკრივს ჩაეკეტა. ხალხმა სამგინი ჯარისკაცებს მიუახლოვა, ის გაჩერდა ჯარისკაცთა ფრონტის ერთ მხარეს, ყურადღებით ათვალიერებდა ფეხოსნებს, ძალზე გამხდრებს, უბედურებს. ისინი, ალბათ ორასზე ნაკლები იქნებოდნენ; მათი მარცხენა ფლანგი ნევის პროსპექტის კუთხის სახლს ებჯინებოდა. მარჯვენა — ბალის ლობეს. რას ვააწყობდნენ ისინი რამდენიმე ათას კაცთან. რომლებიც იდგნენ ნევიდან ისაკის მოედნამდე?

„დიას, — გაიფიქრა სამგინმა. — ალბათ, იქ მოხდა შეცდომა. დანაშაულებრივი შეცდომა“, — დაუმატა მან.

ყველა ჯარისკაცი ცხვირბაჭუა ჩანდა; ისინი, ალბათ, დიდი ხანია იდგნენ, ლოყები სიცივისაგან გალურჯებული ჰქონდათ. კლიმს უნებურად მოუვიდა აზრი, ასეთი ცუდი ჯარისკაცები განგებ იმისათვის არიან დაყენებული, რომ ხალხს მათი არ შეეშინდესო. ხალხს არც ეშინოდა; აღამიანები თითქმის მკერდით ეხებოდნენ ჯარისკაცებს, უცქეროდნენ მათ შემწყყარებლურად, სინანულით; მოხუცი, რომელსაც ჯუბანა ეცვა და ბეწვის ყურებიანი ქული ეხურა, ოცეულის მეთაურს ეუბნებოდა:

— შენ მე ნუ მასწავლი, თვითონ გვარდიის უნტერ-ოფიცერი ვარ!

ხოლო ქალიშვილი, გარეგნობის მიხედვით მკერავი ან შინამოსამსახურე, ჯარისკაცს ეკითხებოდა:

— ამბობენ — თქვენ ხალხს ესვრითო?

— ჩვენ არ ვისვრით, — უპასუხა ჯარისკაცმა.

მოედანზე, ბალის ლობესთან მიძიმე, შავ ცხენებზე ისხდნენ და დაწყობილი იდგნენ ყოჩაღი ცხენოსნები; პირი მათ აღექსანდრეს სვეტისაკენ ჰქონდათ მიბრუნებული; სვეტის ირგვლივ კიდევ იყვნენ ცოტაოდენი ფეხოსანი ჯარისკაცები, მაგრამ იარაღი მათ ჯოჯგინებდა ჰქონდათ დადგმული; იდგნენ იქ რაღაც მწვანე ფორნები. დარბოდა დიდი ჭრელი ძაღლი. ყველაფერი იყო საოცრად უბრალო და როგორღაც არასერიოზული სამგინს ნათლად წარმოუდგა. თუ როგორ იდგნენ ამ მოედანზე მეფის წინაშე მუხლმოყრალი „კარლიკი აღამიანები“, გაიფიქრა, რომ იარაღი, საზიდრები, ძაღლი — ყველაფერი ეს ზედმეტია, ამოიხვნეშა და გაიხედა მარცხნივ, სადაც აღმართული იყო ისაკის ტაძრის გაჰლარავებული გუმბათი; გუმბათზე კი გადმოშობილი იყო ვეებერ-

თელა, მაგრამ ფრილა, თითქოს ნაცრისფერი ქვისაგან გამოთლილი ცის თასა. ეს დაბალი ცა თბილი გეგონებოდათ და ძალზე აძლიერებდა დედამიწაზე ადამიანთა მტკიცე შეკავშირებულობის შთაბეჭდილებას.

ცვირბაჭუა ჯარისკაცთა უკან, მოედანზე, ოფიცრები მიმოდიოდნენ, ფრონტის წინ კი არც ერთი არ იყო; მხოლოდ უნტერ-ოფიცერი, ისიც ჩია, რომელსაც ნადრევად დაბერებულ-დაჩაჩანაკებული მოზარდის სახე ჰქონდა, ზანტად იბანდა:

— ბატონებო, ნუ აწვებით აქეთ!

სამგინს არ შეუშინებია, საიდან გაჩნდა ოფიცერი, რომელსაც კალისფერი ბალტო ეცვა, მწითური იყო და სქელი უღვაში ჰქონდა; ის თითქოს სამგინის უკან კედლიდან გამოძვრა, თითქმის კლიმის გვერდით დადგა და არც თუ ძლიერი ხმით დაიძახა:

— სმენა!

და კიდევ რაღაც სიტყვა. ცვირბაჭუა ჯარისკაცები ერთბაშად შეიბრუნენ და გაისუსნენ. მწითურმა გრძელი ხმალი თითქოს ჯიბიდან ამოიღო, გაიჭნია და დაიყვია; ცვირბაჭუა ჯარისკაცებმა თოფები ლოყაზე მიიდეს, უკან გადაიწიეს და გაისროლეს. ეს მოხდა საოცრად სწრაფად და არასერიოზულად, ისე არა, როგორც გაღმა ნაპირზე; სამგინი გვერდიდან კარგად ხედავდა, რომ ხიშტები გამოშვებული იყო უსწორმასწოროდ, ერთნი — ზემოთ, სხვები — უფრო დაბლა; და ცოტა იყო ისეთი ხიშტები, რომლებიც არ ირყეოდა და პირდაპირ ზალხისაკენ იყო მიმართული. ბათქი გავარდა არაერთბაშად, ერთმანეთთან შეურწყმელად, ცალცალკე, დაწყვეტილად და შიშით არ გამოუშვებია.

მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ფრონტის პირდაპირ იდგნენ, მაინც შეშინდნენ, უკან გატრიალდნენ, მათსა და ჯარისკაცებს შორის უცებ გაჩნდა ხუთ ნაბიჯამდე მანძილი: გვარდიის უნტერ-ოფიცერმა გაუბედავად ასწია ზევით ხელი და ჯარისკაცთა ფეხებთან მძიმედ ჩაიკეცა, მის გვერდით კიდევ დაეცა სამი კაცი, ზალხშიც ერთიმეორეზე ეცემოდნენ ადამიანები.

— შიშისაგან, — თქვა ვიღაცამ სამგინის ყურთან. — ისერიან ცარიელ ვაზნებს, ესენი კი...

მაგრამ სამგინმა უკვე იცოდა, რომ ადამიანები შიშის გამო როდი ეცემიან. ის ხედავდა, რომ ბრბო იკუმშებოდა და ფეხებით ჰყვებოდა მამაკაცებს, ქალებს; ადამიანები მუხლებში იკეცებოდნენ და ჯდებოდნენ, ეცემოდნენ მიზობხედნენ; ვიღაც მოზარდი მიწას ეყრდნობოდა ცალი ფეხით და ორი ხელით და სწრაფად, ვაივივით მიგორავდა ფრონტის გასწვრივ; კლიმი ხედავდა — ადამიანები კვდებოდნენ ისე, რომ არ სჯეროდათ, არ ესმოდათ, თუ რა ჰკლავს მათ. კლიმს ესმოდა — ჯარისკაცებისაკენ მიბრუნებული მწითური ოფიცერი დედას იგინებოდა, ხელთათმინიანი მუშტით იმუქრებოდა და ჯარისკაცებს მუტელში ხმლის წვერს უბიძგებდა, შემდეგ მათ ზურგი შეაქცია, ნაბიჯი წინ გადადგა, ხმალი მოზარდს ატაკა და ხელებს გადაუმტერია.

ზალხი ღმუოდა, ღრიალებდა, ჯარისკაცებს მუშტებით ემუქრებოდა. ზოგიერთი თოვლის გუნდასაც ესროდა; ჯარისკაცებს თოფები ძირს ჰქონდათ დაშვებული, იდგნენ გაქვავებული, უფრო მჭიდროდ, ვიდრე წინათ და ყველა-ნი თითქოს გაიზარდნენ.

ყველაფერი ეს უფრო საშინელი იყო, ვიდრე იმ ნაპირზე, — შეიძლება იმიტომ, რომ უფრო ახლოს ხედავდა. სამგინი გრძნობდა, რომ დრო მტანჯველურად გრძელდება და რომ ერთ წუთს საშინლად დიდი მოცულობა აქვს —

იტევს ამოდენა მოძრაობას და ამოდენა სიკვდილს. იმ ხალხმა, რომელთა შორისაც კლიმი იდგა, იგი ნების პროსპექტისაკენ დასწია; ესენიც ყვიროდნენ, იგინებოდნენ, მუშტებით იმუქრებოდნენ, თუმცა ჯარისკაცებს უკვე ვეღარ ხელავდნენ. შემდეგ სამგინმა დაინახა — ხალხი, რომელიც უკან იხევდა, თითქოს რალაც წინააღმდეგობას შეხვდაო, შეჩერდა, უცებ ერთსულოვნად დაიღრიალა და დაიძრა წინ; ადამიანები აბიჯებდნენ გვაშებზე, აყავდათ დაჭრილები; გაისმა ერთსულოვანი ბათქი, გაისმა კიდევ; გამოცვივდნენ ჯარისკაცები, ისინი ისროდნენ, თოფის კონდახებს იჭნევდნენ, ადამიანებს ხიშტებს ასობდნენ; ხალხი გულგამგმირავედ ყვიროდა, ბალის რკინის ღობის გასწვრივ უაღრესად მჭიდრო ნაკადად გარბოდა; ზოგი ღობეზე ხტებოდა. რამდენიმე ჯარისკაცმა სროლა იწყო ნების პროსპექტის სივანეზე. მაშინ სამგინის ირგვლივ მყოფი ხალხიც გაიქცა და კლიმიც თან გაიყოლა; სირბილის დროს ვილაც თავით დაეტაკა მას ზურგში.

„ეს არის მოკლული, მკვდარი“, — გაუელვა სამგინს და წაიქცა; მას ფეხებით ტყეპნიდნენ, თავზე ახტებოდნენ, დიდხანს მიგორავდა და მიხობავდა, სანამ შესძლებდა ფეხზე აღვმას და ისევ გაიქცეოდა.

ბოლოს, შემზარავი შიში ცოტა გაიფანტა, შეისვენა, მთლად ოფლად იყო გაღვრილი, იდგა მასკით ენაწართმეულ, სულმეზხეთულ ადამიანთა შორის; ისინი ეკვროდნენ დაკეტილ ალაყაფს; კლიმი იდგა და თვალებს ახამხამებდა, რომ არ დაენახა ყოველივე ის, რაც თითქოს გარედან გადაეკრა თვალებს. კლიმს მოაგონდა — მოედინიდან გორიხის ქუჩაზე გასასვლელი ჩაკეტილი იყო გვარდიის ეკიპაჟის მეზღვაურებით, სირბილის დროს წააწყდა მათ; მეზღვაურებმა მრისხანედ უყვირეს:

— სად მიქვრები?

ერთმა მეზღვაურმა კი ხელში ხელი სტაცა, ზურგზე მოიგდო, ქუჩაში ისროლა და ორჯერ ბასით თქვა:

— თქვენ მანდ იყავით, — მაგრამ ხმადაბლა მიუმატა: — გაიქციე, გაიქციე! მოგონება დიდხანს არ დასცალდა, მოვიდა კაცი, რომელსაც გაზეთილი, სველი პალტო ეცვა, სამგინს მიაწვა და აიძულა ეთქვა:

— თქვენ სისხლი გაცხაით.

— ჩემი არაა, — უპასუხა იმ კაცმა ხენეშით; მან ლაპარაკი დაიწყო ხმამალა, სიტყვებით, რომლებიც თითქოს იცინოდნენ: — ასი კაცი მაინც მოკლეს, თუ მეტი არა. რას ნიშნავს ეს ბატონებო, ა? რას ნიშნავს ეს... ომი მოსახლეობასთან?

მას არავინ უპასუხა, სამგინმა კი გაიფიქრა თუ თქვა:

— ეს შეცდომაა კი არაა, არამედ სისტემაა.

მთელ სხეულში, მეხსიერებაში კლიმს რალაც ისე უღმუოდა, უსტვენდა, კენსოდა, როგორც ქარიშხალი ღუმელის მილში. ფეხები უცახცახებდა. სათვალე დაკარგა და ირგვლივ ყველაფერს უფრო მახინჯად ხედავდა, ვიდრე ყოველთვის. მის პირდაპირ მაგრად იდგა მიწაზე ძველი რკინისფერი სახლი, რომელსაც ორი წყება გაბურული ფანჯრები ჰქონდა. მინებს იქით დაცურავდნენ კიდევ უფრო მუქი ლაქები, რომლებიც ცოტაოდნად მოგაგონებდათ ადამიანთა სახეებს. ქალაქი გუგუნებდა, და ამ განუწყვეტელ ხმაურში სკდებოდნენ გაზაფხულის კვირტები. ქუჩაში ხალხი ისევ დარბოდა, ყვირილით დაჰქენებდნენ ცხენებს ცხენოსნები, რომლებსაც თეთრზოლშემოყოლებული ქულები ეხურათ. სამგინის ზურგსუკან ჭრიალებდა და ტყაცუნებდა ალაყაფი.



შველვამიანი კავალერისტი ცხენზე უკან გადაწვა, უცებ გააჩერა გაქენებულ ცხენი, რომელმაც კბილები დაკრიჭა და ზეცას შეაჩერდა; კავალერისტმა ხმალი მალა ამართა და არაბუნებრივი ხმით აღრიალდა; ამან სამგინს მოაგონა კავკასიური ვირის კენესისებური ღრიალი, რომელიც ბირდაბირის ზვინვასა და ღრქილას ჰგავს. ამ მხეტურმა ყვირილმა ხალხი შეაშინა და აიძულა ისევ გაქცეულიყო, გაიქცა სამგინიც; ის ხედავდა, რომ ადამიანები მის წინ ეცემოდნენ და სისხლს ანთხევდნენ. შემდეგ სამგინი ბრმად წავიდა მოკის მარჯვენა ნაპირზე, პეჩის ხიდისაკენ; დაინახა, გაქედნილ ხიდზე როგორ შეიჭრა ხუთი ღრაგუნი, როგორ აელუარდა მათი ხმლები; ორნი ამ ხუთიდან ცხენებიდან ჩამოაგდეს და ისინი ხალხის შავ ცოშში გაქრნენ, სქელი ცხენი მდინარის მარჯვენა მხარეს გამოიჭრა, ხალხმა მას თოვლის გუნდა დაუშინა, ცხენი კი ერთ ადგილს ტყეზნიდა, თავს აკანტურებდა, პირზე ქაფი გადმოსდიოდა.

იმ სახლთან, რომელიც პუშკინი ცხოვრობდა და გარდაიცვალა, იდგა მოხუცი, მსგავსი მეთევზისა ზღაპრიდან „ზღაპარი მეთევზესა და თევზზე“ — სისვეერიანი მოხუცი, რომელსაც ეცვა დაბამბული კერესი ქალისა, თავზე დახეული ქუდი ეხურა და ხელში აგურის ნატეხი ეჭირა.

— კარგად გაგვიმასპინძლდნენ, არა? — ჰკითხა მან კლიმს, მახვილი თვალი ჩაუკრა, აგურით კედელზე დააკაუნა და ნატეხი ხალხის ფეხებში ისროლა. — რამდენი, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა! — ხმამალა და ამკარა განცვიფრებით თქვა მან.

ადამიანები მიდიოდნენ აუჩქარებლად, მოღუშული იცქირებოდნენ უკან, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გარბოდა და თანამგზავრებს ეჯახებოდა, და სუყველას ისეთი დაბნეული სახე ჰქონდა, თითქოს არც ერთმა მათგანმა არ იცის, რატომ და საით მიდისო; ეს არც სამგინმა იცოდა. მის წინ ბარბაცით მიბაიჯებდა ქალი, რომელსაც შლაბა არ ეხურა, თმა გაწეწილი ჰქონდა, ლოყაზე ცხვირსახოცი მიეჭირებინა, ცხვირსახოცი სისხლით იყო დასველებული; როცა სამგინმა გაუსწრო ამ ქალს, მან ჰკითხა:

— სუფთა ცხვირსახოცი ხომ არა გაქვთ?

წითელ თითებს ქვემოდან კისერში საყელოს შიგნით სდიოდა სისხლი, ქალიშვილის მრგვალი და გოცმებული თვალებიდან კი ცრემლები.

— არა, — უპასუხა სამგინმა და ფეხს აუჩქარა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ქალიშვილმა გაუსწრო მას; ქალიშვილი, ბავშვივით ხელში აყვანილი, მიყავდა ზორბა, მწითურწვერიან კაცს. სამმა კაცმა ჩქარი ნაბიჯით გაატარა მოკლული თუ დაჭრილი ადამიანი; ის, ვისაც მისი თავი ეჭირა, პაპიროსს ეწეოდა. სამგინის ზურგს უკან ვილაცამ მიძიედ, ცხენივით ამოიხენწმა.

— რაიმე რევოლვერები მაინც გვქონდეს...

სამგინს უცებ მოაგონდა ისტორიკოს კოზლოვის სიტყვები, მეფემ მკაცრად უნდა აჩვენოს თავისი ხელისუფლების ძალაო.

— შეჩერდით!

დაიძახა მარხილში ტურობოევმა; მას თავი ბინტით ჰქონდა შეხვეული და ეხურა ძველი, მახინჯი ქუდი, რომელიც კეფაზე გადაჩოჩებოდა.

— დაჯექით, — გადმობტა თვითონ მარხილიდან და უბრძანა მან კლიმს. — წადით...

ტურობოევმა უთხრა მისამართი, სამგინს ხელში რალაც ფურცლები შეაჩეჩა, ქუდი გაისწორა, ხელი ჩაიქნია და უკან წავიდა; მას თავი ისე უძრავად ეჭირა, თითქოს ეშინია, არ დამეკარგოსო.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამგინს ბნელი წინკარის კარები გაუღო კარგად გაპარსულმა კაცმა, რომელსაც თათრის სახე ჰქონდა და წვრილი თვალებით უნდობლად იტყვირებოდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა მან, სანამ შეუშვებდა. — ის სახლში არ არის. შებრძანდით. მოიცადეთ.

კაცმა ხელით მარცხნივ უჩვენა, და სამგინს მოეჩვენა, თითქოს ოდესღაც მას უკვე უნახავს ეს თათარი, გაუგონია მისი მაღალი ხმა. დიდ ნათელ ოთახში ხუთი კაცი იყო, ყველა ისინი დუმდნენ, თითქოს ეს-ესაა ერთმანეთს წაეჩხუბნენ. ოთახში ნერვიულად მიმოდიოდა მაღალი, ფრანგულწვერიანი კაცი, რომელიც დილით სამგინმა სასწავლებელში ნახა. ფანჯარასთან იჯდა გაპარსული შავი კაცი მოსტუცის სახით; მაგიდის იქით, დივანზე ვიღაცა დაბრძოლიყო და რაღაცის სწრაფად წერდა; კაცი, რომელსაც სერთუვი ეცვა. თვალებზე ოქროს სათვალე ჰქონდა გაკეთებული და პროფესორს ჰგავდა, მძიმე ნაბიჯებით დადიოდა ოთახიდან ოთახში, ეძებდა რაღაცას. მან სამგინს ჰკითხა:

— ხომ არ წაისაუზმებთ?

— დიახ. — უპასუხა კლიმმა, რომელმაც უცებ იგრძნო შიმშილი და სისუსტე. ცოტა ბნელ სასადილო ოთახში, რომლის ერთი ფანჯარაც ავუბრისკედელს უცქერდა, დიდ მაგიდაზე გამშავებით დულდა სამოვარი, სიანებზე ეწყო პური, ძეხვი, ყველი, კედელთან აღმართულიყო შავი, მძიმე ბუფეტი, რომელიც რაღაცით მოგაგონებდათ გრანიტის ძეგლს მდიდარი ვაჭრის საფლავეზე. სამგინი ჭამდა და ფიქრობდა, თუმცა ეს ბინა მეხუთე სართულზეა, მაგრამ მაინც სარდაფის შთაბეჭდილებას ახდენსო. მოღუშული ადამიანები, რომლებიც ამ ბინაში არიან, ცხადია, იმათ რიცხვს ეკუთვნიან, ვისაც ისტორია ანგარიშს არ უწევს და ვინც ისტორიამ განზე გადაისროლა.

„ალბათ, ისინი ახლა დამიწყებენ გამოკითხვას, თუ რა ვნახე...“

ის, რაც ნახა, კლიმს სურდა მოეთხრო ამ ადამიანებისათვის შეუბრალებლად, ისე რომ მათ ეგრძნოთ ერთგვარი შიში და ჭკუაზე მოსულიყვნენ. დიახ, სწორედ ისე, რომ ისინი შიშს აეტანა. მაგრამ მას არავინ არაფერს არ ეკითხებოდა. ჩქარ-ჩქარა რეკდნენ ზარს, თათარი კარს აღებდა, უჩემად და მოკლედ ამბობდა რაღაცას, ეკითხებოდა:

— არ შეხვედრიხართ?

ხანდახან ის სასადილოში შეიხედავდა და სამგინი გრძობდა მის მახვილ მზერას. როცა თათარი მაგიდასთან მივიდა და გაცივებული ჩაის სმა დაიწყო, სამგინმა მისი პიჯაკის ჯიბეში რევოლვერის სახელური დაინახა, და ეს სასაცილოდ მოეჩვენა. საუზმის შემდეგ სამგინი გავიდა დიდ ოთახში, მოელოდა, იქ ახალ ადამიანებს ვნახავო, მაგრამ იქ ისევ ისინი იყვნენ, ვინც დატოვა, მიმატებოდა მხოლოდ ერთი, რომელსაც ხელი ხაოიანი პირსახოციტ შეეხვია.

— აი როგორ, — სახემოღუშული ვასცქეროდა ფანჯრიდან ზამთრის საღამოს მღვრიე-ლურჯ ჰერსს და ხმადაბლა ლაპარაკობდა ის. — მე მინდოდა ის წამომეყენებინა, ამ დროს კი — ტკაც! ტკაც! მას ნიკაშამ მოხვდა, მე კი—აი... მე ეს ვერ ვამიგია... რისთვის?

კაცი, რომელსაც ოქროს სათვალე ჰქონდა, უჩივდა მას ეჭამა, დვინო დაეღია და დაწოლილიყო, დაესვენებინა.

— ამ ამბისაგან მთელ სიცოცხლეში ვერ დავისვენებ, — თქვა დატრილიმა, მაგრამ ადგა და მორჩილად გავიდა სასადილო ოთახში.

„ხოლინკის შემდეგ დაისვენეს“, — გაიფიქრა სამგინმა; ის უფრო და



უფრო გარკვეულად თავს გრძნობდა იმდენად არა მოწმედ, რამდენადაც მოსამართლედ.

ისევე გაისმა ზარის რეკვა, და წინკარში ვილაცამ ყრუ, ძალზე თურა, მოღუშული ხმით იკითხა:

— ეს რაა, რომ შენ რევოლვერით ხარ?

— აქ ვილაც საძაგელი ხალხია, ალბათ მსტოვარნი, სულ გაპონს კითხულობენ...

— თავი გაანებე, ნუ მაცინებ, სავა!

„მოროზოვი“, — გაკვირვებით და ისე, რომ თავის თავისა არა სჯეროდა, გაიფიქრა სამგინმა.

შემოვიდა მაღალი, ფართო ყვრიმალძვლიანი კაცი, რომელსაც მოწითურო უღვაშები ჰქონდა, ეცვა უცნაური, უღილებო, მარცხენა გვერდზე კაკვებით შებნეული პიჯაკი და მაღალი ჩექმები; გრძელი და სწორი თმის მიუხედავად, ეს კაცი გადაცმული ჯარისკაცი გეგონებოდათ. მან თვალები თითებოთ მოისრისა და მარცხენა კარისაკენ წავიდა; სამგინმა შეაჩეჩა მას ტურობოევის ქაღალდები; ამ კაცმა ანთებული თვალებით ერთი გადახედა სამგინს, დახედა ქაღალდებს, მღუშარედ გაიხურა კარი და მოროზოვთან ერთად გაუჩინარდა. სამგინმა კიდევ რამდენიმე წუთს მოიცადა და წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ როცა წინკარში გავიდა — გარედან კარებზე დააკაკუნეს — ზარი შუთითიანად რეკდა, გამოვარდა მოროზოვი; მას ხელი პიჯაკის ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი და კარები ისე გააღო.

— რა? თქვენ ვინა ხართ? გაპონი? თქვენ ხართ გაპონი?

მოროზოვი სწრაფად მიდგა გვერდზე. მაშინ წინკარში თავდახრილი შემოსტა პატარა კაცუნა, რომელსაც გაცილებით უფრო სრული და გრძელი პალტო ეცვა, ვიდრე მის ფიგურას შეეფერებოდა, და ქუდიც ძალიან დიდი იყო მისი თავისათვის; მთელი ტანის გრეხილი მოძრაობით და ხელების უკან გაქნევით მან პალტო იატაკზე დააგდო, იქვე მიაგდო ქუდიც და მოწყვეტილი ხმით იკითხა:

— მარტინი აქ არის? პეტრე? მე გეკითხებით...

ვინც დიდ ოთახში იყო, ყველამ თავი გამოყო; მწითურ უღვაშებთანმა კაცმა უხეშად და ისე, რომ თავისი უსიამოვნო გაკვირვება არ დაუფარავს, გაპონს ჰკითხა:

— თქვენ რუტენბერგმა გამოგაგზავნათ?

— დიახ, დიახ, დიახ, — სად არის ის?

— არ ვიცი.

პატარა, ძნელად გასარჩევმა კაცმა, რომელიც გაპონს ახლდა, იატაკიდან პალტო აიღო, სკამზე დადო, პალტოზე დაჯდა და დასამშვიდებლად თქვა:

— ახლავე მოვა.

გაპონი კი დიდ ოთახში გახტა და იქ დარბოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. ფეხები ისე ეკეცებოდა, თითქოს ნაღრძობი აქვსო, მუქი სახე მოუხვენრად ეღრანჯებოდა, მაგრამ თვალები ჰქონდა უძრავი, შუშისებური. მოკლედ და უგერგილოდ შეკრეპილი თმა თავზე უსწორმასწორო ბლუჯებად ეკადა, წვერიც უსწორმასწოროდ ჰქონდა შეკრეპილი. მხრებზე ჩამოკონწიალებული ჰქონდა დაქმუჭნილი, ძველი პიჯაკი; და მისი სახელოები ისე გრძელი იყო, რომ ხელის მტევნებს უფარავდა. ოთახში დარბოდა და ჩახრინწული ხმით ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე:

— მომეცით რაიმე დასალევი. ღვინო, წყალი... სულ ერთია! არა, ყველაფერი არაა დაღუპული, არა! მე ახლავე მივწერ მათ. ფულონი — წუწუნით დაიძახა ხუცესმა, ხელში აიჭნია და მუშტებით ჰერო დაიმუჭრა; პიჯაკის სახელო მხარზე დაეშვა და ნახევარი სახე ნაოჭებით დაუფარა. — ფულონმა გამცა. — ხმაჩახლეჩილი ყვიროდა ის, თან ცდილობდა ლოყებიდან სახელო მოეცილებინა თავის ისეთი მოძრაობით, როგორითაც მიჩვეული იყო, უკან გადაეყარა გრძელი თმა. ხელი გახევებულავით ჩამოუვარდა, ტანი სწორად გაუშეშდა, თითები პიჯაკის ბოლოს ეხებოდნენ და ჰმუჭნიდნენ; მეორე ხელს აქანავებდა თანაბარზომიერად, საათის ქანქარასავით. პარკეტზე პატარაპატარა ნაბიჯებით დარბოდა, ცარიელ ოთახს ფეხის ქუსლების ბრახუნით და ლანჩების ფრატუნით, ჰრაპუნითა და ხროტინით ავსებდა. ამ ხმაურმა სამგინს სამზარეულოს უსიამოვნო ხმაური მოაგონა: ჰრიან ხორცს, ქურაზე ოაღაც თუხთუხებს, შიშინებს, იწვება, ცეცხლში ნეღლი შეშა წუწუნებს.

ოქროს სათვალთანა კაცმა გაპონს ერთი ჰიქა ღვინო მიაწოდა, ხუცესმა ღვინო ხარბად, უცებ გადაყრა, ისევ განაგრძო სირბილი, ტრიალებდა, ბუტბუტებდა:

— სცრუობ! მუშები ჩემთან არიან! ისინი არ მიღალატებენ! ისინი ბოლომდე ჩემთან არიან! სცრუობ! გამცემო... სად არის მარტინი, სად?

სამგინი თავბრუდახვეული აკვირდებოდა და მასაც სხეულში რაღაც დამატობელი დენი უვლიდა. უნაფრო, გაეცქვნილი გაპონი იმ ხუცესს აღარ ჰგავდა, რომელიც ყვინჩილასავით ყვიროდა და ხტუნავდა მუშათა წინაშე ეზოში, სადაც უცებ შეიჭრა ქარიშხალი, წინამორბედი ჰქეპა-ქუხილისა და თავსხმისა. ახლა როცა, თითქოს მასხარად აიგდესო, ხუცესს უხეშად შეკრიპეს ბანჯგვლიანი თავი და წვერი; მას გამოუჩნდა დაღრეჯილი, მუქი, თითქმის ლურჯი სახე, მოლურჯო ლაბლაპა გარსში ჩაყრილი შავი თვალის გუგება და დიდი ცხვირი სწორი, წვრილი ნესტოებით; ცხვირი მარცხნივ ჰქონდა გადაწეული, რის გამოც სახის ერთი ნახევარი მეორეზე მეტი ჩანდა.

სამგინმა შენიშნა — სირბილის დროს გაპონმა ორჯერ ჩაიხედა სარკეში და ორივეჯერ ხუცესს შეაქრჷოლა, ის ხელებს სწრაფად ისვამდა გვერდებზე და, თითქოს ხელებს იწვავსო, უფრო და უფრო ძლიერ ყვიროდა, წელში სწორდებოდა, ხელებს იქნევდა.

„მასახობია? თამაშობს?“ — გაუელვა თავში სამგინს.

არა, გაპონი უფრო შეშლილს ჰგავდა, და ეს სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა. თითქოს ოთახში ხუცესის მეტი არავინ არაა, ყველანი დუმდნენ, არ იძვროდნენ. მწითურულვაშიანი კაცი, მხრით კედელს მიყრდნობილი, ჯარისკაცვით გაჯგომული იღვა და დაკრეპილ კბილებში მოუკიდებელი პაპიროსი ჰქონდა გარტობილი; მას ჰქონდა ისეთი ადამიანის სახე, რომელიც მზადაა საკბენად, და პაპიროსში კბილები ჩაურტვია მხოლოდ იმისათვის, რომ ხუცესს არ დაუყვიროს. მის გვერდით სკამზე იჯდა მოროზოვი, ჩასკენილი, მაგარი და რაღაცით თუჯის უთოს მსგავსი კაცი, იჯდა ისეთ პოზაში, თითქოს მზადაა წამობტეს და გაიქცესო. სამგინმა გაიგონა, როგორ ჩაიხურჩულა მოროზოვმა:

— აი ბელადი. არა?

და სწრაფმა დამცინავმა ღიმილმა მისი თათრული სახე თითქოს ყირამილა დააყენა.

მწითურულვაშიანმა კბილებში გამოსცრა:

— ნაწყენია ისე, რომ არა სძულს, ჩივის ისე, რომ ჯავრი არ აწუხებს.

სამგინს გადაავიწყდა, რომ გაბონი ბელადია, მაგრამ ამ ჩურჩულმა მაშინვე აღუდგინა მესხიერებაში ათეულობით მკვლარი, გასისხლიანებული ადამიანები, ცეცხლფარეში, რომელიც ღრიალებდა.

— მე ახლავე უნდა დამშალოთ, მე მეძებენ, — გაბონი შეჩერდა, ხალხი უძრავი თვალებით შეათვალიერა და თქვა: — სად დამშალავთ?

გაჯავრებულმა მოროზოვმა ქლერადი ხმით ურჩია მას, ჯერ თავი წესრიგში მოიყვანე, გაიპარსე, დაიბანეო. ერთი წუთის შემდეგ გაბონი შუა ოთახში სკამზე იჯდა, მოხუცსახიანი კაცი კი კრეჭდა მას. მაგრამ, ალბათ, მაკრატელი იყო ბლავი ან ეს კაცი მოუხერხებელი პარიკმახერი. გაბონმა დაიწუწუნა:

— ფრთხილად, რას შერებთ!

— მოითმინეთ, — არათავაზიანად ურჩია მოროზოვმა და ზიზღისგან სახე მოექმუნხა.

ხუცესი გაკრიჭეს და დასაბანად გაგზავნეს, მაყურებელნი კი მდუმარედ და თითქოს დარცხვენილნი წავიდ-წამოვიდნენ კუთხეებში.

— რა შეძრწუნებულია, — თქვა კაცმა, რომელსაც ფრანგული პატარა წვერი ჰქონდა, ალბათ, მიხვდა, ლაპარაკი საჭირო არ არისო, შებრუნდა ფანჯრისკენ, შუბლით მინას მიეყრდნო და იცქირებოდა სიბნელეში, რომელიც სქლად შემოსწოლოდა ფანჯარას.

ზარი რეკდა სულ უფრო ხშირად და მოუსვენრად; მოროზოვი პიჯაკის ჩამოწეულ ჯიბეზე ხელს იკიდებდა და წინკარში გარბოდა; იქიდან კლიმს ესმოდა აღგზნებული ხმები; სულმოუთქმელად ყვებოდნენ, რომ მოკლეს ასობით მუშა, მოკლულია გაბონიც.

— ეს-ესაა პოლიციამ მოიტანა მისი გვამი...

— სისულელეა! — გარკვეულად, ქლერადი ხმით თქვა მოროზოვმა. — ათი წუთის წინათ ეს გვამი აქ იყო.

კაცმა, რომელიც გაბონთან ერთად მოვიდა, ნაწყენი ხმით დაუდასტურა:

— მართალია!

და უფრო ხმადაბლა, მაგრამ თითქოს საყვედურის ტონით გაახსენა მათ:

— მუშა ხალხს ძალიან უყვარს თავისი ხუცესი, ძალიან!

მოიტანეს კიდევ ახალი ამბავი: გაბონი ცოცხალია, მას პოლიცია დაეძებს, ვინც დაჭერიანებს, ჯილდოს პირდებიანო.

— შეიძლება, — თქვა მოროზოვმა და დაუმატა: — დიდ ჯილდოს არ მისცემენ.

სამგინი ცდილობდა გაეგო, თუ რატომ ლაპარაკობს ფაბრიკანტი ირონიულად, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო ამას. მოვიდა მადალი, შეეწვერიანი კაცი, რომელიც კუთხეში მწითურულვაშიანთან დადგა; მათ იქ იწყეს ჩურჩული; მწითურულვაშიანმა ხმამაღლა აღშფოთებით თქვა:

— არა და არა! არავითარი ზღაპარი! არავითარი!

შემოირბინა გაბონმა. ახლა იგი, წესიერად გაკრეჭილი და დაბანილი, ბოშას დამსგავსებოდა. ოთახში ყველას შეხედა, სარკეში თავის თავი დაათვალიერა და წარმოსთქვა გადაჭრით, მუჭარით:

— ეს დასასრული არ არის! მუშები ჩემთან არიან!

მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა ჩასკენილი კაცი, რომელსაც ჰქონდა დაკვირვებული თვალები და ცოტა ზანტად თუ ფრთხილად მოძრაობდა.

— მარტინ! — წამოიძახა გაბონმა და ეცა მას. — დაჯექი, დაწერე! უნდა ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ!

რამდენიმე წუთის შემდეგ მარტინი, რომელიც დივანზე მაგიდასთან იჯდა, აუჩქარებლად წერდა, გაბონი კი ოთახში დადიოდა, ხელებს აქეთ-იქით იქნევდა და ყვიროდა:

— ძმებო, შეკავშირებულნო სისხლით! დიახ, ასე დაწერე: შეკავშირებულნო სისხლით, დიახ! ჩვენ მეფე უკვე აღარა გვყავს! — შეჩერდა, იკითხა, — ჩვენ თუ თქვენ? დაწერე: თქვენ.

— უკვე ზედმეტი სიტყვაა, — თავაუღებლად ჩაიბუტბუტა იმან, ვინც წერდა.

— ის მკვდარია იმავე ტყვიებით, რომლებმაც მოკლეს ათასობით თქვენნი ამხანაგი, ცოლი, ბავშვები... დიახ!

ხუცესი ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აკეთებდა დიდ პაუზებს, იმეორებდა სიტყვებს და ეტყობოდა, რომ ძლივს ნახულობდა მათ. გაბონი ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, ისრესდა მოლურჯო ლოყებს, თავს ისე იქნევდა, თითქოს გრძელი თმა აქვსო, და ყოველი ასეთი მოძრაობის შემდეგ გადაკრეჭილ თავს ხელით ისინჯავდა, ჩაფიქრდებოდა, იატაკს დააჩერდებოდა და ღუძდა. ზანტი მარტინი სულ უფრო და უფრო ჩქარა წერდა და კლიმს არწმუნებდა, რომ ის ანგარიშს არ უწევს გაბონის კარნახს.

— დაწერე! — ფეხი დააბაკუნა და თქვა გაბონმა. — და ახლა მეფეს, რომელმაც სიმაართლე ხალხის სისხლში ჩაასრისა, მე, გიორგი გაბონი, ხუცესი, ღმერთის მიერ მოცემული უფლებით ხატზე გადავცემ და განვკვეთ ეკლესიისაგან...

— ნუ სულელობ, — თქვა პეტრემ თუ მარტინმა, თან წერას განაგრძობდა და არც კი შეუხედავს ხუცესისათვის, რომელიც კარნახობდა.

— აბა, რა? შენ დაწერე! — ისევ დააბაკუნა ფეხი გაბონმა და ხელები თავზე იტაცა, გადაისვა, — მე უფლება მაქვს! — განაგრძობდა უკვე ცოტა ხმა-ღაბლა. — ჩემი ენა მათთვის უფრო გასაგებია, მე ვიცი, თუ როგორ უნდა მათთან ლაპარაკი. თქვენ კი, ინტელიგენტები, დაიწყებთ ერთი...

ხელი ჩაიქნია, სახე წამოუწითლდა და ერთი წუთით ბოროტი შესახედავი გახდა, გუბები შეარხია, თითქოს გარსზე ამოებურცაო.

— არა, არა, — არაერთარი ზღაპრები, — ისევ თქვა მწითურულვაშიანმა კაცმა.

— თქვენზე სისხლით მოიბოვეთ უფლება თავისუფლებისათვის ბრძოლისა, — უკარნახებდა გაბონი.

მწითურულვაშიანი და შეფწვერიანი მივიდნენ ხუცესთან, და პირველმა უბოდიშოდ, უხეშად დაიწყო:

— ხმები დადის, თითქოს თქვენ მოგკლეს, დაგიჭირეს და სხვა და სხვა. ეს არ ვარგა!

— როგორც ყოველივე ის, რაც მოკლებულია სიმაართლეს, — დაახველა და ჩაუბრუნა შეფწვერიანმა.

— აი, ეკონომიურ საზოგადოებაში შეგროვდა... მრავალგვარი ხალხი. თქვენ იქ უნდა წახვიდეთ და ეჩვენოთ.

— ეს რატომ? — ჰკითხა გაბონმა. — იქ ინტელიგენტები არიან! მე ვიცი, რაც არის თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება — ინტელიგენტები! — განაგრძობდა ის და ხმას უწევდა. — მე, მე მუშებთან ვარ!

— იქ მუშებიც არიან, — თქვა შავწვერიანმა.

სამგინი კარგად ხედავდა — ხუცესს არ მოეწონა ეს წინადადება, შეც-
 ბუნდა კიდეც. გაბონს სახე მოეჭმუნა, რალაც ჩაიბუზღუნა, რუტენბერგისაკენ
 დაიხარა, მან კი თავაუღებლად თქვა:

— უნდა წახვიდე.

— მართლა?

— დიახ, დიახ...

გაბონმა პიჯაკის სახელო გაისწორა, თავი გაიქნია, სარკეში ჩაიხედა და
 ვილაცას ჰკითხა:

— ვერ მიცნობენ? არ დაიჯერებენ? ისინი ხომ არ მიცნობენ.

— დაიჯერებენ. — თქვა მწითურულვაშიანმა. — წავიდეთ!

სამგინი კარგახანია გრძნობდა, რომ ის აქ ზედმეტია და დროა წავიდეს,
 მაგრამ აჩერებდა ცნობისმოყვარეობა, იყო დაღლილი, გამოყუყუჩებული და არ
 უნდოდა ქუჩაში მარტო წასვლა, თითქოს კიდეც ეშინოდა. ახლა იმედი ჰქონ-
 და, რომ წავიდოდნენ ოთხნი და წინკარში გამოვიდა; პალტოს რომ იცვამდა,
 მოროზოვის ხმა გაიგონა:

— კისერს მოგიგრებენ.

— შენ თავს გაუფრთხილდი, — უპასუხა მწითურულვაშიანმა.

სამგინმა კარი გააღო და ნელა დაეშვა კიბეზე, უცდიდა, დამეწვეიანო.
 მაგრამ როცა ქუჩაში გასავალ კართან ჩავიდა, ზემოთ ნაბიჯების ხმა კიდეც არ
 ისმოდა. გავიდა ქუჩაში. იქ კარგი ცხენი იდგა.

— დაკავებულია, — თქვა მეფორნემ. — კერძოა, — დაუმატა მან, თითქოს
 ბოლიშს იხდისო.

სამგინმა მარხილს უკან შეხედა, დარწმუნდა, რომ ნომერი არ ჰქონდა და
 ოთხნი ამ ვიწრო მარხილში ვერ მოთავსდებოდნენ.

„მაშ, წავიდეთ“, — უთხრა კლიმმა თავისთავს და ჩქარი ნაბიჯებით გასწია
 სიბნელესა და სიცივეში; ერთი წუთის შემდეგ კი ჩაუქროლა შავმა ცხენმა,
 რომელიც წინ შორაშორ ისროდა ფეხებს; მარხილში იჯდა ორი. სამგინმა ნაღ-
 ლიანად ამოიხვნეშა.

კლიმს მოეჩვენა — სიბნელე არაჩვეულებრივად სქელრა და ისეთი მძიმეა,
 რომ მისი ცივი დაწოლა მხრებში მხრისო. ქალაქი დუმდა. სახლები
 იდგნენ მკვდარივით, სულით დაცლილივით. მხოლოდ იშვიათად ფანჯრების
 მინას შიგნიდან მკრთალად ანათებდა სანთლების მორცხვი შუქი. ალბათ იმის
 გამო, რომ მოკვდა სინათლე, სიწყნარე იყო ისე არაბუნებრივად მგრძნობიარე,
 თითქოს დოლის მაგრად გადაჰიმული ტყავივით. სადაც, ძალიან შორს ისროდ-
 ნენ და კლიმს ისევე მოაგონდა უადგილო შედარება: გაზაფხული, სკდება ხეების
 გაღვივებული კვირტები. სამგინი ცდილობდა, ფეხი რაც შეიძლება უხმაუროდ
 გადაედგა, მაგრამ ქუსლებს მაინც ბაკაბუქი გაჰქონდა, თოვლი ხრამუნობდა.
 სახლებმა ერთნაირი სახე მიიღეს და თითქოს აგურების ხრამა-ხრამით უკან
 მიყვებოდნენ მარტო მიმავალ კაცს, რომელიც სწრაფად მიაბიჯებდა ქვის
 არხის ფსკერზე, მიაბიჯებდა, მაგრამ მანძილს კი ვერ ამცირებდა დასახულ
 მიზნამდე. ალყაფებთან არ ჩანდნენ მეეზოვეთა დათვისებური ფიგურები, არ
 იყვნენ არც პოლიციელები, არც გამვლელი. და სულ უფრო მეტად სქელი,
 მძიმე ხდებოდა სიცივე მოზეიმე სიბნელისა.

სამგინი ცდილობდა შიში ჩაეხშო თავის თავში, იგონებდა მოროზოვის

ფიგურას რევოლუციით ხელში, ფიგურას, რომელიც სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ამას უშლიდა მორთხოვის აშკარა ზიზღი გაბონისადმი.

„პატრონპატრონი ეს არის. ეზიზღება კაცი, რომელმაც მარცხი განიცადა...“
მაგრამ ფიქრობდა დიდი ვაჭირვებით, აზრები ხელს უშლიდნენ, ყური მიეგდო ამ დაძაბულ სიწყნარისათვის, რომელშიც ეშმაკურად შედედებული და დაძაბული იყო საშინელი ღღის მთელი ყვირილი და ღრიალი, ამ ღღის მთელი სიტყვები, თყვი, კენესა, სიწყნარისათვის, რომელშიც იმალებოდა ბოროტი მზადყოფნა — გაიმეოროს ყველა საშინელება, კაცი რომ შეაშინოს და ქუთაზე შეშალოს.

„არარაობაა ხუცესი. და ყველა მოწმე, მწერლები, ჯარისკაცები და მუშები, მკვლელები, მსხვერპლნი, მაყურებლები. ყველანი არარაობას წარმოადგენენ, უბედურები არიან“, — სწრაფად ფიქრობდა სამგინი, რათა ცოტათი მაინც გაეწელებინა შიში, რაც მას შეურაცხყოფლად აწუხებდა.

ნევის პროსპექტზე შიში უფრო გაუძლიერდა; ეს პროსპექტი სხვა ქუჩებზე უფრო ფართოა და ამის გამო უფრო ცარიელი, სახლები კი პროსპექტზე უფრო უსულონი, უფრო მკვდრები. სიბნელეში პროსპექტი ისე ჩანდა, როგორც ხეობა მთაში. შორს, დაბლა, იქ, სადაც მიწა უნდა ყოფილიყო გაყინული, სიბნელის ცივ სხეულს ფლეთდნენ პატარა, მჭრქალი სინათლეები. ეს სინათლეები კაცს აგონებდნენ ჭრილობებს, სისხლს და არაფერს არ ანათებდნენ, მხოლოდ უსასრულოდ აღრმავებდნენ პროსპექტს; ისეთი რამაც იგრინობოდა, თითქოს ისინი, ეს სინათლეები, გიდაარაჯებენო.

სამგინი ცოტა შედგა, წყნარად წავიდა, საფეთქლებზე ოფლი დაასხა. კლიმი ჩქარა დარწმუნდა, რომ ეს ფანრებია, ისინი ან ალაყაფებთან ტროტუარზე აღმართულ სვეტებზე ანთია ან ალაყაფზეა ჩამოკიდებული. ფანრები ბევრი არ იყო, ისინი ერთიმეორისაგან საკმაო მანძილით იყვნენ დაშორებული და ენთნენ თითქოს იმისათვის, რომ დაენახვებინათ — საჭირო არა ვართო. მაგრამ შეიძლება იმისათვისაც, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო ესროლათ იმ ადამიანისათვის, ვინც ფანარს გაუსწორდებოდა.

იშვიათად, ქურდულად და თითქმის ისე უხმაუროდ, როგორც თევზი წყალში, მოძრაობდნენ ადამიანთა სწრაფი, შავი ფიგურები. წინ ვიღაც გარკვეულად აკაჟუნებდა მიწაზე, შემდეგ მინა დაიმსხვრა, დაიჭრიალა ნამსხვრევებმა, რომლებიც რკინაზე ეცემოდნენ, დაიჭრიალა ქიშკარმა, შემდეგ მიხსურა; სამგინისაკენ უცებ ვიღაც წამოვიდა და უცებვე გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. თითქმის იმ წუთშივე კუთხიდან გამოვიდა ხუთი მხედარი; ისინი შეჯგუფდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა შეშინებული დაიყვირა:

— ჩორთით...

მათ სწრაფად, ბაწრულად, ერთიმეორის მიყოლებით გააქენეს ცხენები; შემდეგ გაისმა ორი გასროლის ხმა, კიდეც სამი და ერთი, ამის მერმე კი, თითქოს კასპის ზღვაზე მეთოვლიაო, წვრილად და სევდიანად დაიყვირა კაცმა სამგინი იდგა, სანამ კვლავ ჩამოვარდებოდა სიწყნარე, და შემდეგ განაგრძო გზა. მას არ სჯეროდა, რომ ნევის პროსპექტზე ჯარისკაცები არ არიან; ალბათ ისინი, ეს ცხვირბაჟუა და რუხი ჯარისკაცები, იმ ეზოებში იმალებიან, რომელთა სახლების წინაც ფანრები ენთო. დიან, ცხვირბაჟუა ჯარისკაცები ეზოების ქვის ჭებში იმალებიან, ცახცახებენ სიცივისაგან, შეიძლება შიშისაგანაც; ქალაქის განაპირა უბნებში კი, ალბათ, უკვე კითხულობენ გაბონის მოწოდებას:

„ძმებო, შეკავშირებულნი სისხლითი“

ამ სიტყვებს ისმენენ მოკლულთა და დაჭრილთა მამები, დედები, ძმები, დები, ამხანაგები, საცოლენი. განაპირა უბნები შეიძლება ხვალ ისევ წამოვიდნენ ქალაქში, მაგრამ უფრო მკიდრო და გაბედული რიგებით, წამოვიდნენ, რათა თავი შეაქლან. „მუშას, გარდა თავისი ბორკილებისა, არაფერი აქვს დასაკარგავი“.

სადღაც, კეთილმოწყობილ მყუდრო ბინებში თბილად არიან მინისტრები, სამხედრო პირნი, მოხელეები; სხვა ბინებში ისტერიულად ყვირიან, კამათობენ, ბელურებივით ერთმანეთს თავს ესხმიან მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ჰუმანისტები, რომლებსაც ამ დღემ შეუბრალებლად დაანახვა თავიანთი უძლურება.

„ბელადები! — თავის ფიქრში დაიყვია სამგინმა, მაგრამ ისე, რომ ყვირილი თითქოს გარედან მოესმა და კიდევ მიმოიხედა. — მეფე კი? სანკვოა, ეს პატარა კაცუნა მშვიდად შეექცეოდეს ჩაის...“

და სამგინს აზრი მოუვიდა, მეფეც ისეთსავე მოუსვენრობას გრძნობს და აქეთ-იქით ეხლება, როგორც გაბონი, მას ეშინია იმისი, რაც ჩაიდინაო.

სასტუმრო უკვე ახლოს იყო, და სამგინს შიშით შესამჩნევად გაუნელდა. იპყრობდა აღშფოთების გრძნობა თავის თავის მიმართ, ყოველივე იმის გამო, რაც ამ დღეს განიცადა.

„სიცოცხლე შეუძლებელია. ცხოვრება იქცევა ერთფეროვან, დაუსრულებელ დრამად“.

სასტუმროს კარი დაკეტული აღმოჩნდა, შიგნით კი ბნელოდა. მინას მოეკრა შვეიცარიის სქელი სახე; გაიტყაუნა გასაღებმა, იყრიალეს მინებმა; სამგინს ცხვირში ეცა საკმლის თბილი სუნნი.

— ხულიგნობენ, მინებს ამტვრევენ, — შესჩივლა სამგინს შვეიცარმა; მას ეცვა პალტო, ეხურა ქუდი, ეს უკარგავდა ჩვეულებრივ საზეიმო შესახედაობას, მაგრამ მაინც იყო კეთილსახოვანი და მშვიდი, როგორც ყოველთვის.

— ამბობენ, ცხრა ათასი კაცი დააწინესო? — ჰკითხა მან და რადგან სამგინმა არა უპასუხა რა, შვეიცარმა ამოიხვნეშა: — აი სადამდე... მივიდა საქმე! ცხრა ათასი...

მაგრამ როცა კლიმმა იკითხა: მოსკოვის მატარებლები დადიან თუ არაო? — შვეიცარმა მას ძალზე ცნობისმოყვარე თვალთ შეხედა და კითხვით უპასუხა: — თქვენ მოვლით, რომ რკინიგზელებიც გაიფიცებინან?

მალა კიბზე სამგინს შეხვდა სასტუმროს მსახური და ჩაუჩურჩულა:

— თქვენ, ბატონო სამგინ, შვეიცართან ნუ ლაპარაკობთ, ეგ არამზადაა! პოლიციის კუდია...

ეს ყმაწვილი, დიდი ხნის ნაცნობი, ჯერ კიდევ დილით გულკეთილი, მხიარული, თავზიანი იყო, ახლა კი, თითქოს ნაგადამყოფარაო, მრგვალი სახე უცნაურად გამოსრობოდა და გამახვილებოდა; ყმაწვილი სამგინს უცნობი თვალებით უცქეროდა და ხმადაბლა ლაპარაკობდა:

კარი დაკეტა, ძაღლიშვილმა! სროლაა, კაზაკები ხალხს თავს ესხმიან, სცემენ; ხალხი ჩვენსკენ იწევს, მან კი კარები ჩაკეტა და ნიშს უგებს, ღორი...

მსახური კლიმს ჩემოდნის ჩალაგებაში ეხმარებოდა და მხურვალედ, ჩურჩულთ ეკითხებოდა:

— რა დამნაშავენი არიან მოკლულნი? აბა ერთი ეთქვათ მუშებისათვის: არ შეიძლება! ხოლო ისე გამოდის, რომ ნათქვამი იყო: ისინი წამოვლენ, თქვენ კი დასცხეთ!

— დიახ, — თავისდაუნებურად და მოულოდნელად დაუმოწმა კლიმმა. —
რა თქმა უნდა, ასეც ჰქონდათ ნათქვამი.

მსახური დაჩოქილი იყო და ჩემოდანს კრავდა, მაგრამ ამ სიტყვებზე ზამ-
ბარასავით წამოხტა, თვალებს სწრაფად ახამხამებდა და ისე უცქეროდა კლიმს
რამდენიმე წამს, შემდეგ ისევ დაიხარა.

— ასე, — ჩაიბუტბუტა მან, მუხლით ჩემოდანს დააწვა და დედა შეიგი-
ნა. — მაშასადამე, ახლა...

მაგრამ სამგინი მის ბუზღუნს არ უსმენდა, ფიქრობდა იმაზე, რომ აი ახლა
ცივ სიბნელეში ისევ ვაიგონებს ამ გასროლათა უბრალო წკიბისს. კლიმი ჩაჯ-
და სასტუმროს კარეტაში ორ კაცთან ერთად, რომლებიც ხმას არ იღებდნენ;
მათ თავები შუბების საყელოებში ჩაემაღათ და აშკარად არ უნდოდათ არც
არაფრის დანახვა, არც არაფრის გაგონება; სამგინი კი კარეტის კარის მინიდან
იჭიროებოდა სიბნელეში, სიბნელე ეჩვენებოდა მატერიალურ საგნად, რომელ-
საც წონა აქვს და რომელიც გაყენთილია ქალაქის სიბინძურის, დღეს მასში
ღაღერილი სისხლის გამყინველი ანაორთქლით, აღამიანთა სიმკაცრისა და
უგუნურების ანაორთქლით. და ვაგონის კუბეში უძილო ღამეში კლიმ სამგინა
ფიქრობდა უგუნურებაზე, სიმკაცრეზე.

თარგმნა ბორის ნანიტაშვილმა



გაპიტი კვიციანიძე

გაპიტი კვიციანიძე

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ათი გრძელი წელიწადი. ბევრი რამ შეიცვალა და გადასხვაფერდა ამ ხნის განმავლობაში.

აი, აგერ ჩემს პატარა ეზოში ჩემივე ხელით დარგული თუთის ხე რომ დგას, მაშინ სულ პატარა იყო, პატარა და სუსტი.

სათუთი და ფაქიზი ხეა თუთა. შეიძლება ამიტომაც გვიყვარს იგი ასე ძლიერ.

ტოტები მოხდენილად გაუშლია, აშრიალებს სააბრეშუმე ფოთლებს, აფენს ჩრდილს და ამით მიხდის ამაგს.

დიახ, ამაგს.

მე ხომ მისი მეთვალყურე ვარ. იგი ჩემი მოვლილია, ნასათუთევი, ნაფერები და, რომ იტყვიან, შვილივით გამოზრდილი.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ჩამომიბერტყავს მისი ტოტებიდან თოვლი, ან კიდევ ზაფხულის სიცხიან დღეებში რამდენჯერ მომიტყყავს. მე რომ არა, ჩემი თუთის ხე ახლა ასე ამაყად არ იდგებოდა, ჩემი პატარა ეზოს დამამშვენებლად.

მეამაყება, როცა მის ჩრდილში მთელი ოჯახით დავსხდებით და ვსადილობთ, ან კიდევ პატარა ვაჟიშვილს ვანებებებ. ჩემს ბიჭუნას ჰგავს ეს თუთა... ისიც ხომ შევილა და მინდა, როცა შვილი წამოიზრდება (ათი წელი რომ გაივლის), მანაც ამაყად გაშალოს თავისი მკლავები.

ყველაფერს მოვლა და სითბო უნდა, ყველაფერს სჭირდება ადამიანის თვალი და გულსისყურო.

შორიდან შემოვლა გამომივიდა. მე კი სულ უბრალოდ მინდოდა მეთქვა სათქმელი. მეტს აღარ გავაგრძელებ... ათი წელი გავიდა მას შემდეგ. ეს ძალზე დიდი დროა. დრო კი, ცხადია, ყველა ტკივილის მკურნალია. ახლაც თვალწინ მიდგას წულუკიძის ქუჩაზე ერთი პატარა ჩიხი, პატარა სახლი და დიდი ეზო, მოშრიალე კაკლის ხე, დაუფიწყარი საღამოები, დეიდა ცაცას ნახელავი და... ნანის გაწყობილი მაგიდა.

ჩვენ სულ ახლო ვიყავით ბედნიერებასთან. რომ იტყვიან, ხელის გაწვდენა იყო მხოლოდ საჭირო, მაგრამ ეს გაძნელდა, უფრო მეტიც, ეს არ მოხერხდა. იქნებ საჭიროც არ არის გულის აფორიაქება ამ მოგონებით, იქნებ სჯობდეს, რომ იმ პატარა სახლის დიდ ეზოში დარჩეს ეს ფიქრიც, მისი ღიმილიც, მაგრამ ამასაც ხომ ძალა უნდა...

გვიყვარდა ერთმანეთი უბრალოდ, ახალგაზრდული, პატიოსანი სიყვარულ-

ლით. ეს სიყვარული თავისთავად, უხიტყვოდ იყო გამქდავენებული და მართალი გრძნობა ნელა მიიკვლევდა გზას მიზნისაკენ.

მას ჩემი ლექსების კითხვა უყვარდა (განსაკუთრებით თუ ეს ლექსები მისადმი მიძღვნილი იყო), მე კი მისი თვალები. ამ თვალებში სიხარულის ნაპერწკლები მიზღდავდა. დღესაც მახსოვს მისი საოცრად წრფელი, კეთილი ღიმილი და ბავშვური გულუბრყვილობა.

ტკბილ საუბარში ბევრჯერ დაგვლამებია კიდევ. ვისხედით კაკლის ხის ძირას, ვუსმენდით ფოთლების საამო შრიალს. მზე კი ჩვენს უკითხავად მიიწევდა დასავლეთისაკენ და ისე ჩაწვეებოდა სადმე შავი ზღვის ახლო, რომ ამას ჩვენ ვერ ვამჩნევდით. ერთხელ გვიან შევიყარეთ და დაგვათენდა, არ გავგვიკირვებია. ეს ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩინეთ. მე სიყვარულს მიუწევდომეღ ოცნებად უკვე აღარ ვთვლიდი. იგი ჩემთან იყო, ჩემს გვერდით. ძალას მმატებდა, მამხნეებდა და ჩემს სულს, ერთი პატარა პოეტის სულს, ალამაზებდა და ამშვენებდა. ოდესმე იქნებ ვრცლად დავწერო ეს ამბავი, ახლა კი ვიამბობთ მოკლედ, ისე მოკლედ, როგორი ხანმოკლეც გამოდგა ეს ბედნიერება.

ერთი სიტყვით, დავგვირდით თუ დავვაშორეს ერთმანეთს, ნუ გაგიკვირდებათ, ასეთი ორმხრივი, ალალი სიყვარულის დროსაც მოსალოდნელია თურმე მარცხი. რა თქმა უნდა, ბრალს არავის ვდებ. ამ შემთხვევაში მე ცუდი მსაჯული ვიქნებოდი როგორც ჩემთვის, ისე ნანისთვისაც.

წავიდა, დაოჯახდა და დარჩა მოგონება, დარჩა ყმაწვილი კაცისათვის ჩვეული დარდი. თურმე აქამდე გამომყოლია იგი. საკუთარი დარდიც კარგიაო, უთქვამთ. ხანდახან წამოგკრავს და დაგაფიქრებს. ასეთი ტკბილ-მწარე მოგონება თავს შემოინახავს თურმე, მაგრამ გაუმხელი არ რჩება. მეც ვედარ მოვითმინე და გავამხილე, მერე როგორ გავამხილე...

...გუშინ მე და ჩემმა მეუღლემ ქალაქში გავასეირნეთ ჩვენი თვალხატულა ბიჭი. მივდივართ, მივყვებით ლამაზ, სიცოცხლით სავსე ქუჩას.

ბედნიერი ვარ ჩემი პატარა ნამუსიანი ოჯახით. კიდევ უფრო მეტად ბედნიერი ვარ ჩემი პატარა ვაჟაკით, მასში ვხედავ ჩემი ცხოვრების გაგრძელებას. ყოველ დღით, როცა იგი ჩემს საწოლში შემოგორდება, ასე მგონია, ერთი მუჟა სიხარული მაინც ემატება ჩემს კაცობას. ასე ხდება ყველასათვის და აქ არაფერია ახალი, გასაკვირი. შვილი უდიდესი სიხარულია. შვილი საკუთარი ბედნიერებაა, რომელიც უნდა გაუზარდო ქვეყანას, ხალხს, უნდა გაუზარდო კაცად, ნამუსიან, ავ-კარგიან კაცად.

...ჰოდა, მივდივართ, მივსეირნობთ. ბავშვი ტიტიკებს, ჩვენ ვიცინით, გვიხარია. იგი ხან დედას ჩაჰკიდებს თავის პატარა თათებს, ხან მე. ხან კიდევ შეგეაჩერებს და ბავშვურ, გულუბრყვილო შეკითხვებს გვაძლევს.

ნაცნობები გვესალმებიან, ჩვენ ვპასუხობთ. ზოგი მათგანი შვილს მიუაღერებს, ხელში აიყვანს, აკოცებს, დალოცავს. ამ წუთში არაფერი არ მაწუხებს, ვარ სრული ბედნიერი და...

უცებ მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა იგი...

მე შორიდანვე შევნიშნე, შემძლო ქუჩის მეორე მხარეზე გადავსულიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე...

მოდის. წინ ჩემს შვილზე ცოტა უფროსი, თმახუტუჟა ბიჭუნა მოუძღვება, ვვერდით მეუღლე.

მოდის და ვხედავ, ვგრძნობ, რომ ისიც ბედნიერია. მოდის ქმარ-შვილით ჩემი დაკარგული სიყვარული. მოდის და იღიმის, მაგრამ ისეთივეა ეს ღიმილი? ისეთივეა, როგორც მე მახსოვს იქ, დეიდა ცაცას მწვანე ეზოში?

შემამჩნია, შემომხედა ჯერ მე, მერე ჩემს მეუღლეს და დაჰკარგა ღმილი. მისალმების მაგიერ ჩვენი თვალები წამით შეხვდნენ ერთმანეთს. ჩაგვიარა ჩვეული, ზომიერი ნაბიჯით. უკან ხომ ვერ მოვიხედავდი?!..

აღარ მესმოდა ამ ხალისიანი ახალგაზრდების საუბარი, რომლებმაც ჩვენგან სულ ახლო გადაჭრეს ქუჩა. ახლა მე მარტო ვარ ჩემს გულთან, ჩემს ფიქრთან, მოგონებასთან. პატარა სახლის დიდ ეზოში...

იგი? ასეა ალბათ იგიც.

გამოვერკვიე და მეუღლისაკენ შევბრუნდი. ოდნავ სახეშეცვლილი მეჩვენა. წუთით შევეკრთი კიდევ. მას არაფერი არ უთქვამს, ისევ განაგრძო გზა.

რა მოხდა?

გამიგო?

მიმიხვდა?

ეწყინა?

იქნებ ყურადღება მიაქცია ჩემს ღუმელს და ეჭვმა გაკენწლა.

ქალია, რა ვუყოთ...

იქნებ... ო, ეს კი ძნელია. ეს კი ჩემი პირადი გამოგონებაა. რას არ იფიქრებს ადამიანი. იქნებ, სწორედ იმ წუთში, მასაც შემთხვევით შემოხვდა ათი წლის წინანდელი მეგობარი... იქნებ მოხდა ასეთი დამთხვევა. შეხვდა და დააფიქრა... ცხოვრება ხომ უცნაურია. ყველა ზღაპარზე უფრო საინტერესო და უცნაური.

ხიდზე შევდექით.

ჩვენი ბიჭუნა ხიდის მოაჯირს მისდგომია და თავის გაყოფას ცდილობს.

ორივენი ერთსა და იმავე დროს მივვარდით ბავშვთან. ანცია ჩემი ბიჭუნა, წუთით არ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება. ბიჭი მოაჯირს მოვაშორეთ. მოვეფერეთ.

— უჰ, რამდენი წყალი? — ამბობს იგი და გულით იცინის.

ჩვენც გულიანად ვიცინით.

აქ წყდება ამბავი. ის მოგონება კი დაე, გულმა შემოინახოს. გული ხომ ბევრი რამის დამტევია... თვალებში გვიცქერის შვილი, პატარა სიხარული. უფრო დიდი და ძლიერი, უფრო სისხლხორცეული, უფრო ტკბილი, უფრო ფაქიზი და იმედიანი სიყვარული.





„მწვანე ხოლადანი“.

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ბორის ჩხიძე

მეკანე ხოდაშყენი

თაზი ოცდაშვიდი

ხაზრეთში საფოსტო განყოფილება არ იყო. წერილების და ამანათების მოსატანად სარაიონო ქალაქში პატია დარაჯი დაიარებოდა. იმ დღესაც პატია წავიდა ფოსტის მოსატანად. გვიან მოვიდა ამანათების მისაღებად, გზაში დააგვიანდა. ვილაცას შინ პურის საქმელად წაეყვანა და ხაზრეთში ღროით გამობრუნება დაეიწყებოდა. საღამო ხანს მოაღწია პატიამ კანტორას. ზოგი წერილი გზად დაერიგებინა, ზოგიც ჩანთაში ჰქონდა. სამაგიეროდ გაზეთებით სცა პატივი მეზობლებს. ყველა შემომხდურს თითო ცალი გაზეთი მიაჩეჩა ხელში. რაიონული გაზეთი კოლმეურნეებს უფასოდ ეგზავნებოდათ. ერთი საათის შემდეგ პატიამ შენიშნა, რომ ყველანი, ვისაც კი მან გაზეთი მისცა, კოლმეურნეობის კანტორისაკენ გამობროდნენ და ბუღალტრის ოთახში იყრიდნენ თავს. ნაბეჭდი ქაღალდი გაეშალათ. კოლმეურნეები ერთ ამბავს უკითხავდნენ ერთმანეთს. დროდადრო მეტად მხიარული შეძახილები იფეთქებდა, მაღალი ხმით ხარხარიც გაისმოდა. როცა გაზეთში ჩახატულ სურათსაც გადახედავდნენ, მაშინ ხარხარი და შეძახილები ცას სწედებოდა და ისეთი ხმაური ატყდებოდა, რომ კოლმეურნეობის კანტორის ძეღური შენობის კორპუსი ზანზარებდა, როგორც ქუხილის დროს. კოლმეურნეებს და კანტორაში შემოსულ მუშა-მოსამსახურეებს (ხაზრეთში ბევრი რკინიგზელი ცხოვრობდა) სესე თალალაშვილის სახელი და გვარი ვაკაბურთის მოთამაშე ბალებივით გაჰქონ-გამოჰქონდათ.

კანტორის ეზოში გადასვლის და მისი სახელის პირველად გაგონებისთანავე სესეს გულმა უთხრა: უეჭველია, ამბავი მე შემეხებოა. და თუ ეს ამბავი გაზეთშია, იმ ცოლშვილამოსაწყვეტმა ვანო იორაშვილმა გამწერაო. ვერ მიმხვდარიყო მხოლოდ: სასაცილო რა უნდა ყოფილიყო შიგ დაბეჭდილი? ერთი კი გაიფიქრა: დმერთმა ნუ ჰქნას ჩვენი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესავით მოვხვდე „ნიანგშიო“. და უეტრად წარმოუდგა ყურნალში შარშან დაბეჭდილი ურაზა ქელეხ-საშვილის სახე: მაღალი, გამბდარი, უღვაშებგაპარსული, ქუდი კეფაზე გასჩხვრია. მის წელს მუჭში დაიჭერ. ცალი თვალი მოუჭუტავს, მეორე ძალზე გაუხელია და მუსუსურად მისჩერებია სასადილოს მიმტან-მომტან სქელ ქალს.

* ვაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 4, 5, 6, 7, 9, 11.

— ავერ სესეცა, — შენიშნა ვილაცამ თალალაშვილი.

— ავეთი რა უბედურება სწერია ჩემზე გაზეთში? — შორიდან იკითხა მოსულმა.

— ჩვენ რად გვეკითხები, შენ თვითონ ჩაიკითხე, — მიუგო ბუ-
ლალტერმა, — ავერ შენა და ავერ გაზეთი. ისიამოვნე! — სხვას არ აცალა,
გაზეთი ხელში მიაჩენა და კვლავ უთხრა: — გაქებენ, გადიდებენ, თითქოს
უმაღლეს საბჭოში ასარჩევ კანდიდატად იყო წაყენებული ხაზრეთიდან.

— რისთვის უნდა მაქონ და მადიდონ? ერთი უბრალო მუშაკი ვარ, მეტი
არაფერი, დამაყენონ ჩემთვის! — შეუღრინა სესემ ბულალტერს. გაზეთი ხელის
კანკალით გამოართვა, გაშალა. იქვე სკამლოგინის ქიმზე ჩამოჯდა. სათაურის
ასოები ამოთვალა. ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა.
სამოდჯერ თავი ასწია. ქვეშქვეშ გახედა ოთახში თავშეყრილ ხალხს. შენიშნა:
ბევრ იქ მყოფთაგანს ხელები პირზე აეფარებინა, სესე აქ არის, სიცილი არ
წაგვეცდესო. ამით სესე უფრო ბრაზდებოდა, თანდათან კარგავდა სიღინჯეს.
ბოლოს დაკარგა კიდევაც. ასე აღელვებული და გაბრაზებული შეუდგა გაზეთში
მასზე გამოქვეყნებულ ამბის ხმამაღალ კითხვას. გზადაგზა ამოკითხულ აზრებს
მისებურ კომენტარს უკეთებდა.

„ჩვენს რაიონში ყველაზე დაწინაურებული კოლმეურნეობა სოფელ ხაზ-
რეთშია, — სწერდა რაიონული გაზეთის კორესპონდენტი „მცოდნე“. — ეს გა-
საგებიც არის. ჯერ ამ სოფლის მდებარეობა წარმოდგინეთ! მოსახლეობა გო-
რაკებსა და მისი კალთებით დაცული ტყეების მახლობლად ცხოვრობს. ჰაერი
ჯანსაღი, მარგი და ზამთარ-ზაფხულ სააგარაკოა. ახლა ამ სოფლის მწვეანე
ხოდაბუნებსა და მიწორ-კორდებს არ იკითხავთ? ადამიანი ჩვენს ქვეყანაში
ისეთ ხილელს, მარცვლელს და ბოსტნელს ვერ დაასახელებს, რაც ხაზრეთსა
და მის მიდამოებში არ მოვა. კოლმეურნეობაშიც თავგზიანი მუშაობაა, —
„ღმერთი გიშველის ამის დამწერს“. — რალა თქმა უნდა, რომ თავმჯდომარეც
ინიციატივიანი და დაუღალავი მუშაკი შეურჩევანი კოლმეურნეებს. ჯერ შე-
მოდგომა არ დალეულა რიგაიანად და კოლმეურნეობას დიდი გადაჭარბებით აქვს
შესრულებული ყველა სახის ვალდებულება სახელმწიფოსა და კოლმეურნეო-
ბის წევრების წინაშე. ამის მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობაში იმ თავითვე
შრომის ორგანიზაცია კარგ ფეხზე იდგა. შედეგად ხაზრეთელებმა დიდი, უხვი
და მაღალხარისხოვანი მოსავალი მიიღეს. ყველა, როგორც ერთი, გულმოდგი-
ნედ მუშაობს საკოლმეურნეო მიწდგრებში. მარტო სესე თალალაშვილის მაგა-
ლითი რად ღირს! ეს შეუღარებელი მარჯვე კოლმეურნე, — „აქ მართალი
ხარ“, — ჩაურთო სესემ. — თავმჯდომარის მარჯვენა ხელია. „სტყუით, ბო-
დავთ, თქვენ არამზადებო“ — წამოიყვია და განაგრძო, — გარდა მრავალი სხვა
დავალბისა სამი ჰექტარი კომბოსტო სხვის დაუხმარებლად დარგო, მოუარა
და აიღო კიდევაც. ყოველი თავი ათ კილოგრამს მაინც იწონის. „ისემც ძალდი
ჩააკვდება იორაშვილის მამაბაბას“, — შეიგინა სესემ. წერილი კი ჯერ კიდევ
არ თავდებოდა. ამრიგად — დაასკვნიდა „მცოდნე“, — თუ ჩვენ ამ ბოსტნე-
ულის მოყვანა ჯეროვნად გესურს დავაყენოთ რაიონში, აუცილებელია,
ხაზრეთელი მეზობტნის გამოცდილება სხვა კოლმეურნეობებსაც უნდა მოვფი-
ნოთ. ამთავრებდა წერილს „მცოდნე“.

— მცოდნე კი არა, ცრუ! — არა, ვინ ოხერს პირდება ასე მტკნარი ტყუ-
ილი. — სესე აქ ზეზე წამოიჭრა. — მამა წამოწყდეს, თუ მე იმ კომბოსტოში,
თუნდაც ერთხელ, ისე, შემთხვევით თოხი კი არა, ჯოხი მომიქნევია.

— მართლა, კაცო? — ეკითხებიან გაოცებული მეზობლები სესეს.

— მართლა, მაშ! — უდასტურებდა მათ სესე. — სანახავად შიგ გადასვლის დროს ერთი ძირი ჯიჯილაყაც კი არ მომიტხრია ნარგავში. წყალი რა არის, ისიც არ მიმიგდია რუში.

— მა ვინ დარგო და მოიყვანა? — ეკითხებოდნენ ვინც არ იცოდა.

— როგორი მოსავალიც არის, სამნახევარ ჰექტარ მიწაზე, მხოლოდ იმ ნახევრად ჰქრავ და წვრილშვილ ღედაკაცს უნდა ვუმალოდეთ.

— ვისა, ვისა?

— ნათიშვილიანთ თადეს ცოლს, ალუას! — იყო სესეს პასუხი.

— მართალია! — დადასტურა ეს სიტყვები ბუღალტერმა.

— თავის ბონებიანად ალუა მარტს აქეთ სულ იმ ნაჰერში ტრიალებდა. მან მოხნა, დაფარცხა, გაანაყიერა, სარწყავი კვლები გაუკეთა, მერე დარგო, რამდენჯერმე გათონხა. მე კი არა, მოწმეები აგერ აქა ხართ, სხვაც არავინ გაჰკარებია ახლოს. თავმჯდომარემ ხომ სულაც არ მიაქცია ყურადღება. ქალაქურ სასუქს ვინ ჩივის, გადამწვარი პატივიც არ გაატანა ფერმის ეზოდან მოზარდ კომბოსტოს ძირზე მოსაყრელად.

— შენა, ბიძაჩემო, ემაგ ვაზეთში მარტო წერილს რად ჩააცივდი! ერთი რაღა... სურათსაც დაუქვირდი. აბა თუ გამოიცნობ, ვინ ხატია? — შეუკეთა ცეცხლი სესეს მისმა ძმისწულმა დათიამ.

— რაო, სურათიც ჩემზეა? — იკითხა სესემ და დააცქერდა არც თუ გარკვეულად დაბეჭდილ ფოტოს.

— ეგ ის ხუთი ძირი კომბოსტო ხომ არ არის, რომლებიც სამარდნაშვილმა ცალკე გაზარდა? — ნიშნის მოგებით ეკითხებოდა ძმისწული ბიძას.

სესემ თავი უფრო დაღუნა. ვაზეთს დააცქერდა.

— დიახ, ის კომბოსტოებია, — ჩაილაპარაკა სესემ, — მეც ეხატევირ მათთანაა... ავანგალავანგალა... ამოტელა ფეხება... ამოტელა ყურება... ამოტელა კუდალა... აბა რა იქნება? გამოიცანით!

— ძაღლი! — წამოიძახა ვიდაცამ.

— დიახ, ძაღლი, დიახ ძაღლი! — დადასტურა ამოცანა სესემ. — მა აბა სხვა რა იქნება!

— მანდ ისე გამოდის, თითქოს კომბოსტოს მოსავალი იმ ხუთი ძირისთანა ნავარგავი მოგვიყვანია მთელ სამნახევარ ჰექტარზე, — უფრო უკიდებდა ცეცხლს მოხუც ბიძას ძმისწული.

სესემ თავი დაუქნია.

— ჰო, დიახ. სწორედ ავრე გამოდის. მეც ეგ მასხავს ცხელ გულზე მდულარეს. შავი ტყუილი სწერია ამ დასაწვავ თეთრ ქაღალდზე. ვაი, ერთი ამის დამწერი და დამხატავი ასე ერთად მომცა ახლა აქ ხელში, თუნდაც მარტო ის „ფოტოგრაფიკი“ იყოს! ნახავდით როგორ გაეაბრტყელებდი საოქონობო ლავაშვიტა. ჰკითხეთ ხალხო სამართალი, რად მხატავდა სხვის ნაწვავანდავ კომბოსტოს მომყვანადა?

ძაღლზე შეურაცხყოფილმა სესემ აქ უშვერად შეაგინა ჯერ რედაქტორს, მერე მას ფოტორეპორტიორი და ქოთანეთელი მეტყვევის ბიჭი, ხოსიაც ზედ მიიყოლა. ამ გინებაზე ბუღალტერი ყველას მაგივრად გაჯავრდა:

— აქ ბუღალტერია! თავს ნუ ვაგვიდა, გააჩერე ეგ შაბწასაყრელი ავი ენა, თორემ!... მართლა და მართლა ვითომ იგეთი რა მოხდა, ქვეყანა კი არ დაქცეულა და შენ შიგ არ მოყოლიხარ ის დასალბობი კომბოსტო ნათიანთ რძლის

ალუას ნაოფლარია, ჩემი თუ შენი, თუ ყველა ჩვენგანისა, განა სულ ერთი არ არის? ჩვენ მუშაობას იწონებს გაზეთი. ეს არის და ეს.

— ეგეთი მომწონებლის და დამწერის, სურათის გადამღების თავი გახმეს. მათთან ერთად შენი თავიცა. — მიახალა სესე თალალაშვილმა ბუღალტერს და იქ მყოფთ მიუბრუნდა. — ხალხო, გამაგებინეთ, გაზეთში ტყუილის დაწერა არ საკადრისია?! მთელმა სოფელმა იცის, მაგ კომბოსტოს ნარგავში ფეხი არ დამიდგამს, სულ მინდორ-ველში ვტრიალებდი მთელი ზაფხული და შემოდგომა, ხანდახან ძალიან მოჭერილ ალოებზე, ჭარხალში თუ გადავყვებულეობდი ხოლმე ქალებსა. ამ დღეებში კი გლედიჩიებს ვბელავდი. სამუშაო ჯერ არც კი მომიტავებია. ეგენი კი წერენ, კომბოსტო სესემ მოიყვანაო. მე ვარ სესე თალალაშვილი და გიჩვენებთ როგორც გამოვცხმაურები მაგ დაწერილსა. ყველას დავანახებ სიმართლეს.

ერთხელ კიდევ შეუკურთხა გაზეთის დამწერ-დამსტამბავს. მერე უეცრად თითქოს სულ არაფერი მომხდარიყოს, დაცხრა. ტყაპუჭი შეიკრა, სიბნელეში შთაინთქა. გულმოსული კაცის სიბნელეში გარეთ გასვლა არაფრად ემა დათია თალალაშვილს. ბიძას გამოეკიდა, დაუძახა კიდევაც, მაგრამ ვერ გააგონა. დათია ისევ კაბინეტში შემობრუნდა, სადაც ბუღალტერთან ჰქონდა საქმე მესაქონლეობის ფერმის თაობაზე.

სესეს წასვლის უმალ კოლმეურნეები ერთბაშად დადუმდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. ბუღალტერის ოთახში, სადაც ხმამაღლა სიცილ-ხარხარისაგან ყურთასმენა აღარ იყო, ახლა კალმის წვერის წრიბინიც კი ისმოდა. კოლმეურნეები შეჩერებოდნენ შეჭადარავებულ ბუღალტერს. ფიქრობდნენ: უთუოდ ისიც შეურაცხყოფილიაო. აკი რედაქტორთან ერთად სესემ ბუღალტერიც მიილანძლა. ყველა დიდხანს იჯდა მდუმარედ. ადგილიდან დაძვრას არავინ აპირებდა, თითქოს შინ წასვლა დაავიწყდათ. გირიანი კედლის საათი უკვე ღამის თერთმეტის ნახევარს უჩვენებდა. არავინ იძროდა მაინც ადგილიდან. ჩანდა, ფეხს იორეცდნენ, კიდევ რალაცას მოელოდნენ. იცდიდნენ, როდის გამოჩნდებოდა კვლე სესე და რას მოიმოქმედებდა. ერთმა კოლმეურნემ მეორეს კიდევაც ჩაულაპარაკა კუთხეში, აცა, აქ იყავი, მგონია ტყუილად არ გასულა გარეთ სესე თალალაშვილი. ეგ აქ, მე ვიცი, ამბავს დაატრიალებსო. არც შემცდარა ის კოლმეურნე. მალე გარეთ ხველება და ბრაზუნი მოისმა. აივნის კიბეზე ვილაცა ამოდიოდა ტვირთაკიდებელი. ჯერ მთლად დაფეთებული პატია დარაჯი შემოვარდა.

— რაღა ვქნათ, მიშველეთ! — დაიძახა. ხალხში გაძვრა, საბუღალტრო წიგნების კარადას ამოფარა და ცალი თვალით შეაშტერდა შემოსასვლელ კარს.

მოულოდნელად სიბნელეში გამქრალი სესე თალალაშვილი მოულოდნელადვე შემობლაგუნდა აივანზე. ახლა მას ზურგზე სავსე ბარდანი ეკიდა, ძლივს ეწეოდა ტვირთს და მოაბიჯებდა. ტვირთი იმდენად მძიმე არ იყო, რამდენადაც ძნელი იყო საზიდავად. ბარდანი ზურგზე ხან იქით გადაუგორდებოდა სესეს, ხან აქეთ. ერთხელ კინაღამ წააქცია. მალე მან ტვირთს ბრავგანი გააყრევინა იატაკზე. წუთის შემდეგ ბარდანს კუნჭულებში სწვდა, ასწია, გამოყარა გარეთ კომბოსტოს თავები. საშინელი ხარხარი და ხმაური ატყდა. ყველამ იცნო კომბოსტოებზე. ისინი იყვნენ, რომლებიც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ცალკე გაზარდა. სწორედ ამ კომბოსტოებზე ხელშემოხვეული სესე თალალაშვილი იყო დახატული რაიონული გაზეთის გვერდზე. სესე ამითიც არ დაკმაყოფილდა. ტახტის ქვემოდან პატია დარაჯის შეშის საჩეხი ცული გამოიღო, დაუშინა კომბოსტოებს. სულ ნაფლეთნაფლეთად აქცია ყველა. ბოლოს ფეხებითაც შესდგა.

რამდენჯერმე გადაუარ-გადმოუარა, მოცვის ჩაისავით მოსარგლა. ესეც არ აკმარა. გავარდა გარეთ. შემოდგომის ზენის დროს ტრაქტორებს გადაარჩინილი მანქანების წასასმელი ჭუჭყიანი ზეთით სავსე კასრი, აიგნის ქვეშ რომ იყო შედგმული, გარეთ გამოათრია. ერთბაშად ასწია. დაჩეხილ, ფეხით მოთელილ კომბოსტოს ნაბღვენებს ზემოდან გადაასხა. ამის დანახვამ ააფეთქა ბულალტერი.

— რამ გადაგრია, კაცო! — შემოუძახა. — რად წამლავდი კომბოსტოს, ძროხებს მაინც შევაჭმევდით!

— ასე მოუხდება ვანო იორაშვილისთანა გაზეთის შემდგენლებისაგან მოყვანილ მოსავალსა. — დასჭყივლა სესემ კოლმეურნეებს და ბულალტერს. ბულალტერს კი, იმ საბრალოს, შემოძახებაც აღარ უნდოდა! შიშისაგან შეცივებული თავის დავთარ-ქითახებში შეკუჭულიყო. ზემოთ მხოლოდ თავი ამოეყო. სახეზე აღამიანის ფერი აღარ ედო. მას ჯერ სესე ასე თამამად ალაპარაკებული არ ენახა. სესე უეცრად მოწყდა ადგილს. წიგნებით სავსე მაგიდასთან მიიჭრა. კარტოტეკის ზემოდან შემოდებული რამდენიმე ცალი გაზეთი აიღო, დაკუშნა, ააგლო, დაიჭირა, ისევ დაკუშნა. ქაღალდის ბურთი ისევ ააგლო, ფეხსაცმელის ცხვირი ჰკრა, ღია კარიდან სიბნელეში ისროლა გარეთ.

— შენ, ჰეი, — აყვირდა მაშინ ბულალტერი, — იცი რა მოგივა მაგისათვის?

— ამ შემთხვევის გადაკიდე, ჩემ თავს არ ვჩივი, მე ჯანდაბას გზა მქონია... ერთი კაცის ან ბედი რაა, ან უბედობა რა უნდა იყოს... ვილაცა ოხერი იორაშვილი თვალს გვიხვევს, — თქვა სესემ და ისევ ბულალტერს მიუბრუნდა, — შენ მითხარი, იცი რა მოგივაო! ეგ, ერთხელ თქვი და მეტად აღარ წამოგცდეს. რად მაშინებ, მობილო. მე ვიცი, რასაც ჩავდივარ. აქეთ-იქით სიარულის გუნება და ჯანი არა მაქვს, თორემ... ეს ამბავი, რასაც აქ გვიშვრება რაიონული გაზეთის რედაქტორი, მთელ ქვეყანაზე მოსადები ამბავია. ნეტავი ეს ამბავი მიმატანინა იქამდე, სადაც სიმართლე-სიცრუის გარჩევა კარგად იციან. ვთქვათ, თუნდაც თბილისში. მაშინ ნახავდი, ვის რა მოუვიდოდა. ვირის აბანოში ჩავსვამდი იორაშვილს. ორიოდე თვეს იქ ვაყურყუტებდი და ისწავლიდა ქუჟას. თქვენ კი, გულიც ნუ მოგივა, სესეო. გაგონილა ამდენი მოთმენა!

აქ სესემ ხმას დაუწია და რედაქტორის გინებას მოჰყვა პირდაპირ.

— ეს რა მიყო იმ უწლოვან, სახეტალებიანმა რედაქტორია თუ ფოტოგრაფიკი. კარგია ამ ცხელ გულზე ხელთ არა მყავს, თორემ გიჩვენებდით მის სეირს. ნამდვილად წერა-კითხვას დავავიწყებდი, ჰო. იი, და... და... მთელი ხაზრეთი დამდებოდა, მის თავს ხელიდან ვერაფერ გამომგლეჯდა. საგულფთე ხორცივით დავარბილებდი.

— ეს მაინც არ უნდა ჩავედინა, სესე! — ეუბნებოდა საფარიდან გამოსული ბულალტერი შემრიგებლური კილოთი. — ისედაც აქ არ მედგომებოდა. ახლა, ამ შემთხვევის შემდეგ ხომ სულ რაღა... მალე უნდა გაგეცალოთ.

— რადათ, კაცო? — შეებრალო სესეს.

— ამას, რაც აქ მოხდა, თავმჯდომარე ბასა სამარდანიშვილი ამაღამ თუ არა ხვალ დილით მაინც გაიგებს. არა მკითხავს, შენ აქ რას უღეჭი, სად იყავიო?

— ჰო, დიახ, იკითხავს და ვაი ჩვენი ბრალი, — გაისმა პატიას ხმა.

— მერე პატია! ხა... ხა... ხა...

— ჰაი, ჰაი, რა კომბოსტოები იყო! შვილივით უყვარდა ჩვენ პატიცემულ

თავმჯდომარესა. ამათი ასე წახდენის დანახვას თვალების დავსება მერჩია. — ატირდა პატია. — არ იკითხავთ როგორ უფლიდა? აი, გეტყვიო! მთელი ზაფხულის განმავლობაში, ყოველ მეორე დღეს გამგზავნიდა და მეტყობდა: გაიქე, პატია, ნახე ჩემი კომბოსტო, არაფერმა გადამიკორტნოს, წყალიც მიუგდე, სანამ მიწა არ შეაჯერო ნამით, აქ არ დამენახვო. გამარჯვლე კიდეცაც, გაასუფთავე. მერე ჩემთან შინ ადი, ქალებს შეშა დაუჩეხე, ისადილე და ისევე აქ მოდიო!

— ჰეი, პატია! თურმე კომბოსტო შენი მოყვანილი ყოფილა. ეს კიდევე უფრო ახალი ამბავი. — ატყდა სიცილი.

— თავი თავმჯდომარესი მუშაობდა, ხელები კი ჩემი იყო — ჩაიბურტყუნა ღვთისკაცმა.

— ერთი პატიას მოუსმინეთ, ღვთისკაციაო ვინ თქვა. — შენიშნეს აქეთ იქიდან და უფრო მეტად გაიციინეს. ის კი სესე თალალაშვილს მისდგომოდა.

— მელიცია არ არის ახლოს შენ იღბლად. ხედავ, არც ბასაა, თორემ მე ვიცი რაც გადაგხდებოდა კომბოსტოების გაფუჭებისათვის, — ეუბნებოდა პატია სესეს.

ამან ძალიან დააინტერესა ბულალტერი და შეეკითხა პატიას:

— აბა მითხარი, რა გადახდებოდა?

— თავმჯდომარე მაშინვე გამგზავნიდა ქვევით. მელიციას მომაცვანინებდა, დააპატიმრებდა სესესა. იქით გაავგზავნიდა, საიდანაც ბევრი თავის ხასიათზე აღარ ბრუნდება.

უცებ საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. კოლმეურნეებმა სუნთქვა შეიკრეს, ახლა გაახსენდათ, მიხვდნენ, რომ მომხდარი ამბავი სასაცილო არ იყო. ზინო მერგოლურის ქმარს, დათიას კი ცეცხლი წაეკიდა. უნდა მიხმარებოდა ბიძას, მაგრამ როგორ? ყველაზე საჭიროდ ამ შემთხვევაში მნიშვნელობის გაბიაბრუება სცადა.

— ბიჭო, შენ მართლა ღვთის კაცო, ასეთი რა დაშავა ბიძაჩემმა სესემ, ვითამ დასაპატიმრებელი რა სჭირს? — შეეკითხა დათია პატიას.

— ასეთი საქციელისათვის დაჭერაზე მეტს უშვებოდნენ კაცსა და ახლა არ ვიცი. — იყო პატიას პასუხი.

— დაჭერაზე მეტი რაღა უნდა იყოს! — დაუყვირა მას დათიამ და კოლმეურნეებს მიმართა. — შარშან რეხებლების ნახირმა ორი ჰექტარი ჭარხალი ამომიგდო და არ დავსილვართ. ხუთი ძირი კომბოსტოს ზარალი რას გვიზამს, თუნდაც ყოველი მათგანი ათ ფუთსაც იწონიდეს. ღმერთმანი ბევრი არაფერი ჩაუღდენია ბიძაჩემსა.

— ხუთი ძირი კომბოსტოს ზარალი მართლაც რა არის! — თქვა ვილაყამ. ამით დათიამ გული კიდევე უფრო მოიცა და განაგრძო:

— მოდი, მეზობლებო, სიმართლე ვაღიაროთ. აქ საქმე კომბოსტოში არ არის.

— მაშ აბა სხვა რაღა? გვითხარი! — შეეხვეწნენ დათიას.

— კომბოსტო აქ საბელი თოკია. იქ გაწყდა, სადაც ძალიან გაიხეხა და დასუსტდა ნაგრები. აბა, თუ ასე არ არის, პატარა ხანს ყური დამიგდეთ. ხომ ყველამ იცით, როგორი კარგი დარებიანი წელიწადი გავისტუმრეთ.

— ვიციო!

— გახსოვთ, ყოველ კვირას თავზე წვიმა მოდიოდა. მერე და მოსავალად რა მივიღეთ? თითქმის არაფერი. ვერც პური გავანაწილეთ შრომადღებზე, ვერც

სხვა ჭირნახული მოვიწიეთ საკმაოდ. ვაშლი ბაღებში ცხვირგრძელამ გამოგვიხარა. ხბორებს რაღაცა სენი დაერია, მუსრი გაავლო ხუზარასავითა. ახლა რა მდგომარეობა გვაქვს? სახარბიელო დიდი არაფერი... გამგებობის გადარჩევის მეტი ამ საქმეს არა ეშველება რა, — თქვა გაბედულად დათია თალალაშვილმა. მას თავი დაუქნიეს. ყველა თურმე ამას ფიქრობდა.

— გამგებობასაც გადავირჩევთ და თავმჯდომარესაც! — დააწიეს ბანი დათიას სხვებმა.

შინ წასასვლელად გვიან დაიშალნენ.

ბულალტერმაც დახურა წიგნები და შინისაკენ გაემართა. დაღონებული გაუდგა გზას შინისაკენ. უნდოდა, ყველაფერი ის, რაც მის თვალწინ გათამაშდა კოლმეურნეობაში, არ მომხდარიყო, ან ის ამის მოწმე არ ყოფილიყო. მაგრამ რაც მოხდა, ძალიან მოსწონდა. მართო რომ შეჰყურდა სესე თალალაშვილს, მზად იყო გადაეკოცნა და მასთან ერთად ჩუმად ორი ჩარეჟა ლენო გადაეკრა.

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა კანტორაში თავშეყრილი ხალხი დაიშალა. ახლა ხმამაღლა საუბარმა სოფლის ორღობებში გადაინაცვლა, მალე სესეს ამბავმა ყველა სახლსა და ქოხში შეაღწია. ნახევარი საათის შემდეგ, რაც ხალხი დაიშალა, სოფელში სიჩუმე ჩამოვარდა. ეს პატიამაც შენიშნა, ჩასკდნენო თქვა და კიტელის სახელოთი თვალები ამოიწმინდა, მოიფშვინტა, სინათლე ჩააქრო, დასაძინებლად დაწვა, საკეტგამოგდებული თოფი გულში ჩაიხუტა. ძალზე აღელვებული იყო პატია.

— ეს რა ვნახე, ამას რას შევესწარი. ჩემ თავმჯდომარეს ნახეთ რა გაუბედეს. გადამხდა გადასახადი, აწი უარეს მოველი. ახია სესე თალალაშვილზე თუ ციხეში დაამწყვდევენ. იქიდან თუ გამოვიდა, კალისავით გამგლეჯავს. არა, ვერაფერს იზამს. ჩემი თავმჯდომარე თუ კარგად მეყოლა, სესე რას მიზამს? ვერაფერს. კიდევ ჩააჯენენ ციხეში.

ასეთს და კიდევ ბევრ ანაირებს ებუტბუტებოდა პატია ცარიელ კანტორის კედლებს. ამ ბუტბუტში ძილმა თავი წაართვა. გადაბრუნდა კედლისაკენ. ხვრინვა ამოუშვა. განთიადამდე, სანამ ფეხის კვრით ქელესხაშვილმა ზეზე არ წამოაგდო, ფეხი არ გაუნძრევია.

თავი ოცდამეორე

ზაფხულის მიწურულიდან მოკიდებული მთელი შემოდგომა, როცა ლეონილა, თაფლო და მათთან ერთად სესე თალალაშვილი ფერმაში გულდადებით მუშაობდნენ, არც სხვები იდგნენ უქმად. ნამეტნავად ირჯებოდა ბასა სამარღანიშვილი. ის ახალგაზრდული გაცაცებით მოქმედებდა. ამას ყველა ამჩნევდა. ხაზრეთელები თავის სოფელგარეთაც ბევრი ცხოვრობდა. მათი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ისინი ხშირად ხელავდნენ ხან რაიონის ცენტრში, ხან მახლობელ საკურორტო ზონის აგარაკებზე, ხან გორსა, თბილისსა და ქუთაისში.

ბასა გაფაციცებით ექებდა საშენ მასალას. დადიოდა ხმა, რომ ბევრსაც შოულობდა. შოულობდა ვითომ კოლმეურნეობის საჭიროებისათვის, მიწერ-მოწერით. ხმის დამრხვენი ამას ფიცით ადასტურებდნენ. მართალი იყო თუ არა ეს ხმები, ჯერჯერობით შემოწმებას ვერავინ ბედავდა. სოფელში ამ ამბით ზოგი აღშფოთებული იყო, ზოგი კი გაიძახოდა: ჩემთვის არა წაურთმევია რა, მაშ, რას დავეძებ, ღმერთმა ხელი მოუშარტოსო. ხაზრეთელების ყრუ უკმაყო-



ფილება ბასას ყურამდე აღწევდა. მაგრამ იგი როგორღაც გახევებულებო, ყურს უყრებდა ყოველგვარ მითქმა-მოთქმას.

— ვინც რა უნდა ისა თქვას, ჩემმა წისკვილმა კი ფქვას! — თქვა ერთხელ, როცა ცოლმა ყველაფერი უამბო. წისკვილი მართლაც ფქვავდა. სექტემბრის ბოლოს მანქანებმა ხაზრეთში მოზიდეს სხვადასხვა საამშენებლო მასალა. სოფლის გარეთ, ერთ დიდ შემორაგულში შეჰქონდათ ფიცარი, აგური, კრამიტი, თეთრი თუნუქის სახურავი, რკინა და არმატურა. იმ შემორაგულში ერთი დიდი, დიბალი ფარდული იდგა, სადაც ქვეყნის თვალის მალულად მარაგი იქმნებოდა. შემორაგული საწყობის შორიახლო მშენებლობაც იყო გაჩაღებული. ბასა ახალ სახლს იშენებდა სრულიად ახალ სამოსახლოზე, სოფლიდან კარგად მოშორებულ მანძილზე. მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობდა. მალე დამთავრების პირი უჩანდა ახლებურ სახლ-კარს. პირველ ხანებში ხაზრეთელებს ასე გაშმაგებული ტემპით დაწყებული მშენებლობა ძალიან აკვირვებდათ, ნეტავი რად უნდაო. თავმჯდომარეს თავისი ოჯახისათვის საკმაო ბინა და სამოსახლო ჰქონდა. მაშ რად ჭირდებოდა ახალი სახლ-კარი? ამ კითხვას ერთხელ პასუხი გასცა ბასა სამარღანიშვილის ცოლმა სოფლის კალოზე.

— ვითამ ვერ დაეტიეთ იმ სახლში სამი სული? — შეეკითხა ერთი მეზობლის ქალი თავმჯდომარის ცოლს.

— ჩემი ქალიშვილისათვის დოცენტი მეძლევა. ახალი სიძე ძველ სახლში როგორ შევიყვანო?

თავმჯდომარის ცოლმა კიდევაც დაასახელა, ვინ ეგულებოდა სასიძოდ.

— ეგ ხომ დოქტორია! — შენიშნა თურმე ერთმა ახალგაზოდა ქალმა.

— ვითომ შენც რამე იცი, — გაწიწმატდა თავმჯდომარის ცოლი, — დოქტორი ბევრი გვეძლია. ნურას უკაცრავად! ჩვენ დოცენტი გვირჩევნია.

— შენი ნება იყო! — უთხრა ახალგაზრდა ქალმა თავმჯდომარის ცოლს, როცა შენიშნა, რომ გასათხოვარი ქალის დედას მეცნიერულ ხარისხისა არაფერი გაეგებოდა.

ნამდვილად კი სხვა არა ნაკლები და ყურადსაღები მიზეზი ჰქონდა მშენებლობის დაწყებას. თუმცა ამის შესახებ ბასას არავისთვის არაფერი უთქვამს. ეს მიზეზი შემდეგი იყო: რამდენიმე წლის წინათ ბასას ორმოცდაათი წელიწადი შეუსრულდა. დიდ სტაჟიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნაცნობ-მეგობრებმა შემოუთვალეს, მოსალოცად მოვდივართო. სუფრის გაშლა და სტუმრების მიღება კვირადღის საღამოსათვის გადაწყდა. სწორედ იმ კვირადღით დაებადა სამარღანიშვილს მშენებლობის აზრი, როცა მაგიდების მომზადებას შეუდგნენ იმ სახლში, რომელიც ბასამ თავმჯდომარედ არჩევს მეორე წელიწადს ააგო და, რომელიც ახლა, თითქმის ათიოდ წლის შემდეგ, მეტად პატარად და ვიწროდ ეჩვენებოდა. შენობა არც გარეგნულად ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას. მისი ქვითკირის საფუძველი მიწიდან კაცის სიმაღლეზე იყო აცილებული. ნამდვილი, საცხოვრებელი ფართის კედლები ორფა აგურით აყვანათ და დაბალიც იყო. შენობა ორი თვალისაგან შედგებოდა. ოთახებს აერთიანებდა შემთხვევის დროს ადვილად ასაღები ტიხრი და ერთი მთლიანი, გრძელი, შუშაბანდიანი აივანი. ამ სახლის უკანა კედელს ეფარნენ: მამისეული ქვითკირი, რომელსაც მაშინვე, როგორც კი ახალი სახლი აშენდა, ბასას ცოლმა პატივი და ძველი დიდება აპყარა. ორ ნაწილად გაჰყო იგი. ერთი მათგანი სამზადად აქცია. იქ დიასახლისი ზეღდა პურის ცომს, ინახავდა ფქვილსა და ყოველგვარ ხორაგს. ძველ ბუხარში ჯერსაც ამზადებდა. აქვე ყოველ ზამთარში

ბუხრის ზემოთ ეკიდა კვამლზე გამოსასვლელი ღორი. მეორე განყოფილებაში კი ება ძროხა, ხბო და რამდენიმე ხელწამოსაკრავად ყელგამოსატყრილი ბატკანი. მამისეული სახლის კედელზე მოედგათ მუხის გულის ბედელი, ძელური და ალაგ-ალაგ ნიავის თავისუფლად შესასვლელად შქერის ტყრუშულით გამორაგ-ვული სასიმიინდე და მუდამ გოჭებით საესე საღორე.

აი ეს სახლ-კარი ევიწროვებოდათ საცხოვრებლად პატრონებს და განსაკუთრებით ბასას. მაგრამ იმ დღისათვის სხვა სახლში სტუმრების მიღებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

დანიშნულ დღეს მზის ჩასვლის წინ გამოჩნდნენ პირველი სტუმრები. ისინი მსუბუქი მანქანებით მოვიდნენ რაიონიდან. მალე მთელი სოფელი აივსო, ახალი, ბრჭყვილა ავტომობილებით. მოსულებს შორის იყვნენ რაიონის ყველა პასუხისმგებელი პირი ორიოდ თავეაციის გამაოკლებით, რომლებსაც სტუმრებს თუ დაუფურცლებით, სული და გული ბასასაც ჰქონდათ.

სტუმრები ბლომად მოვიდნენ რკინიგზის საკვანძო სადგურიდან. ისინი ერთ მთლიან გუნდად მოჰყვნენ მატარებელს, სოფლის შუკებიდან ეზოში სიმღერით შევიდნენ. სულ ბოლოს თითო-თითოდ, შეუმჩნევლად მოვიდნენ ხაზრეთელი ნათესავები; მეზობლები და უბრალო ნაცნობები.

სუფრები ბასას ცოლმა და ქალიშვილმა გაშალეს. თეთრსაფენგადაფარებული მაგიდები გაემწკრივებინათ ორ დიდ ოთახში, გრძელ აივანზე, ძველ სახლში, სასიმიინდის ქვეშ, საოთნეში და თითქმის ყველგან, სადაც გადახურულში კაცის დასმა შეიძლებოდა. დაბინდებისას იწყეს დასხდომა სტუმრებმა ხორავით საესე სუფრასთან. მთელ სოფელში შეგროვილი ნავთის ლამპები აანთეს. გამოირკვა, რომ ბევრი სტუმარი ფეხზე დარჩენილიყო. მაშინ დამატებით სუფრები მეზობლებისას გაშალეს.

როცა თამადის არჩევის დრომ მოატანა, ბასამ გადახედა სტუმრებს და ვლდა ეცა. მისი სახლი თავის სოროსავით პატარა ეჩვენა. აღარც სამოსახლო მოსწონდა. ისედაც „პატარა სახლი“ მამისეულ ადგილ-სამოსახლოზე ვეებერთელა სოფელში ცერცვის მარცვალივით იკარგებოდა ერთი ერთმანეთზე მიყოლებულ ძველ თუ ახალ შენობებს შორის.

იმ დღიდან დაებადა სურვილი ბასას, ახალი სახლი დაიდგას უფრო გაშლილ და ხალვათ სამოსახლოზე, ვიდრე მამისეული ნამოსახლარია. და მაშინვე სურვილი წყურვილად ექცა. ყოველ დღე, ყოველ საათს გონებაში ვიდაც ჩასჩიინებდა, მშენებლობას მალე შეუდექო. ჩასჩიინებს და ბასას მეტიც არ უნდა. დაიწყებს მშენებლობას, დაამთავრებს სულ მალე. სანამ... სანამ... კიდევ თავმჯდომარედ არის ხაზრეთის მიწაზე.

მარტო სურვილებს არ აყოლია ბასა, მას სხვა უფრო დიდი მიზეზი აქვს. სხვას კი არა, მის ერთგულ ცოლსაც არ ეტყვის, არ გაუმხელს ამ მიზეზს. რამდენი წელიწადიც გადის, ბასას ღონე ელევა, ჯანი აკლდება თანდათან. უკანასკნელ ექვს თვეში უეცრად გასუქებაც იწყო, ტანი წყლით გაყენთილი ფიჭვის მორიგით დაუმძიმდა. ძველებურად აღარც შორი მგზავრობა შეუძლია, აღარც დიდი ხნით სადმე, სხვაგან გაძლებს თავი აქვს. ხაზრეთში კი თითქმის დაჰკარგეს მისი ხათრი, რიდი და შიში. ხან ქორწილში დასაპატიებელ სიაში გამოტოვებენ, ხან სახლის გაყიდვას, ჩამოსიძებას, სამოსახლოს გადაცვლას არ შეეკითხებიან ხაზრეთელები. ესეც არა არის რა მასთან, რაც ამას წინათ დამართა. ისეთი სიზმარი ნახა ბასამ, სიცოცხლე მოეწამლა. ვითომ წითელ ცხენზე შემჯდარი რაიონის ცენტრში მიდის. დიდ მოედანზე ხალხს თავი მოუყრია.

ყვირიან, ღრიალებენ, ხელებს აფათურებენ. მიტინგს აპირებენ, მეთაურს ეძებენ და ის კი არსად ჩანს. უცებ ბასა დაინახეს. ზღვა ხალხი ტალღასავით მისკენ წამოვიდა, გამოიყვანეს ცხენიდან, ასწიეს, ტრიბუნამდე ძალით მიიყვანეს, მალა შეაგდეს. ამ დროს გამოეღვიძა კიდევაც. ბასამ სიზმარი პირუტყუ ახსნა. დიას, არჩევის ნაცვლად გადმოავდებენ, დამპალ სოკოსავით მიწაზე დააბერტყებენ, ზურგზე შესდგებიან, გათელენ და ნიავს ვაატანენ. სიზმრის ნაწილი იმ დღესვე აუხდა. მთვრალ ხაზრეთელებს გადაეყარა გზაში. თავისი სადარღვეოთ შეპყრობილმა ბასამ თანასოფლელებს გვერდი უბრად ჩაუარა, ისე, რომ არც შეუბრძნავს, ვინ იყვნენ. სამაგიეროდ მთვრალეებს არ გამოეპარათ თავმჯდომარე.

— ვაჰ, გეწყინა ჩვენი დანახვა? — ამყაღ მიაძახა ერთმა.

— ბიჭო, რად უნდა მწყენოდა! — მაშინვე გამოეხმაურა თავმჯდომარე.

— თუ გეწყინა, მწყერი შეიწვი, — მიუგო ბიჭმა უკმეხად.

— გასწი, გამოინელე სასმელი, გამოფხიზლდი და ისე ილაპარაკე. — დაბრიალ მთვრალი ბასამ ლმობიერად, მაგრამ შეურაცხყოფის გრძნობამ თითქოს დამბლა დასცა.

ბასას ბევრი სხვა მიზეზიც აქვს, რომ იფიქროს: მის ნიადაგს წყალი შეუღდა, სადაცაა დაცურდება, აწვავდება და ჩაშვავდება ხრამში. კოლმეურნეობაში უკანასკნელ ხანს გამორკვევებს მოუხშირეს. ერთხელ გამგეობის ნაკლოვანებაზე მიუთითეს, მეორეჯერ გააფრთხილეს, მესამეჯერ კი კამეჩის ტყავის დაკარგვისათვის კინადამ სასამართლოში მისცეს. ტყავდამზადების კანტორაში მომუშავე ცოლისძმის ქვისლმა იხსნა. რაიონის ცენტრშიაც არ არის საქმე კარგად. ხელმძღვანელებიდან ბევრი მოხსნეს, ბევრს საყვედურები და მითითებები მიართვეს.

ყველგან ახალი ვითარება შეიქმნა, ბასა შემთხვევით გადარჩა და ამ ახალ ვითარებას ისიც თავისებურად შეხვდება. თავი აღარ აქვს, ახალ ხალხს დაუახლოვდეს. ისიც საკითხავია ახლები მოინდომებენ თუ არა მის დაახლოებას. ისინი არ იყვნენ, რომ კინადამ პასუხისგებაში მისცეს კამეჩის ტყავისათვის! მაშ, რაკილა ასეა, ბასას აღარავინ უნდა თავის თავის გარდა. მოასწერეს და მომზადებული შეხვდება თანამდებობიდან გადაყენების დღეს. იმდენს შეიძენს, იმდენ ქონს ჩაასხამს ქილებში და ჩაფლავს საიდუმლოდ მიწაში, რომ ოციოდე წელიწადს აღარა დასჭირდეს რა. ბასას თვითონ არ ეშინია ცხოვრებისა. თავს ხის წვერზე გაიტანს. ხანში შესული მისი ცოლიც ყველა ჭირსა და ღვინში მისი იქნება. ბასას სხვა აქვს თავსატეხი. მარტო ის და მისი ცოლი კი არ არიან ქვეყანაზე. შვილი ჰყავთ, ერთადერთი ქალიშვილი. მერე და როგორ უყვარს ბასას, სიცოცხლეს ურჩევნია. ქალიშვილია მისი სიმწარე და სიტკბოება. ადა გვიან მიეცათ. ამიტომ გაანებვირეს, გაათავუშეს. რა ხანია შენიშნა მამამ ქალიშვილი ხაზრეთში ერთი კვირითაც ვერ მაგრდება, თუნდაც ჯაჭვებით დაებას.

ოთხი წლის წინათ დაამთავრა ადამ სადაბო საშუალო სკოლა. დაამთავრა, გამოირქო ატესტატი ილიაში და მოუსვა თბილისისაკენ. იქ, იმ ვეებერთელა ქალაქში უმადლეს სასწავლებელში შევიდა. მამის ოცნება იყო, ქალი ხაზრეთის მახლობლად გაეთხოვებინა. სიძედ ერთი მარჯვე მკლავ და ხელმართალი ბიჭი უნდოდა, თუნდაც ისეთი, როგორიც ნინია შალიბაშვილია. თუნდაც მსგავსი კარა, ნამდვილად ის და სხვა არავინ. ბასას სწამს, რომ უკეთესი იქნება, თუ სიძე და ქალიშვილი ხაზრეთში ან მის მახლობელ სოფელში იქნებიან დასახლებული.

ერთ დღეს მისი გულისხანდები კიდევაც გაუმხილა ქალიშვილსა და ცოლს.

მათ ბასას ნაფიქრი და განაზრახი ერთ ყურში შეუშვეს და მეორედან გაუშვეს. იმაზე ლაპარაკიც აუკრძალეს. ბასას მეტი გზა აღარ ჰქონდა. ცოლშვილს ყმურად თავი დაუკრა, დაემორჩილა მათ ნებასურვილს. ეს კი იყო, რომ იმ დღის შემდეგ ღვინის სმას მოუხშირა. ყოველთვის შეზარხოშებული იყო და ხანდახან ღამეებსაც სხვაგან ითენებდა. ქალიშვილი თბილისს არ ცოლდებოდა. ხაზრეთში ერთი დღით გაძლებაც კი აუტანლად ეჩვენებოდა. მამას მისი შენახვა ძვირად უჯდებოდა. ქალიშვილი არ ჩერდებოდა საერთო საცხოვრებელში. ბინა კერძოდ ჰქონდა ნაქირავები. ხაზრეთში ამოსვლაც ეზარებოდა და თუ მამას არ ეცალა, დედას მიჰქონდა ქალაქში სანოვავე შვილისთვის. ბასა წელში წყდებოდა. მარტოს ის ფული, რასაც მისი ქალიშვილი კოსმეტიკის და მოდის ჩულქების შესაქმნელ ხარჯავდა, ერთ მრავალშვილიან და საშუალო შეძლების კოლმეურნის ოჯახს თამამად გაიტანდა წლის მანძილზე.

აღა იცვამდა და იხურავდა საზღვარგარეთულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ეს ერთი სამად მეტი უჯდებოდა, ვიდრე სამშობლო ქვეყნის, თუნდაც თბილისის მაუღის ფაბრიკის, უფრო უკეთესი ხარისხის საქონელი. პალტოებს, კაბებს, უბრალო საშინაო წამოსახმელებსაც კი ცნობილ „პორტნოებს“ აკრიზებდა. ბასა ყველა ახირებას უთმენდა ერთადერთ ქალიშვილს. მაგრამ დაღვადრო, როცა მეტის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ყველაფერი შემთხვევას მოჰყვა თან.

იმ ზაფხულს აღა სოხუმში ისვენებდა. მამას წინასწარ გადახდილი ჰქონდა ფული ერთ საუკეთესო ოჯახში. მაგრამ ივლისი ჯერ არც გასულიყო, რომ აღა მოულოდნელად დაბრუნდა ხაზრეთში. ბასა მას მახლობელ რკინიგზის სადგურზე შეეგება. გულმკერდში ჩაიკრა ერთადერთი ქალი. რაღა თქმა უნდა, საქციელი მოუწონა. სოხუმის ჰაერს ხაზრეთის მთის ჰაერი ათასჯერ ჯობიაო — უთხრა და შეეკითხა, თუ რად იყო ცუდ ფერზე.

— დიახ, მართლაც აქაური ჰაერი ჯობია. — მიუგო შვილმა, — ზღვის პირზე ციება დამემართა.

— აკი ამიტომ ხარ ცუდ ფერზე! — შეებრაღა მამას შვილი. იმ დღესვე შეუდგა შვილის გამოჯანსაღებისათვის ზრუნვას. მამის მოსაზრებით მას ჰაერზე სიარული და ხანგრძლივად ყოფნა მოუხდებოდა. აფრინა კაცი ვაღმა მთის საძოვრებზე. იქიდან ერთი თვითნერი ფაშატი გადმოაყვანინა და შვილს ჩააბარა. ცხენს მომვლელად და შემკაზმავად პატია დარაჯი მიუჩინა.

— აჰა, შვილო, ეს ცხენი და ეს კაცი, ორივე შენი იყოს სექტემბრამდე. მორჩი და მერე შენი თავი ისე გამათხოვებინე, როგორც მამაშენს უნდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, მამა!

შვილის დაბრუნებით და გათხოვებაზე დათანხმებით გახარებული მამა გამოცოცხლდა, ღვინის სმა აკრძალა და კოლმეურნეებთანაც მეგობრულად, ხალისიანად იყო. აღამ ცხენი და კაცი დიდი კმაყოფილებით მიიღო, მაგრამ თავი მაინც საეჭვოდ გჭირა, „ოხერ“ ხაზრეთში გული არ უდგებოდა. ბასა ახლაც დაჰყვა შვილის წადილს. ეჭვსიოდე ათასი მანეთი უსაგზლა, დედამისი თან გაატანა და გაისტუმრა დედაქალაქში. ბასას ძალიან გაუხარდა, რომ შვილმა დედა თან წაიყვანა. იქნება იქ საქმრო ჰყავს, ჩემი ერიდება და დედას კი თამამად გააცნობსო. ის რაც ძალიან სურდა, კიდევაც დაიჯერა კაცმა. ახლა იმის ოცნებაში იყო, როდის გაუმხელდა დედა-შვილი — ვინ იყო ამორჩეული და როდის დაინიშნებოდა ქორწილის დღე.

რაიღა ყველა თბილისში წასული დაიგულვა, ბასას თვითონაც არ გაუ-

ჩერდა გული შინ. ჯავის ხეობაში კოლმეურნეობის საქონლის ერთი ნაწილი იყო საილალოდ გარეკილი. მწყემსებს და ფერმის გამგეს რალაცაზე ლაპარაკი მოსვლოდათ. ბასას ამ ამბის გასარკვევად და საქონლის სანახავად მთაში გასწია. ლიახვის ხეობის ზემოთ რამდენიმე დღე დაჰყო და ისევ უკან, შინ გამობრუნდა. საქონელი კარგად იყო. მწყემსებიც მორიგებულყვენ ფერმის გამგესთან. ბასამ სტალინისში ჩამოიარა ჯავიდან. იქ მეგობრებთან ერთი დღე დაჰყო. მერე გორში ჩავიდა, რომ იქიდან შინ ასულიყო მატარებლით. დილა იყო, გამოიკითხა, საით და როდის მიდიოდნენ მატარებლები. მთელი დღე მოცდა ჭირდებოდა. უკანასკნელი მატარებელი ის წუთია გასულიყო სადგურიდან. ახლა ბასა ლიახვის ხიდის ყურში გაჩერდა ტინისხიდის პირდაპირ. ამ ადგილას ქართლი-იმერეთის დიდ გზაზე მრავალი ათასი სხვადასხვა სახის მანქანა დადის. საითაც გინდა იქით გასწევ. ბასა კიდევაც მოუტივდა ერთ შოფერს, მაგრამ მეგობრებს გადაეყარა უცრად. ხელი მოხვეს, ხმა არ ამოაღებინეს, მხიარული შემახილებით, შენ უღვინოდ როგორ გავიშვებთო, მახლობელ სასტუმროს ქვეშ რესტორანში შევიდნენ. ზურნა და დოლი უკრავდა. რაკილა ერთხელ დაჯდა სკამზე, ბასას მერე თვითონ დაეზარა წამოდგომა. კარგად წაიქეიფეს. საღამომდე ისხდნენ და მაშინ წავიდა სადგურისაკენ, როცა ყველა მატარებელს გაველო. ისევე ხიდის ყურს მიაშურა, მანქანით მაინც წავალო. სანამ სადგურიდან ხილამდე მოატანდა, მოულოდნელად გაახსენდა ცოლისდა, რომელიც გორში ცხოვრობდა და რაკილა მანქანით სიარულიც ეზარებოდა ღამით, მთვრალიც იყო, არა მომეწიოსრაო, ცოლისდასთან ოჯახში ღამის გათევა არჩია. მაშინვე ტაქსი აიყვანა, გააქროლა ბერბუკის გზისაკენ, გორის გარეუბანში. ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა ქვისლის სახლის კარი დაუკაქუნებლად შეაღო და შევიდა კიდევაც შინ. მისი გაჩენა იქ მოულოდნელი იყო და ყველა განცვიფრებისა და შიშისაგან გაშეშდა. ბასა თავს წაადგა მის ცოლსა და ცოლისდას. დედა და დეიდა თავზე ადგნენ ცოცხალმკვდარივით ლოგინზე მისვენებულ ბასას ქალიშვილს — აღას. იქვე ტრიალებდა და დამცინავად იღიმებოდა კვერცხივით ჩამრგვალებული, მთლად თეთრებში გამოწყობილი გორის ყველაზე გამოჩენილი გინეკოლოგი. ექიმს ოპერაცია დაემთავრებინა. ახლა წასვლის წინ ჰონორარის მიღების მოლოდინში ტანსაცმელს ისწორებდა. ბასას სული შეეხუთა. შინ იოდის და კიდევ რალაცა სხვა მაგარი წამლების უხეში სუნი ტრიალებდა, როგორც ქიმიურ ლაბორატორიაში.

— რა ამბავია ჩემ თავს! დედაკაცო, ბავშვს რა დემართა! — ეცა ცოლს ბასა.

— წყნარად, — შემოუძახა გინეკოლოგმა, — თითქმის ის ამბავია, რაც თქვენი დაბადების დღეს დედათქვენს გადახდა.

ბასას სისხლი აუვარდა თავში, კინაღამ გაგიჟდა სიბრაზისაგან. უეცრად დაიხარა, ტაბურეტი აიტაცა, რომ ავადმყოფისათვის თავში დაეთხლიშა. გინეკოლოგი ეცა მაშინვე. გაცეცხლებულ მამას სკამი წაართვა. გაათრებულ, თითქმის გონებაწართმეული კაცი გარეთ გაათრია.

- იცი თუ არა, რომ შენ პასუხს აგებ, ამ ბავშვს თუ რამე მოეწია!
- განა საქმე აგრეც არის?
- ბოკვერივით ვაყია. — მიუგო გინეკოლოგმა. — გირჩევ ბავშვს კარგად მოუარო. თუ გინდა, ჯერჯერობით არსად გავამხელ: ისე კი სწორი ვითხრა,

მე რომ ავით შევიღს მომიყვანდნენ ჩემი შევილები, ხმასაც არ ამოვიღებდი, — ჩაილაპარაკა გინეკოლოგმა და კმაყოფილად გააზმორა.

— თავი მომეჭრა, თავი! — შემოიკრა ხელი შუბლზე ბასამ. ექიმს გაეღიმა. შეატყო: ბასა შეილთან შერიგების გზაზე იდგა. ამის დამადასტურებელი საბუთიც მალე მიეცა.

— ბავშვი, ჩემი ქალი მაინც როგორ არის? — იკითხა ბასამ.

— ფოლადივით გოგოა და ვაჟი კიდევ უკეთესი.

— ვაი ჩემ შერცხვენელ თავს! — წამოიძახა ბასამ. კიდევ შემოიკრა ხელი თავში. მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო, სამი ცალი ას მანეთიანი ამოიღო. თითების კანკალით ჩაუღო პიჯაკის ჯიბეში ექიმს. ჰონორარით გახარებულმა გინეკოლოგმა ის რამდენჯერმე გაატარა-გამოატარა ქუჩაზე. დილით სადგურზე გააცილა, დაჰპირდა, ერთ კვირაში ხაზრეთში ამოვალ, გესტუმრებო.

ამ შემთხვევამ ბასა მთლად შესცვალა. შევილის სიყვარული გაუნახევრდა. მზად იყო ყოველ წუთს ისეთი რამ დაეკრა თავში, რომ იქვე სული გაეფრთხო-ბინებინა. მაგრამ თანდათან ღებებოდა. განსაკუთრებით მამინ, როცა პატარა ბიჭუნას ნახავდა ხოლმე გორში ქვისლის ბინაზე. ადა ფიცავდა ვინ იყო ბავშვის მამა. ბასა არც კითხულობდა. მისთვის ახლა სულერთი იყო. სწამდა: ადას გათხოვება თითქმის შეუძლებელი იყო ხაზრეთის და მის მახლობელ სოფლებსა თუ ქალაქებში. უკვე ყველამ იცოდა მისი შერცხვენა, თუმცა ამაზე ბასას არაფერს ეუბნებოდნენ. მერე მთლად ჩაიქნია ხელი. როცა შეილი ბავშვიანად ნოემბრის ბოლოს ხაზრეთში დაბრუნდა, დარდისაგან მოტეხილმა ბასამ გულმკერდში ჩაიკრა. ცოლს შეეხვეწა, რაც არის, ჩვენი სისხლი და ხორცია, გავზარდოთ, ვინ იცის, ასეც ჯობიაო. ცოლმა ქმარს თავი დაუქნია, რადგან კარგად იცოდა, ბავშვის მამა სიძედ არ გაუხდებოდა.

ადას ასეთი თავგადასავალი მთელი ოჯახისათვის გაკვეთილად შეიქნა. ბასამ დაუჩქარა განზრახულ მშენებლობის დაწყებას. ახლა მან გადაწყვიტა ისე მოწყობილიყო სახლით, კართი, მიწითა და წყლით, რომ სიბერის ყამს, და თავმჯდომარეობიდან მოხსნის შემთხვევაში, არც მის მეუღლეს, არც ადას და მის ვაჟს, ცხოვრება არ გაძნელებოდათ. თითქმის წელიწადი უსრულდებოდა შეილიშვილს, როცა პაპა მშენებლობას შეუდგა.

სოფლის გარეთ, მშრალი ხევის პირად, ერთი ვერანა მიწა ეგდო. ამ ბეთალმანზე ხაზრეთელებს ზაფხულობით სოფლის ნახირი ეყენათ ხოლმე. ადგილი ჩაღრმავებული იყო. ოდესღაც იქ საიდგანლაც მოვარდნილ წყალს რიყე მოეტანა და ახლა მრგვალი ქვით იყო მოფენილი. იგი არც სახანავ-სათესად ვარგოდა და არც სათიბად. მას შემდეგ კი, რაც კოლმეურნეებმა მესაქონლეობის ფერმა გაიჩინეს, ამ ქვანალზე აღარც სოფლის ნახირი მოდიოდა გამოსაშუაღლებლად. ბასამაც ამ ადგილს დაადგა თვალი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კოლმეურნეები არ ალაპარაკებოდნენ, რად მიიზომო, მეორეც რომ ამ ქვანალის მახლობლად, სულ რაღაცა ათიოდე მეტრის მანძილზე რკინიგზა აწარმოებდა დიდ სამუშაოს, მუშები ზემოთ ბეგებს ჰკრიდნენ. თვითმცლელი მანქანებით შევიდოდე კილომეტრის მანძილზე შესანიშნავ შავ მიწას მტკვრის პირის რიყეზე ეზიდებოდნენ და იქ ყრიდნენ. ბასამ ხელდახელ მიიბრინა სასოფლო საბჭოში მის მეგობარ ურაზა ქელეხსაშვილთან. კოლმეურნეობას გადასცა თავისი სამოცდა-თხუთმეტი მეასედი ჰექტარი სამოსახლო. ბადალი მიწა მიიზომა გამოუყენებელ ქვანალ რიყეზე. მეორე იმდენივე მის ქალს ადასაც ააღებინა სამოსახლოდ. ახლა მას ჰქონდა ათასხუთასი მეტრი სოფლისათვის სრულებით გამოუყენებელი

ნარიყი. ეს საქმე რომ დაასრულა, რკინიგზის სამუშაოების უფროსს სთხოვა, შორს გასაზიდი შავი მიწის ბელტები იქვე ბეთალმანზე დაეყარათ თვითმცლელის შოფრებს. რკინიგზელებს ეს წინადადება კიდევაც გაეხარადათ. მაშინვე შეუდგნენ ბასას თხოვნის შესრულებას. ერთი კვირაც არ გასულა, ჩაღრმავებული რიყნალი ამოივსო, გასწორდა და გაეკადა. ახლა იქ მრგვალი ქვისა და ქვიშის მაგივრად ორი მეტრის სისქე შავი მიწის ქერქი შეიქმნა. ამაზე უკეთესი მიწა და სამოსახლო, ხაზრეთში თითქმის აღარ იყო. როცა მიწის გასწორება დამთავრდა, პატრონმა სამშენებლო მასალა მოაყარა ახალ სამოსახლოს. მალე მიწაყრილის ნაპირას, მყარ ნიადაგზე ორი შესანიშნავი სახლის კედლები წამოიჭიმნენ. ერთი მათგანი ბასასი იყო, მეორე კი მისი ქალისა და შვილიშვილისა. მხანველები ხაზრეთიდან კი არა, შორიდანაც მოდიოდნენ, ათვალეირებდნენ ლამაზ კოტეჯებს, რომლებიც სამ-თხ სულიან ოჯახს თამამად დაიტევდა. მალე ორივე ეზო-გარემო ბასამ მავთულხლართებით შეღობა. ადა გახარებული იყო მამის ამავით. ადა დამიარტოხელებდა გამწარებულ ღედას და ღიღბანს ეჩურჩულებოდა — თუ როგორ კარვად იცხოვრებდნენ ახალ სახლსა და სამოსახლოზე. მისი აზრით, უკეთესი კი იყო მამას ეს სახლები თბილისში აეგო. მაგრამ ბოლოს ამასაც ეშველებოდა.

ახლა ამ გვიან შემოდგომაზე, ბასა სამარდანიშვილი უკანასკნელ დამამთავრებელ სამუშაოს ადგა თავს. მღებავები და მოზაიკის ოსტატები ძალიან ჩქარობდნენ, საახალწლოდ პატრონი შინ უნდა შევიყვანოთ, დავასახლოთო.

სამოსახლოს გარეთ დარჩენილ მიწაზე კი, რომელიც თითქმის ერთნახევარ ჰექტარზე მეტი იყო, კოლმეურნეები ტრიალებდნენ. ისინი „ენხმარებოდნენ“ მეზობლებს, ასწორებდნენ ნაყარ, გადამწვარ ნიადაგს, იღებდნენ ორმოებს. ძველ ბაღებში თავის მიწიანად თხრიდნენ წამოზრდილ ვაშლებს და მსხლებს, ატმებს, კომშებს, ფესვებშუფრყველად გადაჰქონდათ ბასასი და მისი ქალის, როგორც იტყოდნენ ჩუმად, სოფლისათვის უტნობი სიძის, ეზოსა და საკარმიდამოში. ხეხილს და ყველა ნარგავს იმ წელიწადსვე უნდა გამოეღო ყვავილი და პატრონებისათვის ნაყოფი მიეცა.

ამ სახლ-კარის, ამ სამოსახლოს და საკარმიდამო მიწის სანაცვლოდ ბასამ კოლმეურნეობას მისი ბაღი, ძველი სამოსახლო და საკარმიდამო დაუტოვა. სოფელიც კმაყოფილი იყო და ბასაც. ბევრი ამბობდა: „თუ იმ ვერანა ქვანალს კაცი რამედ გამოიყენებს, ალალი იყოსო“.

მარტო მოხუცი პენსიონერი ელენე ორჯონაშვილი გაიძახოდა მოუტილებლად, უშიშრად:

— ეს რა ჰქნა ამ კაცმა! სოფელი ყინვაზე გააცურა, კოლმეურნეებს უფასოდ, მეზობლურად მოხმარებაში ორი სახლი ააშენებინა.

— დიახ, მოგვატყუა მაგ ოჯახქორმა! — უტყრდნენ მხარს ელენე ორჯონაშვილს ისინი, ვინც სიმართლის თქმას და მოსმენას ბედავდნენ. სასოფლო საბჭოში ბარემ ორმა განცხადება შეიტანა, უკანონობა ხდებოდა.

— კანონსა და სამართალს მე ნუ მასწავლით! — უყვირა მათ ურაზა ქელესაშვილმა, — მოუტურნეები ხართ, მეტი არავინ!

ბოლოს და ბოლოს ბასა სამარდანიშვილი ახალ სახლში გადავიდა. იმ სადამოს, როცა სესე თალაღაშვილმა კომპოსტოები გაანადგურა, ბასას მეორე სოფელში, ნათესავის სახლში, მშენებელი მუშები ჰყავდა მიპატიებულთ. ოსტატებს ანგარიში გაუსწორა. მერე სახლის დასალოც პურისჭამად დასხდნენ. თამადად ბასას განუყრელი თანამებრძოლი ურაზა ქელესაშვილი იყო.



კოლმეურნეობის კანტორაში მომხდარი ამბავი საბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა მამლის პირველ ყვილზე გაიგეს: მაშინვე მივარდნენ კანტორაში. მილიციელი და პატიკი დარაჯი აფრინეს, სესეს საკინძეში ჩაავლეთ ზელი, ახლავე აქ მოიყვანეთ.

თავი ოცდამესამე

სესეს ძმისწული დათია კანტორიდან ღამით პირდაპირ შინ არ წასულა. მესაქონლეებთან ჩავიდა. იქ კარგა ხანს ათვალიერა მომვლელების მუშაობა. დათია დიდი ხანი არ იყო, რაც ამ თანამდებობაზე წასწიეს. ფრთხილობდა კაცი. ასე დიდი რაოდენობით საქონლის მოშენება ახალი საქმე იყო ხაზრეთში. ამასთან დათიამ ზაფხულზე რამდენიმე ცალი ველის წითელი ფერის ძროხა შეიძინა ფერმაში საჯიშედ. როცა ისინიც დაათვალიერა, რამდენიმე მათგანი მოსაგებ განყოფილებაში გაყვანილი დახვდა. მათ თავს ადგა უბნის ვეტეკიში.

სანამ ძროხები მომშობიარებდნენ, სანამ ფურები ხბორებს გალოკავდნენ, სანამ ხბორები პირველად პირს ძუძუს შეავლებდნენ, ფეხზე შედგებოდნენ, ნაშუადამევეს გადაცილდა. დათია ერთი წუთით არ მოსცილებია ზღვეს. მხოლოდ მამლების პირველად ყვილზე, ნაშუადამევის ოთხ საათზე გავიდა გარეთ. იქიდან პირდაპირ მიამურა სახლს, კარი ფრთხილად გააღო და შინ შევიდა.

ზინოც გვიან მორჩენილიყო კერვასა და რეცხვას. ქმრის მოლოდინში გაუხდელად წამოწოლილიყო, თვალი მოეცუებინა. როცა გვიან თვალი გაახილა და დათია ჯერ შინ არ მისულიყო, ცოცა არ იყო შეფიქრიანდა. ქმარმა დაგვიანება არ იცოდა, თუ სადმე ხაზრეთში იყო. ამიტომაც ქმრის მოლოდინში ღამის სამ საათზე სახლის კარები გააღო, პაერი გასწმინდა, მერე ბავშვები არ შემეცივდესო, ღუმელები გაახურა. დათია მაინც არ ჩანდა. ზინოც კი უცდიდა და უცდიდა. იცოდა ზინომ, როგორ ახარებთ ქმრებს, როცა შინ დაბრუნებულებს ცოლები ფეხზე დახვდებათ. როგორი დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო ქალი, ამ სიამოვნებას თავის დათიას არასდროს არ გამოსწირავდა. ბოლოს გარედან ხმაური მოისმა. დათიამ შეაბიჯა აივანზე, კარის სახელურსაც შეეხო. ზინოც წამოდგა. თმა გაისწორა. სავსე შიშველ მკერდზე შალი შემოიგდო და კარისაკენ გაემართა. დათიამ დაასწრო კარის გაღება, ხითხითით შემოვიდა, საჩქაროდ გაიძრო სათბურები, ჩამოკიდა, სიცილს ვერ იკავებდა, თავისთვის იგულებოდა.

- რა გაცინებს, კაცო?
- ველის წითლებმა ხბოები მოიგეს.
- მერე, სასაცილო მაგაში რა არის?
- მე ხომ ამაზე არ მეცინება, — უთხრა დათიამ.
- აბა რა მოხდა?
- გათენდება და გაიგებ, როცა კანტორაში ჩახვალ.
- მაინც-მეთქი?

ქმრის ასეთმა ლაპარაკმა ზინო ძალიან დააინტერესა. ქმარს ხალათის კალთაზე სწვდა, საწოლთან მიითრია, ახლოს ჩამოიჯინა.

- დაფქვი, რა მოხდა, რა გაცინებს! — ჩააცვიდა.
- ბიძაჩემი სესეს საქმე ცუდად არის, ზინო!
- მერე, რა გაცინებს?
- ჩადი დილით კანტორაში და გაიგებ. ახლა მე მეძინება, ქალო!
- მე შენ დაგაძინებ, — შეუტია ზინომ. — ახლავე მომიყევი, რა ჩაიდინა-

შეთქი იმ კაცმა. — წამოვარდა ზეზე ზინო, ტანტზე ჩამომჯდარ ქმარს ვეებერთელა, ბოყვა ჩექმები და წინდები გააძრო, ტანთ ბავშვივით გახალა და საბანი რომ გადააფარა, დაემუქრა:

— მანამ არ დაგაძინებ, სანამ არ მეტყვი ყველაფერს.

დათია იძულებული იყო ეამბნა, რაც მოხდა. თან იცინოდა და ლაზღანდარობდა. ზინოს ამაზე გული მოსდიოდა. ბოლოს დათიამ ჩათვლიმა. ზინოს კი ძილი გაუკრთა. სათბურები ჩაიცვა, ფეხები ქმრის ჩექმებში ჩაჰყო, გაროზი შემოიხვია ბეჭებზე, გარეთ ფეხაკრეფით გამოვიდა და სესეს კარს მიაღვა.

— მამამთილო, შინ ხარ? — დაუძახა გარედან და ფრთხილადც მიაკაკუნა.

სესე შინ იყო. იმ ღამით კოლმეურნეობის კანტორიდან სხვაგან არსად წასულა. კარი გვიან შეაღო. თუმცა ფეხზე ძლივს იდგა, ბუხართან მივიდა და ცეცხლს შეაბრიალა. მერე კუთხეებში მიდგა-მოდგა. მოშივებოდა. კიღობანს ახალა. იქიდან ერთი პური ამოიღო, ცეცხლს დაუფიცხა. შეჭამანდი დაისხა ჯამზე. არყიანი ბოთლიც გადმოიღო თაღიდან. პირდაპირ ბოთლით მიიყუდა. მერე ცეცხლთან მარტოდმარტო დიდხანს ილუკებოდა. შეჭამანდი ოთხჯერ დაისხა თეფშზე. ამდენი სესეს თავის დღეში არ უჭამია. ერთი ქოთანის ამოღესილი ლობიო მთლად გამოცალა. ამასთან ერთად, ერთი თავი მკავე, პილპილიანი კომბოსტო გააჭრო, ის ბოთლი არაყიც გამოაშრო ჭურჭელში. დაკმაყოფილდა, სუფრის ალაგებას შეუდგა. როცა ჯამ-ჭურჭელს თაროში ალაგებდა, მაშინ დაუწყეს მუხლებმა კანკალი. მერე ძლივს, ვაივაგლახით ბუხრისსპირამდე მიაღწია და აქოდა, ხომ არ შემცივდათ, ჰაერნაგუბ სახლმა ნესტი იცის, ჩალისა და ნაჭუჩისაგან ისევ ააბრიალა ცეცხლი. მერე დაძინების სამზადისს მოჰყვა. გაციებული, გაუმზიურებისაგან დანოტივებული საბანი აღზე გაათბო, ასე მოექცა ბალიშსაც. მიხობდა ლოგინთან, მიწვა, საბანი მიიხურა, რომ უმაღვე დასძინებოდა. როგორც ჩვეულებად ჰქონდა. უცებ კი არა, სულაც ვერ დაიძინა. ხან ერთმხარეზე გადაბრუნდა, ხან მეორე მხარეზე დაწვა. ბოლოს შეატყო, ბევრის ჭამით დამძიმებული მუცელი აწუხებდა. გატენილი კუჭი სტომოქში საითაც იზამდა მხარს იქით გადაუფორდებოდა. ჭიბთანაც რალაც ედო ლოდვით მძიმე და ცივი. ამდენი საჭმელი ნეტყ რამ შემაჭამაო — ფიქრობდა. იცოდა სესემ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა, მუცელს აქორებდა. ცოტა საჭმლით კმაყოფილდებოდა, რადგან გამკეთებელი არავინ ჰყავდა. ამიტომ დიდი ხანია ნაზი მჭამელი დაარქვეს მეზობლის ქალებმა. მართლაც, თუ ცოტა მეტის გადაეკრას ცოდოდ არ ჩაუთვლიდნენ, სესეს ღორმუცლობა არ ჩვევოდა. ასეთ მდგომარეობაში გვიანობამდე არ დაეძინა და მაშინვე გამოედვიძა, როგორც კი ხეზე მამალმა ფრთები შეაფართხუნა და სამჯერ გაჰყვილა.

— აი შე სამგლევე, რალა მაშინ აყვირდი, თვალი რომ მოვხუჭე! — ჩაიღრინა გაბრაზებულმა სესემ და მიხვდა, იმ ღამით ძილი აღარ ეწერა. ლოგინშიც ვეღარ ჩათბა, რადგან მუცელი ასტივდა. ბუხრიდან ცხელი აგური გამოიღო. ძველ ხალათში გაახვია, შეწვა ისევ ლოგინში და ჭიბის ქვემოთ პატარა მუცელზე დაიდო ცხელი ტვირთი. ასე დავიდარაბაში მყოფმა გაიხსენა გუშინ ჩადენილი ნამოქმედარი თავიდან ბოლომდე.

დიდი, ძალიან დიდი დანაშაული კი არა (სესე მის საქციელს დანაშაულს არ არქმევდა), ურჩობა ჩაიღინა სესემ. ჩაიღინა და გამოსწორებაც აღარ შეიძლება. ერთბაშად გადაიმტერა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბასა სამარღანიშვილი, ბუღალტერი, მთელი გამგეობა ბრიგადირებიანად, გაზეთის რედაქტორი, რაიადმასკომი, ფინგანი და აგრონომი, რაიკომი და ინსტრუქტორები.

უთუოდ სამაგიეროს გადაუხდებინ სესეს. სასჯელს დაადებენ. სასჯელიო! მე შენ გეტყვი, სესეს ურემი გადაუბრუნდა და იმაზე დაადეს სასჯელი, ბზე რად დაგებნა შარაზეო. დიახ, სასჯელს დაადებენ, დიდ სასჯელს. იქნება სესეს ხაზრეთის ჰაერიც აღარ ასუნთქონ არასოდეს, იქნება ველარც მწვანე ხოლაბუნის და კახურას ყანებში დასდგას ფეხი კვლავ. ვინ იცის, ვინ იცის! მაინც რას უზამენ? ეს რა ყოფილა წუთისოფელი. ცოლის შერთვას ეპირებოდა. საქმე არა გაქვთ, ქორწილს ვინ დაექმბს, ქორწილის მაგივრად აგერ რას უზადებენ! აი როგორ მოხდება ეს. პირველად ურაზა ქელეხსაშვილი გამოუძახებს სასოფლო საბჭოში. ტკბილად ეტყვის: სესე, ეს რა გიქნია, მეორედ აღარ დაგემართოს ასეთი რამეო. სხვის შესახებდავად ამ სიტყვებით გამოისტუმრებს გარეთ. დუშმანები კი იქვე ჰყავს ჩასაფრებული საზვინესა და ფერმების უკან. სესე გარეთ არხინად გამოვა, გულში დარდი არა აქვს, გასწია ისევ მამლაცინწების დასაკოდავად და გლედირების გადასარჩევად. უეცრად წინ დუშმანები ჩაუდგნენ და უთხრეს: სესე, ხმის ამოდება არ გაბედო, თავი ისე დაიჭირე, თითქოს დღეობაზე მივდივართ მეგობრები და ძმაკაცები. გაქცევა გონებაში არ გაივლო. სესეც დაემორჩილა, იმიტომ, რომ სიცოცხლე მაინც ტკბილია. მიდიან, მიდიან... მიაღწიეს შარას. იქ ხის ძირას დგას შავ წყალში გასამგზავრებელი გორგოლაჭი. აი, მიიყვანეს იქამდე სესე. მილიციელმა კარი გაუღო. ერთმა გამცილებელმა დუშმანმა სესეს ზურგში მუჯლუგუნი მისცხო, კინწისგვრით შეაგდო შიგ და ორი წიხლიც მიიყოლა უკანალზე. მერე გორგოლაჭი დაიძრა, იყო ქვეყანაზე ერთი ალაღმართალი სესე თალალაშვილი. ხაზრეთში ცხოვრობდა. არავის არაფერს უშაგებდა. გაზაფხულზე ხეხილს სხლავდა, მიწას ხნავდა, ფარცხავდა. ზაფხულში კი მკიდა, ლეწავდა, ისევ ხნავდა. შემოდგომაზე მოსავალს იღებდა და ისევ ხნავდა, მისი თვალის სიხარული გადმობრუნებული ბელტი და ხვავით სავსე კალო იყო. გასართობად ერთი ლიტრა ღვინო ყოფნიდა. თვალის სიამედ ხაზრეთი, მისი ველ-მინდორი, მტკვარი და გაღმა წიწვნარით შემკული ძველი საციციშვილო მთები ჰქონდა. დადიოდა თავისუფლად ასეთი სესე და ახლა აღარ დადის, ციხეში ჩასვეს, საპყრად აქციეს. მერე და რისთვის? მის საყვარელ მიწაზე უხვი მოსავლის მოსაყვანად იბრძვის სესე. რად უნდოდა ეს უხვი მოსავალი? იმად რომ სოფელში მეტი აკვანი დარწეულიყო, რომ მეტი გასათხოვარი და საცოლე, ხაზრეთში ახლად დასახლებული მეკომური ყოფილიყო. ეს იყო და ეს. ახლა ამისათვის შრომა-გარჯა დანაშაული ყოფილა. ასე ფიქრობდა სესე. კი არ ფიქრობდა, თავი უკვე დაპატიმრებულადაც ჰქონდა წარმოდგენილი. ასეთ ფიქრებში გართულს შემოესმა ზინოს ხმა:

— მამამთილო, შინა ხარ?

— აქა ვარ, შვილო!

ახლა კი გაბედულად მიიწვა კარს ზინო. შეალო. სესე ზეზე წამოაგდო, ტანისამოსი თითქმის იძულეებით ჩააცვა, გარეთაც გაიყვანა. ეზოში ჯერ ისევ ბნელოდა. დაგლეჯილ ღრუბლებიდან ვარსკვლავები ბუტუბუნდნენ. სესე ძალიან შეშინებული ჩანდა. „დუშმანად ნეტავი ზინო ხომ არ მომიგზავნესო“ — გაიფიქრა. დათიასას ბნელოდა. სესე მაინც ღუმელთან დაჯდა. პატარა მუცელში თითქოს ქვა ჩავარდნოდა და ძირს ეწეოდა.

— აბა, დაჯექე მამამთილო, დამშვიდდი და დალაგებულად მომიყვივი, თვითონ შენგან მომასმენინე, რა ჰქენი წუხელის კოლმეურნეობის კანტორაში და რა ჩაიდინე. — შეეხვეწა ქალი.

— დათიამ არ ვითხრა? — შეეკითხა სესე.

დათია ამ დროს ლოგინში იწვა, ბუმბულ-ბალიშებზე არხეინად გორაობდა. ბიძისა და ცოლის საუბარს უსმენდა. სესემ გადახედა მას. ზემოდან გადაფარულ ქათქათა მითლიან საბანს მოჰკრა თვალი. ამან ვიღაც შავებში გამოწყობილი ხნიერი, ლაბაიანი ქალი მოაგონა. მოაგონა და ვერასგზით ვერ გაიხსენა, რა ერქვა ამ ქალს სახელად. სად ნახა, სად დალაპარაკებოდა?

— როგორ იყო დაა... — დაალო პირი სესემ, მაგრამ დათიამ შეაწყვეტინა. მის ხმამალალ ხარხარში სიტყვის გაგონება შეუძლებელი იყო და სესე შეჩერდა.

— შენი კუბო დავდგი მაგ ადგილას, სადაც წევხარ! სიცილით ვითამ რა გახრჩობს! გაჩუმდი! ლაპარაკი გევალება-მეთქი! — შეუტია ცოლმა ქმარს.

დათია კი მაინც იცინოდა.

— ავრე ხმამალა ტირილით გავიტანე აქედან! — მიაწყველა ზინომ. თარიდან ჯონჯოლის მწნილი გამოიტანა ჯამით. ზედ მზესუმზირას ზეთი გადაასხა. ერთი საღვინე ჭიქა არაყიც მოიტანა. ყველაფერი მამამთილის ძმას ჯანისა და ლაპარაკის გუნებაზე მოსასვლელად წინ დაუდო პატარა მაგიდაზე.

სესემ მაშინვე მოუღბინა ჯონჯოლის მწნილს, ამან მართლაც გული უპოვა. ის ერთი კი არა, ბარემ ორი იმისთანა ჭიქა კიდევ მოატანინა. როცა შეზარხოშა და და მუცლის ტყვილიც შეუნელდა, დაიწყო:

— თავიდან მოგიყვები, შვილო!

— არაფერი არ გამოტოვო, მამამთილო! — შეეხვეწა ზინო.

— მოვიდა ის ოხერი იორაშვილი თავისი მხლებლებითა...

— ხა... ხა... ხა... — არიხინდა დათია.

— აღარ დაგეცლი, შე სასიკვდილე! კაცი დაღუპვის პირამდე მიიყვანეთ, ახლა გულის მოსაოხებლად აღარც ალაპარაკებთ? — დაუყვია ზინომ ქმარს და პირზე ბალიში დააფარა.

— ახლა ის დრო აღარ არის! ისე კი რა ვითხრა, აქეთ-იქით თრევას შენი მამამთილი ვერ გადაურჩება, ზინო!

— ჩემი მამამთილია, შენი კი ალალი, ღვიძლზე ნადები ბიძა! ნუ იცინი, ხელს ნუ გვიშლი, თორემ!...

ბავშვები წამომდგარიყვნენ, ნამძინარევი თვალებით გარს შემოხვეოდნენ თბილ ღუმელს, საყვარელ ხუმარა პაპას და დედას. დათია კი ისევ იცინოდა ლოგინში.

თენდებოდა, როცა სესემ ამბის მოყოლა გაათავა. მოყოლის დროს დათიას ხელი აღარ შეუშლია ხარხარით. პირიქით. საბნიდან თავი გამოეყო, თვალები ძალზე გაეხილა. მიჩერებოდა ღუმელთან გარშემოხვეულ ცოლ-შვილს და ბიძას, უგდებდა ყურს. გულში, თავისთვის ძალიან წუხდა ყველაფერს, ფიქრობდა, ვერა მოეგონებინა რა, როგორ ეშველნა ბიძისათვის. ზინოც ძალიან დაფიქრდა და შეშინდა. ძალიან უყვარდა მამამთილის ძმა. ქმრის ყველა ნათესავებს ერჩია სესე. როცა დათია შინ არ იყო, სესე უკეთებდა ზინოს ყველა სამამაკაცო საქმეს. მამამთილი სახლამდე მიაცილა. მალე შინ დაბრუნდა. მოუსვენარი ღამე რომ არ ჰქონოდა წუხელის, დღეს დილით ზინო რაიონში უნდა წასულიყო.

სესე ისევ თავის სახლში შევიდა. ლოგინის ალაგება რომ დაამთავრა და ბუხარს მიადგა ცეცხლის ასანთობად, გარედან ისევე ხმაური შეესმა. გული როგორღაც აუძგერდა კაცს. გაჰუჰყიანებულ ფანჯარას მივარდა, გაიხედა გარეთ. და რა დინახა? ზინოს ეზოში შეეჩერებინა ორი კაცი. ერთი, ამ ორთავანი, პატია დარაჯი იყო. ღეთის კაცს თითქოს საგანგებოდ მაზარა ეცვა და თავზე წი-

თელი კარტუზი ეხურა. „მაინც ასე საგანგებოდ, ამ დილით სად იშოვნა ამ ყუყუნმა ასეთი ტანსაცმელი?“ გაპკრა გონებაში სესეს და ბეჭებზე სიმწრის ოფლმა დაასხა. სესემ მეორეც იცნო. მისი უფრო შეეშინდა. ის იყო წითელკანტებიან ტანსაცმელში მთლად აპრელებული მილიციის სერჟანტი. სესემ ნათლად გაიგონა მათი ლაპარაკი.

— ეს არის სესე თალალაშვილის სახლი, — უჩვენა სერჟანტს პატიამ.

— აბა შევიდით! — თქვა სერჟანტმა და კარს მიაშურა.

სესე კინლამ წაიქცა.

— ვის ეძებთ? — შეეკითხა მათ ზინო.

— სესე თალალაშვილს. — იყო პასუხი.

— აბა რა ეგონა, ვითამ შეარჩენდნენ გუშინდელ მის აურიეს? — თქვა პატიამ და კიდევ უჩვენა სერჟანტს, — ეს არის სესეს სახლი, არ შემეშლება მაგის კარის გზა.

— ჰა, რა ვუყოთ? — შეეკითხა სერჟანტი ზინოს.

— ქალს სახეზე ნათელმა გადაურბინა.

— ჩემი მამამთილი შინ არ გახლავთ!

— თუ იცით, სად იქნება? — რიხით იკითხა სერჟანტმა და პატიას გადახედა.

— ღმერთმა ნუ იცის იმისი თავ-ტანი. — მიაწყევლა ზინომ მამამთილი. — ასეთი ჩვეულება აქვს, გაიკეტავს კარებს, გაპკრავს ფეხს, წვა. ვერ გაიგებს, საით ქნა პირი. ვერც იმას იტყვი, როდის დაბრუნდება შინ. თუ თვითონ არ მოინდომა გამოჩენა, მისი მიგნება ძალიან ძნელია. შინ შემობრძანდით!

ამ დროს დათიამაც გამოიხედა გარეთ. პერანგისამარა იყო. ხმაურზე ზეზე წამოვარდნილიყო. ეზოში გახედვის უმალ იცნო მილიციელი.

— კაცო, ფანოზა არა ხარ შენა?

— მე ვარ!

მერე და ჩემ ოჯახში შენ დაძახილი რად გჭირდება. ამო-მეთქი, დილაა, ცივა.

ფანოზა შეყოყმანდა. მიიხედ-მოიხედა და ფეხი გადადგა დათიას სახლი-საკენ. ზინოსაც ეს უნდოდა. მაშინვე სახლს მიაშურა. პატარა ხნის მერე პალატოდან გამოვიდა. მარცხენაში ღვინით სავსე ღოჭი ეჭირა, მარჯვენაში კი პურ-მარილით სავსე კალათი.

— ღუმელი გინთია? — შეეკითხა ფანოზა დათიას.

— შემოდი, თუ არ გვინთია, დავანთებთ, სხვა სათბობიც იქნება გვიშოვოს რამე ზინომ.

ფანოზა შეჰყვა კიბეს ნელი, მძიმე ნაბიჯით. სესეს სახლის დარაჯად პატიამ დატოვა გარეთ. ერთი კი შეფიქრიანდა, შარი რამე არ მომდოსო, და თამამად შევიდა მრავალჯერ ნაპურმარილევ დათიასთან.

ფანოზას დღეს დილით ადრე გამოუძახა ურანა ქელეხსაშვილმა სოფლის საბჭოში. გამოუძახა და დაავალა, გასწი, პატიაც წაიყვანე თან, სესე თალალაშვილი კოლმეურნეობის გამგეობაში მოგვიყვანეო, ორივე თავმჯდომარეები იქ დაგინებდითო. ფანოზა ადრე გამოვიდა შინიდან, უზმოც იყო. როცა დათიას ეზოში შევიდა, კარგად შიოდა და კარგადაც სციოდა თხელ მაზარაში.

ზინო ბევრს ეცადა პატიაც შინ შეეყვანა. ღვთისკაცი გაჯიუტდა. ფეხს არ იცვლიდა, არც მოწოდებული პური და ყველის ნაჭერი მიიღო.

— მეხი კი დაგაყარე მაგ გამობენტერებულ თავშია, — მიაწყევლა დარაჯი



ზინომ, — შინ მოჩქარებით შევიდა. ბევრის დაყოვნება არ იქნებოდა. დოქი მაგიდას შემოჰდგა ქვემოდან, სუფრაზე კი შოთები და ყველი დადო. მერე დატრიალდა, თაროდან გამოიღო ვახშმიდან დარჩენილი ბურვაციის მოხარშული ნაჭრები, ჯონჯოლის მწნილი და კომბოსტო. ლუმელზე კვერცხების მრგვალად მოსახარშავად პატარა ქვაბი შემოდგა. ფანოზამ და დათიამ პური აიღეს, გადატეხეს. მასპინძელმა დაილოცა, სულ კარგად და კარგად ვიყთო, პური და ღვინო ღემრთმა ნუ გამოგვილიოსო. როცა სტუმრისა და ქმრის სამსახურს მორჩა, ზინო ფანჯარასთან ჩამოჯდა და სულ გარეთ იმზირებოდა. მისჩერებოდა სესეს სახლის ერთადერთ გამოსასვლელ კარს. ის არ იღებოდა. პატია ედგა დარაჯად და მეთვალყურედ.

სესემაც გამოიხედა ფანჯარაში. ეზოში დაინახა სარივით აყუდებული პატია-დარაჯი. გასაქცევი გზა აღარ ჰქონდა. ამიტომ შეეცადა შინვე დამალულიყო, რომ თუ სერჟანტი ბინის გაჩხრეკას მოინდომებდა, ადვილად ვერ დაენახათ. ხან სხვენში ასვლა სცადა, ხან იატაკ ქვეშ ჩაძრომაც კი ეჩვენა მოსახერხებლად. მაგრამ ორივეზე უარი თქვა. ფიცრები იყო ასაგლეჯი. ეს ხმაურობას გამოიწვევდა. მამინ სხვა რომ ველარაფერი მოახერხა. მამისეული კოდა ეცა თვალში. საფქვილე ცაცხვის ხის ჭურჭელი მთლიანი ხისაგან იყო გამოთლილი. მალე შიგ ჩახტა და ზემოდან ფიცრის სარქველი გადაიჭურა. ამ მდგომარეობაში სული გატვრინა და, რომ კოდში მოსვენებით ყოფილიყო, მორთხმით დაჯდომა სცადა ძირზე. დაჯდა და ცოტა დაისვენა კიდევაც. იფიქრა, აქ თვალის მოტყუებაც შეიძლებაო.

აუცალებელი გახდა კოდიდან მალლა ამოსვლა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ხელეზიც აღაპყრო სარქველის ასახდელად, რომ ამ დროს კარის ბრახუნი შეესმა. ვიდაცამ ურდულს დაუწყო წვალება.

— აქ იქნება სადმე, აქ! — ეუბნებოდა სახლში შემოსული პატია დარაჯი მილიციის სერჟანტს. ეძებეს, მაგრამ სესე თითქოს მიწას ჩაეყლაპა.

სერჟანტმა ბუხარს ახედა მილში. რაკილა დაადასტურა, სესე შინ არ არისო, გარეთ გავიდნენ. იქიდან მჩხრეკელები კოლმეურნეობის კანტორისაკენ წავიდნენ. მეზობლებმა კი თავთავიანთ სახლებს მიაშურეს. მაგრამ ისევ მალე დაბრუნდნენ. ზინო წყევლიდა და ქოქოლას აყრიდა სესეს, მილიცია ქორივით ეზოში შემოიჩვიო. მაგრამ ერთადერთმა ისევ ზინომ იცოდა, რომ ცხელ გულზე დაჭყარა გადაარჩინა სესე. ამ მოპოპოის თავის სამბაღვიანდ უსმენდა სესე თალალაშვილი. ახლა რაკილა მილიციის სერჟანტი ცარიელი წავიდა, მისი საწუხარი ის იყო, რაც კოდში ეყარა. დაახლოებით ორ ფუთამდე იქნებოდა გარეცხილი შავფხას ფქვილი. ყველაზე ძალიან კოდის წაბილწვა დაენახა. მას შემდეგ რაც ძმები გაიყარნენ, ეს კოდი იყოს სესეს ცხოვრების საზომი.

საფქვილე ჭურჭელზე ფიქრმა მას დიდი ხნის გარდაცვლილი დედა გაახსენა. ამან სულ კოფჩილას მწნილივით დაამყავა. დიახ, გაახსენდა დედა და სახე კი ვერას გზით ვერ მოიგონა. დედა იყო ამ კოდის მფლობელი ოჯახში. იქიდან ყოველ შაბათს ერთ ჯამ ფქვილს ამოიღებდა ხოლმე. გამტკიცავდა. ცივი წყლით და მარილით დიდხანს ზელდა ხშიად ცომს. გამოიყვანდა პატარა კვერცხს. ნალვერდალში დებდა კოკრებს. გათენებამდე ყარაულობდა სეფისკვერის გამოშუშებას ნალვერდალში. მერე განთიადზე მიჰქონდა ხაზრეთის საყდარში, სადაც მღვდელი ლახტრის წვერით კვერს კემსავდა, ევლოგიათ აქცევდა სეფისკვერს.

ამ მოგონებამ სესე დასწვა და შეაშინა, ალბათ ლეთის რისხვა გადმოვიდა ჩემზეო. ძალიან რომ გამწარდა, კოდშივე წამოიძახა ხმამალლა:

— ღმერთო, თუ მართლა სადმე ხარ მანდ, ცაში, მაპატიე, — და ხმას დაუწია. — მაპატიე, მაპატიე, აუცილებლად მაპატიე! პურიც შენი გაჩენილია, კოდიც, სესე თალალაშვილიცა და მთელი ქვეყანაცა. თუმცა საეჭვოა, ასე რომ იყოს, მაშ რაში დაგჭირდა ჩემი ამ დღეში ჩადგება! — და უეცრად დაჰგმო. — არა, არა მგონია, რომ იყო, არა!

— მამამთილო, ამო ზემოთ. ღამეში გაიქანქლე. სადაც გინდა ხუთიოდე დღე თავი მოარიდე. სანამ იქით-აქეთ მივდგებ-მოვდგებით, რამეს ვიღონებთ. ხელში არ ჩაუვარდე იმ წყეულ ურაზა ქელესსაშვილს.

— მამაშვილობას გაფიცებ, ზინო, მარტო ნუ ენდობი თავს. — ეხვეწებოდა სიბნელეში მამამთილი რძალს, — ელენე ორჯონაშვილთან აირბინე. უთხარი ჩემ მაგივრად, ჩემი გასაჭირი ეს არის, იქნება მისი ბიჭები მომეშველონ ქალაქიდან. აქეთ რაიკომია, თუ იქით რაილმასკომი მიურეკე-მოურეკონ. იქნება ღზაიძესთანაც შეხვიდე, ჩვენებური ქალის შეილია. თუ დასალუპავი ვარ, ციხეში ნუ ჩამაგდებენ, მეღიცამ და „პროკლოვმა“ კი რაც უნდა მიქნან, თუნდაც ცალი ფეხით დამკიდონ. გარეთ რომ ვიქნები, ვეჭილის აყვანის საშუალება მაინც ბექნება.

— ორჯონაშვილი ელენე, მამამთილო, კარგი მომაგონე, — უთხრა ზინომ. — მივალ მასთან. ვეტყვი ყველაფერს. ახლა კი გარეთ გადი და მოჰკურცხლე, რაკი ჯვანი და ღონე გაქვს. სანამ არ გაგაგებინოთ, აქეთ ფეხი არ იბრუნო.

ზინომ მამამთილს ტყაპუჭა გადააცვა, აბგა ხუთიოდე პურით მხრებზე გადაჰკიდა, ასიოდე მანეთი უჯიბა და თითქმის უბრძანა:

— გასწი, უკან მოუხედავად გასწი, ღამით გადადი ბორანზე. ისეთ ადგილას დაიმაღლე, რომ ეშმაკმაც ვერ მოგაკვლიოს. სად იქნები მაინცა?

— გუჯარეთისაკენ, ნათლიმამა ოსთან! — იყო პასუხი.

სესე გამოძვრა სახლიდან, ორლობეში გაქრა, გაიარა მთელი ხაზრეთი, მწვანე ხოლაბუნის ვაკეს მისცა თავი. იქიდან მტკვარი გადალაზა და გაღმით მოექცა მდინარეს და ლიხჭოჩორას კალთას.

მთელი ღამე მიდიოდა კაცი და უხაროდა, რომ შინ ცოლი და შვილი არ რჩებოდა, თაფლო ხომ სულ აღარ ახსოვდა.



ილიან კოვაძე

მოთხრობა „ღალის“ ავტორმა იულიან კოვაძემ პირველი პრემია მიიღო მშვიდობის დაცვის თემაზე საუკეთესო ნაწარმოების ლიტერატურულ კონკურსზე. კონკურსი მოაწყო პოლიონეთის მშვიდობის კომიტემა და პოლიონეთის მწერალთა კავშირმა.



...ისინი დააბატიმრა მინდვრის ბოლოს, სადაც თხები ბალახობდნენ. და-
პატიმრა ყოველგვარი წესის დაცვით. ჯერ დაიდრიალა: „არც ერთი ნაბიჯი
წინ! ხელები მალა! ზურგისაკენ! დაწეკ!..“

მერე რევოლვერით ხელში მივიდა დაპატიმრებულებთან, ზიზლით მოავლო
თვალი მათ ზურგებს და ბრჭყვიალა მავთულით დაუწყო ხელების შეკვრა. მავ-
თული ყველასთვის არ ეყო და ლუდვიკას ხელები მაგარი შავი ყაითნით შეუკ-
რა. მერე ტყვეები ფეხზე წამოჰყარა. ყოველ მათგანს უხეშად ავლებდა ხელს
საყელოში.

— იარ! თავები ძირს!

პატიმრები იქვე ნასახლართან გაიყვანა. თვალებით მოხერხებულ კედელს
დაეძებდა. აგურის ერთი კედელი თავისი საქმისათვის გამოსადეგად მიიჩნია.
დასახერხეტი ტყვეები პირით კედლისკენ მიაბრუნა.

შავი ყაითანი ცოტა მოსუსტდა. ლუდვიკამ ხელები გაითავისუფლა, ჯი-
ბიდან პურის ნატეხი ამოიღო და ლოღნა დაუწყო.

— ლუდვიკა, შეწყვიტე ჭამა! — და რევოლვერით დაემუქრა.

ლუდვიკამ პურის ნატეხი ისევ ჯიბეში ჩაიღო, ხელები ზურგზე დაიწყო
და თავი ჩაღუნა...

— ყურადღება! ვიწყებ კუბალსკით!

მან მარცხნივ მდგომ ტყვეს რევოლვერი პირდაპირ მკერდზე მიაბჯინა. ჩახ-
მახმა ყრულ გაიჩხაკუნა. კუბალსკი დაივრია, ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე და
ყვითელ ქვიშაზე გვერდულად დაემხო. ისევ ჩახმახის ჭახუნი. მეორე ტყვე კედ-
ლის ძირას გაიშოტა. გაისმა მესამე გასროლა, მაგრამ მსხვერპლი უშფოთველად
იდგა ადგილზე.

— კატულა! — შეჰყვირა ჯალათმა. — შენ ხომ დახვრეტილი ხარ, რაღა-
ტომ დგახარ?!

— აი — უპასუხა კატულამ და წაიქცა.

— სულელი! — დაიდრიალა მსროლეღმა.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. სროლა შეწყდა. სროლის ნაცვლად ტყვეებს მოესმათ თავიანთი ჯალათის სულწასული ხმა:

— რეეოლევერი გაფუჰდა!

— გაფუჰდა?! — შესძახა ერთ-ერთმა ტყვემ — აფსუს!

— რა დაემართა? — ნაღვლიანად იკითხა მეორემ. — ალბათ გაკეთდება!

ნელ-ნელა ყველა მოშორდა კედელს. ჯალათს შემოეხვივნენ. ცხარე კამათი გაჩაღდა, უამრავი რჩევა გამოითქვა და რეეოლევერიც მალე შეკეთდა. ლუღვიკას არ ეგონა, რომ იარაღის შეკეთებას ასე ცოტა დრო დასჭირდებოდა და ისევ თავის პურის ნატეხს მიუბრუნდა.

— ლუღვიკა, შეწყვიტე ჰამა! — დაიყვირა ჯალათმა. — ყველანი კედელთან, სწრაფად!

ისეე გაისმა სროლის ხმა. კედელთან მდგომნი ზედიზედ ეცემოდნენ ჰეი-შაზე. უკანასკნელი ტყვია ლუღვიკას ხვდა. ის ისე მოკვდა, რომ პურის ნატეხის შეჭმა მაინც ვერ მოასწრო.

მე იქვე გვერდით ჩავიარე და მეც მომხვდა იმ პატარა პირველკლასელი ბიჭუნას ხის რეეოლევერიდან ნასროლი ტყვია.

ის ტყვია დღემდე გულში დაღად მაქვს ჩარჩენილი.

თარგმნა რევაზ თაბუკაშვილმა.



გაკიდე ჭანჭუკი გიჟი სამსონეჲ

გუშინ და ხვალ

1 ღამის მოლოდინი

ადამიანები ყოველთვის უფრო მეტი ხალისით მოელოან გათენებას, ვიდრე დაღამებას. მაგრამ ხშირად შეზინდება და ღამის მოსვლა ძალზე გვახარებს.

არასოდეს ისე ძლიერ არ ელოდება ადამიანი შეღამებას, როგორც ახალი წლის წინა დღეს... ეს თითქოს უდიდესი სიხარულია მეგობართან, დედასთან და დასთან შეხვედრისა, მამის დალოცვისა, გულის ტოლის სიახლოვისა...

სიხარულით მოელოან ღამეს, რადგან იგი დიდ და ნათელ დღეს გვიბრუნება, სავსე დღეს, მომავლის შუქით გაჩირადდნებულს.

თორმეტჯერ ჩამოჰკრავს საათი, მაგრამ ეს თორმეტი საათი კი არ არის მხოლოდ, ეს არის დაუღალავ შრომისა და ბეჯით სწავლაში უკან მოტოვებული თორმეტი თვე.

თორმეტჯერ ჩამოჰკრავს საათი, მაგრამ ეს თორმეტი საათი კი არ არის მხოლოდ, ეს არის ახალ გამარჯვებათა შემპირებული ახალი თორმეტი თვის მოლოდინი.

ყოველი გუშინდელი დღე არის წარსული, ყოველი ხვალისდელი დღე არის მომავალი. მაგრამ შრომაში გართული, დაზგასთან მდგომი და მინდორში მოფხუსფხუე კაცი ნაკლებად გრძნობს ამას.

თორმეტჯერ ჩამოჰკრავს საათის ზარი... და ასეთ წუთებში ყველაზე ნათლად გრძნობ, რომ შენი გუშინდელი დღე წარსულია, ხოლო ხვალისდელი — უკვე მომავალი.

ახალი წლის წინა დღე საზღვარია, საიდანაც ოცნების თვლით მივხედავთ განვლილს, უკან მოტოვებულს, და მერე მზერას გავუშვართვთ იმას, რაც ხვალ უნდა იყოს.

ამ დღის შესახებ უნდა ვმზადდებოდეთ ადამიანები ყველგან, რადგან ახალი წელი დგება ყველგან. ხვალ უფრო ბედნიერი, მდიდარი და ღიმილიანი იქნება ჩვენი ცხოვრება.

ახალი შეიღწევის საფეხურებად ჩვენ უნდა ავყვეთ კომუნის დიდი შენობის კიბეს. ეს წელი კი ამ საოცნებო კიბის ერთი საფეხურია.

და ჩვენი უერცესი სამშობლოს ყველა ოჯახი ემზადება ამ დღის შესახებ დღად...

ეს ოჯახები განსხვავდება ერთმანეთისაგან ხასიათით, ჩვეულებით, ტრადიციით. ასაკით, ეროვნებით. ახალი წლის მოლოდინით მოგვირულ სიხარულს კი ერთმანეთისათვის დაუმსგავსებია ისინი; დღეს ყველგან ერთნაირი სიხარულია, ფუსფუსი, მზადება, ღიმილი, ძველის გახსენება, ახალზე ფიქრი, ოცნება, იმედო...

ჰოდა, მოდი, შევალოთ რომელიც გნებავთ ოჯახის კარი, თვალი შეველოთ საახალწლო მზადებას, ახალ ადამიანებს გავეცნოთ, ახალი მეგობრები შევიძინოთ და მათთან დავეყოთ მცირედი ხანი, მანამდე, სანამ თორმეტს დაჰკრავდეს საათი და უკან დარჩებოდეს დაუღალავ შრომისა და ბეჯით სწავლაში განვლილი თორმეტი თვე...

2. ცოცხალი სურათები

— გველუქავს იქ ცხოვრობს?

— ზურაბი გნებავთ? მობრძანდით.

შუა ხნის ცალხელა კაცი მორიდებით შეგვიძღვა ეზოში, სვეტზე მიბმულ ძაღლს თოკი დაუმოკლა და მეზობელს გასძახა: — ზაარა, თქვენთან არიან.

ოთახის კარი გაიღო და ეზოში გამოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში თბილად შეხვეული ბავშვი ეჭირა.

— თქვენ ზურაბის მეუღლე ბრძანდებით?

ქალმა თანხმობის ნიშნად გაიღიმა, ეინაობა გვეთხა, შემდეგ კი მომეტებული ბოდიშებით, როგორც ასეთ დროს საერთოდ ვიცით ხოლმე, ბინაში შევიპატივთ.



მატარა ოთახი. ტახტი. ტახტზე აკვანი. კუთხეში ჩემოდნები, რამდენიმე ფუთა, წყლიანი გრაფინი და მხოლოდ ერთი სკამი...

— ამ ქალს მართლაც ჰქონია საბოლოო.

— ახალ ბინაში გადავდევნებო და...

სკამი მაგიდისაკენ მოსწია, ტახტიდან აკვანი ჩამოვდგა და დაბრძანდითო, გვთხოვა.

— ბიჭია თუ გოგო?

— ბიჭია, ხუთი თვისაა.

— გაგიზარდოთ!

მატარა დათო თითქოს ხედება, რომ მასზე ვსაუბრობთ, იცინის და ხელების ამოწევის ლაშობს.

— ზურაბს დაადგვიანდება?

— როგორ გითხრათ, ბარგი შეკრული დეტოვია. ალბათ მაღე მოვა.

ჩემად ერთმანეთისაკენ ეაბარებთ თვალებს. გვინდა ისეთი რამ ვთქვათ ან ვეკითხოთ, რომ საუბარს თავი მოეხას. უგემოვნოდ შედებილი კედლებიდან ერთადერთი სურათი იყურება. სურათმა სურათები გაგვახსენა.

— ახლავე, ბატონო, — და დიასახლისმა ციხე ხელთ ბავშვი უფრო მაგრად მივირა მკერდზე, მეორეთი ჩემოდანს მისწვდა.

— არაფერია, ქალბატონო, ნუ სწუხვებით.

მაგრამ მინც სიამოვნებით ჩამოვართვით და ოჯახის უფროსის მოლოდინში ინტერესით დაეუწყეთ ფურცლა მწეანეყლიან ალბომს, რომელზედაც იასამნის ტოტი იყო ამოხატული.

სხვადასხვანაირია ალბომები. არც ალბომები, რომელთა გაყვითლებული, გაცრეცილი ფურცლებიდან გაიყურებენ სურათები და გებადებო ერთადერთი კითხვა:

— რა იყო ეს კაცი თქვენი?..

და არის სურათები, ახალი ფერით და წამლით, საესე სინათლით და სიცოცხლით, და მისი ცქერისას გებადებო ერთადერთი კითხვა:

— რა არის ეს კაცი თქვენი?...

როგორც აღმანიანები, ისე სურათებიც შეიძლება იყოს ცოცხალი ან გარდაცვლილი. ალბომში არის ოჯახის წარსული და დღევანდელი დღე, მისი სიხარული და ტკივილი.

ზურაბ გველუკაშვილზე ბევრი ვესმენია, ბევრი წაგვიკითხავს მის საქმეებზე, პირადად კი არასოდეს შეხებდრევიართ, არც მისი წარსულის გამო ვიცით ბევრი რამ. მაგრამ ვფურცლათ მისი ოჯახის ამ მატინეს და ყველაფერს ისე ხელშეასახებდალ და ნათლად ვგრძნობთ, თითქოს მთელ მის ბავშვობას ჩვენს თვალწინ ჩაეელოს. ვფურცლათ. ვაკვირდებით. ვკითხულობთ.

— ეს ზურაბის დაა, თბილისშია გათხოვილი...

— დედა ვახლავთ მისი...

— ზურაბის უმცროსი და-ძმაა, ესლა სოფელში არიან დედასთან...

დაუზარებლად გვეპასუხება ზურაბის მეუღლე, მოგვითხრობს ამა თუ იმ სურათის, ადამიანების, მათი საქმეების ამბავს; თვითუღ სურათს ხომ თავისი ისტორია აქვს.

— ეს სურათი კი...

და ჩვენ ხელში ავიღეთ სურათი, ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტად საინტერესო. ხუთი ვაჟაკი ღიმილით შემოგვცქეროდა. ეს ახალგაზრდები ზურაბ გველუკაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები არიან — კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მეორე მექანიკური სამჭროს მოწინავე მუშები. თითქოს ვაზუთის მუშაკებს ანგარიში გავვიწიო, ზურაბის მეუღლემ „მარცხნიდან მარჯვენა“ სათითაოდ ჩამოგვითვალა ისინი.

ელგუჯა ტავალაშვილი. ზურაბის გაზრდილია, მისი ნამოწადარი. მეორე მექანიკურ სამჭროში მუშაობს ხარატის პროფესიავ.

ალექსანდრე მაკაროვი. ესეც ხარატია. ელგუჯაც და ალექსანდრეც კომკავშირლები არიან, სამავალითა მუშები, მაგრამ ბეჯითი შრომა ხელს ვერ უშლის წარმატებით სწავლაში. ორივენი სლამოს სკოლის მეათეკლასელები არიან.

გივი ვარსკვლავიშვილი ამავე სამჭროს მრანდაია, ალექსანდრე კუდუხოვი კი მღარაივი.

და აი, ისიც, ამ ბრიგადის შემქმნელი, მისი სული და გული — ზურაბ გველუკაშვილი.

დგას იგი მეგობრების მხარდამხარ, ოდნავ ამაყი, ჯანსაღი სულით და მზერით. და ეს სურათი თითქოს სიმბოლოა მთელი მისი ცხოვრებისა. იგი ამ ბუკებთან ერთად იყოფს ქირსა და ლხინს, მათ ერთად უხდებათ ყველა სიძინელის გადატანა. მარტო მეორე მექანიკურ სამჭროში 170 მუშაა. და ზურაბს შემთხვევით არ გაუკეთებია თავისი ბრიგადის შესაქმნელად ასეთი არჩევანი. ისინი ძმებივით იცნობენ, აფასებენ, ენდობიან ერთმანეთს. მაგრამ ეს სიხალევე და ძმოზა მარტო ქარხნის კედლებში როდი თავდება. კომუნისტურ შრომას უფრო მაღალი კანონები აქვს: ეს დახმარება, მხარდაჭერა და ხელის გაწვდენა მხოლოდ შრომაში კი არ არის სავალდებულო, იგი აუცილებელია სწავლაში, ცხოვრებაში. და მეგობრებიც შრომობენ, სწავლობენ ერთად. თუმცა არც ცხოვრებაში არიან ცალკულე. ამას ვეუბნება ეს სურათი, მეგობრების სურათი, ცოცხალი სურათი.

ა. „თქვენი შვილიშვილი იმავართ თქვენი შვილით“

ახლა ადვილად წერენ, ყველაფერს უბრალოდ ჰყვიბიან. მაგრამ ახალ გზაზე გადაღ-



გმული პირველი ნაბოჯები ძალზე ძნელი იყო ზურაბისთვის; 14 წლისაც არ იქნებოდა, როცა რვაწლედი დაასრულა და მაშინვე საქმისაკენ გაუწეა გულმა. ვერაფერი იტყოს, თითქოს რაიმე სკოლდნოდეს მაშინ ზურაბს ჩვენი სკოლის ნაკლოვანებებისა, მაგრამ ერთი კია: ბავშვობიდანვე შრომის შეჩვეულ ბიჭს შრომა მოსწონებდა, რაიმე ხელობის შესწავლა მოუნდა, მოუნდა და აღარ დაახანა — თბილისს მოაშურა.

მეექვსე სახელისნო სისწავლებელი. უცხო ვარემო. უცხო ხალხი. დროდადრო დარდი იმაზე, რაც იყო — სოფელი, დედა, და-ძმა... ხანაც შიში იმის გამო, რაც იქნება — შიში კიდევ გაორკვეველი და ბუნდოვანი მომავლისა. მაგრამ ამ შიშსა და სინანულს ენაცვლებოდა სხვა გარემო — ოსტატისა და მეგობრების მზრუნველი დამოკიდებულება მისდამი. და ასეთ დროს ყველაფერი უადვილდებოდა გამოუცდელ სოფელ ბიჭს — დეტალის გამოჩარხვაც, რაც სულ არ ჰგავდა სხარის გამოჭრას, გავნება თბილისის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, რომლებიც სულ არ ჰგავდა ვეფინის ვიწრო ორბოვებს...

სხვისი ხელით ნაწერი დედის წერილები თავისკენ მოუხმობდა შვილს, ვეფინის შუკებში ჩარჩენილი პატარა სევდა მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ არჩევანი ვაკეთებულ იყო. და რაც დედ გალიოდა, ზურაბს უმტკივნეულობა რწმუნა — სწორედ ამ საქმისთვის ვარ მოწოდებული.

ასე გავიდა ორი ახალი წელი... წარმოდგენაც კი არ შეეძლო, ისეთი გულითაღობითა და ნდობით მიიღეს ახალბედა ხარატი მეორე მექანიკური საამქროს მუშებმა, მაგრამ ეს ყურადღება კიდევ უფრო ზრდიდა ზურაბის პასუხისმგებლობას. მან იგარძნო, რომ უკეთ შობის დარჩა სწავლისა და გამოცდის დღეები. აქ მას შევირდი აღარ ჰქვია, არც რაიმე შეღავათს მისცემენ იმის გამო, რომ ახალბედაა. მის მიერ მოჭრილ ყოველ დეტალს ისეთივე ფასი და წონა აქვს, როგორც ძველი და გამოცდილი ოსტატის ნახელავს. ეს უკვე ნამდვილი შრომაა, ის შრომა, რომლის სიყვარულმაც მშობლიური სოფელი დაატოვებინა.

თავდაგოწმებულ შრომაში დღე დღეს ენაცვლება. ზურაბი უკვე მიეჩნევა საპატიო დაფაზე თავისი შრომითი კექრას. უკვე შეუძლია შრომაში ორი კაცის სიტყვა თქვას. ყოველთვის აქვს რაღაც ახალი აზრი, წინადადება, სურვილი უფროებისა, ძალი და უნარი ახლის ძიებისა. და ეს გუმინდელი ნამოყვარია მღვდელი ორი შევირდის ოსტატი ხდება. გულისყურით, მზრუნველად, როგორც ადრე მას ექცეოდნენ,

თავის გამოცდილებას უზიარებს მოწოდებებს, ესმის მათი.

ზურაბი დაზვასთან დავეჯაკცა. ვაქცაც კი თავისი უწმინდესი ვალი მოსთხოვა სამშობლომ — იგი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. თუ როგორი ჯარისკაცი იყო ზურაბი, ამის თაობაზე სიტყვა მეცეთ მათ, ვისთანაც სამი წლის მანძილზე სამაო პურს იყოფდა ქართული მებრთვი. აი, რას წერენ ზურაბის სამხედრო ნაწილის მეთაურები სოფელ ვეფინში ჯარისკაცის დედას:

„...იგი მონღოლებით და კეთილსინდისიერად ეუფლებოდა სამხედრო საქმეს, სწავლობდა იარაღს და სამხედრო ოსტატობას და ითვლება სოციალისტური სამშობლოს შეგნებულ დამცველად. საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის მთელ მანძილზე საბრძოლო მეცადინეობაში მიღწეული წარმატებებისათვის მას დამსახურებელი აქვს მრავალი მადლობა მეთაურებისაგან.

„თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი შევლით“.

„გამდლობთ ასეთი შვილის აღზრდისათვის. გისურვებთ წარმატებებს შრომასა და ცხოვრებაში“.

ასეც სწამდა დედს, მუდამ სწამდა, რომ მისი გამოზრდილი შვილი არსად არ შეარტყვენა.

ასე სწამს დღეს ყველას, ვინც ზურაბს იცნობს. და ჩვენც გვინდა ზურაბის დედს გავუმეოროთ სამხედრო მეთაურების სიტყვები:

„თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი შევლით“.

— სამხედრო სამსახურის მოხდისთანავე ჩემს საამქროს დაეებრუნდი, — განაგრძობს მეუღლის დაწყებულ ამბავს შინ მობრუნებული ზურაბი...

მავე სიბოჯითა და ენერგიულობით, მხოლოდ უფრო მეტი დისციპლინით (სამხედრო სამსახურგამოვლილი ადამიანისათვის ჩვეულებრივი დისციპლინით) დაუბრუნდა ზურაბ ვეულუაშვილი თავის დაზვას. ორიოდ დღეში გამარჯვებულმა კვლავ დაიბრუნეს ძველი ოსტატობა. წუთი წუთს მისდევდა. საპატიო დაფაზე კვლავ გამოჩნდა ნაცნობი სახე. კრებებზე ისევ ასხენებდნენ ნაცნობ გვარს.

ყოველთვიური გეგმა ორმაგად და სამმაგად სრულდება. მაგრამ ზურაბს არ შეუძლია მხოლოდ ამით დაკმაყოფილება. იგი ყოველთვის მოუსვენრად ეძიებს ახალს, წინადადება წინადადებაზე შეაქვს; უმჯობესდება დეტალები.

დიდღბა შრომის ნყუდიერბა, იზღბა ასი-
თასობით მანეთი...

ხანგრძლივი დაცირებების შედიგად ზუ-
რამბა გიდიწყიბა დასამზადებელი ჩარხები
გაეთაყისუფლებინა ორი ზედმეტი დეტალის-
გან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ
ეს დეტალები ფერადი ლითონებისგან მზად-
დებოდა, მაშინ ნათელია ის დანაზღვი, რაც
ამ წინადადებამ ქარხანას მისცა. ზურამი
მრავალი ასეთი წინადადების ავტორია.

მაღე ზურამი დაქორწილდა. ახლა ციდე
უფრო საქმიანი და ზეჯითი გახდა იგი.

პირველმა შეიღმა უდიდესი სითბო და სი-
ნაზე შეიტანა მის ოჯახში, მის გულში.

არადრით არაა უჩვეული ზურამ გველუქა-
შვილის ბიოგრაფია. იგი ცხოვრობს და შრო-
მობს ისევე, როგორც ათასობით ქართველი
ახალგაზრდა. სწორედ მან და მისმა მეგობრე-
ბმა უნდა აშენონ ჩვენი მომავალი.

...მომავალი.

ზურამი შვილისყენ იხრება, ხელში აყავს,
დაბუა ნიკაბთან თითს შეუტურებს, ბეშეს
გაღიმებს და თვითონაც ღიმილით გვეუბნება:
— ჩემი მომავალი ოსტატი ჯერ ერთი წლი-
საც არაა. ისეთი ბიჭი უნდა გავზარდო, რომ
ყველას გვეამაყებოდეს!..

4. კიდეზ მართი ბრიგადა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშე-
ნებლო ქარხანაში აღფრთოვანებით შეიტყეს
ის ამბავი, რომ მოსკოვის მახარისხებელ დე-
პოში შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგა-
და. ამ სასიხარულო ცნობას წამსვე გამოეხე-
ურენ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის
მუშები და შეიქმნა გურამ ჩაღუნელის კომუ-
ნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც შეჯიბ-
რებაში გამოიწვია მოსკოველი მეგობრები.

ამ შეჯიბრებას უყვე აღარ ჰქვია სოცია-
ლისტური შეჯიბრება.

იგი კომუნისტური შეჯიბრებაა...

ასეთ დროს მოწინავე მუშას, შრომაში გა-
მობრძმედლი ვაქაცს ზურამ გველუქაშვილს
არ შეეძლო განზე დარჩენილიყო, თავისი
წვლილი არ შეეტანა ამ დიდ საქმეში. და იმ
მან ერთ-ერთმა პირველმა ჩარხსამშენებლო
ქარხანაში იყისრა კომუნისტური შრომის ბრი-
გადის შექმნა.

ზურამთან ერთად ხუთი ვაქაცია ამ ბრი-
გადაში, დღი ხანი არ არის, რაც ბრიგადა
არსებობს, მაგრამ მან უკვე მოასწრო მთელი
ქარხნის ნდობისა და სიყვარულის დამსახურე-
ბა.

ბრიგადის მიერ ნაყისრი ვალდებულებები?
ბრიგადა ყოველთოყურ გეგმას 200-250 პრო-
ცენტით შეასრულებს.

ბრიგადის ყოველი წევრი წლის განმავლობა-
ში შეიტანს ერთ რაციონალიზატორულ წინა-
დადებას მაინც.

შვიდწლდის ბოლოსათვის ბრიგადის ყო-
ველ წევრს ექნება უმაღლესი განათლება.

ბრიგადის ყოველი წევრი დაეუფლება ორ-
სამ პროფესიას.

დიდია ვალდებულებები! მაგრამ ბრიგადის
წევრთა შრომითი საქმიანობა, მომავლის რწმე-
ნა, მათი ვაქაცობა, პატიოსნება და სამშობ-
ლოს სიყვარული თადებია იმისა, რომ მათი
სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ზურამის ბრიგადა ვალმოზდილი შეეგება
ახალ წელს, დიადი შვიდწლდის პირველ
წელს!..

თორმეტჯერ დაჰკრა საათმა. უეან დარჩა
ბეჯით სწავლასა და შრომაში გატარებული
თორმეტი ოფე.

ბედნიერი იყოს შენთვის ახალი ჰერი!

ბედნიერი იყოს შენთვის ახალი წელი!





ჩვენს თეზისს

დიდი ლიტერატურის კარიბჭესთან

აღიარებული ფაქტია: ამ უკანასკნელ ხანს ლიტერატურის ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი თბილისის მკვიდრია, თბილისში კი შემოქმედებით ვატიკებულ ახალგაზრდათა უპირველესი თავშესაფარი სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრეა. ამიტომაც, რომ მკითხველნი ასეთი ინტერესით მოველით ხოლმე ამ წრის ორგანოს — აღმანახ „პირველი სხივის“ ყოველ ახალ წიგნს. 1958 წლის მიწურულს, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის არსებობის ათი წლისთავის აღსანიშნავად, გამოიცა საიუბილეო კრებული — „პირველი სხივის“ მეხუთე და მეექვსე წიგნები ერთად. აქ, საცხებიტ ახალმოვლენილ ავტორთა გარდა, დაბეჭდილია აგრეთვე ნაწარმოებები იმ პოეტების, პროზაიკოსების, მთარგმნელების და ლიტერატურისმცოდნეებისა, რომლებიც აღმანახის პირველსავე წიგნში მონაწილეობდნენ და რომლებიც ახლა უკვე საკმაოდ ცნობილი არიან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ უფლებას გვაძლევს საიუბილეო კრებულში წარმოდგენილი ავტორებისათვის რაიმე კატეგორიის შედარებები არ დაეწესოთ და მათი შემოქმედება დიდი ლიტერატურის პოზიციებიდან შეეფასოთ.

„დიდი ლიტერატურა“ შემთხვევით არ მიხსენებია. ასეთად მიიჩნია ყოველ ჩვენთაგანს ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურა და ასეთად უნდა გვესახებოდეს ის ლიტერატურაც, რომელსაც სულ ახალმოვლენილი პოეტები თუ პროზაიკოსები ჰქმნიან (ან ყოველ შემთხვევაში — შექმნიან). თუ ახალგაზრდა ავტორს პოეტურობაში მიიჩნევენ არ შესწევს ძალი შემოქმედების დიდ სიმაღლეებთან შერკინებისა, მისთვის უმჯობესი იქნება დროულად მიხედვის თავის ბედს და მწერლობაზე ცოტათი უფრო პრაქტიკულ საქმეს მიჰყოს ხელა, რათა არ შეემატოს ამაოდ დამაშვარალთა ბუღადას.

ამის თქმა და უმაღლ დაიბადება კითხვა: ვგაგრე, მაგრამ სად არის ამ ძალის საზომი, რით უნდა განისაზღვროს — შეძლებს თუ ვერა მომავალში ესა თუ ის ავტორი სიმაღლეთა წვედომას და დიდ ლიტერატურასთან ზიარებას?

ჩემის აზრით, ერთადერთი რეალური საზომი დრო და ასაკი გახლავთ. ამ აზრის დასაყონკრეტებლად თავდაპირველად პოეზიისა და პოეტების გამო ვისაუბროთ.

არაერთგზის თქმულა — საქართველოში ყოველი მესამე კაცი პოეტობსო. ამაში ალბათ დამნაშავეა ჩვენი თავისებური მსოფლშეგარძნება, რომელიც თავის მხრივ ჩვენი ბუნების, ჩვენი ტემპერამენტისა და ფსიქიკური წყობის თავისებურებებით არის განპირობებული. მაგრამ ყველა ის, ვინც პოეტობს, პოეტი როდია, მით უფრო კარგი პოეტი. ადრეულ ასაკში, ვიდრე გარე და შინასამყარო მეტწილად ემოციების შეშვებით აღიქმება, ამ ემოციათა ბურუსი მრავალს თავგზას უბნებს: გარძნებების სიჭარბე თავისას შვრება, გარემოს „პოეტური“ აღქმა კიდევ თავისას, ამას ზედ ტრადიცია და გაველენა ერთვის, და მეტიც აღარაფერია საჭირო, რომ ახალგაზრდამ ლექსების წერას მიჰყოს ხელი. მაგრამ როდესაც ინტელექტი ნომწიფდება და პიროვნება რეალუქსიის უნარს შეიძენს, როდესაც ხსენებული ბურუსი თანდათანობით იწმინდება და ადგილს უთმობს სად, პრაქტიკულ (თუმცაღა გონების მიერ ვაშუალებულ) მხერას, ჩვეულებრივ „პოეტური“ ხედეაც მიმჭრალდება ხოლმე და ლექსის წერის სურვილიც უკვალოდ ჰქრება.

ამიტომაც, რომ ისინი, ვისთვისაც შემოქმედება შემთხვევითი ამბავია და არა ნამდვილი მოწოდება, ჩვეულებრივ 20-22 წლის ასაკში (ან ცოტათი ადრე თუ ცოტათი გვიან) თავს ანებებენ კიდევ პოეტობას.

ხსენებულ ადრეულ ასაკში ლექსის ყოველ მიხზველს ჰგონია — ჩემი სულიერი შესაძლებლობანი ამოურწყავია, სათქმელი არასოდეს დამეღვევა. მართლაც, პიროვნების ფორმირების ამ ეტაპზე სათქმელი ყველას ბეგრი აქვს. მაგ-

რამ საქმეც ისაა, თუ რა ღირებულება აქვს ამ სათქმელს. ყოველივე, რაც ინტელექტის მძლავრი განვითარების გარეშე, მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით ითქმის, მართოდვე შიორბაა (ამ სიტყვის თანადროული ვაგებია) და მეტი არაფერია. ამიტომაც, რომ მხოლოდ ქვეშაირიტ პოეტად დაბადებულნი ინარჩუნებენ სამყაროს ამ თავისებურ ემოციურ აღქმასა და ხედვას, რომელიც აუცილებელია პოეზიის მწვერვალთა მიხედვით: მათთვის ინტელექტი ხელის შემშლელი კი არაა, პირიქით — უდიდესი მოკავშირეა და დამხმარე. ამიტომაც აგრეთვე, რომ შემხვევით გააოტებულნი მეტწილად წინასწარვე მტრულად არიან განწყობილნი ინტელექტის მიმართ და ერთგვარი შიშითა და ძრწოლით განიცდიან იმ ამბავს, რომ რეფლექსიის განვითარებასთან ერთად საგნებსა და მოვლენებს ეხსენებათ ის მამხიბველი საბურველები, რომელიც ასაზრდოებდა მათს შემოქმედებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ქვეშაირიტი პოეტი მხოლოდ ის არის, ვინც ინტელექტის მომძლავრების შედეგად კი არ დაიშრატება და შინაგანად არ გამოცარიელდება, არამედ პირიქით — მანამდე არანაზულ სიმძლევებს მისწვდება. მაშასადამე, ვიდრე შემოქმედი გარკვეულ ასაკობრივ ზღვარს არ გასცილდება, თითქმის შეუძლებელია მისი ნიჭიერების მართებული განსაზღვრა. ოღონდ ეს აზრი რომ ძალზე პარადოქსალურად არ მოგვეჩვენოს, საჭიროა აქვე დავეუმატოთ შემდეგი: ქართული პოეზიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სალექსო ტექნიკა საერთოდ იმდენად დიხვეწა, გამოსახვას საშუალებანი იმდენად საყოველთაოდ ხელმისაწვდომი შეიქმნა, რომ ამ ტექნიკასა და ამ საშუალებებს თითქმის უკლებლივ ყველა დამწყები ფლობს. მეტიც, ზოგიერთი მათგანი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ზოგჯერ პირდაპირ ვირტუოზული სალექსო ფორმების შექმნასაც ახერხებს.

ავილით ასეთი მავალით: „პირველი სხივის“ ჩვენთვის საინტერესო წიგნი 34-ე გვერდზე დაბეჭდილია ლექსი „წვიმს“:

„წვიმს,
წვიმს,
წვიმს,
წვეთები ტირიან ისე,
თითქოს ძირს ცვენა სწყინთ,
უნდათ გაბრუნება ცისკენ.
არ უნდათ ფრენა ძირს,
ფოთლები ეყვრიან რტოს,
შემოდგომაა, წვიმს,
და ნელა მიდის დრო.
რომ ასე მუჟია ცო,
მე ისე ძალიან მწყინს.
შემოდგომა,
წვიმს...“

ეს ლექსი ეკუთვნის თამაზ გვაზავს. მომიტევოს ავტორმა, მაგრამ ეს სახელი და გვარი ფართო აუდიტორიისათვის, თუ არ ვცდები, დღემდე აბსოლუტურად უცნობი იყო. ჩანს, ამ ლექსის შემქმნელი ესლად შემოდის ჩვენს ლიტერატურაში. ამბევ დროს კი, როგორც ხედავთ, ლექსის მაინცდამაინც წუნს ვერც მოვუძებნით. იგივე ითქმის თ. გვაზავს ორ დანარჩენ ლექსზე — „რა მაქვს“ და „გალია“ (განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე). და საქმეც ის გახლავთ, რომ ნაწორედ იგივე ითქმის და მეტი ვერაფერი; დღესდღეობით მკითხველნი ვერაფერს ვიტყვი — რა ბედი ეწევა მომავალში თ. გვაზავს, როგორც პოეტს, შემოქმედს. ეს მაშინ დადგინდება, როდესაც მის ემოციურ სამყაროსთან ერთად მოიხაზება მისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი, როდესაც საჩინო გახდება — ფსიქიკური ცხოვრების რა სიღრმეებამდე ძალუძს ჩაწვდენას ხსენებული ლექსების ავტორს და გაირკვევა — აქვს თუ არა მას მკვეთრი ინდივიდუალობა, აწვალუბს თუ არა რაღაც დიდი, გამოუთქმელი თუ მჩნელად გამოსათქმელი, იტანჯება თუ არა ამ „რაღაერთ“ და, ბოლოს, შესწევს თუ არა უნარი მსხვერპლის გაღებისა, შემოქმედებისათვის თავის დაღებისა.

მსგავს შთაბეჭდილებას ტოვებენ „პირველ სხივში“ დაბეჭდილი სხვა ახლადმოკლენილი პოეტები, ვახუშტი კოტეტიშვილი იქნება ეს. თუ ბეჯან სვანიძე, თამარ ერისთავი თუ ლიანა სტურუა, ივერი ტბაშიც თუ გვიე შევილიან, რევაზ ამაშუკელი თუ ფაშა ციციშვილი, თამარ ჯავახიშვილი თუ ალბა ხაიაური, ვიორჯე აბულაძე თუ ოთარ ბობოხიძე და სხვანი. მათ შორის განსაკუთრებით არც ერთი არ გამოირჩევა ჯერჯერობით. ისინი უდავოდ ნიჭიერნი არიან, კარგ ლექსებსაც წერენ, რამდენადაც შეიძლება კარგი ლექსი დაწეროს ქართულმა ინტელიგენტმა კაცმა ლექსის ტექნიკის დასაფუძვლელად გარკვეული დროის მანძილზე ვარჯიშის შემდეგ. ხოლო რაც შეეხება იმ „რაღაც დიდს, გამოუთქმელს თუ მჩნელად გამოსათქმელს“, რომელიც უნდა აწვალუბდეს ყოველ დიდ ხელოვანს, და ურთმოსიოდაც, როგორც უკვე ითქვა, წარმოუდგენელია ქვეშაირიტი. მწვერვალების დამპყრობი შემოქმედება — ასეთი რამ მათ ლექსებში ჯერჯერობით არ ჩანს (ყოველ შემთხვევაში „პირველი სხივის“ პროლუქციის მიხედვით).

სხვათა შორის, ეს აზრი შეიძლება ვაიმიეროთ იმ დამწყები პოეტების მისამართით, რომლებიც გამოავლინა ახლავაზრდა მწერალთა ამ ცოტა ხნის წინათ გამართულმა რესპუბლიკურმა თათბირმა და რომელთა ნაწილის ლექსები დაიბეჭდა „ცისკრის“ 1958 წლის დეკემბრის ნომერში. ეს მით უმეტეს უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფერენციის მონაწილეთაგან რამდენიმე „პირველი სხივის“ სარეცენზოო წიგნის ავტორ-

რცია; ასე რომ, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებანი შესაძლოა განვსაზღვროდეთ, საერთოდ დამწვებ ავტორთა (არა მარტო აომანახში დაბეჭდილთა) შესახებ ვაგიმეოროთ.

ხოლო გამოვრება იმითომაცაა საჭირო, რომ ახალგაზრდა შემოქმედთ კიდევ ერთხელ მოვაგონოთ: ჭეშმარიტ პოეტობა არაა იოლი, ყველასთვის ხელმისაწვდომი და ხელწამოსაკრავი საქმე. იგი ნიჭთან ერთად დიდ შრომას, დიდ დაკვირვებას და სიფრთხილეს საჭიროებს. ყოველივეს რაც ემოციის წამიერ ვაღვლეებისას წარმოსახება შენს წინაშე, პოეზიის საგანი რღობდა. შემოქმედება შეუძლებელია, თუ წამიერი შთაბეჭდილებით აღძრული გრძობები გონების განაწმენდელთ არ გატარდა და არ დაიხვეწა. უამისოდ უკეთეს შემთხვევაში სააღბომო პოეზიას მივიღებთ. ამიტომ ვინც სერიოზულად ეკიდება შემოქმედების საკითხებს, ის უნდა ერიდებოდეს თავისი ყოველგვარი განცდის ლექსის სახით ფიქსირებას, ყოველ შემთხვევაში, თუ თავს ვერ სძლევს, ასეთი ვიწრო პირადული განცდების გამოხატველი ლექსები სხვას არ უნდა მოახვიოს თავზე. ავტორი უნდა ერიდებოდეს მკითხველისათვის ისეთი რამის შეთავაზებას, რაც ორი-სამი წლის შემდეგ, უკან რომ მოიხედავს, თვითონ მასვე გააწითლებს. მე მგონია, მაგალითად, რომ ასე დამარტება ახალგაზრდა პოეტ ქალს ლიანა სტურუას, როდესაც მოწიფულობაში შესული წაითხავს „ციკრის“ მეორე მხარეში დაბეჭდილ თავის ლექსს „დღეს მწვანეა ბალახი“:

„...დღეს ისე ხარბი ვარ,
რომ მსურს ყველას თვალები დავისაკუთრო,
და ვეუბრა ყველას ტალღის სიამაყით,
რომ ჩვენი დავიბადეთ რუსთაველის
ნეკრიდან,
რომ ფიროსმანს უყვარდა ცა და არაყი
და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.
რომ მე დარები მწამს მხოლოდ ქარიანი...“
და ს.ხ.

არა მგონია აქ გამოხატული განცდები თუ შეხედულებები ორგანული იყოს ლ. სტურუასათვის; თუკი მან მსგავსი რამ განიცადა და ეს ყველაფერი მარტოდან ვაღვლით მონაბერი არაა, ეს იქნებოდა წმინდა შემთხვევითობა, გუნების უბრალო კაპრიზი. ამას ზედ ის ამბავიც ერთვის, რომ გამოხატვის მანერაზე და საშუალებებზე თუ ვილაპარაკებთ, ეს ლექსი შემოვიგონოდაა და მეტი არაფერი.

ამ საკითხს ყოველი ახალგაზრდა შემოქმედი უნდა ჩაუფიქრდეს.

რაც შეეხება იმ პოეტებს, რომლებმაც კარგა ხანია თქვეს თავიანთი პირველი სიტყვა და საღლისოდ უკვე ფართო სარბიელზე არიან გამოსულნი, ჩვენი ახალგაზრდული პოეზიის ფან-

გარდში დგანან, „პირველ სივიში“ წარმოდგენილი მათი პროდუქციის დაწვრილებით განხილვა ახალს ბევრს ვერაფერს გვეტყობდა მათი შემოქმედების თაობაზე. მათგან უმეტესობას უკვე ორი-სამი ან თითო წელი მინც აქვს გამოცემული და, ამავე დროს, ყოველი მათგანის პოეზია სპეციალური მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. ამჯერად მე მინდა მხოლოდ ორიოდ მოსაზრება გამოთქვა იმის შესახებ, თუ რა სფეროებისაკენ წარმართა ხსენებული პოეტების შემოქმედებითი ინტერესი (დაწვეული საბატერატურო სარბიელზე მათი დამოსვლის ხანადან, 50-იანი წლებიდან), რა არის მათთვის ყველაზე არსებითი, დამახასიათებელი და რა განასხვავებთ ერთმანეთისაგან. მთლიან უფრო საჭიროა, რომ ამ პოეტების შემოქმედებითი მეოხა უკვე საკმაოდ მკვეთრად გამოვლინდა და, ამავე დროს, ახალგაზრდული პოეზიის საგრძობი ნაწილი ძირითადად მათ მიერ გაყვალულ გზას მიჰყვება.

უკანასკნელი წლების ქართული პოეზიაში იზინა თავი ერთმა თავისებურმა მოვლენამ — პოეზიის, მისი გამოხატვლობითი საშუალებებისა და ხერხების პროზასთან დაახლოების ტენდენციამ. ეს ტენდენცია, უწინარეს ყოვლისა, ელინდება როგორც სწრაფად საგნობრიობისაკენ, ისეთი დეტალებისაკენ, რომლებსაც ტრადიციულად ვაგებული პოეზია ახსოვებურად უგულებელყოფდა და რომლებიც, ასევე დიაციის თანახმად, მხოლოდდამხოლოდ: პროზის კუთვნილებად მიგაჩნდა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, როგორც შედეგი — მიდრეკილება მსჯელობისაკენ. სამყაროს ამგვარი აღქმის მქონე პოეტები ცდილობენ შეძლებისდაგვარად ღრმად დაინთქან ყოველდღიურობაში, საგნებში, ერთი შეხედვით თავმომბზებრებულსა და „პროზულ“ წერილმანებში, რათა შემდგომ, ქვეტექსტის მეოხებით ყოველივე ამის განყენებითა და უპოვებობით, მისწვდენ ფსიქიკის ხვეულებს, საბოლოოდ კი — სულიერი ცხოვრების სიმაღლეებს. ამგვარ პოეტთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ არჩილ სულაკაური, ოთარ ქილაძე (რომლის პოეზიაშიც ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა ეს ტენდენცია) და გივი გვაგვიკორი (უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ლექსების მიხედვით). გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად აღნიშნული ტიპის პოეტთა შემოქმედების თავისებურებას ის იწვევს, რომ ეს უკანასკნელნი თანამედროვე დიდ ქალაქში გაზრდილნი, ქალაქის მკვიდრნი არიან და ქალაქური ყოფის თავისებურებით საზრდობდნენ. მე მგონია ეს მოსაზრება მხოლოდ იმდენადან სწორია, რამდენადაც ხაზს უსვამს ერთ საგულისხმო გარემოებას: მსგავსი მსოფლმეგრძენება მართლაც მხოლოდ ქალაქის ძირულ მკვიდრს შეიძლება გამოემუშავდეს. მაგარც, მეორე მხრივ, შემოქმედებითს პრაქტიკაში ამ მსოფლმეგრძენების მიყოლისას, გარემოსა და ყოფის არავითარი მნიშვნელობა

აღარ აქვს: სამყაროს ამგვარად აღმქმელი პოეტისათვის სულ ერთია — ქალაქად იქნება თუ სოფლად, ქუჩებს აღწერს თუ ველ-მინდვრებს; მისთვის უმთავრესია საგნობრივი დატვირთვა ნაწარმოებისა (მოვიყონოთ ო. ჭილაძის — „ეც-ვისა წიწვი მხარებს, ზურგებს, მელდებს...“).

სხენველი ტენდენცია გვეთვალა გამოსჭვივის აგრეთვე მუხრან მაკუაარიანის პოეზიაში. მაგრამ ეს უკანასკნელი ლექსის პროზასთან დაახლოების ფუნქციას ძირითადად ანტურაჟს კი არ აკისრებს, არამედ წმინდა გამომსახველობის საშუალებებს — სიტყვიერ მასალას, ფრაზის წყობას, ინტონაციას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მ. მაკუაარიანს საკმაოდ გამოუჩნდნენ მიმდევრები.

აქ შესაძლოა წამოიჭრას ერთი საკითხი: რამდენად მისაღებია აღნიშნულ პოეტთა მიერ არჩეული გზა და რამდენად ეგუება ყოველივე ზემოთქმული პოეზიის თვისებებს? უწინარეს ყოვლისა, ერთი შენიშვნა: სხენველი ტენდენცია ჩვენში ახალგაზრდა პოეტებს არ დაუშკვიდრებით. მათ მხოლოდ უფრო წინა პლანზე წამისწიეს ის ელემენტები, რომლებიც, ვფიქრობ, აღდგენენ ჩასახულ იყო უფროსი თაობის ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში. ხოლო დასავლურ ლიტერატურაში ეს ტენდენცია იმდენად მოძიავრდა, რომ, რამდენადაც ვიცო, მისი საბირთვიანი და მის რეაქტივად უკვე გაჩნდა ახალი ნაკადი — სწრაფად ანტიეროი სინთლისა და სინატიფისაკენ. რაც შეეხება ამ გზის მეწყურარებას თუ უგულვებულობას, ეს უკვე წმინდა გემოვნების საქმეა, გემოვნების გამო კი, ნათქვამია, არ დავობენი. საერთოდ, ამ საკითხზე დავა მე ნაადრევად მიმანია. უმაჯობესია, ჯერ-ჯერობით ნურც „პო-ს“ ვიტყვი და ნურც „არა-ს“, ვიდრე სხენველი ტენდენცია საბოლოო სახით არ ჩამოყალიბებულა და თავისი საბოლოო ნაყოფი არ გამოუღია. მხოლოდ ერთი რამ კი ამოავითვე უნდა შეენიშნოთ: ეს ტენდენცია თავისთავში უდალეს საფრთხესაც შეიცავს; საკმარისია პოეტმა საგნობრიობისაკენ სწრაფვა თვითმინდა გაიხადოს, საშუალებისთვის ბრძოლისას დაივიწყოს მიზანი — წედობა სულიერი სიმადლებებისა, ან კიდევ თუნდც წუთიერად დაკარგოს ზომიერების გრძნობა და პოეტური აღ-ლო, რომ უნდა თავს იჩინოს საველლო შედეგლექსის გადაქცევა პროზად (ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით), მოსაწყენ წილადობილად და შეავდ „ფილოსოფიად“ ნატურალიზმის უხეი საქმანოთერი. ამის თაობაზე არას ვიტყვი, მაგრამ სხენველი პოეტების, აგრეთვე ზოგიერთი მათი მიმამქელის ლექსებში, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც იგრძნობა საფრთხე ამგვარი დღესასწაულისა.

რადღა თქმა უნდა, ზემოხსენებული პოეტების ყრთად დასახელება სრულებითაც არ ნიშნავს ამას, თითქოს თვითველ მათგანს მკვეთრად გა-

მოკვეთილი ინდივიდუალური პროფილი არ ჰქონდეს; ყოველი მათგანის პოეზია (გ. ვევექვიროს გამოკლებით, რომელიც ჯერ კიდევ ძიების პროცესშია და რომლის პოეტური თვალთახედვის არე საბოლოოდ ჯერ არ მოხაზულა) შესაძლოა და კიდევ უნდა იქნეს საკეთალური მსჯელობის საგნად. ამ პოეტების ერთად მოხსენების მე მინდოდა მხოლოდ ხაზი გამესვა მათი გამაერთიანებელი, ყველაზე მეტად დამახასიათებელი ტენდენციისათვის.

ამვე მოსაზრებით ვხელმძღვანელობ, როდესაც ერთიმეორის გვერდიგვერდ მოვიხსენიებ გარკვეული მხრივ ისეთ განსხვავებულ პოეტებს, როგორც არიან ჯანსუღ ჩარკვიანი, ზურტ ბოლქვაძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე და ემზარ კვიციანი. ეს პოეტები შედარებით ტრადიციულნი არიან (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), ამდენადვე უფრო ეროვნულნიც (ამ სიტყვის შეზღუდული გაგებით). მათი პოეტური ხედვა არ გულისხმობს მკვეთრ დამორისპირებას იმ პოეზიის მიმართ, რომელიც კლასიციზმის დროიდან მოყოლებული მისდევს ჩვენი ლიტერატურის ძირითად ხაზს (სიტყვას აღარ ვავაზობებ ამის თაობაზე, რომ „დამორისპირებაში“ იდეოლოგიური მომენტი არ იგულისხმება და არც შეიძლება იგულისხმებოდეს; აქ ლაბარაკია მხოლოდ პოეტური აღქმასა და გამოსახვის საშუალებებთან დამოკიდებულება). მათთვის ყველაზე დამახასიათებელია სილაღ სამყაროს აღქმისას, ღალისიანი მხურა, რომელიც ნაკლებად ეგუება იქვსა და მრუმე ფერებს, აგრეთვე მსუბუქი იუმორი თუ ირონია, რომელიც მოულოდნელად გაივლავს ხოლმე რეალისტით დამამიმებულ განწყობაში და იშვიათ ეფექტს ჰქმნის.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც აერთიანებს პოეტების გარკვეულ ჯგუფს. ეს გაზლავთ ცლა — ამოვიდნენ ფოკლორიდან, როგორც თვითმყოფადი და თვითმკმარი საყრდენიდან და ამ საფუძველზე შექმნან თავისებური ინტონაცია. „პირველ სივში“ დაბეჭდილი პოეტებს შორის ეს ტენდენცია ახასიათებთ, უწინარეს ყოვლისა, მორის ფოცხიშვილსა და გურამ გოგიაშვილს, ახალ მოვლენილთაგან — ნელი გაბრიჩიძეს.

მე განზრდა არადერს ვამბობ ისეთ თავისთავად პოეტზე, როგორცია თამაზ ჭილაძე: დღეს თუ ხვალ გამოვა მისი ლექსების მცორე წიგნი და მამინ მის მკითხველებს ალბათ ძალზე ბევრი რამ ვეუქნება სასაუბრო თუ საკამათო.

ცალკე მინდა შევჩერდე შოთა ნიშნინიძეზე. ეს არის აგრეთვე ერთობ თავისთავადი, ორიგინალური ხმის პოეტი. სასიხარულოა ერთი რამ: უკანასკნელი ხანს შ. ნიშნინიძის პოეზიაში იგრძნობა თვალთახედვის არის გაფართოება და მკვეთრი ინტელექტუალური აღმასკლა. წარსულს ჰპარდება მისი ლექსების ერთგვარი გულ-

უბრყვილობა (რაც დღემდე შემორჩა მის ინტონაციას).

• •

ჩვენში ესაა ხშირად ამბობენ — უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული პროზა საგრძნობლად მბოროტდება და თავისი ხვედრითი წილით ლამის პოეზიასაც გაუსწროო. ამ აზრის წარმოქმნა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენს ლიტერატურაში ნიჟიერ ახალგაზრდა პროზაიკოსთა გამოჩენამ. ესენი არიან, უწინარეს ყოვლისა, გურამ გვეგშიძე, გურამ ჩრეულიშვილი, სოსო კორინთელი, მერაბ ელიოზიშვილი, თამაზ ნატროშვილი, იოსებ ყაჭვიშვილი და ზოგიერთი სხვა. „პირველ სხვის“ სარეცენზოა წიგნში არის ახალი სახელებიც: გულბათ აბელიშვილი, იოსებ აფთიაური, თეიმურაზ ბოცკაძე, აკაკი ბრეგვაძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, სულხან ქეთულაური, აკაკი ძინიბაძე და რევაზ ჭეიშვილი (გასაგები მიზეზის გამო არაფერს ვამბობ ვლადიმერ გოგოლაშვილის მხატვრულ ნარკვევზე და ალექსანდრე სამსონიას იუმორისტულ მოთხრობაზე. რაც შეეხება რევაზ ინანიშვილს, ცხადია, ის ახალგაშობულნილ პროზაიკოსთა შორის არ ჩაირიცხება).

ახალგაზრდა პროზაიკოსებზე საუბრის დაწყებისას მინდა გავიძიროო ზემოთ გამოთქმული დებულება, რომლის თანახმად მწერლის (პოეტის) იქნება თუ პროზაიკოსი) კუშმარტი ბუნება მხოლოდ მისი ინტელექტუალური მომწიფების შემდეგ გამოჩნდება ხოლმე. ამ თვალსაზრისით თუ შეხედოდათ საქმეს, „პირველ სხვის“ დაბეჭდულ პროზაიკოსთა უმრავლესობის შემოქმედების დაწვრილებით განხილვა აშკარად ნაადრევი იქნება. ჯერ ერთი, აღმანახში ისინი თითო-ორთა ნაწარმოებით არიან წარმოდგენილი, მეორეცა და მათი ნიჭისა და უნარის სრული გამოკვლევა მოსალოდნელია არა ახალევი, არამედ მომავალში, როდესაც ისინი გასდებოიან გარკვეულ ასაკობრივ საზღვარს. ამიტომ მე ამჯერადაც ვამჯობინებ იმით შემოვიფარგლო, რომ ზოგად პლანში დაგაყენო ჩვენი პროზის განვითარების საკითხი და მივუთითო იმ ძირითად ტენდენციებზე, რომლებიც შეინიშნება ახალგაზრდა პროზაიკოსთა (მათ შორის „პირველ სხვის“ წარმოდგენილთა) შემოქმედებაში.

დაწყებულა ახალეუ საუკუნის 60-იანი წლებიდან, სავესებით გარკვეული და გასაგები მიზეზების გამო, ქართული პროზა ისე განვითარდა, რომ, უმნიშვნელო გამოწვევების გარდა, ყოველი ნაწარმოები სოფელს შეეხებოდა. უმთავრესად გლეხკაცობის ბედ-იღბლს და აქედან გამომდინარე პრობლემებს დასტრიალებდა თავის „სოფლის თემატკა“ ჩვენმა საუკუნემაც მემკვიდრეობად მიიღო. კიდევ მეტი: რევოლუციის შემ-

დგომ ეპოქაშიაც კი, როდესაც ქალაქური ცხოვრება იმდენად მომსაღვრდა, რომ თითქოს შეუძლებელი იყო მისი იგნორირება, ქართულმა პროზამ ვერ იქნა და „გული ვერ მოიბრუნა“ ქალაქზე და მე მგონი არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ დღესდღეობითაც ჩვენი მწერლობა უმთავრესად სოფლის თემატკით საზრდობს. ამჟამად ხელს ვერ მივყოფთ ამ საკმაოდ უცნაური მოვლენის ახსნას და მის მიზეზთა გამოწვევილას. მხოლოდ ის კი უნდა აღინიშნოს, მსგავსი მდგომარეობა ბუნებრივად ვერასვზით ველარ მიიჩნევა. ამ ამბავს კარგად ვაძრნობენ (და, ასე ჰგავს, სხვებზე უფრო მწვავედ განიცდიან) დამწყები მწერლები. ამიტომაც, რომ მათი საკმარისი ნაწილი მეორე უქიდურესობაში მოექცა — სოფელს სავესებით შეუბრუნა ზურგი. ქალაქის მკვიდრი ადამიანი, ძირითადად ინტელიგენტი და მისი ბედ-იღბალი, მისი სულიერი სამყარო — აი რა არის ახალგაზრდა ავტორთა (მათი ერთი ნაწილის) დაუოკებელი ინტერესის საგანი.

მაგრამ, მართალია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა აისახება, არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე საკითხი — რა გო რ აისახება. ამ მხრეც კი დამწყები მწერლებს დიდი სიმძნელები გადაეღობათ.

უპირველესი სიმძნელე გახლავთ ტრადიციის უქონლობა. ქალაქური ყოფა, ახალი ანტურაჟი გამოსახვის ახალ საშუალებებს მოიხიბოს, ეს საშუალებები კი ქართულ ლიტერატურას ძალზე სუსტად აღმოაჩნდა დამუშავებული. ის ლექსიცა, ის სტილი, ინტონაცია და რიტმი, რომელიც მშვენივრად გამოსახავდა სოფლური ცხოვრების რთმეოვლ გუნებათ სფეროს, ქალაქის პირობებში არ გამოვდა.

მეორე მხრივ, პროზის განვითარების თანამედროვე დონე ახალგაზრდებს უკარნახებდა, რომ აღარ შეიძლება დაკმაყოფილება მარტივი აღწერის მეთოდით; გამოსახვის მაქსიმალური სიმკვეთრისა და სიღრმისათვის დღესდღეობით აუცილებელია ქვეტექსტის მინიშნების, ნახევარტონების და სხვა, შედარებით ძნელად დასამორჩილებელ საშუალებათა გამოყენება. ეს კი იოლი საქმე არაა და ზოგჯერ შემოქმედს გამარჯვების ნაცვლად დამარცხებას აგვმებს ხოლმე — გააჩნია მწერლის ნიჭსა და მუშაობის უნარს.

ეს ყოველივე უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ახალგაშობულნილ პროზაიკოსების ნაწარმოებთა განქიქების გუნებაზე ვდგებით. უამისოდ დიდი გონებაშეხვილობა არაა საჭირო იმისათვის, რათა მათ ვუკითხოთ ენის არცოდნა თუ განზრახ დამახინჯება, ან უილაჯობა მხატვრობისა.

ზემოაღნიშნულის გარდა დამწყები პროზაიკოსთა უმეტესობას კიდევ ერთი დამახასიათებელი ტენდენცია აერთიანებს. ეს არის მიდრეკილება



(ცნობიერად თუ თავისთვისვე გაუცნობიერებლად) პროზის პოეზიასთან დაახლოებისა. ეს ტენდენცია, უწინარეს ყოვლისა, გამოხატება ვრცელ, ტევად ეპარზე, აგრეთვე სიუჟეტის დომინანტურ მნიშვნელობაზე უარის თქვით, მისწრაფებით იმისაკენ, რომ აისახოს ფსიქიკის ნიუანსები, უღრმესი ზვევლები და ეს მოხდეს ერთგვარ სტატიურობაში, განვითარების მომენტის გაუთვალისწინებლად. ამ ტენდენციის გამოხატველია აგრეთვე სტილისტური და რიტმული ძიებანი, რომლებსაც ესოდენ ხშირად და ესოდენ დიდი გულმოდგინებით მიმართავენ დამწყები პროზაიკოსები.

ამ ტენდენციის აღმძვრელი მიზანი — მაქსიმალური სიღრმით ჩასწვლენ ადამიანის სულის ზეეულეს, მხოლოდდამზოლოდ მოწონებისა და წახალისების ღირსია. ფსიქოლოგიაში, მით უმეტეს ჩვენს ხანაში, აუცილებელი ელემენტი კუშმარტი პროზისა. მაგრამ, ჩემის აზრით, ახალგაზრდა მწერლებმა (მათმა ნაწილმა) ამ მიზნის განსახორციელებლად მცდარი გზა იარჩიეს. ადამიანის განსახიერებამ სოციალურ გარემოსაგან (ამ სიტყვის უფართოესი გაგებით) იზოლირებულად, დაწყვეტილი ჯაჭვის მსგავსი რკალებით, როდესაც მოზლილია მიზეზ-შედეგის კანონის ფუნქციები, რითაც თითქოს ხელშეახები უნდა გახდეს ფსიქიკის ქვეცნობიერი თუ უცნობი სფეროები, ადამიანის ამგვარად განსახიერებამ შესაძლოა თავდაპირველად შექმნას ილუზია სულიერ სიღრმეთა წვდომისა და ინტელექტუალიზმისა; მაგრამ საბოლოოდ ეს გზა კუშმარტიად დიდ პროზამდე ვერ მივყავან.

ეს გზა ახალი არაა. დასავლურ მწერლობაში კარგა ხანა შეინიშნება ტენდენცია, რომელიც გულისხმობს პოეზიის პროზასთან და პროზის პოეზიასთან მაქსიმალურ დაახლოებას. მაგრამ თუ ამათგან პირველმა უიტმენის და მისი ზოგიერთი მიმდევრის შემოქმედება იშვიათ სიმძლავრე იყავან, მეორეს, ჩემის აზრით, რაიმე საგულისხმო შედეგი არ გამოუღია, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც.

ესეც არ იყოს, თუ ფსიქოლოგისმა და სულიერ სიღრმეთა წვდომას შეეხება საქმე, დოსტოვევსკისა და რომენ როლანზე დიდი ფსიქოლოგები ალბათ ვერც მოიძებნება მსოფლიო ლიტერატურაში. და, მიუხედავად ამისა, ორივე მათგანმა ისე შეძლო თავთვისა იდეალის წვდომა, რომ ადამიანი სოციალური გარემოდან არ გამოუთიშავთ და დინამიკა, სულიერი განვითარება სტატიკით, წყვეტილი ხაზებით არ შეუცვლიათ.

ამ სიტყვების დაწერისას მე უკვე წარმომიდგენია ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის სკეპტიკური ღიმილი: რა დროს დოსტოვევსკი და როლანიო, იტყვიან, ეს ადამისდროინდელი მწერლები ჰემინგუეისა და დოს პასოსის ხანაში რა

სახსენებია, მათი მხატვრული მეთოდები დიდა ხანია მოქველდა.

რა შეიძლება ითქვას ამის საპასუხოდ? უწინარეს ყოვლისა ის, რომ, თუკი აუცილებლად უცხოელ მწერლის მაგალითს უნდა მივმართოთ. რატომ ვიფიქვებ რემარკსა და თომას მანს? ნუთუ „უამი სიცოცხლისა და ეამი სიკვდილისა“ რითიმე დაუვარდება ჰემინგუეის რომელიმე ნაწარმოებზე?

მე მინდა ახალგაზრდა მწერლები გულდასმით, ღრმად ჩაუღრმადენენ ამ ამბავს, რომ დიდი, ამაღლებული, პროგრესული იდეების გარეშე არ არსებობს კუშმარტიად დიდი პროზა, დიდი ლიტერატურა. სკაიციბროთი იდეალებზე როგორც მოსაწყვეტ მძიმე ტვირთზე უარის თქმა და ფსიქიკის ნიუანსებში თვითმიზნური ხიბრადელოება „ნადირთა მცირეთა ხოცვის“ გზა და ვისაც ცხოვრებისეულ იდეალად ხელუცებისათვის თავის დადება დაუსახავს, მას თავისი გზის არჩევისას აჩქარება არ მართებს, რათა ბოლოს, უკან რომ მოიხედავს, განვიღო გზაზე გაწეული ჯიფა ფუჰლ და უმაქნისად არ მოიჩინოს.

ყოველივე ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს ზემოთ ნაველისი ტიპის მოთხრობათა წერა ფუჰი და უსარგებლო საქმე იყოს. მაგრამ მხოლოდ ამ გზით სიარული, შემოქმედებითი ენერჯის შეწირვა მხოლოდ იმ საქმისათვის, რომელიც შესაძლოა ლიტერატურის ხანმოკლე მოდას ემსახურებოდეს, უმკველად საზიანა და უპერსპექტივო.

ამისთან დაკავშირებით მაგონდება, რომ ერთმა ზემოხსენებულ ახალგაზრდათაგან, სახელდობრ სოსო კორინთელმა, უკვე სცადა ვარლევია იმ სამანებისა, რომლებიც მან და მისმა თანამოკალმებმა თვითონვე დაუწესეს თავიანთ შემოქმედებას. მე ვგულისხმობ ძალზე საინტერესოდ ჩაფიქრებულ მოთხრობას „წუთისოფელი ანა“. რა ვუყვით, რომ ავტორის საწინდლო ბოლომდე არ გასწვდა, რომ მისმა ჩანაფიქრმა ხორცი კარგად ვერ შეისხა და მოთხრობა, ცოტა არ იყოს, კულდოკეცილო გამოვიდა. ეს მაინც ცდა და ძალზე საინტერესო ცდა, ხოლო მცდელობა მუდამ გამარჯვების საწინდარი ყოფილა.

მთარგმნელობითი მუშაობა დღემდე რჩება ქართული ლიტერატურის აქილევსის ქუსლად მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ დღესდღეობით საქმოდ ვეყვანან მაღალკვალიფიციური მთარგმნელები, ამ დარგში ხალტურის მოძალემა იმდენად დიდი, ხოლო სამუშაო იმდენად ბევრი, რომ მათი ნაღვაწი ამინდს ვერ ქმნის. კარგი მთარგმნეების ამედროთი წონა ჯერჯერობით ძალზე მცირეა. ამიტომ კვალიფიციურ მთარგმნელთა და მთარგმანთა მომრავლება ქართული



ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გადაუღებელი ამოცანაა.

ემ მხრე "პირველი სხვისი" სარედაქციო კოლეგია საქმეს ერთობ გულსხმიერად მოჰკიდებია. აღმანახში თარგმანებს მოზრდილი ადგილი აქვს განუთვნილო. ამასთან აღსანიშნავია, რომ საბარგმნი მასალა შერჩეულია ძალზე ფართო პათარტ; რაბერტ ბერნის, უილიამ ბლეივი, ნიკოლას გილიენი, გოეთე, იაპონელი პოეტები, ავეტიქ ისაკიანი, მიხეილ ლერმონტოვი, ჯეკ ლონდონი, ვარსია ლორკა — აი არასრული სია იმ ავტორებისა, რომელთა შემოქმედებითაც დაინტერესებულან ახალგაზრდა და დამწყები მთარგმნელები. როგორც ხედავთ, არჩევანი ერთობ მრავალფეროვანია. ასე რომ მინიატურული სახით თითქმის კიდევ განხორციელებულა ის იდეალი, რომელიც გამოთქმულია თარგმანების განყოფილებისათვის დართულ, მეტად საინტერესოდ და კვალიფიკირად დაწერილ შესავალ სტატიაში ("ფართო პირიზონისათვის"): "....ძირეული ცვლილებებმა აუცილებელი გახადეს ერთი ერის მიერ მსოფლიოს დანარჩენ ერთა კულტურული მონაპოვრების გაცნობა და ათვისება, აქამდე უცნობი ცივილიზაციების მიერ სულელების გზაზე დიგროვებულა ცდების ურთიერთ გაზიარება... თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის სისხლის მიმოქცევის მთავარი არტერიაა, ურომლისოდაც ჩვენს დროში შეუძლებელია დიდი ლიტერატურის არსებობა და განვითარება".

შეუძლებელია არ დავეთანხმით იმ სიტყვებს, აგრეთვე სტატიაში წააოყენებულ სხვა პრინციპული ხასიათის დებულებებს. ამასთან ერთად, ვიდრე ცალკეულ მთარგმნელებზე ვიტყოდეთ რასმე, სასურველი იქნებოდა ზოგადად მიანიშნოხა იმ პრინციპებისა, რომლებიდანაც გამოდინარე გაბირებთ ამა თუ იმ თარგმანის შეფასებას. მაგრამ ვინაიდან ეს ვასცდებოდა ჩემი წერილის ფარგლებსა და მიზანდასახულობას, ამხანად მოიხილება რამდენიმე მთარგმნელისა და თარგმანის გამო ცალკეული შენიშვნებით დავამყოფადღე.

ჯორჯანელებმა უკვე დაიმკიდრეს აღიარებულ, მოსაწონ მთარგმნელთა სახელი. "აღმანახში" დაბეჭდილი ნაწყვეტი გოეთეს "ეგმონტისა", ჩემის აზრით, აგრეთვე უზალოდ არის შესრულებული (მკითხველს ვაფრახბლებ, რომ, ვასაგები მიზნის გამო, მე ვერაფერს ვიტყვი წარმოდგენილი თარგმანის დედანთან მიმართებასა და სახალეოზე. აქაც და ქვემოთაც ლაბარაკი იქნება თარგმნილი ნაწარმოების, როგორც თავისთავად, დამოუკიდებელი ფენომენის, ორიგინალური ქმნილების შესახებ, დედანთან მისი მიმართების გარეშე. ასეთი თვალსაზრისი საწროთაროდ სურავის მოყვნიება: ხელმარცხიანი მთარგმნელთა მომარავლების უმთარგესი მიზნუნი ისაა, რომ თარგმანის განხილვისას პირველ კითხ-

ვად დაისმის — "რამდენად ზუსტად გადმოილო მთარგმნელმა ორიგინალი?" და არა — "არის თუ არა ეს თარგმანი შრობლიური ლიტერატურის შენაქენი?"). მიუხედავად ამისა, მიანიჭ ყურს ცუდად მოხედა რამდენიმე ფრაზა და მინდა მთარგმნელებს გაეუზიარო შთაბეჭდილება.

"რა შედრება მისდამი თქვენს დიად სიყვარულს?" "მისდამი სიყვარული" ქართული არაა. სიყვარული ვისი და არა ვისდამი; ქალის სიყვარული და არა ქალისდამი სიყვარული. გვიხსენოთ: "მაგრამ შენი სიყვარული ჩაივრანე, ჩამრჩა გულსა". სურავის შეაშინებს ის ამბავი, რომ მსგავს შემთხვევებში შესაძლოა ერთბაშად ვერ გაიარევეს ვისი სიყვარულის გამოა ლაბარაკი — ქალი უყვართ, თუ ქალს უყვარს, ქალი სიყვარულის ობიექტია თუ თვითონ არის სუბიექტი. მეგრე რა ვუყვართ? განა სხვა შემთხვევებში არ შეიძლება ამა თუ იმ სიტყვათშეხამებამ გაუგებრობა გამოიწვიოს, თუკი ფრაზაში, კონტექსტში მარჯვედ არ იქნა ნახმარი? სურც ის შეგვაფიქრინებს, რომ ჯროგჯანელების ზემოთ მოტანის ფრაზა ("რა შედრება მისდამი თქვენს დიად სიყვარულს?") აქ წარმოდგენილი რეცეპტით მექანიკურად, ერთი კალმის მოსმით ვერ გადაკეთდება, ვერ გაიმართება. მსგავს შემთხვევებში აუცილებელია დედნის კონსტრუქციის დარღვევა და ისე ავება ფრაზისა, რომ "მისდამი სიყვარულის" ხმარება აუცილებელი არ შეიქნეს და "მისი სიყვარული" ჩაისვას სათანადო ადგილას. ნუ აღედლებით, ეს ქართული ენის სიღარიბის მაჩვენებელი არ იქნება — მრავალი ქართული კონსტრუქციის ინდოევროპულ ენებზე პირდაპირ, დაუშლელად გადატანა არ ხერხდება, მაგრამ ამის გამო ეს ენები არავის დაუწუნებია.

"მისდამი სიყვარულზე" აღმენ ხანს იმითომ შეჩერდი, რომ, ჩვენი ენის საჯალალოდ, უცხო ენათა გავლენით მსგავსი კონსტრუქციები ამ ბოლო ხანს ძალზე მოქარბდა და, ჩანს, მათ ვერც კარგმა მთარგმნელებმა აარიდეს თავი. ემ აზრს ადასტურებს რამდენიმე სხვა არაქართული წყობის ფრაზა: "მე გრავის შესახებ მოგახსენებთ, ეგმონტის შესახებ", "თავს ბედნიერად მიამნდათ"; "სთელიდენე" რუსულია); "ნუ დაუშვებთ, რომ თქვენმა შეილებმა ოდესღაც გვიხიონ" ("ნუ დაუშვებთ" ყოვლად შეუწყნარებელია. "ოდესღაც" უნდა შეიცვალოს: "აოდესღაც"); "თქვენმა იღუპებით, თუკი ეგმონტი დაიღუპება" (აქაც რუსული თუ სხვა ინდოევროპული ენის გავლენაა. ზმნას "თუკი" რომ დეართვის, მომავლის მწკრივის ნაცვლად ნამყო წყვეტილი უნდა დაისვას: "თქვენმა იღუპებით, თუკი ეგმონტი დაიღუპება"); "რა წოდებისაც არ უნდა იყვნენ ისინი" ("არ სრულიად ზედმეტია, უცხოური წარმოშობის ვახლავთ); "ეგმონტი ძილში მყოფი ადამიანის მოძრაობას აკეთებს..." "ო, ლთავბ-



რეივი თავის მივლბა, მან ჩემი გულით საყვარელის სახე მიიღო“.

ამით ამოიწურება ჩემი შენგვნები „ეგმონტის“ ნაწყვეტის გამო. სხვა მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, თარგმანი უნაღოა.

ალმანახში დაბეჭდილია იაზონურა კლასიკური პოეზიის ნიმუშები. მთარგმნელთაგან თამაზ ჩხენკელზე სიტყვას არ გავაძრებლებ: მისი სახით აღმოსავლური (ინდური, ჩინური, იაზონური, კორეული) პოეზიის ბრწყინვალე გადმომქართულმებელი გეყავს. რაც შეეხება რიადარ დუმბაქეს, მისთვის ეს საქმე ახალია და არც თუ იმდენად ორგანული. მიუხედავად ამისა, რამდენიმე „ტანკა“ მან საკმაოდ კარგად დაძლია. მაგრამ, გულახდილად უნდა ითქვას, იაზონელ პოეტთა სამსტრეიონიანი ლექსები ქართულად ვერ ჰქმნიან ისეთ ეფექტს, როგორსაც რუსულმა თარგმანებმა შეგვაჩვენა: დაკარგულია განწყობილობის ნიუანსები და თქმის უადრესი ლაკონურობა. ეს არც არის გასაკვირი — ამ ლექსების ქართულად შექმნა პირველივე ცდით ვერ მოხერხდებდა, საამისოდ საჭიროა მთარგმნელთა ორი-სამი თაობის დაძებული მუშაობა და სათანადო ტრადიციის შექმნა.

თავს ვერ ვიკავებ იმისაგან, რომ მცირე საყვედური არ გამოეთქვა შესანიშნავი მთარგმნელის მაგალი თოდუას მისამართით. მან გრძელი და საძნელო გზა განვლო, ვიდრე სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ნიმუშების ბრწყინვალე თარგმანთა შექმნას შეძლებდა. რუდაქის ლექსთა მისეული თარგმანები კარგი მოქართულის, დასრულებული ოსტატის ნახელავია. საერთოდ, სპარსულ-ტაჯიკური, პოეზიის მოყვარულინი ჯერჯერობით თითქმის მხოლოდ მისი შემყურენი ვართ და გვახარებს მისი ყოველი წარმატება, მარჯვედ მოქმეული ყოველი ფრაზა, გამოთქმა თუ ცალკეული სიტყვა. უკანასკნელ ხანს მ. თოდუა, ჩემის აზრით, უკიდურესობაში გადაიქრა: იგი მართებულად იქცევა, როდესაც თარგმნისას ხალხურ პოეზიას მისმართავს და ხშირად ესესხება კიდევ მას. მაგრამ ხალხური პოეზიის მოშველიებამ ლექსის გაუმართალოებამდე (ზოგჯერ კი აშკარა ვულგარობაცამდე) არ უნდა მივიყვანოს; მით უმეტეს, რომ საკითხი შეეხება სპარსულ-ტაჯიკურ პოეზიას, რომელიც, რამდენადაც ენის არმცოდნენი უცხო წყაროებით ვიცნობთ, გამოირჩევა

ინტელექტუალური სიღრმით, დახვეწილი განწყობილებებითა და რაფინირებულ, ნატიფ სტილით. ამ პოეზიის ნიმუშთა გადმოქართულმებისას გადაჭარბებული ხალხურობა და სტილის ზედმეტი გუბარალოება მე მგონი ზიანის მეტს არაფერს მოიტანს. ავიღოთ „პირველ სხივში“ დაბეჭდილი ივავი ნსკერ ხოსროვისა. მართალია, რაკი საქმე ივავთან ვეჯექს, ეს ნაწარმოები დედნის ენაზეც ალბათ შედარებით უფრო საღად იქნებოდა დაწერილი; მაგრამ ქართული თარგმანი ამ მხრივ ერთბა უნდა აჭარბებდეს („ბეჩა! მე კი ოცი დღის ვარ“, „აი, მაშინ ვნახობთ, კვახო“ და სხვ.). ეს საკითხი ღირს იმად, რომ მის გამო სპეციალური გულდაძვდარი საუბარი ვიშარტოს. ურიგო არ იქნება, თუ მაგალი თოდუა თავის მოსახრებებსაც გავავაცნობდა პრესის საშუალებით.

მისასაღმებელია, რომ ალმანახმა გამოავლინა ახალი უექველად პერსექტივიანი მთარგმნელები. ეს ითქმის, უწინარეს ყოვლისა, ბესიკ ადიშვილის, ედიშერ გიორგაძის, არიან ჰანტურისა და გივი შანსაზარის გამო. კერძოდ, ძალზე საინტერესოა ბ. ადიშვილის ცდა ვერმანელ კლასიკოსთა გალაკტიონისეული ტიპის ლექსით გადმოღებისა.

• •

მე არაფერი მითქვამს ალმანახში არსებულ კიდევ ორ განყოფილებაზე, ესენია — „საბავშვო ლიტერატურა“ და „ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა“. ამთაგან პირველი ვრცელი საუბრის მასალას არ იძლევა და შეიძლება მოკლედ დავაცხენათ, რომ იქ დაბეჭდილია ეთერ ბასილაშვილისა და ნოდარ დუმბაძის კარგი ლექსები, აგრეთვე დილია სულხანიშვილის მშვენიერი მოთხრობა. მეორე განყოფილება გაცილებით საინტერესო იქნებოდა, საზოგადოებისათვის ცნობილ კრიტიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა გვერდით (თუნდაც ნაცვლად) დამწყებ, გამოუცდელ ლიტერატორთა სტატიები რომ საკმაოდ ყოფილიყო წარმოდგენილი. მე მგონი ეს ერთდღერთი საყვედურია, რომელიც ეთქმის „პირველი სხივის“ ამ უკანასკნელი წიგნის სარედაქციო კოლეგიას. სხვა მხრივ მას მადლობის მეტი არაფერი დაუმსახურებია.





თანგიზ ბუაჩიძე

მ. ღერმონტოვის რომანტიკული შემოქმედების ზოგადი თავისებურება

დიდი პოეტის შემოქმედების ხასიათი ძნელია განისაზღვროს მთლიანად და ამომწურავად ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულებით. სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობით და საზოგადოებრივ-ისტორიული პირობებით წარმოქმნილი ლიტერატურული მიმართულებები ყველაზე მკაფიოდ თავის დიდ წარმომადგენლებში ვლინდება, მაგრამ ზოგჯერ მათსავე შემოქმედებაში ხარისხობრივად სხვა მიმართულების ელემენტებს იძენს, რაც ძველის კრიზისისა და ახლის დასაწყისის მაჩვენებელია. ასე იყო ბარათაშვილის შემოქმედებაში, ასევე იყო ღერმონტოვის და სხვათა შემოქმედებაც.

XIX საუკუნის 20-30-იანი წლების რუსეთის სინამდვილეში ქუცოვსკის, კუკოლნიკის, ზაგოსკინის, ბენედიქტოვის რეაქციულ რომანტიზმთან ერთად ცნობილია დეკაბრისტების, პუშკინის, ღერმონტოვის პროგრესული რომანტიზმი. განსაკუთრებით მძლავრად გამოიხატა იგი ღერმონტოვის შემოქმედებაში.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი ფაქტები საშუალებას გვაძლევენ ვილაპარაკოთ რუსული რომანტიზმის თავისებურებათა შესახებ ისევე, როგორც კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმზე. მისი თავისებურება რუსული ლიტერატურის სპეციფიკით განისაზღვრება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთში ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო ლიტერატურა ასრულებდა მთელ რიგ იმ ფუნქციებს, რომლებსაც დასავლეთში გონებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა დარგი ემსახურებოდა. რუსული ლიტერატურის სპეციფიკაა მისი განმავითარებელი იდეები, მისი მტკიცე კავშირი რევოლუციურ მოძრაობასთან, დემოკრატიული და სოციალური ხასიათის თემებით დაინტერესება. ეს ძირითადად კიდევ განსაზღვრავს

რუსული პროგრესული რომანტიზმის და მისი დიდი წარმომადგენლის — ღერმონტოვის შემოქმედების თავისებურებასაც.

ამ საერთო ამოსავალი წერტილის გარდა, რასაკვირველია, არ შეიძლება პირველხარისხიანი მნიშვნელობა არ მიენიჭოს აგრეთვე პოეტის პიროვნულ თავისებურებებს, რამაც დრამა ინდივიდუალური, განუმეორებელი დალი დასავა ღერმონტოვის შემოქმედებას.

ლიტერატურათმცოდნეობაში საბოლოოდ უარყოფილია ის შეხედულება, თითქოს ღერმონტოვი განდგომილი და განმარტოებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, თითქოს მისი „ამაყი სული“ ერიდებოდა ეპოქის საჭირობებს და მისიწრაფობდა „რჩეული“, არისტოკრატიული საზოგადოებისაკენ. ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფნის დროს ღერმონტოვი ახლოს იყო იმ წრესთან, რომელშიც იღუვრად იწრთობოდნენ ბელინსკი, სტანკევიჩი, გერცენი, ოგარიოვი და სხვები, კავკასიაში არაერთგზის გადმოსახლების დროს იგი ეცნობოდა რეპრესირებულ დეკაბრისტებს, ხოლო ერთ მათგანს, ცნობილ პოეტს ალექსანდრე ოდოევსკის მტკიცედ დაუმეგობრდა.

განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ღერმონტოვისა და ბელინსკის ნაცნობობა და დაახლოება, მათი ურთიერთ ზეგავლენა რევოლუციური იდეურობის თვალსაზრისით.

ბელინსკის აზრით, ღერმონტოვი ის პოეტი იყო, რომლის შემოქმედებაში გამოისახა რუსული საზოგადოების ისტორიული მიმენტი. ღერმონტოვი ბავშვი იყო, როდესაც დეკაბრისტების აჯანყება მოხდა. ამიტომ „ისტორიული მიმენტი“, რომელიც მის შემოქმედებაში გამოისახა, განსხვავდებოდა წინადეკაბრისტული და დეკაბრისტული პერიოდისაგან. იგი



იმ აღმართა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც „დეკაბრისტებმა გამოაღიძეს“ (ლენინი). ლერმონტოვის შეგნებული ცხოვრება და ინტენსიური შემოქმედება მიმდინარეობდა, გარდაამავალ პერიოდში, რომელიც დეკაბრისტების დამარცხებისა და ახალი რევოლუციური აჰმაველობის შორის დადგა. ეს იყო უმკაცრესი რეპრესიის წლები, ღრმა უიმედობისა და ძალთა საერთო დაცემის“ (გერცენი) წლები. მაგრამ დეკაბრისტების დამარცხების შედეგად დეკაბრისტული იდეები როდი მოსპობილა. ახალი ისტორიულ პირობებში დეკაბრისტების რევოლუციური იდეები და ტრადიციები არსებობდა და ვითარდებოდა, და თუ კრიტიკულად გადაისინჯა დეკაბრისტთა ბრძოლის შეთოდები (ნათელი ვახტა მდირეიციხოვის შეთქმულთა საიდუმლო წრის სისუსტე თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი მანქანის წინააღმდეგ) — მათი რევოლუციური ბრძოლის განგრძობის აუცილებლობა კარგად ესმოდა რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილს. ამ ბრძოლის იდეებს ვისახურებოდა ლერმონტოვის რომანტიკული პოეზია.

დღი სიძულვილს გამოხატავს ლერმონტოვი თავის პოეზიაში მეფის თვითმპყრობელობის მიმართ. „ბორკილებში იქ კაცი კენესის“, ამბობს იგი ნიკოლოზ პირველის რუსეთზე აღევარიულ ლექსში „თურქის ჩივილი“. ამგვარ ქვეყანაში „რა საჭიროა ღრმა ცოდნა, დიდების წყურვილი, რთვა მათი გამოყენება არ შეგვიძლია („მონოლოგი“). დადგება რუსეთში დრო, წინასწარმეტყველებს პოეტი. „დაეზობიან როს გვირგვინი ხელმწიფისანი“ („წინასწარმეტყველება“); მას სჯერა, რომ „სუფევს ამ ქვეყნად მეფეთათვის კიდევ სამსჯავრო“, როდესაც „აღტაცებული უღმერის რევოლუციას“ („30 იელისი, პარიზი, 1830 წ.“). თვითმპყრობელობა ლერმონტოვის აჯობს „თავისუფლების, დიდების და ნიჭი ჯგალათი“ და მისი ერთგული — „სიბილწით განთქმულ წინაპართა ზეიადი შთამომავალი“ — ვერ გადურჩება დამსახურებულ სასჯელს — მთელი მათი ბორბტების საზღაურს („პოეტის სიყვლილი“).

ლერმონტოვის მრავალ ლექსში გამოიხატა მისწრაფება თავისუფლებისაკენ. „გამოაღეთ ციხის კარი, შვის სხივებმა რომ გამოთოს“ („ტუსალი“), მითითებს პოეტი და კმაყოფილი იმით, რომ სცილდება თავისუფლების ჯალათებს, მეორე ლექსში ამბობს: „გტოვებს, რუსეთო დაუბანელი, ზატონთა მხარე, მონათა მხარე“. ლერმონტოვი ჰკიცხავს მათ, ვინც დეკაბრისტთა დამარცხებამ გამოუვალ პესიმიზმში ჩაავდო და სრულიად აღდგინა ხელი პოლიტიკურ მოქმედებაზე. პოეტის დახასიათებით ასეთი აღმართები ცხოვრების სარბელზე

გასვლისთანავე „ქვენთან უბრალოდღა“, ვერ არჩევენ „ურცხენი კეთილსა და ბორბტს გონებით“, „საფრთხის წინაშე“ იხუნენ „სამარბს სულმოკლეობას“, ხოლო „მპყრობელის წინაშე ბილწ მონებად“ იქცევიან. ლერმონტოვის აზრით, ამგვარ უსაქმობასა და პესიმიზმს მათ არ აბატებენ მეგვიდარენი: „გადმოიღერება ვაცუნებულ შევლებს გესლი ვაკორტებული მამების მიმართ“, — ამბობს იგი („ფიქრი“).

ლერმონტოვის აზრით, პოეზიის მიზანია ხალხს ემსახუროს. ესაა პოეტის საბატო დანიშნულება: „მაღალ ფიქრთა გამოძახილ ჰქედა ხალხისთვის, როგორც ვეჩეს კოშკიდან ზარი, ლხენის და ტანჯვის ვაგმოსიველი“ („პოეტი“). ეს პოეტიც დანიშნულების რევოლუციური გავებაა. ლერმონტოვის პოეზიის საუცხოო ნიმუშებს შეადგენენ მისი ამ ხასიათის ლექსები, რომლებშიც ევროპისა და განსაკუთრებით რუსეთის რევოლუციური ბრძოლის კონკრეტული მომენტები აისახა. რუსული პოეტის რეალური რომანტიზმისათვის ეს მოვლენა დამახასიათებელია, ტიპობრივია.

ამრიგად ლერმონტოვის ლირიკა გამსჭვალულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჩანგვის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობით და რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდებით. ხანგანის უნდა აღინიშნოს, რომ ლერმონტოვი დეკაბრისტებზე ვაცილებით შორს წავიდა. შესანიშნავი რომანტიკული პოემების „დემონისა“ და „მწიარის“ ავტორმა ახლებურად დააყენა რომანტიკული გმირის საკითხი და ახალი თვისებებით გაამდიდრა რომანტიკული შემოქმედების მეთოდი.

„დემონის“ ფანტასტიკურ სიუჟეტში დაფარულია ღრმა ფილოსოფიური და სოციალური არსი. დემონის სახით პოეტმა გვიჩვენა ძველი სამყაროს უარყოფა, იმ სამყაროს, „სადაც არ არის ჭეშმარიტი ბედნიერება... სადაც მხოლოდ ბოროტმოქმედება და სასჯელია, სადაც შიმის ქვეშა დაყენებული სიყვარულიცა და სიძულვილიც“. მაგრამ ლერმონტოვმა ისიც გვიჩვენა, რომ მხოლოდ უარყოფა, ზიზღი და სიძულვილი საკმარისი არ არის. დემონი უარყოფს ყველას და ყველაფერს, დადებითს იდეალურსაც კი. ამან თვით დემონის დამარცხება გამოიწვია. პოეტმა ნათელი გახადა, რომ ინდივიდუალურად ეგოიზმი მხოლოდ გამოუვლი ხიზია, რომელიც ღუპავს პიროვნებას. დემონის დამარცხება ინდივიდუალური ჯანყის უწყალოდობაზე, განწირულებაზე მივიითობებს. ყველაფერი ეს კი ღრმა კავშირშია 30-იანი წლების იმ თაობის წარმომადგენელთა განწყობილებასთან, რომელთა წინაშე ლერ-

მონტოვი ბრძოლის ახალი მეთოდის ძიების აუცილებლობას აყენებს.

„მწირში“ დახატული გმირის ხასიათი არსებითად ეწინააღმდეგება დემონის ხასიათს. აქ ლერმონტოვმა დაგვიხატა თავგანწირული ადამიანი, რომელიც მძაფრად ილაშქრებს ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ და თავისუფლებინათვის საბრძოლველად მიისწრაფვის. მასში ნაწინასწარმეტყველებია იმ მომავალ მოღვაწეთა ზოგიერთი თვისება, რომელნიც ფართო დემოკრატიული მასების სურველების გამოიხატველნი შეიქნენ. ამგვარია ამ პოემის გმირის ობიექტურ-ისტორიული მნიშვნელობა. მწირი ლერმონტოვის და დე ბოთი გმირია, რაც საშუალებას გვაძლევს ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი ლერმონტოვის რომანტიკული შემოქმედების კონკრეტულ-რევოლუციურ ხასიათს.

ლერმონტოვის დრამატურგიის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს „მასკარადი“. პეტერბურგის მაღალი საზოგადოებისადმი ღრმა სიძულვილმა საშუალება მისცა პოეტს კრიტიკულად დაეხატა ამ საზოგადოების ცხოვრების მთელი

რიგი ტიპური მხარეები. ყველაზე მეტად ამ დრამაში გამოჩნდა ლერმონტოვის რომანტიზმის თავისებურება. ნაწარმოები ავტენტული უაღრესად რეალურ, კონკრეტულ მასალაზე და ამვე დროს იგი რომანტიკული ღრმის შედეგია. ეს იყო სრულიად ახალი სიტყვარუსული დრამატურგიის განვითარებაში, ეს არის ნაწარმოები, რომელშიაც ლერმონტოვის უაღრესად რომანტიკული სუბიექტივიზმი შერწყმულია სინამდვილის ტიპური მხარეების ტიპური ხასიათების მწვავე კრიტიკულ, ზოგჯერ გროტესკულ ასახვასთან. აქ თითქოს წინააღმდეგობასთან უნდა გვექონდეს საქმე, მაგრამ ესეც ლერმონტოვის რომანტიკული შემოქმედების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. ამ ღრმის რომანტიზმს ნათლად გამოსახული განმათავისუფლებელი ხასიათი აქვს და იგი მკვეთრად უპირისპირდება იმ ეპოქის რეაქციულ-რომანტიკულ ნაწარმოებებს.

თავისი რომანტიკული შემოქმედებით ლერმონტოვი დეკაბრისტთა რევოლუციური იდეების შემკვიდრე და მომავალი რევოლუციური თაობის წინამორბედია.



სიბაღ თოჴარშიძე

როზმერტ ბერნსი

„დღეს ვკითხულობდი ბერნსს. რა გამოვიდოდა მისგან არისტოკრატი რომ ყოფილიყო? შესაძლებელია ჩვენ დავგერჩენოდა მისი ლექსები მეტი რაოდენობით, ვაცილებით მეტად დახვეწილი, მაგრამ ნაკლებ ძლიერი, რომლებიც უკვდავებას ვერ დაიმსახურებდნენ“. — ასე ჩაუწერია დიდ ინგლისელ პოეტს ბაირონს თავის დღიურში 1813 წლის 16 ნოემბერს XVIII საუკუნის დიდი შოტლანდიელი პოეტის როზმერტ ბერნსის სიმღერების კითხვის შემდეგ.

ბერნსის პოეზიის მიმზიდველობის საიდუმლოდ ბაირონს მიანინა პოეტის პირადი ცხოვრება, მისი გლეხური წარმოშობა, ის, რომ ბერნსის პოეზიამ ძალა და უშუალობა, სიღრმე და სინატიფე შეინარჩუნა უბრალო ხალხთან ციახლოებითა და არისტოკრატიულ-ბურჴუაზიულ წრეებისაგან სიშორით. ამ სიტყვებში ბაირონი გულისხმობს აგრეთვე ბერნსის ლიტერატურულ წარმოშობასაც. როზმერტ ბერნსი ყოველთვის გაუბრბოდა ლიტერატურული სკოლების ზეგავლენას, სტილისტურ ცდებს, საკუთარი პოეტური ენის ძალდატანებით გამოიუშავებას, უნივერსიტეტებისა და სკოლების კედლებში დადგენილ ცრუმეცნიერულ ენაზე მტყუველებას. ბერნსმა განვლო თავისი სკოლა, შეითვისა ამ სკოლის ენა და სტილიც, ეზიარა მის ბუნებრივ სიბრძნესა და მეცნიერებას. ეს იყო შოტლანდიელი ხალხის მდიდარი, უძირო პოეტური შემოქმედება.

ბერნსი ლირიკოსია. იგი შესანიშნავად გადმოგვეცემს თავის განცდებს, თავისი შინაგანი სამყაროს მღელვარებას. ბერნსის პოეტური ნიჴი ამაოდ არ იხარჯება ვიწრო სუბიექტური განცდების უმიზნო ქექვაში. იგი არ ირახება ეგოისტური განცდების მოჯადოებულ წრეში. პოეტის პიროვნება განუყოფელია ხალხისაგან. ბერნსის ლირიკული განცდები მოელა შოტლანდიელი ხალხის სიხარული და სევდაა. ტანჯვა და ბედნიერება. ბერნსმა თავისი ხან-

მოკლე სიცოცხლე და დიდი პოეტური ნიჴი ხალხს შეაღია, იმ ხალხს, რომლის წიაღში იშვა, ცხოვრობდა და დაღია სიცოცხლის დღენი.

დიდი შოტლანდიელი პოეტის ცხოვრების მძიმე გზა და ბედი კარლელიმა ერთი წინადადებით მოხაზა: „ის ქუჩა, სადაც ბერნსი სილატაკით სულს ლაფავდა, დღეს მის სახელს ატარებს“. ლექსში „მამა ფერმერი მყავდა“ პოეტი თვითონ ამბობს:

„ბავშვობიდანვე ვისწავლე
ხენა-თესვა, მომკა ყანის,
ეს არის ჩემი სიმიღრე —
ნაანდერძევი მამის.
ღარიბს, უჩინარს ამ ქვეყნად
მანამ მატარებს გზები,
ვიღრე არ ჩავა მიწაში
ჩემი დაღლილი ძვლები“¹.

მართლაც, ბერნსის ცხოვრება სილატაკესა და ვაჴირებებასთან ბრძოლის უწყვეტი ჯაჴეია. როზმერტ ბერნსის მამა, უილიამ ბერნსი, მთიანი შოტლანდიის მკვიდრი, იაკობიტთა აჯანყების ჩაჴრობის შემდეგ, როგორც ამ აჯანყების მონაწილე, იძულებული გამხდარა სამხრეთ შოტლანდიაში განიზნულიყო. 1756 წელს მან სოფელ ალოუეში იქირავა მიწის მცირე ნაკვეთი, რომელშიაც თავისი ხელით ჩადგა თიხით ნაშენი ქოხი. ამ პატარა გლეხურ მიწურში 1759 წლის 25 იანვარს დაიბადა მისი უფროსი ვაჴიშვილი როზმერტ ბერნსი. შოტლანდიელი ფერმერის ლატაკური ცხოვრების სუსხი ბერნსმა ბავშვობიდანვე მშვევედ იგარძნო. პატარა ბერნსი მამას მხარეში ედგა მინდვრად

¹ თარგმნილი ინგლისურიდან თამარ ერისთავის მიერ. (ქვემოთ მოტანილი ყველა თარგმანი ბერნსის ლექსებისა აგრეთვე თამარ ერისთავის ეკუთვნის).



მუშაობისას. მომავალ პოეტს ბავშვობიდანვე აღძრა სამშობლოს, ხალხური პოეზიისა და ბუნების ღრმა სიყვარული, პოეტის დედა ტკილ-ლი ხმით მღეროდა თურმე ძველ შოტლანდიურ სიმღერებსა და პატარა რობერტის მახვილი სმენა ადვილად იჭერდა და ითვისებდა მათ. ბერნსების ოჯახში ცხოვრობდა მოხუცი გლეხი ქალი ბეტი დევიდსონი, ძველი შოტლანდიური ზღაპრებისა და ლეგენდების კარგი მოხრობელი.

უდიდეს ბერნსმა თავისი ორი ვაჟიველი სოფლის სკოლაში მიაბარა. რობერტი და მისი ძმა სკოლაში რიგრიგობით დადიან, სკოლაში სისიარულიდ ერთი წყება ტანსაცმელი აქვთ, მხოლოდ ერთი ბერნსი ირიცხება მოსწავლეთა სიაში. ისე, რომ ერთი ძმა როცა სასწავლებლად მიდის, მეორე შინ რჩება მინდორში სამუშაოდ და პირიქით. მაგრამ ბერნსების ოჯახი იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ ძმები იძულებული შეიქნენ ამგვარ სწავლაზედაც აედოთ ხელი. რობერტ ბერნსის განათლებაც ამით დასრულდა. ამიტომაც პოეტის ცხოვრებაში გადაწყვეტილი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის წლებს, განსაკუთრებით ბერნსის შეხვედრას ახალგაზრდა მოსწავლეთა ჯონ მერდოხთან, რომელმაც ჩაუნერგა პოეტს კითხვის სიყვარული, ასაწვლა ლიტერატურული ინგლისური, ლათინური და ფრანგული ენები.

1784 წელს კრედიტორების რისხვისა და ვალების გამო ციხეს ბერნსის მამა მხოლოდ სიკვდილმა გადაარჩინა. ძმებმა ბერნსებმა ძღვეს იქირავეს ფერმა მოსავალში. ბერნსი თოთხმეტი წლისა იყო, როცა პირველი ლექსი შეიხზა. რობერტი ახლაც კვლავ ხნავს და თესავს და თან ლექსებს წერს, მისი ანტიკლერისკალური სატირები თუ სატრფიალო სიმღერები ელვის სისწრაფით ვრცელდება ხელნაწერებისა და ზეპირი სიმღერების სახით მეზობელ სოფლებში. საპასუხოდ ეკლესია სსს-ტიად კიციხეს და დევისს „ურწმუნო“ პოეტს. ჯინ არმორის მამა, ფანატიკოსი ბურიტანი, საქვეყნოდ აცხადებს, რომ ქალიშვილს ვერ მიათხოვებს რობერტ ბერნსს, მათხოვარს, ისიც მელტყუს. რომელიც ამჟამად დისციონის წმინდა ეკლესიას. ჯინ არმორთან ქორწინების ჩასლით გამწარებული, გაღატაკებული და დევნილი პოეტი ხსნას სამშობლოდან ლტოლვაში ექვსს. კუნძულ იამაიკაზე გასამგზავრებლად ფულის შოვნის მიზნით 1788 წელს პატარა ქალაქ კილმანროკში აქვეყნებს თავისი ლექსების კრებულს „ლექსები უმოთაგრესად შოტლანდიურ დალიტტზე“, რომელსაც წილად ხვდა პოეტისათვის მოულოდნელი წარმატება და ემიგრაციაში წასვლის ნაცვლად რობერტ ბერნსი ედინბურგში მიიწვიეს. შოტლანდიის

დედაქალაქის რჩეულთა წრემ, არისტოკრატთა და ბურჟუაზიამ დიდის ამბით მიიღო იგი. წარმატებაც თავებურ არ დაუხვევია პოეტისათვის. ედინბურგის ე. წ. წარჩინებულითა საზოგადოებაში მას თავი უჭირავს ამაყად. დამცინავად, გამოწვევად, ამ საზოგადოების წარმომადგენლებს დაუწინებლად კიციხეს მახვილი ეპიგრამებით. ედინბურგის არისტოკრატის მალე გუცივდა გული პოეტზე. ბერნსიც ვერ შეეგუა ამ საზოგადოებას, რომელმაც სილატაკითა და შიმშილით დაასამარა ახალგაზრდა ნიჭიერი შოტლანდიელი პოეტი რობერტ ფერგიუსონი. ბერნსმა მოძებნა მისი საფლავი და ორი წლის განმავლობაში თავისი ლატაკური ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს უხდიდა არქიტექტორის ფერგიუსონის ძეგლის დასადგმელად.

მალე პოეტი იძულებული ხდება დატოვოს ედინბურგი და კვლავ მიწას დაუბრუნდეს. 1788 წელს იგი ქირაობს მიწას ელსტენდში. მამამ სახლიდან გაავდო ჯინ არმორი პოეტის ერთგული სიყვარულისათვის და ბერნსმა იგი ცოლად შეირთო ედინბურგიდან დაბრუნებაში შემდეგ. მიწაზე ოფლის ღერასა და მიცირე შემოსავლად, წვრილშვილიან ოჯახსა და უსახსრობას ბერნსი იმ ზომამდე მიჰყავს, რომ იგი წვრილ მისხელედ იწყებს მუშაობას და 1791 წლიდან საბოლოოდ სახლდება პატარა ქალაქ დამფორზში.

მაგრამ გაპირებებამ ვერ გატეხა პოეტის მეტროლი სული, ვერ მოდრეკა მისი ნებისყოფა. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისადმი დიდ თანაგრძობობას ბერნსი საჯაროდ აღიარებდა. 1792 წელს მას დანაშაულად წაუყენეს რესპუბლიკანობა და ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საიდუმლო საზოგადოების მეთაურობაც კი. ეპიგრამაში: „წარწერა ოფიციალურ ქალაქდზე, რომელიც პოეტს მიუთითებს „იმსახუროს და არ იფიქროს“ დამფორზელ ეპატაროეებს ბერნსმა დეარძლიანი პასუხი მოუტრა:

„ნუ გაერევი ბოლიტიკაში,
ჯიბეში გროში თუ არ გიყვავის,
ენედ ყიდვაკთა თვალებს და ყურებს,
თვითონ სერუ-მუნჯი და ბრმა იყავი“.

1796 წელს მძიმე ავადმყოფობის გამო ბერნსი სამსახურს ტოვებს. სიკვდილის წინ იგა შეიპყრო შიმში-ვალებებისათვის ციხეში არ ჩამადნო: „სასტიკმა მაულის გამოიდევლმა, რომლის ვალიც მე მმართებს ანგარიშით, წარმოიდგინა — კვდებო, აღძრა საქმე სსს-მართლოში და უეჭველად ციხეში ჩამსვაპს. თუ დმერთი ვწამს, გამოიგზავნე ეს თანხა. ლამისა ციხის შოით შევიშალო“.

ბერნსის ლირიკა ეპოსივით თუ რომანივით ფართოა, ეპოსივით მრავალფეროვან თემატიკას იტევს, მწკვივედ განვითარება თანადროულობის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, პოლიტიკურსა და საყოფაცხოვრებო პრობლემებს. სოფელი და გლეხის ბედი ბერნსის შემოქმედების ყველაზე უფრო ძლიერი თემატიკური ნაკადია. რობერტ ბერნსი ავგორგენებს XVIII საუკუნის ინგლისურ და შოტლანდიურ ლიტერატურაში გლეხის თემის, გლეხური პოეზიის განვითარებას.

XVIII საუკუნის დამდეგს ე. წ. „შემოღობვა“ (მეუღლის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით სახნავი მიწების საპოვნელად გადაქცევას) მოჰყვა გლეხობის აყრა მიწებიდან, სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაცია, იომენების გაქრობა, სათემო საკუთრების მოსპობა და, მეორე მხრივ, თავად-აზნაურული, საეკლესიო და ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის ზრდა. აგრარული გადატრიალება ინგლისის სხვა რაიონებთან შედარებით ყველაზე უფრო გვიან შოტლანდიაში მოხდა და მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო. კაბიტაზის განვითარებამ ინგლისსა და შოტლანდიაში პირველი მახვილი სოფლის მოსახლეობას ჩასცა, ამიტომ XVIII საუკუნის ინგლისურ და შოტლანდიურ ლიტერატურაში გლეხის თემა წინა პლანზე წამოიწია.

სოფლური სინამდვილის რეალისტური ასახვა ინგლისურ ლიტერატურაში იწყება ლიტერატურული მიმდინარეობის — სენტიმენტალიზმის განვითარებასთან ერთად. ინგლისური სენტიმენტალიზმი რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, იგი იცავს განმანათლებლობის იდეალებს და აგრძელებს ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ ხალხთა პოლიტიკური თანასწორფლებიანობისათვის. ამავდროს ინგლისელი სენტიმენტალისტები ამჩნევენ მესამე წოდების შლას ბურჟუაზიად და მშრომელ მასებად, ბურჟუაზიული პროგრესის შინაგან წინააღმდეგობას, გრამობენ, რომ ბურჟუაზიულ ცივილიზაციას მოსდევს მშრომელთა დაბნეობისა და გაღატაკების ახალი ფორმა. სენტიმენტალისტები უარყოფენ ქალაქს, როგორც „არაბუნებრივს“, „ადამიანის გამბრწყინს“ და მას უპირისპირებენ „მუდმივ“, „ბუნებრივ“, „მყუდრო“ პატრიარქალურ სოფლურ ცხოვრებას. დმერთმა სოფელი შექმნა, ადამიანმა კი ქალაქი, ამბობს ინგლისელი პოეტი სენტიმენტალისტი კაუპერი.

რობერტ ბერნსი კარგად იცნობდა ინგლისელი სენტიმენტალისტების შემოქმედებას. ბერნსთან გვევლება გრესიებური ელემენტური განწყობილებაც, გოლდსმითისებური სედიანი

იდილიაც, კაუპერისებური თვითღამშქმედება მორალისტობით, კრაბისებური გამწარებული გლეხის ტირილიც, მაგრამ ბერნსი მაინც სხვაა: სიცოცხლით სავსე, ენერგიული, მხიარული. პოეტს უყვარს ცხოვრება, იგი სევდიანი, ცრემლმორთული თვალებით როდი შეჰყურებს გლეხის გასაქირს, ირგვლივ მკვინევაე უსამართლობას არა, ბერნსს სუგრა, რომ ლატაყ ადამიანი გაიმარჯვებს, ისიც ეღირსება მართლაც იდილიურ მომავალს. პოეტის აზრით, სამყარო გათიშულია კეთილ და ბოროტ ადამიანებად; კეთილი ღარიბები არიან, ბოროტი კი მდიდრები. ბერნსს სწამს, რომ ქვეყნად უნდა გაიმარჯვოს სიკეთემ და ამიტომ ყველა ჩაგრულმა და ლატაყმა კაცმა. მის პოეზიას სწორედ ეს რწმენა ასუღლებდებულებს და ღონესა და სიხალისეს მპაატებს.

ბერნსის სიცოცხლით სავსე, ლალ შემოქმედებას უშუალოდ შოტლანდიური ხალხური პოეზია ასაზრდოვებს. რობერტ ბერნსი ბრწყინვალედ იცნობდა შოტლანდიურ და ინგლისურ ფოლკლორს. პოეტის ბიბლიოთეკაში ინახებოდა შოტლანდიური ფოლკლორის საუკეთესო მასალები. იგი სპეციალურად მოგზაურობდა შოტლანდიის მთიან რაიონებში ხალხური სიმღერების შესაგროვებლად. 1790 წელს ერთ-ერთ პირად წერილში პოეტი წერს: „ძველი შოტლანდიური სიმღერები ჩემი მეცადინეობისა და ვართობის საუკეთესო საგანია“. მან იმდენად ზედმიწევნით იცნოდა ხალხური ზეპირსიტყვიერება, რომ ძველი შოტლანდიური სიმღერების საუკეთესო რესტავრატორად ითვლებოდა. ჯექს ჯონსონმა ხალხური პოეზიის კრებული „შოტლანდიის მუსიკალური მუზეუმი“ ბერნსის დახმარებით შეადგინა. 1792 წელს ბერნსმა მოწაწილეობა მიიღო აგრეთვე მუსიკის მოყვარულს ჯორჯ თომსონის „ორიგინალური შოტლანდიური მელიოდების ჩრეული კრებულის“ შედგენაში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბერნსი თავყვანს სცემდა და ჰპაძევა ყველა იმ მწერალს, ვინც კი ხალხურ შემოქმედებას ზიარებდა. მისთვის ასეთი მწერლები არიან ხალისიანი დემოკრატი ფილდინგი, XVIII საუკუნის ენგლისური რეალისტური პროზის საუკეთესო წარმომადგენელი, შოტლანდიელი პოეტები აიან რაშეი და რობერტ ფერგუსონი, რომლებიც, როგორც თვითონ ბერნსი აღნიშნავს, მას შემოქმედებითი ცეცხლით აღაგზნებდნენ. ისინი სამართლიანად არიან მიჩნეულნი ბერნსის უშუალო წინაპრებად.

ბერნსი ხალხური პოეზიისა და ამ პოეზიით ნასაზრდოები მწერლობის შემკვიდრება, ამიტომაც მისთვის უცხოა პესიმოზმი, სენტიმენტალურ-იდილიური სენტენციები.



პოეტი მწვევედ განიცდის თავისი სამშობლოს ხეგრის, იმ ამბავს, რომ ინგლისის ხელისუფლებამ შოტლანდია მძლავრად მოიწყველია თავის მარწყვებში, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ყველა გზა დაუხშო, რომ მალე მას შოტლანდია კი აღარ ერქმევა, არამედ ინგლისის პროვინცია. ლექსში „შოტლანდიის დიდება“ პოეტის სინამდვილე გამოხატავს იმის გამო, რომ ვერ მოესწრო თავისი ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლებს, ვერ ედგა გვერდში ამავე ბრძენსა და უოლესს, შოტლანდიელი ხალხის ბელადებს. მაგრამ ჩივილი და სასოწარკვეთილება ბერნსის ბუნებას ვერ ეგუება. იგი ვერ ურჩევს იმ აზრს, რომ შოტლანდიის დიდების მზე სამუდამოდ უნდა ჩაეხვეწოს და მეორე ლექსში — „რობერტ ბრიუსი მოუწოდებს თავის ლაშქარს“ ხმას იმადლებს შოტლანდიის მონური მდგომარეობის წინააღმდეგ. ისტორიული გმირის — შოტლანდიის მეფის რობერტ ბრიუსის (1314 წ. ბრიუსმა ბენოკბურთა ინგლისის ჯარის დაამარცხა) ომბიან მიმართავს იმის პოეტის მოწოდება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ:

„ქედმაღალ მტარავს შუეტციით,
დასცხეთ, დაჰკარით,
მოვსპობთ, მეფისთან გვესწორით
მტერი მზაკვარი,
თავისუფლებას ვაუთკათთ ფართო
გზა-კვალს;
წინ შეუპოვრად! ან სიკვდილი,
ან გამარჯვება!“

თავისუფლებისაკენ სწრაფვის შინაარსია ჩაქსოვილი ბერნსის მთელ პოეზიაში. ლექსში „თავისუფლების ზე“ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას პოეტი ადარებს ხეს, რომელმაც ხალხთა ძმობის, ერთობისა და თავისუფლების ნაყოფი მოისხა და გამოთქეამს რწმენას, რომ თავისუფლების ხის ჩრდილი მომავალში მთელ ქვეყანას მოედინება.

პოეტი აშკარად ხუდავს, რომ სიმდიდრე და მალად მდგომარეობა კაცთმოძულეობასთან ხელიხელ ჩაიდებულნი დადიან. ბერნსის პოეზიაში ქებული არისტოკრატთა კლასი მიეღი თავისი სიდიადისა და კეთილშობილების ნიღაბს. პარტავს და წარმოდგენილია ისე, როგორიც ის არის სინამდვილეში: ცივი, ამბარტავანი, კაცის სიღუბნისადაც გულგრილი, ტიტულებისა და სახელისათვის მზაკვრული გზებით მებრძოლი. პოეტის სატირის მთარაბი არანაკლებ მწვევედ გადასწვდა ბურჟუაზიასაც, მის შორალს, სიძუნწესა და სიხარბეს, მემშაინურ თვითკმაყოფილებასა და ოჯახის შინაგან

სიყალბეს. ლექსში „წარწერა ქაბალდის ლზე“ ბერნსი ამხნავს ფულის გამბრწუნელ ვაჟულენას პიროვნებაზე.

ბერნსი შოტლანდიის კალენისტური ეკლესიის დაუძინებელი მტერია. ეკლესიასა და ცრუმორწმუნეობაზე პოეტის თავდასმების ხერხები სხვადასხვაგვარია. სატირაში „წმინდა ვილის ლოცვა“ კონტრასტების მეთოდი გამოყენებული. მღვდელი წმინდა ვილი უფალს მადლობას სწირავს, რომ მან თავის მსახურად აირჩია იგი და ღვთაებრივი სიწმინდით შეამკო; წმინდა ვილი შეჩვენებს უზგავნის სოფლის მკვიდრთ, რომლებიც ეკლესიის წმინდა მსახურებას არ ემორჩილებიან და ღმერთს ევედრება ისინი სასტიკად დასაჯოს ცოდვებისათვის. ვილი თავის ცოდვებსაც აღიარებს, ოღონდ ამ ცოდვებისათვის ღმერთს შენდობას სთხოვს. ვილის აღსარებიდან ირკვევა, რომ მღვდლისა და სოფლის მცხოვრებთა ცოდვებს შორის დიდი სხვაობაა: გლეხები უბრალოდ მხიარულობენ და ზიანს არაფერ აყენებენ, ხოლო ვილი კი მართლაც ცოდვილია, კიდევ ლოთობს, ღირმეულობს, ქალიშვილებს აცდენს და ყოველივე ამას წმინდა ეკლესიის მსახურის სახელით ფარავს.

ბერნსისთვის სიმდიდრე ბოროტების სიმბოლოა, სიღატაკე კი პატიოსნებისა. მისი პოეზიის ერთ-ერთი ლეიტმოტივა კეთილსინდისიერი სიღატაკე. ტიტულების, თანამდებობისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვას პოეტი უპირისპირებს ყოველსავე იმას, რითაც ბუნებას ადამიანი დაუფარდობებია — ნათელ გონებას, პატიოსან შრომას, სიცოცხლის სიყვარულსა და გულწრფელ გრძნობას.

ბერნსის ლირიკაში პატიოსნური სიღატაკის მოტივთან შერწყმულია სიყვარულისა და მეგობრობის მოტივებიც. ბერნსის სატრფილო ლირიკა ფაქიზი, წრფელი და ამბულევებულია. პოეტის ვაგებობით სიყვარული მაღალი ადამიანური გრძნობაა, რომელსაც ვერავითარი ფულიანი ურთიერთობა ვერ შერყენის. ამგვარი გრძნობის უნარი მხოლოდ პატიოსან და ველურწრფელ ადამიანებს შესწევთ, პატიოსნება კი ეწინააღმდეგება სიმდიდრესა და ტიტულებს. ბერნსის ლირიკაში კონფლიქტი სიყვარულსა და სიმდიდრეს შორის ბუნებრივი სიყვარულის გრძნობის გამარჯვებით გვირგვინდება.

მეგობრობაც ისეთივე მუხანათრი გრძნობაა, როგორც სიყვარული. მეგობრებისადმი მიძღვნილი ბერნსის ლექსები ერთგული მეგობრობის ნამდვილი ჰიმნებია. პოეტს სამარის კარამდე გულითადად და თავდავიწყებით ეყვარება სიკვდილის მეგობარი („ჯოან ანდერსონ“, კაცმა არ უნდა დაივიწყოს და არცის დაღუმოს მეგობარი მეგობარი (ძველსა გზასა)).

„ზნაირული მათხოვრები“ ბერნსის პოეზიის კვინტესენციაა. მასში ბერნსისთვის დამახასიათებელი თემატური ძაბვა ერთიანდება, ლორდების, სასულერო პირებისა და ბურჟუაზიის მამბილებელი მოტივები გადახლართულია პატისონური სილიტაის, სიყვარულის, მეგობრობისა და სუფრის მოტივებთან. „ზნაირული მათხოვრები“ დაწერილია კანტატის სახით და დრამატულ პოემას მოგვავიგონებს. ზამთრის ცივ ღამეს ზუზი ნენის ტავერნაში თავი მოუყრიათ მათხოვრებს: დაკონილ წითელ მუნდიოშა გაჯეულ ცალფეხა ნაჯარნიკაცულებს, მარკეტანტ ქალს, ქვრივს, რომლის ქმარი ქურდობისთვის ჩამოუხრჩვიათ, ბებერ ქერს, მოხეტიალე აბიტს, კუხიან მუსიკოსს, მასხარას. ყველანი ღვინოში ცელიან თავიანთ უკანასკნელ კონკეტს, ნამათხოვრებ გროშებს, მზიარულად მოუთხორობენ ერთმანეთს თავთავიანთ თავგადასავალს და ამ თავგადასავლიდან ჩანს, რომ ისინი, ნორმალურ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ღირსება ფულით არ იზომება, საუკეთესო მოქალაქეები იქნებოდნენ. მათ არ გაანინათ საკუთრება და, ამდენად, უშუალოა და ბუნებრივია შეუწარჩუნებიათ. მათი სიყვარული და მეგობრობა, სიხარული და სევდა სათნო და ადამიანური. სწორედ ეს ადამიანობაა, წრფელი გრძობის უნარი ავსებს მათ ხალისით, ცხოვრების სიყვარულით და მდიდართა წრეებზე თავიანთი პიროვნული უპირატესობის შეგნებით. მათს ხალისიან სიმღერებში, რეპლიკებში დამოხილია ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების კანონები, ამ კანონთა რესპექტაბელურად დამცველ პიროვნებათა შეზღუდულობა, მათი სულიერი სილიტაე და ცხოვრების წინაშე სიმხდალი.

„ზნაირული მათხოვრები“ ხალხის სიცოცხლისუნარიანობისა და სიცოცხლის რწმენის ამოთვზია. კანტატას იდეურად ესმოტრება ხალხურ მოტივებზე დაწერილი ბალადა „ქერის მარცვალი ჯონი“. მასში მოთხრობლია ლეგენდა, თუ როგორ ებრძოდნენ ქერის მარცვალს—ჯონის (შოტლანდიაში ასე უწოდებენ ქერს, რომლისგანაც ვისკის ხდიან და ლუდსაც აყენებენ), როგორ ჩამარხეს მიწაში; ჯონი კი მიინც არ მოკვდა, ისევ ისარა, ისარა და ისევ აწაეს, უკანასკნელი წვენიც გამოადინეს, შესვს ეს წვენი; წვენიმა დაათრო ჯონის მტრები, დაავიწყა მტრობა, გულბები სიხარულით აუცსო. და მას შემდეგ მარად ცოცხლობს ჯონის შთამომავლობა. ბალადა „ქერის მარცვალი ჯონი“ ხალხის მარადიული ძალის, მტკიცე ამტანობისა

და ლალი სიცოცხლის სიმბოლოა. ამიტომ მიიჩნევდა ამ ბალადას გვეთუ ბერნსის გენიული რწმენად.

ბერნსი ღრმად გრძნობს ბუნების სილიტაესა და სილამაზეს. მისთვის ბუნება ადამიანის მეგობარია. ლექსებში, რომლებშიაც პოეტი ცხოველებსა და მცენარეებს ადამიანებზე უფროხად ევლება თავს, განსაკუთრებით ღრმადება ბერნსის ლირიული სითარ.

ბერნსის ლექსი დინამიურია. პოეტს ყოველგვარი მოსამხადებელი სტრუქტურების გარეშე მკითხველი ერთბაშად შეჰყავს სიტუაციაში, პოეტური ვაწყობალების სფეროში. მისი ლექსები არ არის დამძიმებული გადაპარბებული შედარებებითა და მეტაფორებით. მხატვრული სახეები ზედმიწევნით კონკრეტულია, ანკარა, მარტივი და ხელშესახები. ბერნსი მრავალფეროვან ლექსოწყობას მიმართავს, ხშირად იყენებს შინაგან რითმებს, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ლექსის ფორმა უფრო ეტრება პოეტს. ბერნსის რითმები ლალია, თითქოს თავისთავად მოსულს, რიტმი — ელასტიური და ბუნებრივი, ლექსის სტრუქტონი — მოკლე, ლაკონიური და ენერგიული.

ბერნსის პოეზია დაყოფილია ლექსებად და სიმღერებად, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. პოეტი თვითონვე მიითთებს, თუ რომელ ცნობად უნდაწოდებოდეს ხალხურ მელოდიანუა დაწერილი მისი ესა თუ ის სიმღერა. პოეტის პოპულარობას დიდად შეუწყობელი ხალხური მელოდიების ამგვარმა გამოყენებამ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს ბერნსის ლექსის სიახლოვეს ხალხურ ლექსთან. ბერნსი ძირითადად შოტლანდიურ დიალექტზე წერს. მისი ენა ნათელი, გასაგები და სხარტია. პოეტი უხვად იყენებს ხალხურ გამოთქმებსა და ილიომებს.

ბერნსის პოპულარობა დიდი ხანია გასცდი შოტლანდიის საზღვრებს. რობერტ ბერნსის მუსიკალურ, მწქედარე და ლალ პოეზიას მთელი მსოფლიო იცნობს. ხალხს უყვარს ბერნსი, დიდი სახალხო პოეტი, რომელსაც სევდა და ნაღველი მამში უფრო აწამებდა, როცა სიცოცხლე და სიხარული ყველაზე მეტად სწყუროდა, რომელსაც, რამდენიც უნდა ეტანჯა, მაინც რჩებოდა გულიანი სიცოცხლის ძალა და ურყევი რწმენა:

„ვიინც რა უნდა თქვას, რაგინდ რა იყოს, ეს ჩემი სიტყვა არ გაწბილდება, — მოვა დრო, ქვეყნად ვაქრება შუღლი და კაცი კაცთან დამძობილდება“.



626-3923

თეატრის გუგუზი

ახალგაზრდობა გამოსდის ჩაბარა

ახალგაზრდა მსახიობების შესახებ წერა შეტად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. უწინარეს ყოვლისა, მათი შემოქმედების შეფასებისას ჩვენ დაზღვეულნი არა ვართ შეცდომისაგან, რადგან მათი მომავალი, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ბუნებრივად იზადება კითხვა: ვაამართლებს თუ არა ახალგაზრდა მსახიობი მასზე დამყარებულ იმედებს და მოლოდინს, ან ნაადრევად ხომ არ არის მის შესახებ პრესაში საუბარი?

ეს კითხვა, რა თქმა უნდა, უნდობლობით არ არის გამოწვეული. პირიქით, ჩვენი სურვილია, არ შევცდეთ ამა თუ იმ ახალგაზრდის მსახიობური მონაცემების შეფასებისას და სწორი ორიენტაცია მივცეთ მას შემოქმედებითი გზის დასაწყისში.



ჩვენი საუბარი მოკლე და უბრალო იქნება. ამ საუბრის გამორებს 5-6 წლის წინათ გავცეანით თეატრალურ ინსტიტუტში.

...მისაღები გამოცდები, კონკურსი, მღელვარება, ბრძოლა უკეთესი მაჩვენებლებიანთაგანის, გამარჯვებულთა სიხარული. შემდეგ კი დაძაბული სწავლისა და შრომის წლები, საბოლოო სპექტაკლით და მსწავლეებელთა გზისდასალოცი სიტყვებით დამთავრებული. ასე გამოვიდნენ ისინი ცხოვრებაში.

არ დავშალავთ იმ მღელვარებას, რომლითაც ქუთაისში მივლიოდი. აჰ, დიდი ტრადიციების მქონე ქალაქში, ჩვენ გველოდა შეხვედრა არუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ყოფილ სტუდენტებთან — ამჟამად ლალი მენსიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთან. ჩვენ ეღვევოდით, რადგან დღეს გამოცდას აბარებდნენ არა მარტო მოწაფეები, არამედ მათი აღმზრდელი მსწავლეებლებიც.

თეატრმა წარმოადგინა სამი სპექტაკლი: ვაჟა-ფშაველას „მოკეთილი“, ა. სუბაშაიშვილის „ლალი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, რომლებშიც უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობდნენ.

ახალგაზრდობის დაწინაურება ქუთაისის თეატრისათვის ფორმალური საქმიანობა როდია. უკანასკნელ წლებში აქ კარგად გამოვლინეს თავი ახალგაზრდა მსახიობებმა — ციალა ყორაოლაძემ, გ. კოკელაძემ, გ. სიხარულიძემ, რ. ხობულამ და მ. ბებურიშვილმა. დიდ იმედებს ამყარებდა თეატრი ბელა ჯაფარიძეზე, რომელმაც მოულოდნელად მიატოვა თავისი კოლექტივი და გადავიდა სხვა თეატრში, სადაც ის, სხვათა შორის, ფაქტიურად არაფერს აკეთებს. თეატრში მუშაობდნენ ახალგაზრდა რეჟისორები გიგა ლორთქიფანიძე და დ. აბაშიძე. მოკლე დროის განმავლობაში საერთო მოწონება დაიმსახურა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, რეჟისორმა თამაზ მესხმა. ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა თეატრისათვის მხატვრმა დიმიტრი თაყაიშვილმა. კემშარბიად შეუცვლელი აღმოჩნდა თეატრის ყოველდღიურ საქმიანობაში საღადგმო ნაწილის ხელმძღვანელი, ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი იუსტას პეტრიატისი.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელებს ემატებიან თეატრის ახალი შეგების წარმომადგენლები, რომელთაც გვსურს მივუძღვნათ ჩვენი დღევანდელი საუბარი.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის დროს მიიტყვის ჩვენი ყურადღება დებმა თამილა და ციალა ბერიძეებმა. შემოქმედებითი ინდივიდუალობით ერთმანეთისაგან საესპებით განსხვავებული დები ერთ კურსზე სწავლობდნენ. მაშინ, რა თქმა უნდა, ძნელი იყო გვეწინასწარმეტყველა — რა გზით წარიმართებოდა მათი შემოქმედებითი თავისებურებანი. ან შეძლებდნენ თუ ვერა ისინი გარკვეული მხატვ-

რული ფორმის დაუფლებას და ინტელექტუალურად გამდიდრებას.

შედეგი ნათლად გამომჟღავნდა გამოსაშვებ გამოცდაზე. მიდიოდა სპექტაკლი „მზის შეილება“ და რეჟისორმა — კურსის მასწავლებელმა ა. ვამსახურდიამ თამილა ელენეს როლში გამოიყვანა, ხოლო ცილა — მელანისა როლში.

ჩვენ არ ვაპირებთ დაწერალებით ვანეზილოთ თეატრალური ინსტიტუტის ახალგაზრდა სტუდენტთა ის პირველი ცდები, როდონდ მიზანშეწონილად მიგვაჩინა ალენეშნოთ, რომ მათ მიერ გაწეული მუშაობა გოტიკისეული სახეების შესაქმნელად ნათლად აღსატურებდა ახალგაზრდა მსახიობთა მიერ რუსული კლასიკური რეპერტუარის ამ ერთ-ერთი უძნელებსი პიესის რთული სულისეი განცდების მქონე გმირთა ცხოვრებაში ღრმად ჩაწვდომის უნარს. ჩვენ თითქოს მაშინვე ვგრძნობდით, რომ ამ სტუდენტებზე გაწეული შრომა ამაოდ არ დაიკარგებოდა.

და აი ჩვენ ვუყურებთ ქუთაისის თეატრის სპექტაკლებს. თამილა ბერიძე „მოკვეთილში“ ასრულებს გულსუნდას როლს, ხოლო „ლალატი“ — რუქაიას. რარივ განსხვავდება ხასიათებით ეს როლები და რა ზუსტად გრძნობს ამ განსხვავებას თამილა ბერიძე. იგი ორივე გმირს გულუხვად აჯილდოებს თავისი ინდივიდუალური მსახიობური თვისებებით, რომელთაც ის ყოველთვის ახლებურად ავლენს.

გულსუნდას როლი პატარაა, ის მხოლოდ ერთ სურათში — ბახასთან შეხვედრის დროს ჩანს. ბახას უფერულ ცხოვრებაში იმედის ნათელი სიხვივით იელეებს გულსუნდას სახე. როგორ კონტრასტულად ისმის მისი უდარდელი ხმა ბახას ტრაგიკული ბედის გვერდით, და, შეიძლება, სწორედ აქ, ამ ერთადერთ მათორულ სცენაში, ყველაზე ღრმად და მთლიანად ჩანს „მოკვეთილის“ სცენური კოლიზიის ტრაგიზმი. გულსუნდას და ბახას ლაკონურ, მაგრამ საოცრად კოლორიტულ და ცოცხალ დიალოგში იხსნება გულსუნდას ხასიათი და ჩვენ წარმოგვიდგება თავისუფალი, თვითნება და მომზიბლველი ვოკონა. უნდა ითქვას, რომ სწორედ გულსუნდას დახასიათების ლაკონურობა იწვევს მთელ სიძნელეს ამ როლის შემსრულებლისათვის. მსახიობს არა აქვს ეგრეთწოდებული „გაქანების“ ადგილი, რათა თანდათანობით შექმნას სახე, ხასიათი. მან ერთ პატარა სცენაში უნდა გამოავლინოს და მაყურებელამდე მიიტანოს ეს შეტად საინტერესო ხასიათი და მკვეთრი, ნათელი შტრიხებით დახატოს გმირის სულიერი ცხოვრება.

როლის ეს თავისებურება კარგად შეიგრძნო თამილა ბერიძემ. მისი გულსუნდა ცოცხალი,

უდარდელი, მიმზიდველი და უაღრესად ქალური. მსახიობი თამაშობს ძალდაუტანებლად, მეტყველებს თავისუფლად. მისი მოძრაობა დახვეწილი, გაბედული და ლამაზია.

მაგრამ სპექტაკლის რეჟისორმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ გადაწყვიტა გულსუნდას ბედის შეერთება ბახას ცხოვრების ტრაგიკულ ფინალთან და სპექტაკლში შეიტანა ახალი სცენა, რომელიც დრამატურგს ვათვალისწინებელი არ ჰქონია. რეჟისორს გულსუნდა სცენაზე გამოჰყავს ბახას დალუბების მომენტში. შემერთაოლი და გაუბუნებელი უცქერის გულსუნდა ბახას გვეამს და ბოლოს ძალაწარბთმეული ზედ ემზობა.

ამ უსიტყვო სცენაში ნათლად მჟღავნდება თამილა ბერიძის შინაგანი დრამატიზმი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ თეატრი ვალდებულია გამოსცადოს ის არა მარტო კომიკურ, არამედ ღრმად დრამატულ როლებშიც.



„ლალატი“. გაიანა — მსახიობი ც. ბერიძე.

საინტერესოა, რომ თ. ბერიძის რუქაიაც („ლალატი“) დრამატულია. თამილა ბერიძე რუქაიას თამაშობს ზუსტად იმ ტონალობით, რომლითაც დაწერილია ა. სუმბათაშვილი-იუვიანის მთელი პიესა. მსახიობი გვაჯერებს, რომ რუქაიას მოქმედება არა მარტო ვერავი ქალის უბრალო ინტრიგაა, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ძლიერი ბუნების ადამიანებს შეეძლებოთ.

თ. ბერიძე რუქაიას თამაშობს მთელი არ-

სებით, თავდავიწყებით, ვნებიანად და შთავონებით, იმ სიტუაციის ღრმა გავებით, რომლითაც გარემოცულია მისი გმირი ქალი. მაგრამ მსახიობი მინიჭ თავისუფალი რჩევა ბროლის მიმართ და ახერხებს გვიჩვენოს მისადმი თავისი დამოკიდებულება. ვატყვებ, რომლითაც თამილა ბერიძე ასრულებს რუქიას როლს, როდი ჩრდილავს მსახიობის თამაშში უპრავოდითი გმირის ვაკციების მომენტსაც.

თ. ბერიძე მკვეთრად უსვამს ხაზს გმირის მტაცებლურ ბუნებას, მის ცინიზმსა და ვერაგობას. ის ბრწყინვალედ მოძრაობს, ბუნებით პლასტიკური კარგად ფლობს სხეულს და ქუსტს. თამილა ბერიძემ კარგად აითვისა რეჟისორის მიერ გავებული რუქიას სახე და შეძლო მისი სასცენო ფორმის საინტერესოდ განხორციელება. თ. ბერიძის ქუსტი მებრუნელი და ზუსტია, მასში, როგორც მსახიობის მიერ ვარგებლობაში, იგრძნობა ძალა და სიდიადე, ავანის სიფიციტე და გველის მოქნილობა.

„ლაღაში“ თამილა ბერიძესთან ერთად მონაწილეობს ცილა ბერიძე. რეჟისორს მისთვის გაიანეს როლი მიუღწევია. უკვე თვით ფაქტი პიესის როლების ასეთი ვანაწილებისა ხაზს უსვამს ამ ორი ღის შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამსჯელებას, რაზედაც ზემოთ მოვახსენეთ. ალერსიანი და ნაზი, მამის საყვარელი ქალიშვილი, უღარდელი და უზარუნელი — ასეთია გაიანე სპექტაკლის დასაწყისში. ბერიძე ძალდატანებლად თამაშობს, თავისუფლად და კარგად ფლობს ტექსტს. მისი გაიანე კეთილია და გულწრფელი. ის გულწრფელია ბავშვური სიხარულის დროსაც, დათოსთან შეხვედრის მომენტშიც, გამზრდელთანაც, მაშინაც, როცა მის წინ საშინელი სიზმანივით შიშვლდება ჭეშმარიტება.

გაიანეს სახე მაყურებლის თვალწინ ყალიბდება და მთლიანობას იძენს. უღარდელი, მუდამ მზიარული გოგონა ნელნელა ლირიულად განწყობილ ქალიშვილად გადაიქცევა და ჩვენს წინ ჩნდება ფიქიანი, დიდი შინაგანი ტკივილების მატარებელი, ღრმა პირადი ტრავმის გადამტანი ადამიანი.

რეჟისორი სწორად მოიქცა, როდესაც გაიანეს როლის შესრულება ახალგაზრდა მსახიობს დაეკლა. მისი არჩევანი გამართლებულია არა მარტო იმით, რომ ახალგაზრდაობას და უშუალობას უკვე თავისთავად შეძლო როლისათვის სცენიური სიციცხლის მიწიჭება, არამედ იმიტაც, რომ გაიანეს სახე ახალგაზრდა მსახიობს საშუალებას აძლევს დაეუფლოს ურთულეს ნიუანსებს და გამოავლინოს გრძნობათა დიდი სიმართლე. ბერიძემ ეს ძალიან კარგად გაიკო.

ამავე სპექტაკლში ერეკლეს საპასუხისმგებ-

ლო როლს ასრულებს ინსტიტუტის კურსდამთავრებული ერემო სვანაძე. ერემო სვანაძის დამაჯერებელმა თამაშმა ხორცი შეასახა მეფისწული ერეკლეს რთულსა და წინააღმდეგობით სავსე სახეს. ჩვენ ვუყურებთ და ვრწმუნდებით, თუ რაოდენ ძლიერ უყვარს ირაკლის რუქია, როგორ იმორჩილებს მას მისთვის ესოდენ დამღუპველი გრძნობა, რომისაც ერეკლე ბრმად სწირავს თავისი ხალხის ინტერესებს. მსახიობი კარგად გრძნობს ერეკლეს ხსიათის ცვალებადობასა და კონტრასტულობას. ერემო სვანაძე განსაკუთრებით ძლიერია ფინალურ სცენაში. ერეკლე უყვლავრს ზედება, გრძნობს თავის საშინელ დანაშაულს. ამ რთულ სცენაში იგი საოცრად მართალი და გულწრფელია. იგი გრძნობს თავისი დანაშაულის საშინელებას და მიეჭნება იქითკენ, სადაც მის მეგობრებს სამკვდარ-სისიციცხლო ბრძოლა გაუმართავ მტრისათვის. სუბმათაშვილის ღრამის ამ კულმინაციურ სცენაში მსახიობი ერემო სვანაძე თავის შინაგან მიღწევადებასა და ტემპერამენტს აჟღავნებს.

ე. სვანაძე „მოკვეთილი“ ხეთისო როლს ასრულებს. მის მიერ შექმნილი სახე სრულებითაც არ არის დემონური (როგორც ზოგჯერ მიაჩნენ ხოლმე მას). მისი ხეთისო ჩვეულებრივია მთელია, შეურაცხყოფილი და გაბრაბრებულია, რომელსაც შეუძლია ადამიანის წაქეზება უმგავსო საქმის ჩასადენად. რეჟისორი მართებულად მოიქცა, როდესაც ხეთისოს როლი სპექტაკლში ცალკე არ გამოჰყო და მისგან მნიშვნელოვანი ფიგურა არ შექმნა. სვანაძემაც შეძლო მიეგრე მის მიერ განსახიერებული გმირის ამ „უბრალობისათვის“. ის თამაშობს მშვიდად, დაუძაბავად, ყოველგვარი აფექტაციისა და მხატვრული გაზვიადების გარეშე.


ჩვენ ძალიან გავგაზრდა ახალგაზრდა მსახიობის ნიკოლოზ წიკლაურის წარმატებამ. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ხანი არ არის, რაც თეატრში თანაშრომლობს, მინიჭ შეძლო ორი როლის განსახიერება (შალვასი „მოკვეთილი“ და ვანოსი „მსხვერპლში“).

წარმოსადეგ, შესანიშნავი სცენიური გარეგნობის მქონე ნ. წიკლაურს აქვს კარგი ტემპის ბარიტონი. ადრე, ნ. წიკლაურის სტუდენტობის დროს, მისი ხმა ხანდახან ტლანქად და მონოტონურად გვეჩვენებოდა. ახლა კი ქუთაისის თეატრის სპექტაკლებში წიკლაურის ხმა დამაჯერებლად ფლრს. მის ხმას აქვს თავისებური ნიუანსები და მოქნილობა.

წ. წიკლაური დიდი შინაგანი აღმაფრენით ასრულებს შალვას მცირე როლს ვაჟა-ფშაველას ღრამში. უნდა აღინიშნოს, რომ პიესაში ეს როლი თითქმის უმნიშვნელოა (მარჯანი-

შვილის სახელობის თეატრის დადგმაში ეს როლი მოქმედ პირთა ნუსხიდან ამოღებულა (ია). რეჟისორი ა. ვასაძე და ახალგაზრდა მსახიობი შეეცადნენ ამ როლისათვის მეტი ვამოზახველობა მიეცათ. ნ. წიკლაურის შალვა ქუთაისის თეატრის სპექტაკლში შესამჩნევი და დასამახსოვრებელი ფიგურაა. მსახიობი სპექტაკლის დაწყებისთანავე ახერხებს მყუერებელთა ყურადღების მიპყრობას თავისი უშუალოდ და მგზნებარე, შთამაგონებელი ბუნებით.

არანაკლები წარმატება ხვდა ნ. წიკლაურის ვანოს ი. გელევანიშვილის პიესაში „მსხვერპლი“. ეს როლი დიდი არაა, დრამატურგი მას პირველსავე მოქმედებაში წყვეტს და დანარ-



„მსხვერპლი“. ვანო — მსახიობი ნ. წიკლაური.

ჩენ ორ მოქმედებაში ვანო უკვე აღარ ჩანს, მაგრამ ის თითქო მაინც სცენაზეა გამუდმებით. უფრო მეტიც, თვით პიესის მოქმედებაც მისი პიროვნების გარშემო ტრიალებს. ის ამ დუნე, ზედაპირული პიესის სცენიური კოლიზიის ცენტრშია მუდამ. ამ როლის შემსრულებელ მსახიობს დიდად საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრება. მან უნდა შეძლოს როლის ღრმად გააზრების მეოხებით დაარწმუნოს მყუერებელი მომხდარი ამბის სოციალურ სიმბავილესა და მნიშვნელობაში, რაც, სხვათა შორის, თვით პიესასაც ძალზე აკლია. ნ. წიკლაური აღწევს ამას და დამაჯერებლად ასახიერებს როლს, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ღირებულება და დუნე მხატვრული მასალა.

რომელიც, ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო, აურჩევია თეატრს დასადგმელად. მსახიობი კარგად ვადაგმველს შეუვარებულ კაცის გაუბედაობას (როგორც ცნობილია, ნატოსა და ვანოს ერთმანეთი უყვართ), შინაგან ბრძოლასა და ყოყმანს გვირუკის საქმის წინ და ბოლოს მამაცურ გადაწყვეტილებას სასოწარკვეთილი ადამიანისა, რომელიც თავისთავზე იღებს დანაშაულის მთელ სიმძიმეს თავისი ხალხის ვადასარჩენად.

სცენა, რომლის დროსაც ვანო ჩაფრებას მიპყვავთ, სპექტაკლის ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა.

ამავე სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრალური ინსტიტუტის სხვა კურსდამთავრებულნიც: ლამარა ვაშაიძე, გიორგი ლასხიშვილი და ირაკლი ბალიაშვილი.

ლ. ვაშაიძის თამაში გამოირჩევა მსუბუქი ლირიზმით და როლისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. ჩვენ ის ვვახსოვდა ზედმეტად მორიდებულ, შებორკილ და გულჩათხრობილ ახალგაზრდა მსახიობად, რომელიც არც ეფიქრობდა დიდ საპასუხისმგებლო როლებზე, მაგრამ ლ. ვაშაიძის შემოქმედებითი ცხოვრება შესამჩნევად გარდაქმნილა. ის, რაც სტუდენტობის დროს შეუმჩნეველი იყო, ახლა მკაფიოდ არის გამოვლენილი და მხატვრულად დამაჯერებელი.

ლ. ვაშაიძე „მსხვერპლში“ ნატოს როლს ასრულებს. ეს სახე, ისე, როგორც ვანოს სახე, შედარებით სრულყოფილია პიესაში. სუსტი და უმწეო გოგონა, ცოლი მისთვის უცხო და საქმეველი ადამიანისა, უფეროდ გვირად გვევლინება. ის ვასცემს ლაჩარსა და მოლაღატე ქმარს და ნატო თვითონვე ხდება ამ კეთილშობილური და მამაცური ნაბიჯის მსხვერპლი — კვდება ქმრის ხანჯლით მეტადგანგვირუკი.

ლ. ვაშაიძე არ ცდილობს ხელოვნურად გაახვილოს როლი. მისი ნატო გაუბედავია და მორიდებული, ლირიულია და ქალური. გაუბედაობა და გულჩათხრობილობა გამომდინარეობს თვით მსახიობის ჩანაფიქრისაგან, რომელიც ახლავს მის შემოქმედებითს ინდივიდუალობასთან.

ის გვირუკი ნაბიჯი, რომლითაც ნატო ვეიერგენებს ფინალს, მსახიობის მიერ ვადაგმულია ყოველგვარი პათოსის, პლაკატურობისა და ძალდრტანების გარეშე. ის თითქოს განათებულა იმ შინაგანი დრამატუზმით, ლირიულობითა და ქალური მომხიბვლელობით, რომელიც ნატო-ვაშაიძეს მთელი სპექტაკლის განმავლობაში ჰშვენიდა.

ამავე სპექტაკლში თავისი უშუალოდ გამოირჩევა ახალგაზრდა მსახიობი გიორგი

ლახხიშვილი. მას ნამდვილად აქვს კომიკური მონაცემები, მაგრამ ლახხიშვილისათვის კომიკური თეიმონი არ იქცევა. მძაფრი კომიკურ-სახის მიღმა ის ეძებს ადამიანის შინაგან არსს. სწორედ ამიტომაც ასერივად მოხიბლავი მის მიერ შექმნილი დუქნის ბიჭის — შაქროს სახე. მსუბუქი, მოძრავი, მახარბიანი შაქრო-ლახხი-შვილი იმთავითვე იმსახურებს მკაცრად სიმპათიას. მსახიობი ცდილობს ხაზი გაუსვას შაქროს კარგ, ადამიანურ მიდრეკილებებს და მის შინაგან სიწმინდეს. სულ სხვანაირი ხასიათისაა ლახხიშვილის მიერ შექმნილი ყარა-იუსუფის სახე „ლალატში“.

რეჟისორი აკაკი ვასაძე ახალგაზრდა მსახიობს არა მარტო საღ შინაგან გააზრებაზე მიუთითებდა, არამედ დღეინებით მოითხოვდა მოწადისაგან ფორმის შეგრძნებასა და ათვისებასაც. ახლა, როდესაც უკვე საკმაოდ რთო გავიდა და სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილებები გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა, თვალწინ შეადიოდ გვიდვას სტუდიამან-ხანის ფეხებთან დაკლანილი, ძალით ვორჩილი ყარა-იუსუფი. გ. ლახხიშვილის მიერ განსახიერებელი ყარა-იუსუფი ერთდროულად ბორცოც არის და საციოდაც, და მკურებლის სულში ერთმანეთს ენაცვლება განციხებისა და სიბრაულის გრძნობა.

ირაკლი ბალიაშვილმა სამივე სპექტაკლში პატარა, ეპიზოდური როლები შეასრულა (გიორგის როლი „მოკვეთილში“, მიხოსი „მსხვერპლში“ და იზნ-საიდისა „ლალატში“). ეს როლები სრულიად არა ჰგავს ერთმანეთს და მსახიობისაგან შემოქმედებით ნაირსახეობის გამოვლენას მოითხოვს. ირაკლი ბალიაშვილი ცდილობს როლების გაგებისას სწორედ ამ გზას გააყვეს. მისი გიორგი ფიცხია, იზნ-საიდი მოწყენილი და მრისხანე, ხოლო ვანოს მეგობარი მიხო — გულმხიარული და ტემპერამენტიანი. ირაკლი ბალიაშვილი ჩვენ განსაკუთრებით დავგამახსოვრდა „მსხვერპლის“ ფინალურ სცენაში. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რადგან უბრატესად ამ სცენაზეა დამოკიდებული პიესა და სპექტაკლის ბედი.

როგორც ცნობილია, ი. გედევანიშვილის პიესა, რომელიც დაწერილია გარკვეული ტენდენციით — იყოს რევოლუციური ხასიათისა, მოაზრდება მოხუცი გაბუას ევდრებით ღმერთისადმი, როგორც გადარჩენისა და სიკეთის ერთადერთი იმედისადმი. ამით გამოიხატა ავტორის კონცეფციის ძირითადი შეცდომა და მისი პოლიტიკური პოზიციის მერყეობა. რეჟისორი ო. ალექსიშვილი შეეცადა გამოეწოროდინა ეს და ღმერთისადმი ევდრების უარსაყოფად გვიჩვენა ხალხის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა დამოკიდებულება ამ ამბი-

სადმი. უნდა ითქვას, რომ ფინალის ასეთი გადაწყვეტა ნაწილობრივ კიდევ ასწორებს მდგომარეობას. ხალხის პიროტესტი სპექტაკლის თავისებური წერტილია. სწორედ ამ ხალხის წარმომადგენელი ახალგაზრდა მიხო (ირ. ბალიაშვილი) უსიტყვოდ, მკვეთრი და მოუთმენელი მოძრაობებით ამქლადენს თავის აღმფთვებლას და უნდობლობას ღმერთისადმი ამ ევდრების გამო და ბრძოლისათვის მზადყოფნას გამოხატავს.



ჩვენ ვამთავრებთ საუბარს ახალგაზრდა მსახიობთა შესახებ. რა თქმა უნდა, ეს ლახხი-რული პირობითია, რადგან მათი შემოქმედებითი ცხოვრება მხოლოდ ახლა დაიწყო და წინ არის მთავარი სიმწელები, გამარჯვებები, გაწბილებები და შემოქმედებითი რწმენის გველეზანი, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ყველა ნამდვილი ხელოვანისა-



„ლალატში“. ერეკლე — მსახიობი ერემა სვანაძე

თვის. შესაძლოა ჩვენ გვისაყვედურონ კიდევ ზემდგი ქებას გამო. და შესაძლოა ჩვენ ვიმსახურებთ კიდევ ასეთ საყვედურს. დაე, ასე იყოს, რადგან ჩვენი შეფასება არ არის მოკლებული ალტაცების გრძნობას და ეს ალტაცება გამოყვეულია ინტერტუში აღზრდილთა პირველი წარმატებებით. ჩვენ მართლაც ვცდილობდით, რომ მათ

თამაშში შეგვეჩინა მხოლოდ კარგი მხარე, მაგრამ არც ნაკლოვანებები გამოვკრჩინია. ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის მხატვრულად სრულყოფილი, მათ სწორად არ ჰყოფნით ოსტატობა, იგნანობა გამოუცდელიობა, მოუშწიფებლობა. მაგრამ ეს ვასავებიდა: ჭეშმარიტი, დიდი ოსტატობა წლებისა და დედუღაღვი შრომის შედეგია. და ახლა, როცა აღენიშნათ ახალგაზრდა მსახიობთა კარგ მხარეებს, გვესურს ერთხელ კიდევ გავიმეოროთ: გაუფრთხილდით მთავარს — გულწრფელობას და სცენიურ სიწმინდეს, ერთდებო შტამებს, უფემოვნობასა და გაცეცილ ჩვეებს. საიმისოდ თქვენ გაქვთ ყველა პირობა. მართლაც, ქუთაისის თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი გზა იწყება არა სამუშაოს ლოდინით, არამედ თვით დაძაბული მუშაობის ვითარებაში. ისინი უქმად არ სხედან. თეატრი მათ სამუალებას აძლევს ყოველმხრივ მოსიჯონ თავიანთი შესაძლებლობანი და ყურადღებით აღენებს თვალს მათს შემოქმედებითს ზრდას. მიმდინარე სეზონი ბევრ საინტერესოს ჰპირდება თეატრის ახალგაზრდობას. საქმარისია აღენიშნოთ, რომ სპექტაკლ „დონეზოვარ დე-ბაზანში“, რომელსაც თეატრი მაშინ ამზადებდა დასადგმელად, მთავარ როლებს შესარტლებენ ახალგაზრდა მსახიობები, კერძოდ, მარტინას როლში გამოვა თამილა ბერაძე. ნ. ვირტას პეისაში „თვალ-უწვდენელი სივრცეები“, რომელსაც ა. ვასაძე დგამს, ახალგაზრდა მსახიობებს საბასუსისმგებლო როლები აქვთ დათმობილი.

მაგრამ ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს თეატრი ახალგაზრდობას ანუბიერებდეს. საბასუსისმგებლო როლებთან ერთად ახალგაზრდა მსახიობებს უხდებათ ეპიზოდური და ზოგჯერ უსიტყუო, როლების შესარტლებაც. მათ უნერგავენ აზრს, რომ ყოველმა მსახიობმა, ვინც უნდა იყოს ის, აუცილებლად უნდა გამოცადოს და შესარტლოს სპექტაკლისათვის საჭირო ყოველგვარი სამუშაო, რომ ეს საბატო საქმეა, რადგან ამით



დასტურდება პატივისცემა ხელოვნებისადმი და მშობლიური თეატრისადმი.

ქუთაისის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები იზრდებიან და ვითარდებიან საბჭოთა თეატრის ისეთი დიდი ოსტატის ხელმძღვანელობით, როგორც არის აკაკი ვასაძე. ის მათ მფარველობს, ნიდაგ თვალს აღენებს მათს დახელოვნებას, და ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვით ქუთაისის თეატრის მომავალზეც ფიქრობს.

დასასრულ ერთ პრინციპულ საკითხსაც უნდა შევეხოთ. უდავოა, რომ ჩვენი პერიფერიული თეატრები ძალიან საჭიროებენ ახალგაზრდა პრაფესიული კადრებით შევსებას. მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების საქმე ჯერ კიდევ ვერ არის კარგად ორგანიზებული. ახალგაზრდა სპეციალისტები უხალისოდ მიემგზავრებიან პერიფერიულ თეატრებში. ზორიად ხდება, რომ რაიონში ერთი წლის მუშაობის შემდეგ ისინი მოულოდნელად სტოებენ თეატრს. ჩვენ არ გამოუდგებით მაგალითების ძეგნას, რადგან ისინი ყველასთვის ცნობილია. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ პერიფერიულ თეატრებს შექმნილი არა აქვთ სათანადო პირობები ახალგაზრდობის მუშაობისათვის, მათს თანდათანობით შემოქმედებითს ზრდას საკმაო გულისხმიერებით არ ეცილებიან, არ უზრუნველყოფენ მათთვის ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს. და ისინი, რომლებიც შედარებით სუსტნი არიან, რომლებიც ვერ პოულობენ საკმაო ძალას დაბრკოლებათა დასაძლევად, გზის დასაწყისშივე ტოვებენ ასპარეზს.

სიხარულით უნდა აღენიშნოთ, რომ ქუთაისის თეატრში მსგავს სურათს არ წაეწყდომივართ. ჩვენ აქ ვნახეთ კმაყოფილი, ბედნიერებით გაბარწყინებული სახეები, ვნახეთ შემოქმედებითი წვა და სურვილი სწავლისა. ქუთაისიდან ჩვენ ებრუნდებოდით ჩვენი აღზრდილების ბედით გახარებულნი და დამშვიდებულნი. დავრწმუნდით, რომ ისინი სწორი გზით მიდიან და ცხოვრების გამოცდაც ღირსეულად ჩააბარეს.





თემა ელ. ყიფიანისა


ნახატი ჯემალ ლოლუასა



ვინ როგორ უსმენს „ფაუსტს“.

თემა ელ. ყიფიანისა

ნახატი ჯემალ ლოლუასი



თემა ნ. ლუგბაძისა

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ამსტრალია

პიესა საჭარბოვლის ცნობრებშიდან

მელბურნის სტუდენტთა თეატრალურმა ჯგუფმა თავის რეპერტუარში შეიტანა ბერტოლდ ბრენტის პიესა საჭარბოვლის ცხოვრებიდან — აქაკასიის ცარცის წრეა. მუსიკა დაწერა გამოჩენილმა ავსტრალიელმა კომპოზიტორმა დორიან ლე გალიენმა.

ბრენტის პიესა პირველად იღვმება ავსტრალიაში.

პარდის ახალი რუმანი

ავსტრალიის ლიტერატურა ჯერ არ შეადგენს წიგნის მსოფლიო პროდუქციის რამდენადმე მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ავსტრალიელ ავტორთა შორის არიან მწერლები, რომლებმაც სახელი გაითქვეს მსოფლიოში. ერთერთმა მათგანმა, პროგრესულმა მწერალმა ფრენკ პარდისმა, რომლის კალამსაც ეკუთვნის ცნობილი რომანი „უსახელო ძალაუფლება“, დაწერა ახალი რომანი „ოთხფეხა ლატარია“. მოქმედება წარმოებს მშინა წლებში, როცა მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ემდევ ლახვარი ავსტრალიასაც მოხვდა. ინგლისელი მწერლის ჯეკ ლინდსეის აზრით, ეს ახალი რომანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ფსიქიკის მშვენიერი პოემაა, რომელშიც ავტორი სინამდვილეს გვიხატავს ისე, რომ არ მიმართავს ლიტერატურულ სპეკულაციასა და ხელსაყრას.

ამსტრია

18 წლის კომპოზიტორი

ვენის მახლობლად ერთერთ ქალაქში წარმატებით იღვმება 18 წლის კომპოზიტორის პეტერ ეფლერის ოპერეტი. ამ ნიჭიერმა ყმაწვილმა კომპოზიტორმა ბრიუნელის გამოფენაზე ბრწყინვალედ შეასრულა ბეთოვენის III კონცერტი, ორკესტრის თანხლებით და დიდი წარმატებაც ხვდა.

საინტერესო ცნობები

ამას წინათ ავსტრიაში ჩატარდა მსოფლიო წიგნის ერთკვირეული, რამაც მეტად საინტერესო ცნობები მოგვცა წიგნის პროდუქციის შესახებ დედამიწის ზურგზე.

გამორიკვა, რომ ამ მხრივ პირველ ადგილზეა საბულოა კავშირი, სადაც წელიწადში 81.616 ახალი წიგნი გამოდის, მეორე ადგილზეა იაპონია — 24.540 წიგნი, მას მოსდევს დიდი ბრიტანეთი — 20.719, დასავლეთ გერმანია — 16.960 და ბოლოს აშშ — 13. 142.

არაბეთის ბაქტერიანობული რესპუბლიკა

ქალაქი-მუზეუმი

რესპუბლიკის ეგვიპტურ ნაწილში პირამიდების ახლოს შენდება ქალაქი-მუზეუმი. ქალაქის მშენებლობის გეგმარში გათვალისწინებულია არქეოლოგიისა და ხელოვნების ის-

ტორიის ინსტიტუტები, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები, სპორტული სტადიონი და საზაფხულო თეატრი.

ა შ უ

პოლიფუნგა თემატიკა შეცვალა

ამერიკელ კინომაყურებელს აღარ იზიდავს სისხლიანი სათავადასავლო ამბები და გვამები — ახლა დადგა ფსევდოემციურიული „საშინელი“ ფილმების ხანა. პოლიფუნგი ამჟამად 75 ასეთ ფილმს, რომელთა ნაწილი დამთავრებულია, ხოლო პირველი მათგანი — „ღრინაკალი“ უკვე მოგზაურობს დასავლეთ ევროპაში. ავსტრიული ჟურნალი „ესტერიეისიშე ნოიე ტაგესცაიტუნგი“ აღწერს ერთერთ ასეთ ფილმს — „ბუში“ (ღრ კ-ს ექსპერიმენტი), რომლის მართვი სიუჟეტი ტრაგიკია ამ ახალი ჟანრისთვის: მემციერმა აღმოაჩინა სხივები, რომლებიც შლის და აერთებს მატერიას. ერთერთი ექსპერიმენტის დროს ჩართვეს „შეშვრთებელ სხივებს“ და ბუშს გამოემგება აღმანის თავი და პაწია ხელი; ამის შემდეგ ბუშს დეპრესია შეიპყრობს და თავს იკლავს — ობობას ქსელში ებმება. ხოლო პროფესორი, რომელმაც შეიძინა ამ ბუშის ატომების ნაწილი, შინაური ბუშეები იქვევა და მას ცოლი ჰკლავს. გაუთი იუწყება, რომ ამერიკული კინოთეატრების მფლობელნი საცხებით კმაყოფილნი არიან ფინანსური

წარმატებითაც და მასურებლი-
თაც, რომელიც ახლა ამ ახალი
ჟაღის ფილმებს დატანა.

კოცნის ხანგრძლივობა

პოლიფულის კინოცენზო-
რება გამოცეცს ახალი წესი,
რომელიც მკაცრად განაზღვ-
რავს კოცნის ხანგრძლივობას
ეკრანზე. მათ ნება დართეს
ჯგერისწერის კოცნა გადიდონ
88 სმ ფორზე, ხოლო სადგურ-
ზე ან ავტობუსის გაჩერებას-
თან კოცნა 22 სმ არ უნდა
აღემატებოდეს.

ნახატი ფილმი დაეცა

ტელეხევის მხრივ კონ-
ტრერცენის გამო ამერიკული
ნახატი ფილმი დაეცა. მისმა
ისეთმა თვალსაჩინო წარმოა-
დგენელმა, როგორცაა უოლტ
დისნეი, ხელი მოაკიდა უფრო
შემსავლდიან საქმეს — მას
აქვს პარკი, სადაც აუარება
ატრაქციონებია ბავშვებისათ-
ვის. მსხვილმა კინოფირმებმა
ან სავსებით შეწყვიტეს ნახა-
ტი ფილმების წარმოება, ანდა
იმავე ტელეხევისათვის ამ-
წადებენ რამდენიმე, 5-15 წუ-
თიან, სარეკლამო ფილმს. კი-
ნემატოგრაფიის ეს სანტერე-
სო და მრავლისაღმთქმელი
დარგიც იმუღებულნი შეიქნა
დაეტოვებინა ასპარეზი და
ამერიკული ხელოვნების კო-
მერციას დამორჩილებოდა.

ბერმანი

ბერმანიის
დემოკრატიული
რისპუბლიკა

„პური და მარილი“

გამოცემილობა „აუფხაუმი“
ამს წინათ გამოცეცა ანა ზე-
გერსის ახალი წიგნი „პური და
მარილი“, რომელიც შეტანი-
ლია სამი ახალი მოთხრობა.
გაიერთა „ბერლინერ ცაიტუნ-
გი“ კომენტარს უყუთებს მო-
თხრობათა ამ კრებულს:
„1956 წლის უნგრეთის კონ-

ტრრევოლუციასა და 1933-45
წლების გერმანული ფაშიზმის
ხარბაროსობას საერთო ნიშნე-
ბი ახასიათებს. ეს თემა აკვეში-
რებს ზეგერსის მ ახალ მოთხ-
რობას ერთმანეთთან, საივე
ერთხაირადა სავსე საშინელე-
ბებით, თუმცა სხვადასხვა
პერსპექტივაში იშლება.

პირველი მოთხრობა „პური
და მარილი“ ეხება 1956 წლის
უნგრეთის კონტრრევოლუცი-
ას, ხოლო ორი დანარჩენი —
გერმანიაში ანტიფაშისტურ
მობრძობას.

საოკრად სადაღ, მკაცრი
შტრიხებით წარმოგვიდგენს ანა
ზეგერსი თავისი მოთხრობების
გმირებს, პათოსის ნიშანწყუ-
ლიც არსადა.

დორაკში, უნგრეთის პატა-
რა დაბაში, ერთმანეთს ხვდე-
ბიან ყოფილი მემამულეები,
ბუღალტერში მქენვიარე რაქ-
ვის მოციქულეები. პარიზის,
ჟენევის, მუნხენისა და ვენის
გავლით მოისწრაფოდენ ისი-
ნი აქეთ, რადგან ფიქრობდნენ,
კვლავ დაღვა ჩვენნი დრო,
რაკი კომუნისტები უანერგზე
ჩამოკიდესო. მაგრამ დორაკ-
ში ჯერ ისევ ახსოვთ მაკეისი
და სტერინუსი და მათგან
მიყენებული უბედურება, მათ
აქ ბევრი ჰყავთ ძველი და ახა-
ლი მებრნი. და აი, ძველი, სა-
ერთო მტრის სიძულვილით,
იშის საშინელმა საფრთხემ —
რაც აქამდე ხალხს ეკუთვნოდა,
ისევ მემამულეთა ხელში გა-
დავყო, გაერთიანა და გაძ-
ლიერა პატარა დაბის მცხოვ-
რებნი და... მათ გაიმარჯვეს.

მეორე მოთხრობა „სახო-
ტში“.

ეს მოხდა 1943 წელს უკ-
რაინის ფრონტზე. გერმანული
ხელყუმაბარები, რომლებსაც
საბჭოთა არმიის წინააღმდეგ
იყენებდნენ, ან სრულებით არ
ფეთქდებოდა, ან პაერსივე
სყდებოდა და მიზანს ვერ აღ-
წევდა. ეგესტაობს არ გასძენ-
ლებია იმის დაუსტებება, რომ
ეს ხელყუმაბარები ომის გამო-
ცხადების დღეს გამოუშვა

ქარხანამ. რაშია საქმე? ავტო-
რი უბრუნდება 1941 წელს.
პაულ ბოჰლანდი და ფრანც
მარნეტო, რომლებიც 1942
წელს დაიღუპნენ, ცოცხლებია
არაიან, მათ გვერდით ქარხანაში
მუშაობს კომუნისტი პერმან
შულცი. ამ სამ მუშას შორის
ხშირია პირადი და პოლიტიკურ-
ი ხასიათის შეჯახებები. მაგ-
რამ გერმანიის ვერაგულმა თავ-
დასსამა საბჭოთა კავშირზე
ბევრ რამეზე აუხილა მათ თვა-
ლი. ისინი პოლიტიკურ მუშაო-
ბას ეწევიან მუშებს შორის და
ამან გააოიღო კიდევ ნაყოფი
— ქარხანა ხშირად წუნდე-
ბულ, არასრულფასოვან ყუმი-
ბარებს უშვებს. ეს აშბავი ორი
წლის შემდეგ გამოიღვანდა
უკრაინის ფრონტზე. პერმან
შულცი დახვრიტეს. „გვიან-
დაა, — ფიქრობს შულცი, —
ახლა ჩვენ მარტონი როდო
ვართ, ახლა ყოველ მკვდარს
ორი ცოცხალი უღვას გვერ-
დით“.

„მარგარიტა ვოლფის 40
წელი“ — ასე ეწოდება მესამე
მოთხრობას, რომელიც ავსებს
ერნსტ ვალაუს — რომან „მე-
შვიდე ჯგერსი“ გმირის ისტო-
რიას. ანტიფაშისტური ქალის
ცხოვრებასაც ეს დევიზი ახ-
ლავს თან — „ყველის დახვრე-
ტა და განადგურება შეუძლ-
ებელია, რადგან თითოთ ჩვენს,
ხალხი, ვართ პური და მარი-
ლი ბრძოლისა, პური და მარი-
ლი სიცოცხლისა და გამარჯ-
ვებისა“

მეთოჯლივი ფილმი

1959 წელს საბჭოთა კავშირ-
სა და გერსი განზარასხლი
აქეთ შექმნან რამდენიმე ერთ-
ობლივი მხატვრული და დო-
კუმენტური ფილმი:

„ექვის დღე“ — ასე ერქმევა
მხატვრული ფილმს, რომელიც
დრეზდენის გალერეის შედევ-
რთა გადარჩენის ამბავს მოგვი-
თხრობს. ფილმში ნაჩვენებია
საბჭოთა არმიის ჯარისკაცე-
ბის გმირობა და კეთილმოხი-
ლება, მათი უანგარო დახმარება



შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებების გადარჩენის საქმეში. სცენარის ავტორები არიან ცნობილი საბჭოთა ავტორი და რეჟისორი ლევ არნშტამი და გერმანელი დრამატურგი პანს ლუკე.

„დაბრუნება“ — ასეთი სახელწოდება ექნება ფილმს, რომელსაც ვილი ბრედელი და სერგეი გერასიმოვი ქმნიან. ფილმში ნაჩვენებია კლასიკარდთან მებრძოლი ერთი გერმანელი ჯარისკაცისა და მისი ოჯახის ბედი დასაწყისიდან აღმდეგ. ფილმი ეძღვნება საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობას.

„აი ასეთი ჯგუფი“ — ეს არის კინოკომედია საბჭოთა ტურისტებზე, რომლებიც გღრში მოხვდებიან და თავს ათასწარიის რამ გადახდებთ. სცენარის ავტორია ლეონიდ ლენჩი და ერთ-ერთი გერმანელი მწერალი. ფილმს იღებს ახალგაზრდა რეჟისორი ე. რიაზანოვი.

გაოთვალისწინებულია აგრეთვე ერთი საბავშვო, სამი პოპულარულ-სამეცნიერო და სამი დოკუმენტური ფილმის შექმნა. ანელი და ანდრე ტორნდას, რომლებსაც არა ერთი შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი გადაუღიათ, მოსკოვის დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიასთან ერთად იღებენ ფილმს საბჭოთა კავშირის შესახებ. ნაუმოვი და სლავინსკია გერმანელ ავტორებთან ერთად ქმნიან დოკუმენტურ ფილმს — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 10 წელი“. არკადი სევილიანი და კარლ პანს იქნებიან ავტორები პოპულარულ-სამეცნიერო ფილმისა — „შენი საყვარელი“.

შოლიო კიურის ცხოვრება

გერმანელი ავტორების ერთ-მა ჯგუფმა, რომელიც ფრედერიკ შოლიო კიურის ბიოგრაფიაზე მუშაობს, ამას წინათ

დაიწყო მუშაობა სცენარზე, რომლის მიხედვითაც გადაიღებენ ფილმს ამ გამოჩენილი მეცნიერისა და მშვიდობისათვის მებრძოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბრესტის დევნა

ქ. ვორმის კულტურის განყოფილებამ, რომელიც გერმანიის სოციალისტური პარტიის გავლენას განიცდის, კათოლიკური და ევანგელისტურ-ტური ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და რეპტივულად განწყობილი მასწავლებლების მხარდაჭერით მოითხოვა, რომ კარლსრუეს თეატრის რეპერტუარიდან ამოღებულ იქნას ბრესტლდ ბრესტის ცნობილი პიესა — „სამგროსიანი ომერა“.

ამ ორგანიზაციების პროტესტი გამოხატა თავისი წერილით ქალაქის კულტურის განყოფილების გამგემ კარლ ჰაილმა, რომელმაც მოსთხოვა თეატრის ხელმძღვანელებს — დაუყოვნებლივ ამოიღო ეს პიესა უფროსი კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი ამონემენტიდან და შეცვალეთ ისეთი დადგმით, რომელიც უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევა როდესაც ჯერ კიდევ 1951 წელს ვორმისის მთავრობამ აკრძალა „სამგროსიანი ომერის“ რეპიტციები და ამოიღო პიესა თეატრის რეპერტუარიდან; იგივე იდეოლოგიური და მორალური მოტივები ამოძრავებდათ ალბათ ვორმისის სოციალ-დემოკრატებს, როცა ამჯერად ილაშქრებდნენ ბრესტის შემოქმედების წინააღმდეგ. „ვისაც ბრესტის ნახვა და მოსმენა უტრს, — შენაშნავს კარლ ჰაილი, — მიბრ-

ძანდეს მანძაიმში, დარშშტატსა და მინენში“.

კამპანია ბრესტის ნაწარმოების წინააღმდეგ წამოიწყო ვორმისის საშუალო სკოლების სამმა დირექტორმა, რომლებმაც განაცხადეს — მოლოდინი შემთხვევაში ავიღებთ ჩვენთვის განკუთვნილ 150 აბონემენტს, თუ ეს პიესა ამოღებულ იქნება რეპერტუარიდან; ხოლო ერთ-ერთმა დირექტორმა ოფტრინგმა ასე განაცხადა: „ჩვენ, მასწავლებლები, დავკარგავთ მორალურ ღირსებას ჩვენი მოსწავლეების თვალში, თუ ვაჩვენებთ ბრესტის პიესა, ნაწარმოები ისეთი აღამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნისტებს შესწარა“.

ვორმისის ახალგაზრდები არ ეთანხმებიან მასწავლებლებს ასეთ „სრუნვეს“ მათს მორალურ აღზრდაზე და არც ბრესტსა და მის შემოქმედებაზე იზიარებენ მათს აზრს. ამას წინს არხოლდშაინის ევანგელისტური აკადემიის ახალგაზრდული სემინარიის წინ მოსწავლე თავის ღია წერილში ასაღაგაზრდა პროტესტანტი მღვდლის ბონდენშონის სახელზე. მოსწავლეები პროტესტს აცხადებენ ისეთი ნაწარმოებების აკრძალვაზე, რომლის შესახებ ზოგ „ამკრძალავს“ არც არაფერი გაუგია და არც არაფერი წაუკითხავს.

ასალი „რამკორღი“

დასავლეთ გერმანიის კინემატოგრაფიამ, რომელსაც თავისი ფილმების გზიარებად სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებს ფაშისტო დამნაშავენი, თავისებური რეკორდი დაამყარა, როცა გადაწყვიტა გადაიღოს ფილმი „გვიან დაბრუნებული ადოლფ ჰიტლერი“. სცენარში აწერილია უტოპიური (მაგრამ რევანშისტებისთვის საწყევარი) ამბავი: 1957 წელს დასავლეთ გერმანიის მოსულდენლად გამოჩნდება „ათასწლეონი



იმპერიის ბელადი“, რომელიც მკვდარი გვონათ. ბონის ხელი-სუფალთ ამის გამო ათასი თავსატეხი უჩნდებათ. ჯერ კიდევ არაა ცნობილი, ნაჩვენები იქნება თუ არა ფილმში პიტლერის დენაციფიკაცია და სახელეთ გერმანიის სასამართლოს მიერ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამგვარი სცენარი მოიწონეს, საკმაოდ მკვირვებულად ჩანს.

ესკანეთი

სენსაციური გოიასი ინტერესი

ხელოვნების ისტორიკოსმა ლობუს რეიმ, რომელიც უკვე ნათეს მონოგრაფია გამოაქვეყნა გოიას შესახებ, ამას წინათ სენსაციური სტატია დაბეჭდა ფრანგულ ჟურნალში „ლა გაზეტ დე ბო ზარ“. რს წერდა, რომ უმეტესი ნაწილი გოიას ნახატებისა, რომლებიც ინახება პრადოს მუზეუმში, მადრიდის სახელმწიფო გალერეისა და სხვა ადგილებში, დაუხატავს მხატვრის პაწია მეგობარ გოგონას, 12 წლის მარიკიტა როზაროს, რომლის ტალანტიცაა გოია ძალზე დაინტერესებული იყო. რეი წერს, რომ გოგონა სხვადასხვა ვარიანტით იხატავდა ფიგურებს, პორტრეტებსა და კარკატურებს, რომლებსაც მას გოია უხატავდა. პროფესორ რეის ამ ამბის აღმოჩენაში ხელს შეუწყობს უცნობმა სურათმა, რომელსაც ხელს აწერს მარიკიტა, რომელიც 28 წლისა გარდაიცვალა.

იპოვნია

უფრო უძველესი

იპოვნელ არქეოლოგთა ჯგუფმა აღმოაჩინა თუნის რვა ქოთანი, რომლებიც იქნებ უძველესიცაა მსოფლიოში, რადგან, როგორც ჩანს, 10.000 წლის წინათ უნდა იყოს დამზადებული. ამჟამად ამ ქურ-

ბელს ქიმიურად იკვლევენ, რათა დაადსტურონ ეს თარიღი. დღემდე თუნის უძველეს ნაეუბობად ითვლებოდა ეგვიპტეში აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელიც 7.000 წლისაა.

ინგლისი

ელექტრონიკის ტენიანობა რასა

პროფესორმა ბირმა, შეფილდის ფოლადის ტრენტის „იუნაიტედ სტილის“ სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების უფროსმა, რომლის მეთაურობითაც 40 სწავლული მუშაობს, ამას წინათ განაცხადა, რომ შესაძლებელია აიგოს რომოტები, რომელთაც შეეძლებათ შექმნან თავისი მსგავსი რომოტები, მერე ევოლუციის გზით რომ სრულყოფილი შეიქნებიან. ინგლისის საზოგადოებრიობა კითხულობს: „მაშასადამე, ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა არსებობს იმის საფრთხე, რომ ელექტრონიკის ტენიანი ფოლადის ავტომატების რასა დაგვიმონებს? პროფესორ ბირის აზრით, ეს ნაწილობრივ შესაძლებელი იქნება, თუ კიბერნეტიკის მიღწევები „ცუდ აღამიანებს“ ჩაუვარდნობათ ხელში.

„ჩრდილოეთის ცილი“

ცნობილი ინგლისელი მწერალმა კრონინმა, რომლის კალამს ეკუთვნის საბჭოთა კავშირში არაერთგზის გამოსული რომანები „წილუდი“, „ვარსკვლავები ძირს იცქირებიან“, „ბრაუდის ციხე-დარბაზი“ და სხვ., დაწერა ახალი რომანი „ჩრდილოეთის ცილი“. ამ რომანში აღწერილია ცხოვრება პრესის ღირსებისათვის მებრძოლი მამაცი ჟურნალისტისა, რომელსაც მონოპოლია ისეთს იძულებითს შეიძლება დაეხმოს, რომ მისი ჟურნალი „ჩრდილოეთის ცილი“ მმართველ ფენათა იარაღად იქცა, ხოლო თვით მას

გაერთება აღარაფერი შეძლია, ამერიკული კრიტიკა ძალიან თავშეკავებით შეხვდა კრონინის ახალ რომანს.

„სპარტაკი“ მკარანე

განთქმულ ინგლისელ მსახიობს ლოურენს ოლივიეს განზრახული აქვს გადაიღოს ფილმი სპარტაკის აჯანყების შესახებ. სპარტაკის როლს თვით ლოურენს ოლივიე შეასრულებს.

ინგოეთი

„კომუნისტი გულისა“

ბომბების კინოსტუდია „მომალა-ფილმ“ ტანუენტის კინოსტუდიისთან ერთად ამზადებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეორე ერთობლივ ფილმს — „პოემა ორი გულისა“. სენარის ავტორია უზბეკი მწერალი შარაფ რაშიდოვი. მან სცენარს ქარგად დაუღო XVII ს. ინდოელი პოეტის შირგოშილის პოემა, რომელიც მოგვითხრობს ინდოელი მოცეტის ქალისა და შუაზიელი ყმაწვილის სიყვარულის ამბავს.

ირანი

ახალი საზოგადოება

ირანში შეიქმნა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „შაჰრან“. საზოგადოების პროგრამის მიხედვით მისი მიზანია პოპულარიზაცია გაუკეთოს გამოჩენილი ირანელი მწერლების, სწავლულებისა და მხატვრების ნაწარმოებებს; დააწესოს და მინიჭოს უკვე დაწერილი ფულადი პრემიები საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებისა და მეცნიერული ნაშრომისათვის; მოაწესოს წიგნების გამოყენების; უკვე წელს მოაწესოს სადისკუსიო პრობლემები ირანში ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების სხვადასხვა საკითხზე.



იტალია

„დაცინება“

ანდრე მასკანიმ, განთქმული იტალიელი კომპოზიტორის მასკანის (ოპერა „სოლოის პატრიონების“ ავტორის) შთამომავალმა, დაწერა ერთმოქმედებიანი ოპერა „დაცინება“, რომელსაც საფუძვლად დაედო ჩეხოვის მოთხრობა — „მოსხელის სიკვდილი“.

მსოფლიოში მემოტხე

ტურინის უძველესი სასახლეში გაიხსნა კინემატოგრაფიის მუზეუმი, რომელიც შეოთხება მსოფლიოში. დღემდე ასეთი მუზეუმები მხოლოდ პრატაში, პარიზში და რომში (პეპე) იყო. მუზეუმის დარბაზში გამოფენილია დოკუმენტები, რომლებიც ასახავს კინემატოგრაფიის 60 წლის ისტორიას, დაწყებული იქიდან, როცა პირველად სცადეს მოძრაობის გადაღება და როცა 1895 წელს ძმებმა ლიუმიერებმა ჩაატარეს პირველი ისტორიული სენანი. ამ მუზეუმის მოწყობის ინიციატორია ცნობილი ფურანდისტო ქალი მარია ადრიანა ჩოლოუ, კინემატოგრაფიის ისტორიკოსი, იტალიის მუზეო კინოს პერიოდის სპეციალისტი.

შარს მუხანებანი

იტალიის მთავრობამ ნება არ დართო ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბალეტის მოცეკვავეებსა და ცნობილ მუსიკოსებს მონაწილეობა მიეღოთ ჩეხოსლოვაკიის უბტოვალში, რომელიც პეტრუჯიოსა და ვენეციაში მიმდინარეობდა. მთავრობამ აკრძალა აგრეთვე პეკინის ოპერის გასტროლები იტალიაში. ვაზეთი „უნიტა“ წერს: „ეს წინასწარ განზრახული აქტი საგრძობლად აჩვენებს ან მთლიანად კრძალავს კულტურულ კავშირს აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასთან“. სოციალის-

ტური ვაზეთი „ვანტი“ ირონიულად შენიშნავს — „აღბოთ შინაგან საქმეთა მინისტრს ტამბროს დავემეილი აქვს სოციალდემოკრატ ვიზაზე უპირის თქმა სოციალისტური ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენლისთვის მინიც“.

მემსიკა

უპაცურ ტემეზი

ერთი ფრანგი არქეოლოგი კარგა ხანია არქეოლოგიურ გათბრებს აწარმოებს მექსიკის პროვინცია კვენტანში, ზღვისპირა უკაცურ ტყეებში. მან აღმოაჩინა შიას ხალხის ცივილიზაციის 26 ქალაქის ნაგავლეტი, იპოვნა ვეება ქანდაკებანი, კერამიკული ნაქეთობანი და კერპები, რომლებიც უშუალოდ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის წინა ხანის მიეკუთვნება.

რუმინეთი

მომავალ სეზონში

რუმინეთის თეატრები 1958-59 წლების სეზონში დადგამენ 180 პიესას, რომელთა უმრავლესობა დაწერილია თანამედროვე მწერლების მიერ ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდში. რუმინელი დრამატურგების მრავალი პიესის გარდა თეატრები დადგამენ ვოეოეს, შექსპირის, ესქილეს, რასინის, ტოლსტოის, ოსტროვსკის, გოკოს, შოლს, ბრენტის, გო მოლოს, ნაშომ პიქეთის, რემარკის, ოქეისისა და სხვათა პიესებს.

საფრანგეთი

მელონირის პრემია

თეატრმა „კომედი დე სენტ-ტიენმა“ შარშანდელ სეზონში დადგა ბერტოლდ ბრენტის პიესა საქართველოს ცხოვრებიდან — „კავკასიის ცარტის წრე“, რისთვისაც მიიღო მოლიერის პრემია.

„თანამედროვე რომეო და ჯულიეტა“

ცნობილი ფრანგი კინორეჟისორის მარსელ კარნეს ახალი ფილმი „თალითები“ გვიხატავს თანემდროვე რომეოსა და ჯულიეტას ცხოვრებას. ისინი მიეკუთვნებიან პარაზელი ახალგაზრდობის იმ წრეს, რომელიც მთელ დღეებს ინტელექტუალურ „მემარცხენე“ კაფეებში ატარებს, გაგიჟებით უყვარს ჯაზი, სასიყვარულო პრობლემები, მაგარი სასმელები და მილიტარი ნათესაგების ან მეგობრების ავტომანქანებით გადარეული სროლა. ამ ფილმმა გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია პრესაში. საზოგადოებრიობა იმის განსჯაშია, მართლა შეძლო თუ არა კარნემ თანამედროვე ფრანგი ახალგაზრდობის ტიპური თვისებების დასახვა. ხლო პროგრესული კრიტიკა აღნიშნავს, რომ ეს ფილმი სხვა არაფერია, თუ არ კიდევ ერთი საბუთი იმისა, რა რიგ ვაიხრწნა ბურჟუაზიის ყველაზე უმცროსი თაობა.

კოლექტიური ისტორიული რომანები

პროგრესულმა ფრანგმა მწერალმა, გონკურის პრემიის ლაურეატმა მორის დრიუონმა დაწერა ალექსანდრე დიდის ცხოვრების რომანი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. დრიუონმა მწერლებისაგან შექმნა კოლექტივი, რომლის შემოვებითაც განზრახული აქვს შექმნას პოპულარულ-ისტორიული რომანების სერია, სადაც ასახული იქნება ვალუთა მეთოდის მოქმედი ორასწლიანი ისტორია. ამ სერიის რამდენიმე რომანი უკვე გამოვიდა და დიდი ტირაჟითაც გაყიდა.

ლიუმინარების ძეგლი

სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ სოტრატში საუნიშოდ გაიხსნა კინემატოგრაფიის გამოგონებლების ძეგლის ლიუმინარების ძეგლი, რომლის გახსნასაც დაესწრენ გამოგო-

ნებელთა შვილიშვილები. ძეგ-
ლი დგას ზღვის პირას, ნაძვის
ხის ჩრდილში, და გასცქერის
„სიყვარულის სრუტეს“, რო-
მელსაც უშუალოდ ლამარტინმა
და პიერ ლოტმა.

უნგრეთი

მიწისკვეთა სანატორიუმში

მიწოკლების რაიონში მდებ-
არეობს მსოფლიოში გან-
თქმული გამოქვაბულების კომ-
პლექსი, რომელსაც აუარება
ტურისტის ნახულობს. ყველაზე
შეტად საინტერესოა ბ. წ.
„მშვიდობის გამოქვაბული“,
რომლის ჰაერსაც განსაკუთრე-
ბული სამკურნალო თვისებები
აქვს. საქართველოს სახელმწიფო
მიწათმოქმედების დეპარტამენტი
სამაგისტრო ჩავიდეს ამ გამო-
ქვაბულში 3-4 საათით, რომ მა-
შინვე განიკურნოს, ხოლო
ყვიანა ხველით დაავადებულ
ბავშვებს ერთხელ ჩასვლიც
მყოფნივით. გამოიარკვა, რომ გა-
მოქვაბულის ჰაერი მთლიანად
სუფთაა, შტერის ნატამალიც
არ ურევია, ხოლო სინესტი-
ისეთია, როგორც 3.000 მეტ-
რის სიმაღლეზე. ჰაერი დიდი
რაოდენობით შეიცავს კალცი-
უმს. გამოქვაბულში ნაოფნია
74 სხვადასხვა სახის ღობე-
ბული სოკო, რომელთა უმ-
რავლესობას სამკურნალო თვი-
სებები აქვს, ამასთან 30 ისეთი
ჯიშია, როგორც დედამიწაზე
არ მოიპოვება.

უნგრეთის ჯანმრთელობის
ორგანოებს განზრახული აქვთ
„მშვიდობის გამოქვაბულში“
მოაწყონ მიწისკვეთა სანატო-
რიუმები.

ახალი საბრტაშორისო მნა

ამერიკელმა ჟურნალმა „ინ-
ტერნეშნლ ლენგვიჯ რევი-
უში“ („საერთაშორისო ენათა
მიმოხილვა“) ერთ-ერთ უკა-
ნასკნელ ნომერში გამოაქვეყ-
ნა ცნობა იმის შესახებ, რომ
მან შეადგინა ახალი საერთა-
შორისო ენა — „რომანიდა“.

მშვიდობისათვის მებრძოლი ფილიმი

მარიანა სემეშა, უნგრეთის
კინემატოგრაფიის მუშაკმა,
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს
უკანასკნელ სხდომას სტოკ-
ჰოლმში გაუგზავნა სცენა-
რიო ფანტასტიკური ფილმისა, რო-
მელშიც აწერილია, თუ რა სა-
შინელი შედეგი მოსდევს რა-
დიაქტიულ ცდებს. ეს სცენა-
რიო, რომელიც ავტორმა გაგ-
ზავნა, როგორც „ერთი უნგ-
რული კინემატოგრაფისტის
წვლილი“, აღტაცებით მიიღო
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს
კულტურის სექციამ.

უზენიცარია

საკლანეტაშორისო ფილმი

ჩარლი ჩაპლინს განზრახული
აქვს გადაიღოს საკლანეტა-
შორისო ფილმი. ამ აზრზე და-
დგა თავის ვაჟიშვილთან საუბ-
რის შემდეგ. უკვე რამდენიმე
თვეა ჩაპლინი კითხულობს
აუარება ტექნიკურ ჟურნალებს
და სწავლობს მეცნიერების ამ
დარგის ამსახველ ფოტოებს.
თვითონ ჩაპლინი შეასრულებს
დედამიწიდან პოლიტიკური
ვანდენილის—შარლოს როლს.
ჩაპლინი არც მიწირს საქ-
მებს იგიწყებს. ამას წინათ
ის გაემგზავრა ლონდონს, სა-
დაც დაიწყო პროცესი ინგ-
ლისის კინოგამქარაველებს
ფორმებთან, რომლებიც მისი
ფილმების დამახინჯებულ ას-
ლებს ავრცელებენ. „მე ჩემი
სახელისაღმი გულგრილი ვერ
ფიქნები, — განაცხადა ჩაპ-
ლინმა, — და ვერაფერი დამა-
ხვეინებს უკან, რაც უნდა ძვი-
რი დამიჯდეს ეს პროცესი“.

ჩინოსლოვაკია

ჩინო მშობლივი კომპიქის შეხება

ჟურნალი „ტვობა“ ბეჟ-
დავს ნაწვეტებს ჩეხი მწერ-
ლის იოზეფ სეკირის დაუ-

თავრებელი რომანიდა —
„წითელარმიელები“. ამ ნა-
წვეტებში მოთხრობილია ამ-
ბავი ჩეხი მონაღლისებობა,
რომლებიც კიკვიის დივიზია-
ში იბრძოდნენ.

ქართული ხალხური ხელოვნება

ჟურნალმა „სვეტ სოვეტს“
დაბეჭდა ქართული ხალხური
გამოყენების ხელოვნების ნი-
მუშების მიმოხილვა. ჟურნალი
წერს: „ჩვენს ფოტოებზე
თქვენ ხედავთ ვერცხლსა და
სხვა ძვირფას ლითონზე გამო-
კვერვის ნატიფ ნიმუშებს, ქვი-
სა და ხის დეკორატიულ საგ-
ნებზე ორი ფერის მასალის გა-
მოყენებას, მოზაიკას, რომე-
ლიც გამოსახავს მწყემსებს და
შუასაუკუნეების რაინდებს
ქვით ნაგებ ციხე-სიმაგრეთა
ფონზე. ისევე, როგორც ყო-
ველ ჭეშმარიტად ხალხურ ხე-
ლოვნებაში, აქაც პოეტური
სილამაშითა ახასული ქართ-
ველი ხალხის ცხოვრების პი-
რობები და მისი ბედობლი“.

ჩინეთი

მრთაღმრთი მსოფლიოში

განთქმული ჩინელი კომპო-
ზიტორის სი სინ-ხაის საქელო-
ბის მუსიკალური ავადებია
ერთადერთია შეთელს ჩინეთში
და, უთუოდ, მთელს მსოფლი-
ოშიც: აქ სწავლობენ მხოლოდ
და მხოლოდ გულგებნი. ისინი
სწავლობენ მუსიკალურ კომ-
პოზიციას, დირიჟორობას და
ვოკალურსა და ინსტრუმენ-
ტულ მუსიკას. ამ ახალდარ-
სებული სკოლის მასწავლებ-
ლები არიან ცენტრალური
ფედერაციის წევრები, რომ-
ლებიც ენთუზიაზმით გაემგ-
ზავრენ სოფლებს, სადაც დარ-
სება ეს ავადებია. ავადები-
მსმენელთა შორის ბევრია
ისეთი ტალანტი, რომელიც
დიდ იმედებს იძლევა.

**ამერიკელი მწერალი
ქალი ჩინეთში**

მწერალი ქალი ანა ლუიზა სტრონგი შეეძვედა ეწვია ჩინეთს, სადაც 1947 წლის მერე აღარ ყოფილა. სტრონგი წერს, რომ „ისტორიამ დღემდე არ იცის ასეთი სასწაული, რომლის შემოქმედიც აღმოჩნდა ჩინელი ხალხი“. მას მუდამ სწამდა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება, მაგრამ მოულოდნელია „ტემბები, რომლისგანაც ადამიანს სუნთქვა ეკვრის“. ანა ლუიზა სტრონგი მაგალითისათვის სახსენებს ერთ სახალხო კომუნას, სადაც უკვე უფასო კვებაა... „ხოლო ამ კომუნას რომ ხვალ ვეწვიოთ, ალბათ ტანსაცმელიც უფასო იქნება“.

ოკპარა

თანამგზავრებზე

ჩინეთში იწერება ოპერა დედამიწის პირველი ორი საბჭო-

თა თანამგზავრის შესახებ. ოპერის სახელწოდება ასეთია — „წითელმა მთვარემ ააფორიაქა ზეცის სახალხე“. ორ თანამგზავრს წარმოადგენს თეატრალურ კოსტუმებში გამოწყობილი ორი მსახიობი. მათ გარდა სცენაზე გამოდიან მთვარეობიერი პიროვნებანი, მთვარის ფერია და ვარსკვლავი-მქსოველი. ოპერა იმით მთავრდება, რომ ზეცის მეშვეობით მას მერე, რაც წითელმა მთვარეებმა დაამარცხეს მისი ვარები, იძულებულია სხვა აღვილას გადასახლდეს.

**ღამწერლობის
სარეზორვო
კომიტეტი**

გახული წლის მიწურულიდან ჩინეთში გამოდის ახალი

გაზეთი, რომელშიც ყველა მასალა დაბეჭდილია ორი შრიფტით: ძველი, ტრადიციული იეროგლიფებით და მისი შესატყვისი ახალი, თანამედროვე ლათინური ანბანით. გაზეთი გამოცდა დამწერლობის სარეზორვო კომიტეტმა სახალხო უნივერსიტეტის უფრონალისტიკის განყოფილებასთან ერთად.

ჩინეთის რამდენიმე უნივერსიტეტში უკვე შექმნილია უფრონალისტიკის განყოფილებები, რომლებიც ამზადებენ კადრებს ოლქების, საწარმოებისა და სახალხო კომუნის პრესისათვის. ასე, მაგალითად, ქალაქ ნანკინის უნივერსიტეტში უფრონალისტიკის განყოფილებაზე 200 სტუდენტი სწავლობს.



ქუჩნად „ცისკრის“ 1958 წლის ნომრების შინაარსი

კომუნისტების მშენებლობის ეკონომიური პროგრამა, № 12.
ქინქლაძე ო. — ცხოვრება გეოკარნახებს, № 12.
შეფარდნაძე ე. — პარტიის ღირსეული თანაშემწე და რეზერვი, № 10.

მოთხრობები, რომანები, პიესები

- აბაშიძე გ. — ლევენდა პირველ თბილისელებზე (დრამა), № 12.
- აბურაძე ალ-ხამისი — ჯამილია ჯამალიათი (მოთხრობა. თარგმნა რ. ქე ბ ლ ა ძ ე მ), № 8.
- ასათიანი მ. — ლენინის სურათი (მოთხრობა), № 11.
- ბაბაშანი ბჰატაჩარია — მესრე და ფოლადის ქორი (მოთხრობა. თარგმნა კ. ჯ ა ვ რ ი - შ ე ი ლ მ ა), № 8.
- ბეჟანიშვილი რ. — მზე შინა (მოთხრობა), № 4.
- ვაბესკირია ვ. — ახალწლის ღამე (პიესა), № 9.
- გელაშვილი გ. — გაუცეფთავი ქუჩები (მოთხრობა), № 5.
- გოგიჩაიშვილი ვ. — პირველი დღეები (რომანი. ვაგარძელება), № 1, № 2, № 6.
- გოთუა ლ. — დაბრუნებული მამია (მოთხრობა), № 3; ქეის ხოხობი (მოთხრობა), № 10.
- დავითიშვილი ა. — სინათლე (მოთხრობა), № 1.
- ეკო ოტა — როდემდის? მოთხრობა. თარგმნა შ. ლ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე მ), № 8.
- იაშვალის — მონის ვეჟაკობა. შურისგება. სიუვეარულის ფასი (მოთხრობები. თარგმნა ც. ნ ხ ე ი - ძ ე მ), № 8.
- იანაშვილი რ. — „პროფესიული თამაში“. თუთაზე. კოცნა. დღევანდელი დღის ის წუთები (მოთხრობები), № 1.
- იოსელიანი ო. — მოთხრობები ოჯახზე: ოცნება ოჯახზე. ცხოვრების სიბრძნე. სიცოცხლის შემოქმედი, № 11.
- იუსუფ იდრისი — „სწორია“. მზერა. სანაძლეო (მოთხრობები. თარგმნა ე. თ ვ ა რ ა ძ ე მ), № 8.
- კამეჩი. პალმის, ბეტელისა და კირის ამბავი (ეიტნამური ზღაპრები. ფრანგულიდან თარგმნა მ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ), № 1.
- კორინთელი ს. — სიცარიელე. ღამე წალვერთან (მოთხრობები), № 7; წუთისოდელი ასეა (მოთხრობა), № 10.
- მრველიშვილი მის. — თბილისური ნოველები, № 10.
- მუჯირიშვილი ბ. — ერთი ლასენის ბედი (ნაწყვეტები მოთხრობიდან), № 2.
- რურუა ი. — შუქი და ჩრდილი (მოთხრობა), № 1.
- რჩელიშვილი გ. — სიკვდილი მთებში (მოთხრობა), № 2.
- ხელფონი ს. — ნაადრევი ყვავილობა (ვესტ-ინდური მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ა. ვ ა ხ ო კ ი ძ ე მ), № 2.
- სიხურაბა — ფული და შრომა (მოთხრობა. თარგმნა მ. ა გ ა შ ე ი ლ მ ა), № 8.
- ხტეინბეგი ვ. — მარგალიტი (მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ა. რ ა ტ ი ა ნ მ ა), № 2, № 3.
- ქაჩილიშვილი ფ. — უცნობი მამა (მოთხრობა), № 7.
- ყოფიანი ე. — ხალხი (მოთხრობა), № 1; ვალი. გაცნობა (მოთხრობები), № 7.
- შექსპირი — ჰენრი მეოთხე (ისტორიული ქრონიკა. ინგლისურიდან თარგმნა ე. ქ ე ლ ი ძ ე მ), № 6, № 7.
- ჩანაიძე რ. — სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე (მოთხრობა), № 3.
- ჩენელაშვილი ო. — ფოლადის ფრთებზე (მოთხრობა), № 7, № 8, № 9, № 11.

- ჩხეიძე ბ. — მწევანე ხოლადუნი (რომანი), № 4, № 5, № 6, № 7, № 8, № 9, № 11.
- ჩხეიძე თ. — მიწა (ეტრული), № 2.
- წვერავა ხ. — გაწყვეტილი სიმი (მოთხრობა), № 6.
- ხაინდრაფა დ. — მოკრძალებული მოწმე (მოთხრობა), № 4.
- პარუნ არ-რაშიდი და აბუ შუჰამედ ზარმაცი (ათას ერთი ღამიდან. არაბულიდან თარგმნა 5. ფურცელადე მ), № 8.
- ჭაშვიკი — შეევი-სიმულანტი (ჩეხურიდან თარგმნა შ. გვინჩიძემ), № 5.

ლექსები, პოემები

- აბრამიშვილი მ. — ლექსები, № 3.
- აგლანელი პოეტების ლექსები (თარგმნა შ. ლომსაძემ), № 8.
- ამისულაშვილი შ. — ქართული მიწა (ლექსი), № 2.
- ბეგაშვილი ა. — თოვს (ლექსი), № 6.
- ბერაია ვ. — ლექსები, № 5.
- ბერნსი რ. — ლექსები (თარგმნეს თ. ერისთავმა და ფ. ბერაძემ), № 4.
- ბერულავა ხ. — ამბავი თბილისის დაბადებისა (ლექსი), № 10.
- ბობოხიძე ე. — სიმღერა ვაზაფხულისა (ლექსი), № 6.
- ბოლქვაძე ზ. — ლექსები, № 4; ლექსები, № 11.
- გაბრიჩიძე ნ. — ლექსები, № 9; ლექსები, № 12.
- გიგეჭკორი გ. — ლექსები, № 3; ლექსები, № 12.
- გეწაძე ა. — ლექსები, № 11.
- გვებტაძე ვ. — ლექსები, № 5; თბილისის ღამე (ლექსი), № 10.
- ველინი — ბაღდადს ორ წინაპარზე (თარგმნა გ. ვოციანაშვილმა), № 9.
- გორა ი. — წითელ მოედანზე (ლექსი. თარგმნა მ. შაქავერიანმა), № 4.
- გორგაძე ვ. — მოსკოვი (ლექსი), № 3.
- გურგენიძე ნ. — უცხოეთის გზებზე (ლექსები), № 7.
- ენხენი ხ. — წერილი ქალს (ლექსი. თარგმნა გ. ხუხაშვილმა), № 2.
- თურქული ლირიკა — ნეფხათ უსთიუნის, ორპან ველის, ოქთაი რიფათის ლექსები (თარგმნა გ. ძნელაძემ), № 8.
- იანაყაშვილი ფ. — ლექსები, № 3.
- იმედაძე გ. — ლექსები, № 7.
- ინჯია ჯ. — ლექსები, № 7.
- კალაძე კ. — კელავ საქართველოს შთაგორებზე (ლექსები), № 9; ლექსები, № 10.
- კახიძე მ. — ლექსები, № 3; ლექსები, № 11.
- კაპახიძე გ. — ლექსები, № 1.
- კილასონია ნ. — თაობა ჩემო! (ლექსი), № 10.
- კორეული ლირიკა — XV—XVIII საუკ. პოეტები (თარგმნა თ. ჩხენკელმა), № 1.
- კუხიანიძე ზ. — ლექსები, № 11.
- ლევანიძე შ. — ლექსები, № 4; ესპანური კანტატა (ლექსი), № 10.
- ლილინოვი მიკაილა — სიმღერა ჭეშმარიტი სიყვარულისა (ლექსი. თარგმნა გ. გეგეჭკორმა), № 8.
- ლორთქიფანიძე ზ. — ლექსები, № 7.
- მამფორია თ. — ლექსები, № 3.
- მაჭავარიანი მ. — ლექსები, № 2.
- მირცხულავა ა. — ხობის პირად (ლექსი), № 2.
- ნადერ-ნადერფური — მამა (ლექსი. თარგმნა მ. ბარათაშვილმა), № 8.
- ნარშიანიძე ხ. — ლექსები, № 6.
- ნარსია ნ. — სიცოცხლე ჩემს მამულში (ლექსი), № 2.
- ნიჭაბაძე ჯ. — ლექსები, № 7.
- ნიშინიძე შ. — ლექსები, № 1; მოხეტიალე ჩემვები (ლექსი), № 5; ლექსები, № 9.
- სინაური ა. — ლექსები, № 6.
- სულაბერიძე დ. — ჩილის სიზმარი (ლექსი), № 7; ეს ნასახლარი (ლექსი), № 10.
- ტაბაძაძე ა. — მე ახლა (ლექსი), № 11.
- ფორჩხიძე შ. — კახა (პოემა), № 11.
- ფოცხიშვილი მ. — ლექსები, № 1.
- ქავთარაძე გ. — სიმღერა ფერებზე (ლექსი), № 6.

- ქვერტილიძე ი. — ლექსები, № 11.
- * ქვიციანი მ. — მოაგარაკენი (ორი ნაწყვეტი პოემიდან), № 9.
- * შალამბერიძე ო. — ლექსები, № 6; იმ დიდ ზეიმზეც... (ლექსი) № 10.
- * ჩარკვანი ჯ. — მომავლის მზერა (ლექსი), № 1.
- ჩინური კლასიკური პოეზია — VII—X ს. პოეტები (თარგმნა თ. ჩხეიძემ), № 7.
- ჩხაიძე ა. — ლექსები, № 5.
- * ძნელაძე გ. — დიდი დამიანი (ლექსი), № 4; ვაზაფხული (ლექსი), № 5; ბორის ძნელაძეს (ლექსი), № 10.
- ძნელაძე ვ. — ჩემი დილა (ლექსი), № 7.
- ჭილაძე თ. — ლექსები, № 6; სომხეთში (ლექსი), № 11.
- * ჭილაძე ო. — ლექსები, № 1.
- * ჯანგულაშვილი თ. — ლექსები, № 6; და ვაზაფხული იბადებოდა (ლექსი), № 11.
- პაინე — ლირიკა (გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა), № 4.

შპშნიკი

- ბერიაშვილი ბ. — ლექსები, № 12.
- ბოლქვაძე მ. — ლექსები, № 12.
- გერბელია კ. — ლექსები, № 12.
- * ელიოზიშვილი მ. — პირველი და ოცდამეათერთმეტე დღე გვირაბში. უკანასკნელი კონწილა ბებერი მეზურნეები (მოთხრობები), № 12.
- ირემიაშვილი ლ. — ლექსები, № 12.
- კოზათი ი. — ლექსები, № 12.
- მემპარიაშვილი მ. — ლექსები, № 12.
- * ნატროშვილი თ. — ხეალ დოლი იქნება ხეობაში (მოთხრობა), № 12.
- * ნატურა ლ. — ლექსები, № 12.
- უაჭეიშვილი ი. — ზღვის ღომი (მოთხრობა), № 12.
- შალვაშვილი ბ. — ლექსები, № 12.
- შავლოხაშვილი ი. — ლექსები, № 12.
- ციციაშვილი თ. — ლექსები, № 12.
- წერეთელი ნ. — ლექსები, № 12.
- ხაიაური ა. — ლექსები, № 12.

ჩმენი ადამიანები

(ნარკვევი)

- გიგეიკორი გ. — მაზანაშვილების ოჯახი, № 1; ბავშვები, სითბო, სინაზე, № 6; იქ, მაღლა, მზიანში, № 10.
- გელოვანი ჯ., თორელი გ. — სამნი, № 10.
- თორელი გ. — ჯარისკაცის ბარათი, № 7.
- ჭეთელაური ს. — ჭრელი ხალიჩა, № 11.
- ძიძიგური შ. — ორი ენათმეცნიერი, № 1.
- ჯამასიშვილი ზ. — „მინხაანზე ჩავიარე“, № 3.

ძართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. 1958

- ბარტო ა. — ქართველ პოეტთა დიდი წვლილი, № 7.
- დროშვილი ვ. — ადამიანის ბედი და სოციალური გარემო, № 6.
- ემინი გ. — ამალეღვებელი საყიბები, № 7.
- ვინოკუროვი ე. — უმდიდრესი საგანძური, № 7.
- ფუკონინი მ. — ხალხის საყვარელი პოეზია, № 7.
- საქართველოს ვაზაფხული მოსკოვში, № 5.
- შაგინიანი მ. — ამალეღვებელი მოთხრობები, № 6.
- შპე ე. — საქართველოს ყველაღები მოსკოვში, № 5.
- ხუხაშვილი გ. — მარად ძველი და მარად ახალი, № 5.

კომპაზიციის სახელოვნო 40 წელი

- ბეთანელი გ. — ნაწყვეტ-ნაწყვეტ... მის უნახავად, № 5.
- გელოვანი ჯ. — ქარიშხლიანი დღეები, № 4.

- თენიშვილი ო. — კუსტანაი — თბილისი, № 9.
 თორელი გ. — მისი ზვალინდელი დღე, № 3.
 იმედაშვილი ა. — იბრძვის კომკავშირის ძველი გვარდია, № 4.
 ხარქისოვი ს., როსტოვეცი ლ. — გარდასულ დღეთა ამბავი (თევზი წიგნიდან), № 10.
 შამათია პ. — ვლადიმერ კანკიავა, № 9.

შინასაქრილოზო ტრიზუნა

- ბახტურიძე პ. — პირველი ამღერება, № 11.
 გვრდწითელი გ. — უკანასკნელი წლების ქართული მხატვრული პროზა და დადებითი გმირის პრობლემა, № 12.
 კანკავა გ. — მოთხრობა ადამიანის ღირსების შესახებ, № 9; ოსტატობისკენ მიმავალი გზა, № 11.
 კვერენჩილაძე რ. — მხატვრული სახე და პოეტური ოსტატობა, № 8.
 კორძაია ჯ., შენგელია რ. — პატრიოტული შემართებისა და მოქალაქეობრივი განცდების პოეზია, № 9.
 ნატროშვილი გ. — მწერლის ქეშმარიტი გზა, № 8.
 სულაბერიძე შ. — ჩვენი თაობის ლირიკული ფიქრები, № 9.
 ჩხეიძე ნ. — ანა კალანდაძის პოეზია, № 12.
 ჯიბუტი ვ. — ირაკლი აბაშიძე, № 12.

მოგზაბურის დღიური

- ჩარკვიანი ჯ. — მატარებელი ბუდაპეშტში ჩერდება, № 11.
 ქინქლაძე ო. — პრაღიდან დუნაის სანაპიროებამდე, № 6.
 ქელიძე ს. — ფერეიდანში, № 1.

თბილისის 1500 წელი

- ბლაზაშვილი ი. — „ტფილისო დედაქალაქო“-ს ავტორისათვის, № 10.
 ბერიძე ვ. — ქალაქის ზრდა, № 3; XIX საუკუნის თბილისის ისტორიიდან, № 9.
 კიქნაძე რ. — არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XIII ს. ს. თბილისის შესახებ, № 10.
 მეგრელიძე ი. — ერეკლე მეორის 24 შვილი, № 10.
 მესხია შ. — XIX საუკუნის ზოგი ცნობა ძველი თბილისის შესახებ, № 10.
 შინდაძე გ. — სასწელო და სარწყავი წყალი ძველ თბილისში, № 7.
 წულუისკირი ნ. — მტკვრის პირად გათეთრებული კაცები, № 10.
 ჯავრიშვილი კ. — თბილისელის თვალთ, № 10.

მწერლის არქივიდან

- გელოვანი მ. — ლექსები, № 2.
 ნადარეიშვილი ვ. — ლექსები, № 5.
 უზილავა ე. — ლექსები, № 5.

ხილვები

- ავალიანი ლ. — წიგნის შემკობის ოსტატი, № 3.
 ანდრონიკაშვილი ი. — რამდენიმე სიტყვა ევგენი მიქელაძეზე, № 2.
 ბაქრაძე ა. — კინემატოგრაფისტის ჩივილი, № 1.
 გიფიშკრელი მ. — ბუნებრიობა და ემოციურობა, № 5.
 გურაბანიძე ნ. — ცეკვაში განცდილი შექსპირი, № 1.
 ვასაძე ა. — ლადო მესხიშვილი, № 12.
 ლაშვი ნ. — ნიკო ფიროსმანიშვილი, № 5.
 ნადირაძე ჯ. — მატერიალური კულტურის ძეგლები ყვირილას ხეობაში, № 2.
 ნიკოლაძე ნ. — პირველი ქართველი სცენარისტი და რეჟისორი, № 8.
 უიფიანი ე., ჩარკვიანი ჯ. — ქართული კულტურის დღესასწაულზე, № 2.
 ურუშაშვილი ლ. — სცენის ჯადოქარი, № 4.

სპორტი

- ბუხაიევი ა. — საქადრაკო დაფასთან და კულისებში, № 4.
 პაიქაძე ბ. — უდიდესი საფეხბურთო ბრძოლა, № 9.
 ქორქია რ. — ფეხბურთის თამაშობს ყველა, № 3.

პუბლიკაცია

- გახი ბ. — ესენინი და საქართველო, № 11.
 უორდრობი მ. — შენიშვნები 1894—1895 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ, № 11.
 ყაუხჩიშვილი ს. — მეწვიედ საუქუნის ნოველისტი იოანე მოსხი (წერილი). ყაჩაღთა ბრბო. ქალის დასწეულება ტრფობის გამო. ერთი ქალწული და მისი მოტრფილვე ჰაბუჯი. მე-ძაღვი ქალი მარიამი და მისი მოქცევა. ფრიად მოსწრაფე ბერი (ნოველები). № 1.

წარსულის ფერფლის ძმებ

- ჩიქოვანი თ. — რუსული კულტურისა და ისტორიის მემკვიდრე, № 4.
 შოშიაშვილი ნ. — ურბნისი — საქართველოს უძველესი ქალაქი, № 4.

კრიტიკა და პუბლიცისტობა

- ბარამიძე ა. — წერილი რედაქციას, № 5.
 გამეზარდაშვილი დ. — გ. წერეთლის ლიტერატურული შეხედულებები, № 12.
 გვახარია ალ. — თანამედროვე ირანის პროგრესული ლიტერატურა, № 8.
 გვენეტაძე გ., ტყეშელაშვილი ი. — მაქსიმ გორკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში, № 4.
 გვერდწიფილი გ. — „კოლხეთის ციკლის“ გმირები, № 2.
 გიგინეიშვილი ი. — საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიო-გრაფიაში, № 1; კაიროს კონფერენცია, № 5; ამოდის, თენდეზა, № 8.
 გორიაგინა ლ. — ქართველი ქალები შვეიცარიაში, № 8.
 ენუქაშვილი ს. — ე. პონიგმანზე ერთი წერილის გამო, № 3.
 თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ. — ილია ქავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ინგლისური თარგმანი, № 5.
 თვარაძე რ. — კრიტიკა და „მკითხველის მისტიფიკაცია“, № 5; აღმოსავლეთი და საქართველო, № 8.
 ითონიშვილი ვ. — ილია ქავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, № 9.
 ინწკირველი ს. — თანამედროვე რევიზიონიზმის შესახებ, № 9.
 კაკაბაძე დ. — ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ, № 4; წიგნი საქართველოს კომკავშირზე, № 11.
 კაკაბაძე ნ. — „იფთოაე და მისი ასული“, № 5.
 კალანდაძე ალ. — „მოლაყების“ ფსევდონიშის გარშემო, № 11.
 კაპანაძე ა. — გლეხთა შეიარაღებული აღსრულება სანჯერის რაიონში 1918 წელს, № 2.
 კეკელიძე მ. — ერთი დეტალი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან, № 1.
 კიქნაძე ვ. — ლაღო ასათიანი, № 6.
 ლომაშვილი ფ., გახვიანი გ. — წითელი დროშა თბილისში, № 11.
 კოჭლავაშვილი ალ. — ვაჟა-ფშაველა ჟიათურაში, № 7.
 მარგველაშვილი გ. — სიმონ ჩიქოვანი, № 4.
 მაჰავარიანი ვ. — კარლ მარქსი ეროვნული საკითხის შესახებ, № 5.
 მასარაძე ვ. — ჭადრაკი მ. მარქსისა და ვ. ლენინის ცხოვრებაში, № 7.
 შერგელიძე ი. — „ეფესოსის“ ლექსიკის საკითხები, № 9.
 ორლოვსკაია ნ. — გოლდონის მახაბლისეული თარგმანი, № 7.
 ხააკაშვილი მ. — ნ. ციბულსკი ი. თარხნიშვილის შესახებ, № 12.
 ფრანგიშვილი ალ. — სოლომონ დოდაშვილის ერთი გამოუქვეყნებელი წერილის გამო, № 5.
 უიასაშვილი ნ. — შექსპირის ავტორობის შესახებ, № 2.
 შატბერაშვილი გ. — ლექსი და სახლი, № 2; ბარნოვის თქმით, № 6.
 შენგელაია დ. — ვასილ ბარნოვი, № 6.
 ქელიძე ვ. — საშვილიშვილო საგანძურა, № 3.

- ჭუმბურიძე გ. — გიორგი ერისთავი ა. ბესტუქეე-მარლინსკის შესახებ, № 2.
- ხუბაშვილი გ. — როდესაც მღერის ახალგაზრდა გული, № 3; ოსტატის საიდუმლო, № 7.
- ჯავრიშვილი კ. — უიარაღო მებრძოლი, № 2; როდესაც ვეიოხულობთ ვასილ ბარნოვს, № 6.
- ჯამახაშვილი ზ., გულბანი გ. — გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი, № 7.
- ჯაფარიძე რ. — სასაილო და სატირალო, № 2.
- ჯიბლაძე ვ. — ოქტომბერი და ჩინეთის რევოლუცია, № 11.
- ჯიბუტი ვ. — გიორგი ლენინის ლექსები, № 7.

წიგნის თარო

- ამისულაშვილი შ. — ქართული ლექსის ჯარისკაცი, № 5.
- კანკავა გ. — ბო ძიუ-ი ქართულ ენაზე, № 8.
- ლექიაშვილი ა. — ახალი ეთნოგრაფიული გამოკვლევა, № 6.
- მაჩაიაშვილი მ. — რუდაქის ლირია, № 8.
- შვილდაძე ნ. — გოეთეს „დრამები“ ქართულად, № 6.
- პატარიძე რ. — თავორის ნაწარმოებთა კრებული, № 8.
- შველიძე ნ. — მ. ასლანიანის მოთხრობები, № 6.
- ციციშვილი ს. — ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლი, № 5.
- ხახია ბ. — საქართველოში მარქსიზმის სათავეების შესწავლისათვის, № 3.
- ხომერიკი ნ. — ტიციან ტაბიძის წერილები და ნარკვევები, № 5.
- ჯანგიძე ვ. — „მგელი და კრავი“, № 8.
- ჯანგულაშვილი ი. — „წარწერები კლდეზე“, № 3.

სატირა და იუმორი

- დუმბავა გ. — ახალწლის ღამით, № 1.
- კუხიანიძე კ. — ბაქარ ბუქიძე ბაქიბუქოვს. ციკლს თვალები და ობიექტური აზრი, № 3.
- ლოლუა გ. — ნახატი-ხუმრობები, № 3.
- ფირცხალავა გ., ერისთავი დ., მახინა ნ. — ნახატი-ხუმრობები, № 1.

მიცნობებზე და ტიპიკის სიხალენი

- კარბელაშვილი ა. — როცა დამზადდება „მოლაპარაკე მანქანა“, № 7.
- შავიშვილი მ. — ატომის ენერჯია ადამიანს ემსახურება, № 1.
- უცხოეთის ქრონიკა, № 1.

ჟოგელი მხრიდან

- გამყრელიძე აღ. — ახალი ქართველოლოგიური ნაშრომები უცხოეთში, № 1; კამათი ბალეარისის გარშემო საზღვარგარეთ, № 3; ათონის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების გადაღება, № 5.
- კოჭლაშვილი ნ. — შევისწავლოთ და გამოვაშუქოთ, № 4.
- პოლონეთის პრესა საქართველოს შესახებ, № 5.
- უცხოეთის კულტურული ცხოვრება (ქრონიკა) — № 1, № 2, № 3, № 4, № 6, № 7, № 8, № 9, № 11.
- „ველა ქალაქე ულამაზესი...“, № 10.
- ჭარხალაშვილი ზ. — „ველტიუნე“ „ეფეხისტუაოსნის“ გერმანული თარგმანის შესახებ, № 2.



6.05/64



ფან 6 856.

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

„Ц И С К А Р И“

**ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР**

«САБЧОТА САКАРТВЕლო»